კვირის პალიტრა

№ 28 (489) ◆ 12 – 18 ივლისი. 2004 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.

„ცალი ხელის ჩამორთმევა და მეორეთი წელს ქვემოთ დარტყმა მათი „ხელოვნებაა“



გავლენიან პოლიტიკურ წრეებს, როგორც ჩანს, სულ-მა წასძლია და სანამ ამერიკის შეერთებულ შტატებში დიდი და პატარა საპრეზიდენტო არჩევნებით არის დაკავებული, ცდილობენ, საქართველოში წყალი ისე ამღვრიონ, რომ მერე მის დაწმენდას წლები დასჭირდეს. გვ.3

„არ მინდა, ოდესმე კიდევ ვნახო დაჩოქილი ქართველები!“

გვ.5

უსაფუძვლოდ მიმაჩნია არგუმენტი, – ჯარისკაცებმა იმიტომ არ ისროლეს, რომ ომის პროვოცირების შეეშინდათ. სტრატეგიული საკითხები ჯარისკაცის გადასაწყვეტი არ არის. ომის თავიდან აცილებაზე ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელობა ზრუნავს. როდესაც ხელისუფლება ჯარისკაცს კონკრეტულ უბანს აბარებს, მან კეთილი უნდა ინებოს და ის ყველა საშუალებით დაიცვას. ჯარისკაცს ქვეყნის დაცვა ევალება და არა იარაღის მოწინააღმდეგისთვის გადაცემა და შემდეგ მის ფეხებთან ფორთხვა.

„ცხინვალის რეგიონიდან მხოლოდ ვლადიმირ ვოლფოვიჩს თვეში რამდენიმე მილიონი რუსული რუბლი მისდიოდა“

გვ.13 ექსპერტის აზრით:

„კოკოითი პოლიგიკოსი კი არა, ერთი მოქიფე და მონადირე კაცია“

ხშირად უთქვამს, რომ მოსკოვში მიდიოდა მოსალაპარაკებლად, სინამდვილეში კი მთაში სანადიროდ დადიოდა. ვინც ფულს გასცემს, საქმესაც ის წყვეტს, ამ დროს კოკოითი აბსოლუტურად უმნიშვნელო ფიგურა ხდება...

„საღეთი შეიერთეს და 45 წუთის განმავლობაში დენს მიბარებდნენ“

გვ.7

შოკის მომგვრელი იყო იმ საკნის ნახვა, სადაც მოლაშვილი ჰყავდათ. სა-

წოლიდან ცხვირი, ფაქტობრივად, უნიტაზში ჰქონდა ჩაყოფილი. ასეთ პირობებში როგორ უნდა ეჭამა ან როგორ უნდა დამჯდარიყო? მე ვიყავი ხელისუფლების პირველი წარმომადგენელი, რომელმაც საკმაოდ მკაცრი საყვედური მიიღო. **ელენე თევდორაძე**

„ქართველები ბათუმში ისე ცხოვრობენ, როგორც ბრიტანელები ინდოეთში“

რა დაუჯერებელიც არ უნდა იყოს, სტატიის ავტორმა მოახერხა დატყვევებული ქართველი სამხედროების მონახულება ცხინვალის ციხეში.

ხელისუფლების არაშორსმჭვრეტელობა და გზების მნიშვნელობა...
რუსი „სამშვიდობოების“ ეშმაკობანი...
ქართული მასმედია – ვინ უფრო მეტს შეატყობინებს მოწინააღმდეგეს?!.
როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები?..

რა უნდა იცოდეს მოსახლეობამ...

ხვალ იყო ომი?!

საშინელი თემაზე:

რაკეტებწართმეული რუსების შურისძიება...

ომი არ გვინდა... მაგრამ... კიდევ ერთ ქართულ სოფელზე თავდასხმის შემთხვევაში ოფიციალური თბილისი თავისი მოსახლეობის წინაშე ვალდებული იქნება, გადადგას გადამწყვეტი ნაბიჯი... გვ.5,8,9

შეუძლებელია ადამიანმა წარმოიდგინოს ის ჯიკვილი, რაც მე გამოვიარე

გვ.18

„თუ ჩამოსული ქართველი თავად არ მოინდომებდა ჩემთან შეხვედრას, ახლოსაც არ ვეკარებოდი“

მალე ჩვენი ნაწილი დიდ ალყაში მოექცა. ძალიან განვიცდიდი ტყვეობას, მაგრამ მერე და მერე, ომში ნანახმა ბევრ რამეზე ამიხილა თვალი... ჩემს მესამე ძმას ტყვეობაში შევხვდი. ისე იყო გასაცოდავებული, თვითონ რომ არ დაეძახა, ვერც ვიცნობდი. იმდენად დრამატული იყო ჩვენი შეხვედრა, რომ გერმანელებიც კი ტიროდნენ... ვუთხარი, თუ მას სიცოცხლეს აჩუქებთ, მე გინდა დამხვრიტეთ-მეთქი...

დიდუბიდან წასული 21 წლის ბიჭი 85 წლის ასაკში სიყრმის ადგილს დავუბრუნდი...

როგორ „გააჩალიჩა“ ლუკოვმა მიწის ნაკვეთი ბათუმში?!

გვ.10,27

ასეთი პლაჟებით გვინდა მოვიზიდოთ ტურისტები?

ამ არხით ადრე სანიაღვრე წყლები ჩაედინებოდა ზღვაში, ახლა ბათუმის კანალიზაცია მძიმე დღეშია და პირდაპირ ამ არხზეა მიერთებული. არხი თავის დროზე ბეტონის ფილებით იყო გადახურული, მილებიც იყო ჩაყრილი. ახლა კი წყალი პირდაპირ ღია არხით მიდის ზღვაში... არხს გავყევი და ჩემი თვალით ვნახე, სად და როგორ ჩაედინება ფეკალური მასებით დაბინძურებული წყალი შავ ზღვაში.

დელფინარიუმის აუზში ლეღვი ამოსულა...

„თქვენს მიწაზე ხართ და ქართულს თითქმის არაფერს უფრთხილდებით“

„მოვალ და გევედრები ჩამიხუტე დედასავით!“
„ქართველები იმ დროიდან შემორჩენილან ავღანეთს, როცა იქ ქართველი მეფისწული მეფობდა(!)“
„ჩვენ წყალი ვართ, საგუბარი კი საქართველოა“.
„რად უნდა ქართველს სხვისი მუსიკა?!“ გვ.6

გულისამაჩუყებელი წერილი გურჯისგანს

მშვიდობიან კვირას გისურვებთ!

ყვითელი ლურჯი შავი წითელი

1992 წლის საქართველო აღარ განმეორდება

„სახელმწიფოს აქვს რამდენიმე ატრიბუტი, მათ შორის ქვეყნის ტერიტორია, მთავრობა, არდლობა და ხალხი, მაგრამ ხალხთან ერთად მთავარი ატრიბუტი საქართველოს შეიარაღებული ძალებია. ათი წლის წინ საქართველო დამარცხდა ომში, რადგან ეს ატრიბუტი არ ჰქონდა“, — განაცხადა ცხინვალის რეგიონში სიტუაციის უკიდურესად დაძაბვისა და რუსეთის სათათბიროს მიერ გაკეთებული განცხადების შემდეგ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა.

მისი თქმით, დღევანდელ თაობას მიეცა უნიკალური შანსი, დაიცვას საკუთარი ქვეყანა და ამ შესაძლებლობის ხელიდან გაშვებას ისტორია არავის აპატიებს.

„ჩვენ გვსურს ყველასთან გვქონდეს მჭიდრო ურთიერთობები. არ გვინდა რუსეთი ვინმემ ჩაითრიოს საქართველოსთან შეიარაღებულ კონფლიქტში, თუმცა მზად უნდა ვიყოთ ყველაფრისთვის. რუსებს მეგობრობის ხელი ჯერ კიდევ იანვარში გავუწოდეთ, მაგრამ ეს ხელი ჯერჯერობით ჰაერშია გაწვდილი და მის ჩამორთმევაზე ჯერ არავის უფიქრია. იმედი მაქვს, რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი კეთილგონიერებას გამოიჩენს.

ოსები ჩვენი მეგობრები არიან და ხელისუფლებას მათთან შეიარაღებული დაპირისპირების განახლება არ სურს. თუმცა ცხინვალის რეგიონი მალე დაბრუნდება საქართველოს შემადგენლობაში — ხელისუფლება ამ პრობლემას უსისხლოდ გადაწყვეტს. თუ ვინმე საქართველოში სისხლის დასაღვრელად ჩამოვა, დაუნდობლად გავანადგურებთ, როგორი შეიარაღებული ძალებიც არ უნდა ჰყავდეთ მათ. საქართველოში 1992 წელი აღარ განმეორდება“, — აღნიშნა პრეზიდენტმა.

ოსები კოკოითის წინააღმდეგ

10 ივლისს კანცელარიის წინ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრებმა ოსი ეროვნების წარმომადგენლებმა საპროტესტო აქცია მოაწყვეს, რომლის დროსაც ე. წ. სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო პრეზიდენტის, ედუარდ კოკოითისა და მისი ხელისუფლების სეპარატისტული ქმედებები დაგმეს და მშვიდობა მოითხოვეს. მოგვიანებით მათ საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი შეხვდა. ოსურ ენაზე მისალმების შემდეგ პრეზიდენტმა აქციის მონაწილეებს მშვიდობის შესანარჩუნებლად მაქსიმალური ძალისხმევა აღუთქვა.

„საქართველოს მთავრობას ომის დაწყება რომ უნდოდეს, ამაზე მეტი მიზეზი რა უნდა იყოს? — ჩვენი ჯარისკაცები დაატყვევეს, მუხლებზე დააჩოქეს, ხალხი დაგვიჭრეს, გზები გადათხარეს. რომელი ქვეყანა მოითმენდა ამის ცქერას ტელევიზიით? ჩვენ კი ყველაფერს ვყლაპავთ მშვიდობის შესანარჩუნებლად. ყველაფერს გავაკეთებ, რომ ცხინვალის მიმართულებით ქართველებისგან ერთი ტყვიაც არ გავარდეს, რათა უდანაშაულო ადამიანების სისხლი არ დაიღვაროს. მაქსიმუმ ერთ წელიწადში საქართველოსთან სამაჩაბლოს სრული ინტეგრირება მოხდება“, — განაცხადა სააკაშვილმა.

ოსი მომიტინგეები რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინს ურჩევენ ცხინვალში მოავლინოს იგორ ივანოვი და ედუარდ კოკოითი საქართველოს მოაშოროს. მიტინგის დასრულების შემდეგ პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ოსი ეროვნების ცნობილ პირებს შეხვდა. შეხვედრის მონაწილეები ორსაათიანი საუბრით კმაყოფილები დარჩნენ.

ნაბდზოროვიც შეაშინეს?!

10 ივლისს, დილით, შიდა ქართლის რწმუნებულის, მიხეილ ქარელის გადაწყვეტილებით ფრონეს ხეობის ორ ქართულ სოფელში — პრეზიდენტის საჩუქრის, სურსათის წაღება გადაწყვიტეს. ჰუმანიტარული ტვირთის გაცემა რუსული სამშვიდობო ძალების გენერალმა ნაბდზოროვმა ითავა, თუმცა ტვირთის ავნევსა და ნულში ჩატანა მაინც გაძნელდა. სოფლების შესასვლელთან ტვირთიან და ჟურნალისტთა ავტომანქანებს ოსურმა შეიარაღებულმა ფორმირებებმა ალყა შემოარტყეს. ქართველი პოლიციელებისა და გენერალ ნაბდზოროვის საქმეში ჩარევის შემდეგ დატყვევებულები გაათავისუფლეს და ტვირთი დანიშნულების ადგილზე უპრობლემოდ მივიდა.

როგორც ინციდენტის თვითმხილველები ამბობენ, ოსები ცდილობდნენ „კამაზის“ ტიპის ავტომანქანის გატაცებას და დაშინების მიზნით ჰაერშიც რამდენჯერმე გაისროლეს, რის გამოც რუსი გენერალიც გვარიანად შეშფოთებულა და უკან დაბრუნებისას შემოვლით გზაზე წამოსვლა ვეღარ გაურისკავს. როგორც ირკვევა, მან ოსურ სოფლებში სამშვიდობოების ყველა საგუშაგოს აცნობა მომხდარის შესახებ და სატვირთო მანქანები, ქართული ხელისუფლების წარმომადგენლები და ჟურნალისტთა დელეგაცია სწორედ ამ გზით გამოიყვანა სამშვიდობოს.

შს მინისტრი ერედვში იცხოვრებს

საქართველოს პრეზიდენტის განცხადებით, ქვეყნის ხელისუფლების გადაწყვეტილებით, უახლოეს მომავალში ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში, კერძოდ, სოფელ ერედვში ამოქმედდება საკოორდინაციო ცენტრი, რომელსაც საქართველოს შს მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი უხელმძღვანელებს.

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ ირაკლი ოქრუაშვილის შტაბი მუდმივად ამ სოფელში იქნება დისლოცირებული და მინისტრი ადგილიდან გაუწევს კოორდინაციას რეგიონში განთავსებული ქართული ძალოვანი სტრუქტურების მოქმედებას.

„ოქრუაშვილი საცხოვრებლადაც ერედვში გადავა და ყველაფერს გააკეთებს, რათა საქართველოს თავიდან ააცილოს იმ შეიარაღებულ დაპირისპირებაში ჩათრევა, რომლის ინსპირირებასაც ცდილობს მოწინააღმდეგე მხარე“, — განაცხადა სააკაშვილმა.

კოკოითი ოქრუაშვილს ემუქრება

კოკოითის თავხედობას საზღვარი აღარ აქვს, თუმცა, მისი განცხადებების უმრავლესობა იმდენად კურიოზულია, რომ ღიმილს იწვევს. ე. წ. სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო პრეზიდენტი საქართველოს ხელისუფლების პირველ პირებს სისხლის სამართლის საქმის აღძვრითა და დაპატიმრებებით დაემუქრა. კოკოითი განსაკუთრებულ ყურადღებას საქართველოს შს მინისტრის მიმართ იჩენს. ორმოცდაათამდე ქართველი პოლიციელის გათავისუფლებამდე გამართულ პრესკონფერენციაზე მან განაცხადა: „სად იყო ქართული ხელისუფლება გუშინწინ და თვითონ ის ოქრუაშვილი, რომელმაც დანაშაული ჩაიდინა. ჩვენ შეგვიძლია აღვძრათ საქმე მის წინააღმდეგ ოსეთის ტერიტორიაზე შეიარაღებული შემოჭრისთვის“.

კოკოითის თქმით, სისხლის სამართლის საქმე შესაძლოა კოლონაზე თავდასხმის გამოც აღიძრას, რადგან მნიშვნელობა არ აქვს, თუ რა კოლონა იყო ეს — რუსეთის სამშვიდობოების თუ ჰუმანიტარული. „არსებობენ თვითმხილველები, რომლებიც აცხადებენ, რომ კოლონას პირველად ცეცხლი თავად ოქრუაშვილმა გაუხსნა“, — განაცხადა კოკოითმა.

თავს ქართული აგრესიისგან ვიცავთო

რუსეთის საგანგებო სიტუაციათა ელჩს, ლევ მირონოვს დე ფაქტო რესპუბლიკის პრეზიდენტი ედუარდ კოკოითი მიტინგით შეეგება, სადაც ოსი დედები სააკაშვილს მშვიდობისაკენ მოუწოდებდნენ და სთხოვდნენ, არ დაუშვას სისხლის ღვრა.

მიტინგზე ედუარდ კოკოითიც გამოვიდა, რომელმაც განაცხადა, რომ ამაყობს სამხრეთ ოსეთის შვილობით და რუსეთის მოქალაქეობით. მან საქართველოს პრეზიდენტს გონიერებისკენ მოუწოდა და ურჩია თავის თავზე აიღოს საქართველოსა და დე ფაქტო ხელისუფლებას შორის დღემდე არსებული შეთანხმებების შესრულების პასუხისმგებლობა. კოკოითს თუ დავუჯერებთ, იგი თავის ბანდიტურ ფორმირებებთან ერთად თურმე საქართველოს აგრესიისაგან იცავს თავს და რეგიონს.

რუსეთის საგანგებო სიტუაციათა ელჩისა და დე ფაქტო რესპუბლიკის პრეზიდენტის შეხვედრის შემდეგ გადაწყდა, რომ ოსური მხარე დატყვევებულ სამ ქართველ პოლიციელს რუსულ სამშვიდობო ძალებს გადასცემდა.

10 ივლისს ცხინვალში იმყოფებოდა ჩრდილო ოსეთის პარლამენტის თავმჯდომარე, რომელმაც განაცხადა, რომ მზად არის სამხრეთელი ძმების დასაცავად იარაღი გამოიყენოს(?!). იგი 10 ივლისს ცხინვალის ქუჩებში კოკოითსა და რუს კაზაკებთან ერთად ღიმილით დასეირნობდა.

რფ-ის სახელმწიფო დუმის განცხადება

რუსეთის სახელმწიფო სათათბირო იმპერიალისტურ ზრახვებს აღარ მალავს. სპეციალურ განცხადებაში „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკაში გამწვავებული სიტუაციის და რუსეთის მოქალაქეების კანონიერი უფლებების დაცვის საშუალებების შესახებ, რომლებიც ცხოვრობენ, ან ამჟამად იმყოფებიან სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე“ კერძოდ, ნათქვამია: „რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო დუმა სინანულს გამოთქვამს ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში მდგომარეობის მკვეთრი გამწვავების გამო. დეპუტატები მიუთითებენ საქართველოს ხელისუფლებას, რომ ისინი უხეშად არღვევენ 1992 წლის სოჭის ხელშეკრულებას და შეახსენებენ, რომ ოსეთი 1779 წელს ნებაყოფლობით შევიდა რუსეთის შემადგენლობაში, როგორც ერთიანი ოსეთი და არა სამხრეთი და ჩრდილოეთი. ეს ერთი ხალხია. საქართველოს ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ სამხრეთ ოსეთის პრობლემა სამართლებრივ ჩარჩოებს გასცდეს. ეს სერიოზულ საფრთხეს უქმნის სამხრეთ ოსეთის მოსახლეობას, რომელთა უმრავლესობა რფ-ის მოქალაქეა. სახელმწიფო დუმა გმობს საქართველოს ხელისუფლების ქმედებებს, რომელიც მიმართულია მდგომარეობის დესტაბილიზაციისკენ და აღშფოთებულია ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუციით, რომელიც მხოლოდ საქართველოს დელეგაციის მიერ მიწოდებულ შეფასებას ითვალისწინებს. ახლა მთავარია შერეული საკონტროლო კომისიის მუშაობის აღდგენა. დუმის დეპუტატები ყოველთვის გამოვლენ ძალის გამოყენების წინააღმდეგ. დაიცავენ სამხრეთ ოსეთში მცხოვრები თანამემამულეების ინტერესებს“, — ნათქვამია განცხადებაში.

მაილსი გმობს

საქართველოში აშშ-ის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი რიჩარდ მაილსი გმობს ოსი სეპარატისტების ქმედებას. აჭარისგან განსხვავებით, იგი იმედოვნებს, რომ საქართველოს ხელისუფლება თავს გაართმევს კონფლიქტის მშვიდობიანად გადაწყვეტას. მისი თქმით, საქართველოს ხელისუფლებასა და აშშ-ის მთავრობას შორის თითქმის ყოველდღე მყარდება კონტაქტი და ამერიკის მხარეს სრული და ამომწურავი ინფორმაცია აქვს მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით.

„ქართულ-ოსურ კონფლიქტთან დაკავშირებით რუსეთის სათათბიროს მიერ მიღებული განცხადება არ ასახავს რუსეთის აღმასრულებელი ხელისუფლების დამოკიდებულებას მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით. იმედს ვიტოვებ, რომ რუსეთი ყველაფერს გააკეთებს, რათა კონფლიქტი შეიარაღებულ დაპირისპირებაში არ გადაიზარდოს“, — აღნიშნა ელჩმა.

მაილსის თქმით, რუსეთის საგანგებო დავალებათა ელჩი ლევ მირონოვი, რომლის ვიზიტიც უკვე დაიწყო საქართველოში, საკმაოდ კარგი დიპლომატია და იმედია, მისი ვიზიტი ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირებაში მნიშვნელოვან პოზიტივებს შეიტანს.

ერგნეთის პოზიცია აღარ აღდგება

„საქართველოს ძალოვანი უწყებების მიერ ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში ჩამორთმეული რაკეტები რუსეთის მხარეს მხოლოდ იმ შემთხვევაში გადაეცემა, თუ ეს მოხდება ნეიტრალურ ზონაში“, — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

მისი განმარტებით, ქართულმა მხარემ არაერთხელ შესთავაზა რუსეთს, რომ რაკეტები მიეღო თუნდაც ლარსის საკონტროლო-გამშვებ პუნქტზე, ან ჩაებარებინათ თბილისში დისლოცირებული რუსეთის სამხედრო დაჯგუფების შტაბისთვის, მაგრამ რუსეთის ხელისუფლებამ კატეგორიული უარი განაცხადა და მოითხოვა, რომ იარაღი კონფლიქტის ზონაში არსებულ რუსულ სამხედრო კონტინგენტს გადაეცეს.

„ქართული მხარე ამის კატეგორიული წინააღმდეგია და მიაჩნია, რომ დამატებითი იარაღის შეტანა კონფლიქტის ზონაში ყოვლად მიუღებელი და დაუშვებელია. პრეზიდენტი ასევე კატეგორიულად გამორიცხავს ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში მდებარე ერგნეთის ბაზრის აღდგენას. „მთავარი კატალიზატორი არსებული დაპირისპირებისა სწორედ ერგნეთის ბაზრის გაუქმება გახდა, თუმცა იგი აღარასდროს აღდგება“, — განაცხადა სააკაშვილმა.

აფხაზეთი ოსეთთან სამხედრო კავშირს შეარყევენ

სოხუმის ხელისუფლების საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე მაქსიმ გვანჯია კატეგორიულად უარყოფს სამხრეთ ოსეთის ინფორმაციის კომიტეტის თავმჯდომარის, ირინა გაგლოევას მიერ გავრცელებულ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ სამხრეთ ოსეთის ხელისუფლების დასახმარებლად აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებამ ცხინვალის რეგიონში სოხუმის ხელისუფლების თავდაცვის სამინისტროს 300 ჯარისკაცი გაგზავნა. ცხინვალის ხელისუფლებას სოხუმისთვის დახმარების შესახებ ოფიციალურად არ მიუმართავს.

„გავრცელებული ინფორმაცია მხოლოდ დაძაბულობის გამწვავებას უწყობს ხელს, რაც არ შეესაბამება აფხაზური მხარის ინტერესებს და კავკასიის რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნებას. აფხაზეთიდან სამხრეთ ოსეთში 300 ჯარისკაცის გადაადგილება შეუმჩნეველი არავისთვის დარჩებოდა“, — აცხადებს გვანჯია, რომლის მტკიცებით, შექმნილ ვითარებაში აფხაზური მხარე დაინტერესებულია, რათა მხარეებმა მოლაპარაკების გზით გადაწყვიტონ მათ შორის არსებული პრობლემები და არ დაუშვან კონფლიქტის ზონაში საომარი მოქმედებების დაწყება.

ცხინვალის რეგიონში აფხაზი მებრძოლების გამოჩენის შესახებ ინფორმაცია ჯერ კიდევ ერთი თვის წინ გავრცელდა, რაც სამწუხაროდ „კვირის პალიტრასთან“ საუბარში დე ფაქტო ხელისუფლების ყოფილმა წარმომადგენლებმა და ქართულმა სპეცსამსახურებმა დაადასტურეს..

გაგაცდებული გაათავისუფლეს

საქართველოს უშიშროების სამინისტროს მიერ ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად ტყვეობიდან დაიხსნეს აფხაზების მიერ 8 ივნისს გატაცებული ენგურჰესის მთავარი ინჟინერი აბესალომ ჯაბუა, რომელიც ერთი თვის წინ ორ თანამგზავრთან ერთად გალის რაიონის სოფელ რეჩხიდან გაიტაცეს. მოგვიანებით ჯაბუას თანმხლები პირები გამოუშვეს. ჯაბუა კი ოჩამჩირის მიმართულებით წაიყვანეს.

საქართველოს უშიშროების მინისტრის, ვანო მერაბიშვილის განცხადებით, სამინისტროს თანამშრომლებმა ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე შეძლეს გატაცებულის აღგილსამყოფლის დადგენა და შემდგომ უმოკლეს ვადაში მისი უსისხლოდ გათავისუფლება. აბესალომ ჯაბუა ამჟამად საავადმყოფოშია. „ჩვენ მაქსიმალურად ხელს შევუწყობთ სოლომონ ჯაბუას რეაბილიტაციის პროცესს. იმ ბიჭებს კი, ვინც გატაცებულის გათავისუფლების ოპერაცია წარმატებით განახორციელა, წავახალისებთ, რათა კიდევ უფრო უკეთ მუშაობის სურვილი გაუჩნდეთ. დასანანია, რომ ამ სამსახურის თანამშრომლების გმირობის გამოაშკარავება არ შეიძლება. მათი ვინაობის დასახელება მათივე უსაფრთხოების მიზნით იკრძალება“, — განაცხადა მერაბიშვილმა და იმედი გამოთქვა, რომ მალე არა მარტო გატაცებულებს გამოიხსნიან, გამტაცებლების დაჭერასაც შეძლებენ.

აჭარაში დაჭერები გრძელდება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ახალდანიშნული პროკურორის, გია პაპუაშვილის განცხადებით, რეგიონში განხორციელებული სპეცოპერაციების შედეგად დაკავებულია აჭარის ყოფილი შს მინისტრი ილია წულუკიძე (იგი ასლან აბაშიძის დეიდაშვილია. მისი თანამდებობიდან გადაყენების შემდეგ შს მინისტრის პოსტზე ჯემალ გოგიტიძე დაინიშნა), ასევე მისი ყოფილი მოადგილე მერაბ მიქელაძე. პაპუაშვილის თქმით, გამოძიება გრძელდება და დანაშაულებში ეჭვმიტანილი პირები პასუხს აგებენ. დაკავებულ ყოფილ დიდჩინოსნებს, სავარაუდოდ, თანამდებობრივი უფლებების გადამეტებას წაუყენებენ ბრალად.

საპროტესტო აქცია რუსთაველის ფრესკის გამო

ქართულ-ებრაული სათვისტომო შოთა რუსთაველის ფრესკის დაზიანებასთან დაკავშირებით 12 ივლისს იერუსალიმში საპროტესტო აქციას გეგმავს ბერძნულ საპატრიარქოსთან, რომელსაც საბერძნეთის საკონსულოსთან გააგრძელებენ და ჯვრის მონასტერთან დაასრულებენ. აქციის მონაწილეთა მთავარი მოთხოვნა ვანდალური აქტის ჩამდენთა გამოვლენა და დასჯაა. აქციაში ქართველი ებრაელების გარდა მონაწილეობას მიიღებს ისრაელის ქნესეთის წევრი რომან ბრინდმანიც, რომელიც აცხადებს, რომ ფრესკის დაზიანება ქართულ-ებრაული ურთიერთობის წინააღმდეგ მიმართული აქციაა.

ქართული საჰაერო სივრცე ისევ დაარღვიეს

რუსი ძალოვნები, რომლებიც მრისხანებას არ მალავენ ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე ქართული მხარის მიერ დაკავებული რუსული იარაღის გამო, კომენტარს არ აკეთებენ რუსული შვეულმფრენების მიერ საქართველოს საჰაერო სივრცის დარღვევასთან დაკავშირებით. 9 ივლისს, დაახლოებით 4 საათზე, დუშეთის ტერიტორიაზე ჩეჩნეთის მხრიდან რუსული სამხედრო Ми-8 ტიპის შვეულმფრენების გამოჩენის ფაქტი უკვე გააპროტესტა ქართულმა მხარემ. საქართველოს პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის აზრით, საქართველოს საჰაერო სივრცის დარღვევა, შესაძლოა, წინასწარ დაგეგმილი არც ყოფილა. რუსული მხარე კი მომხდარს უარყოფს.

მოსკოვში ჟურნალისტი მოკლეს

მოსკოვში, 9 ივლისის საღამოს, დაახლოებით 22 საათზე, ჟურნალ „ფორბსის“ რუსული გამოცემის მთავარი რედაქტორი პოლ ხლებნიკოვი მოკლეს. დამნაშავეები ჟურნალისტს რედაქციის ოფისის შესასვლელთან ელოდნენ. ხლებნიკოვს უცნობებმა ცეცხლი, სავარაუდოდ, შავი ფერის „ჟიგულიდან“ გაუხსნეს. ჟურნალისტი საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა. შემთხვევის ადგილას მილიციის თანამშრომლებმა სხვადასხვა კალიბრის რამდენიმე ვაზნა იპოვეს, რაც გამოძიებას საფუძველს აძლევს ივარაუდოს, რომ თავდამსხმელები ორნი იყვნენ.

სამართალდამცველი ორგანოები მკვლელობის ერთ-ერთ ძირითად ვერსიად ხლებნიკოვის პროფესიულ საქმიანობას განიხილავენ.

რუსული წარმოშობის ამერიკელი პოლ ხლებნიკოვი უწინარეს ყოვლისა ცნობილია, როგორც გახმაურებული სტატიის, „კრემლის ნათლიის“ ავტორი. 1996 წელს ჟურნალ „ფორბსში“ გამოქვეყნებულ ამ სტატიაში ჟურნალისტი ატკიცებდა, რომ უშიშროების საბჭოს მაშინდელი მდივნის მოადგილე ბორის ბერეზოვსკი მართავდა რუსეთის ხელისუფლებას.

ხლებნიკოვი 1963 წელს დაიბადა ნიუ-იორკში. დაამთავრა კალიფორნიის ბერკლის უნივერსიტეტი და ლონდონის ეკონომიკის სკოლა, სადაც დოქტორის ხარისხი მიიღო. ჟურნალ „ფორბსში“ 1989 წელს მივიდა. იყო ჟურნალის უფროსი რედაქტორი, წერდა სტატიებს რუსეთისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების პოლიტიკის შესახებ. აწარმოებდა ჟურნალისტურ გამოძიებას. მიმდინარე წლის აპრილში მოსკოვში ჟურნალ „ფორბსის“ რუსულენოვანი ვერსიის გამოშვება დაიწყო, უკვე 1 თვის შემდეგ რუსულმა „ფორბსმა“ რუსეთის უმდიდრესი ადამიანების სია გამოაქვეყნა, რითაც საყოველთაო ყურადღება მიიპყრო. ჟურნალი ამტკიცებდა, რომ ბოლო წლებში მოსკოვში უფრო მეტი მილიარდერია, ვიდრე მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში.

რუსეთი მაინც თავისას ეცდება...



ეს პოლიტიკოსები, უბრალოდ, დარწმუნებულნი არიან, რომ საქართველო – ერი და სახელმწიფო კი არა, მათი ყოფილი, გათავხედებული პროვინციაა, მათი ერთგულნი ოსები და აფხაზები დარჩნენ და ის ბანდიტები, რომლებმაც მათი დახმარებით რამდენიმე წლის წინ ხელში ჩაიგდეს ამ რეგიონების მმართველობა და რუსეთის სახელმწიფო მანქანისგან სრულ მხარდაჭერას იმსახურებენ(?!).

„ცალი ხელის ჩამორთმევა და მეორეთი წელს ქვემოთ დარტყმა მათი ხელოვნებაა“

აქ ალბათ უფრო დროის გაჭიანურებაზეა საქმე – რუსეთის ზოგიერთ, საკმაოდ გავლენიან პოლიტიკურ წრეებს, როგორც ჩანს, სულმა წასძლია და სანამ ამერიკის შეერთებულ შტატებში დიდი და პატარა საპრეზიდენტო არჩევნებით არის დაკავებული, ცდილობენ, საქართველოში წყალი ისე აამღვრიონ, რომ მერე მის დაწმენდას წლები დასჭირდეს – თუნდაც ეს მხოლოდ ამერიკამ კი არა, მთელმა კაცობრიობამ მოინდომოს...

თვითმარქვია კოკოითი გამუდმებით ცდილობს, ხელისუფლება პროვოკაციაზე წამოაგოს და მიმდინარე კრიზისი ეთნიკურ დაპირისპირებაში გადაზარდოს – ასეთ შემთხვევაში მისი, უფრო სწორად კი, რუსი გენერლების პროპაგანდისტული მანქანა მთელი სიმძლავრით ამუშავდება – ოსებო, ქართველები გვებრძვიან, მიწებს გვართმევენ და გაჭირვება უნდა ავიტანოთო...

ნის აგრესიულ ძალებს უკავშირებს ხოლმე და არა — ხელისუფლებას_

— ადრე მართლაც ლაპარაკობდნენ დემოკრატიულ და რეაქციულ რუსეთზე, რასაც შესაძლებელია, გარკვეული საფუძველიც ჰქონდა. მაგრამ დღეს მე ბევრად უფრო განსხვავებულ სურათს ვხედავ — რუსეთში პუტინისა და მისი გარემოცვის სახით არის სულ რამდენიმე ადამიანი, ვისაც მიაჩნია, რომ საერთაშორისო სამართლის ანაბანას მაინც ერთგვარი შეღავათი უნდა გაეწიოს და თუნდაც საქმით სხვა აკეთონ, სიტყვით მაინც უნდა გამოჩნდნენ დემოკრატიულები და ცივილიზებულები. რაც შეეხება რუსული ისტებლიშმენტის მეორე, უდიდეს ნაწილს, კრემლისთვის, თბილისისთვისაც მომგებიანი იყო და ვაშინგტონისთვისაც სასურველი. მაგრამ რუს და ზოგადად, დსთ-ის პოლიტიკოსებს ძალიან ეშინიათ სააკაშვილის წარმატებისა. სააკაშვილის ბოლოდროინდელ კარიერაში კი მათთვის საშიში მართლაც რომ ბევრი რამ შეიძლება იყოს — თუ აღმოჩნდა, რომ შესაძლებელია ხელისუფლება თოფის სროლის გარეშე, ხალხის ნებით შეიცვალოს და ამას ქაოსი და უბედურება არ მოჰყვება; თუ აღმოჩნდა, რომ ეკონომიკის „გაპრავება“ და მაფიოზურ კლანზე მორგებული საგადასახადო კოდექსის ხალზე გადაწყობა შეიძლება; თუ აღმოჩნდა, რომ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა ერებს შორის ომითა და

ეს პოლიტიკოსები, უბრალოდ, დარწმუნებულნი არიან, რომ საქართველო — ერი და სახელმწიფო კი არა, მათი ყოფილი, გათავხედებული პროვინციაა, მათი ერთგულნი ოსები და აფხაზები დარჩნენ და ის ბანდიტები, რომლებმაც მათი დახმარებით რამდენიმე წლის წინ ხელში ჩაიგდეს ამ რეგიონების მმართველობა და რუსეთის სახელმწიფო მანქანისგან სრულ მხარდაჭერას იმსახურებენ(?!). მათმა დე ფაქტო „დამოუკიდებლობამ“ კი „ისტორიული“ კანონზომიერების თანახმად, განვითარება რუსეთთან შეერთებაში უნდა პოვოს. რაც არ უნდა დაუჯერებელი და აბსურდული ჩანდეს ასეთი დამოკიდებულება, ფაქტია, რომ ის არსებობს და რუს პოლიტიკოსებს უბრალოდ, სჯერათ იმისა, რასაც ლაპარაკობენ. გასულ კვირაში არა მხოლოდ საქართველო, არამედ მთელი საერთაშორისო საზოგადოებრიობა კიდევ ერთხელ გახდა იმის მოწმე, რომ რუსეთში 1991 წლის შემდეგ არაფერი შეცვლილა — აქ ჰიმნსაც კი იმავეს უკრავენ და მრავალი სერიოზული პოლიტიკოსის კრედო საკმაოდ არასერიოზული და მოძველებული, ველიკოდერჟავული აზროვნებით არის გამსჭვალული. როგორც ჩანს, ამ ხალხს სჯერა, რომ ჯერ მეფის რუსეთის, შემდეგ კი საბჭოთა კავშირის რეინკარნაცია აუცილებლად მოხდება...

— თუმცა, თუ ასეთი არასერიოზული პოლიტიკოსების არასერიოზულ განცხადებებს და მოსაზრებებს აქამდე მხოლოდ ლოკალური ხასიათი ჰქონდა, გასულ კვირაში ხიშტის ლოგიკაზე აგებული ველიკოდერჟავული იდეები უკვე დუმის ანუ რუსეთის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ოფიციალურ განცხადებაში დაფიქსირდა. აქედან გამომდინარე, ძალიანაც რომ გვინდოდეს, საქართველოს ალბათ მეტისმეტად გაუჭირდება „ორ რუსეთზე“ მსჯელობა. „კეთილ რუსეთთან“ მეგობრული ურთიერთობის დამყარების შესაძლებლობაც სანის ბუშტივით ქრება და ორი ქვეყნის ურთიერთობაც ჩიხში შედის...

— ასეთი ჩიხი უკვე დიდი ხანია, არსებობს, იმისგან დამოუკიდებლად, გვინდოდა თუ არა ამის აღიარება. ისიც ფაქტია, რომ ჩვენმა ახალმა პრეზიდენტმა ყველაფერი გააკეთა ამ ჩიხიდან გამოსასვლელად — ახალი, ეკონომიკური მიდგომების ჩათვლით. მაგრამ, როგორც ჩანს, აქ საკმაოდ სპეციფიკურ სინდრომთან გვაქვს საქმე. ურთიერთობის ის ფორმატი, რაც სააკაშვილმა თანამედროვე რუსეთს შესთავაზა, არა მხოლოდ „გრადის“ დახმარებით კი არა, არამედ ეკონომიკური ბერკეტებითაც და ისევ ამ ხალხის დამეგობრებით შეიძლება — ჩვენს მახლობელ უცხოეთში ბევრი რამ, მათ შორის ხელისუფლებაც, შეიცვლება... ასე რომ, როგორც ჩანს, პუტინს რუსი გენერლები ხშირად ახსენებენ ამ ფაქტორებს და ისიც იძულებულია, ზოგჯერ დემოკრატიულობანას თამაშზეც კი უარი თქვას. სწორედ ამას უკავშირდება ივანოვის გადათქმაც — გაგებუტეთ და თქვენთან თამაში აღარ მინდა, საქართველოში ვარდების რევოლუცია კი არ მოხდა, ხელისუფლება ძალით შეიცვალაო... ამასვე უკავშირდება აბსურდული და ისტერიკული განცხადებები — გააჩერეთ საკაშვილი, თორემ კრასნოდარის მხარეშიც ვეღარ დავისვენებთო... მეორე მხრივ, ორი ქვეყნის ურთიერთობაში წარმოქმნილი ჩიხი, რეალობიდან გამომდინარე, საქართველოსაც უმძიმეს დღეში აგდებს. ასიათასობით ქართველი დღეს სარჩოს სწორედ რუსეთში შოულობს; საქართველოსთვის პროდუქციის გასაღების უპირველესი და უდიდესი ბაზარი სწორედ რუსეთია; ბოლოს და ბოლოს, ჩვენ ამ ხალხთან ორასწლოვანი ურთიერთობა გვაკავშირებს და რუსეთთან კულტურული თუ მენტალური თვალსაზისითაც ბევრი გვაქვს საერთო. მოკლედ, ვერც რუსეთს „გადავდგამთ“ სადმე და ვერც საქართველოს. ეს რუსეთმაც კარგად იცის და, როგორც ხედავთ, საქართველო არაფრად მიაჩნია — საერთაშორისო სამართალი კი არა, ელემენტარული ეთიკის ნორმებს მაშინაც არ იცავენ, როცა საერთაშორისო საზოგადოების წნეხს ვეღარ უძლებენ ხოლმე. საქართველო კი დამჩოქებელი ქვეყანა არ არის და გვაქვს ერთი „გამიშვი-გამატარე“...

— როდესაც აჭარაში განვითარებული მოვლენები მშვიდობიანად დასრულდა, ფიქრობდნენ, რომ ასევე, მეტ-ნაკლებად მშვიდობიანად წარიმართებოდა მოვლენები ცხინვალშიც. თუმცა აქ უკვე საქართველო, რუსეთის მხრიდან თანამშრომლობის ნაცვლად, აშკარა აგრესიას წააწყდა...

— როდესაც ბათუმში აბაშიძის გადადგომის მოთხოვნით უამრავი ხალხი შეიკრიბა, მაშინვე ცხადი გახდა, რომ რუსეთს ეს „პარტია“ წაგებული ჰქონდა. რა შეეძლო მას გაეკეთებინა? პირდაპირი სამხედრო ჩარევით უკვე აშკარა გახდებოდა, რომ რუსეთი და აბაშიძე ერთიან საქართველოს სახელმწიფოს ერთად ებრძოდნენ. ასე რომ, „ჩაორევას ჩაყოლა“ ამჯობინეს. ცხინვალში და, მით უმეტეს, სოხუმში კი საქმე გაცილებით სხვაგვარად არის. აქ ხომ სხვა ერებთან გვაქვს საქმე და რუსეთის გენერალიტეტი თავს ისე გრძნობს, როგორც თევზი წყალში. ღმერთმა არ ქნას, მაგრამ თუ საქართველოს ხელისუფლება ცხინვალში შეიარაღებულ კონფლიქტში ჩაითრიეს, კოკოითის მხარეს სულ სამი კაციც რომ იდგეს, რუსები ყველანაირად დაეხმარებიან და ქართველებმაც და ოსებმაც რამდენიც არ უნდა უძახონ, ომი არ გვინდაო, ამ შეიარაღებულ დაპირისპირებას მაინც ქართველებისა და ოსების ომი დაერქმევა — უფრო სწორად, დაარქმევენ. აქ ალბათ უფრო დროის გაჭიანურებაზეა საქმე — რუსეთის ზოგიერთ, საკმაოდ გავლენიან პოლიტიკურ წრეებს, როგორც ჩანს, სულმა წასძლია და სანამ ამერიკის შეერთებულ შტატებში დიდი და პატარა საპრეზიდენტო არჩევნებით არის დაკავებული, ცდილობენ, საქართველოში წყალი ისე აამღვრიონ, რომ მერე მის დაწმენდას წლები დასჭირდეს — თუნდაც ეს მხოლოდ ამერიკამ კი არა, მთელმა კაცობრიობამ მოინდომოს...

— ზოგიერთები იმასაც ეჭვობენ, რომ თუ ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნებში დემოკრატებმა გაიმარჯვეს, საქართველოში 1992 წლის სცენარი განმეორდება და თბილისი კრემლის პირისპირ მარტო დარჩება_

— მაგრამ ჩვენ ხომ 1992 წელში აღარ ვცხოვრობთ. საქართველოში მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა — თუნდაც მედიის განვითარების თვალსაზრისით. ასე რომ, საინფორმაციო ომის მოგება ჩვენთან რუსეთს ძალიან გაუჭირდება. გარდა ამისა, მართალია, არჩევნების პერიოდში საგარეო პოლიტიკისთვის არავის ეცლება, მაგრამ ის, რაც გასულ თვეებში საქართველოში მოხდა, ამერიკის შეერთებული შტატები თავისი პოლიტიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წარმატებად მიიჩნევს და ბუნებრივია, ამ წარმატებაზე უარს თავისი ნებით არც ერთი პოლიტიკური ძალა არ იტყვის. იმისგან დამოუკიდებლად, თეთრ სახლში დემოკრატები იქნებიან თუ ისევ რესპუბლიკელები, ზოგადად კავკასია და უწინარესად საქართველო, კვლავაც ამერიკის სტრატეგიული ინტერესების სფეროში დარჩება. თუმცა როგორც ყველაფრიდან ჩანს, უახლოეს თვეებში, ნოემბრამდე (ანუ არჩევნებამდე) რუსეთი მაინც თავისას ეცდება. რასაკვირველია, ვაშინგტონში სიტუაცია არც არჩევნების მეორე დღესვე დალაგდება — ნებისმიერ შემთხვევაში, იქ სახელისუფლებო გადანაცვლებები დაიწყება. ისიც ფაქტია, რომ თავად პუტინს ძალიან კარგად ესმის — დღეს, როგორც არასდროს, რუსეთი ისეა დამოკიდებული დასავლეთზე და ცხინვალი მას ძლივს აწყობილი ურთიერთობის გასაფუჭებლად ნამდვილად არ უღირს, იმისდა მიუხედავად, გულში რას და როგორ ფიქრობს; მაგრამ სამხედრო ელიტასაც ვერაფერს უშვრება, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, არათუ ცხინვალს და სოხუმს, მთელ საქართველოს თავის ისტორიულ საკუთრებად მიიჩნევს...

— მაგრამ დროის გაჭიანურების პოლიტიკაში ალბათ კოკოითს უფრო გაუჭირდება, ვიდრე საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას...

— რასაკვირველია, მაგრამ პიროვნულად, კოკოითს არც მოშივდება და არც მოსწყურდება. აქ ისევ ცხინვალის უბრალო მოსახლეობა დაზარალდება, რომლის შემოსავლის მთავარ წყაროსაც დანარჩენ საქართველოსთან არალეგალური ვაჭრობა წარმოადგენდა. მათ ცალკე შიმშილი და გაჭირვება ტანჯავთ, ცალკე — ომის შიში, რომლის აჩრდილიც ჯერ არც ქართველებს დავიწყებიათ და არც ოსებს. ამიტომაც არის, რომ თვითმარქვია კოკოითი გამუდმებით ცდილობს, ხელისუფლება პროვოკაციაზე წამოაგოს და მიმდინარე კრიზისი ეთნიკურ დაპირისპირებაში გადაზარდოს — ასეთ შემთხვევაში მისი, უფრო სწორად კი, რუსი გენერლების პროპაგანდისტული მანქანა მთელი სიმძლავრით ამუშავდება — ოსებო, ქართველები გვებრძვიან, მიწებს გვართმევენ და გაჭირვება უნდა ავიტანოთო... ეს არის და ეს, რაც დღეს კოკოითს და მის მცირერიცხოვან გარემოცვას აწუხებს. მაგრამ ადგილობრივი მოსახლეობაც ხომ ხვდება, რომ გასული წლების არეულობით ყველაზე მეტად სწორედ მან და მისმა ბანდამ ისარგებლეს, რომ „დამოუკიდებლობისთვის“ ბრძოლა მხოლოდ რამდენიმე კაცის გასამდიდრებლად წარმოებული ომის შირმას წარმოადგენდა. ასე რომ, ამ პერიოდშიც მცირე, მაგრამ გარკვეული შანსები მაინც გვაქვს. თუ რუსული ხელწერის მიხედვით ვიმსჯელებთ, ახლა უკვე მოლაპარაკებების კასკადი უნდა დაიწყოს — მირონოვიც და მისი კოლეგებიც ყველანაირად შეეცდებიან, საერთაშორისო იმიჯი შექმნან, რომ რუსეთს სერიოზულად აწუხებს კონფლიქტის ესკალაცია და ძალისხმევას არ იშურებს მის გასანეიტრალებლად. ცალი ხელის ჩამორთმევა და მეორეთი წელს ქვემოთ დარტყმა კი მათი ხელოვნებაა... ბუნებრივია, საქართველომ უარი არ უნდა თქვას მოლაპარაკებებზე, მაგრამ ამავე დროს მთელი სიმძლავრით უნდა აამუშაოს თავისი კოზირი — როგორც ოსი, ისე ქართველი ხალხის მხარდაჭერა. ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ რუსი მედიატორები ქართველი და ოსი ხალხის შემრიგებლებად კი არ წარმოჩნდნენ, არამედ ისე, როგორიც სინამდვილეში არიან — კოკოითის ბანდისთვის ხელისუფლებიდან წასვლის უკეთეს პირობებზე მზრუნველებად...

დაჩი გრძელიშვილი

...და ჩვენ ვიქნებით მთელი ქვეყანა

სამი ტყუპი – ერის სიმდიდრე და სასწაული



რით შეიძლება ისე მიგიზიდოს „ხრუშჩოვკის“ ტიპის ერთოთახიანმა ბინამ, რომ აღარასოდეს დაივიწყო. ვფიქრობ — არც არაფრით. თუ იქ მაინცდამაინც სასწაულს არ წააწყდები. გლდანში, ერთ ასეთ „ხრუშჩოვკაში“ ნამდვილად ნახავთ ამ სასწაულს... აბა, სხვა რა უნდა დაარქვა, როცა დედის სხეულში სამი სიცოცხლე ერთად იწყება? ცინდელიანების სამი ტყუპი ხანგამოშვებით ჩამოჰყავს სასეირნოდ გასაოცრად ლამაზ უფროს და-ძმას, თამთას და უჩას. ტყუპებიდან მხოლოდ გიორგი ბედავს კიბეზე ფეხით ასვლა-ჩამოსვლას. საბასა და დაჩის ფეხით სიარული არ მოსწონთ, მით უმეტეს, როცა უკან ბრუნდებიან. საკმარისია, კარი მიიხუროს, ისეთ წიოკს ატეხენ, ჭიქები წკარაწკურს იწყებენ. ბევრი არაფერი აქვთ — ოჯახს რაც გააჩნდა, ყველაფერი ტყუპების გაზრდისთვის მიჰყიდ-მოჰყიდა. ერთადერთი მაგიდაც არ დანანებიათ. მხოლოდ პიანინო დაიტოვეს, ისიც იმიტომ, რომ თათია მუსიკალურ შვიდწლედში სწავლობდა და ძმების „აკომპანიმენტით“ დაამთავრა...

ოჯახში „მეორე ცვლაში“, ანუ ღამის თორმეტი საათიდან ტყუპის მამა, გოჩა ცინდელიანი „მუშაობს“. ამ დროს დედა ისეა ქანცგაწყვეტილი, წამოდგომა უჭირს. ქანცგაწყვეტაზე თუ მიდგა საქმე, ნანა ქმარს მაინც ვერ აჯობებს — ის გამთენიიდან დაღამებამდე ქალაქის ერთი თავიდან მეორემდე „ტაქსაობს“ და ვერ ხვდება, რანაირად შეძლეს 3 ტყუპის გაზრდა, როცა თვეში 900 ლარის მხოლოდ პამპერსი და „ჰუმანა“ სჭირდებოდათ.

— პირველად ძალიან დავიბენით. ვერ ვაცნობიერებდი, ერთ ქალს როგორ შეიძლებოდა ამხელა ტვირთი ეზიდა. მე და ჩემი ძმის ცოლი ერთმანეთს ვენაცვლებოდით. იმაზე ფიქრის დროც არ მქონდა, რა მეშველება-მეთქი. არასოდეს დამავიწყდება, რაც ჩემი შვილებისთვის ჩაჩავას სახელობის სამშობიარო სახლის მთავარმა ექიმმა გააკეთა — ქვეყანა გადაატრიალა და პროგრამაში ჩამსვა. — ყოველთვე აძლევდნენ ბავშვებს 120 ლარს. მაისში ორი წლისა შესრულდნენ და პროგრამაც შეწყდა... ერთხელ კიდევ 700 ლარიც ავიღე. ეს თანხა ჩვენთვის მერიის მაშინდელმა თანამშრომელმა დათო პავლიაშვილმა მოიპოვა დიდი წვალებით.

— ძალიან პატარა ბინა გაქვთ. მესამის გაჩენა რა იმედით გადაწყვიტეთ?

— უიმედო არ ვარ. სულ ასე გაჭირვებული ხომ არ იქნება ქვეყანა? რაიმეს გამოვნახავთ. მით უმეტეს, კარგი სპეციალობები გვაქვს. მე სამედიცინო აპარატურის პროგრამისტი ვარ, ჩემი ქმარი ავიამშენებელია. ახლა სპეციალობით არ მუშაობს, მაგრამ ვითომ აღარაფერი ამუშავდება? ძალიან მინდოდა, გოგო მყოლოდა. გასასინჯად მშვიდად დავწექი. ექიმმა მკითხა — აჩენო? რა თქმა უნდა-მეთქი. ჰოდა, აქ ორი ტყუპიაო. ჩემი და მახლდა და ფერი დაეკარგა... ამასობაში, ექიმმა — მოიცა, მგონი მესამეც არისო... მეხუმრებოდა მეგონა, მეც გავეხუმრე — თქვენ თუ გინდათ, მეოთხესაც ალმოაჩენთ-მეთქი. არ ვხუმრობო... ჩემს დას ისტერიკული სიცილი აუტყდა. ქმარი გარეთ მელოდა. ეს ამბავი რომ ვუთხარი, ჩაჩავას სამშობიარო სახლიდან ვაჟა-ფშაველას პროსპექტის ბოლომდე ისე იარა, შუქნიშანზე არ გაუჩერებია. ბოლოს ინსპექტორი გადაუდგა და ეკითხება — თუ იცი, მანქანები რატომ არიან გაჩერებულიო... — როგორ თუ რატომო, — აღშფოთდა, — წითელი შუქნიშანი ანთიაო! ვერ მიხვდა, რატომ ეკითხებოდნენ... პოსტიდან პოსტზე გადასცემდნენ თურმე, ეს კაცი გააჩერეთო...

— როგორები დაიბადნენ ბიჭები?

— გიორგი ყველაზე პატარა იყო. ისე ჰქონდა ძმების სიმძიმისგან ცხვირ-პირი გაერთიანებული, ორი თვე, სანამ არ გალამაზდა, გულისხეთქავი ვიყავი. ყველაზე „მძიმე წონის“ დაჩი იყო — 2,600 კგ.

— როგორ ცნობდით?

— რას არ ვიცნობდი? თანაც ისედაც არ ჰგვანან ერთმანეთს. გიორგის შავი თმა ზღარბის ეკლებივით ჰქონდა. დაჩი „ვაჟკაცი“ გახლდათ, საბა კი წრიპა იყო.

— ასე ლამაზები ალბათ ნიჭიერებიც არიან...

— წარმოიდგინეთ, კი. მღერიან კიდეც. ჩემი მეუღლე კარგად მღერის და ალბათ მას ჰგვანან... ტელევიზორი ამ ერთადერთ ოთახში გვიდგას, საკმარისია სამზარეულოდან რომელიმე მომღერლის ხმა გაიგონონ, მაშინვე გეტყვიან, ვინც არის... დაჩი მთელი დღე დარბის, თავბრუს დაგახვევს. საბას სულ მოფერება უნდა. მოვა, დაგადებს თავს და უნდა ჩაიხუტო. გიორგი ნამდვილი სვანია, ჩხუბისთავი...

— ერთმანეთს არ უფრთხილდებიან?

— ძალიან. თუ ერთს გავუჯავრდი, დანარჩენები მეჩხუბებიან. კიდევ კარგი, თამთა და უჩიკო მეხმარებიან, თორემ რა მეშველებოდა. თანაც მათ ბევრი რამ აკლიათ. მართალია, სივიწროვე უშლით ხელს, მაინც კარგად სწავლობენ...

— სახელმწიფოსთვის არასოდეს მიგიმართავთ?

— ვცადე. გლდანის გამგებელთანაც მივედი. შეწუხდა, მაგრამ მითხრა: თქვენს ერთოთახიანს თუ ჩააბარებთ, შეიძლება ოროთახიანი ბინა მოგცეთო. ვერ დავთანხმდი — ცოტა ხანში ისევ თავშესაფრისთვის მომიწევს სირბილი. იცით, რაზე მტკივა გული? ისეთ ქვეყანაშიც კი, სადაც აბსოლუტურად არ არის დემოგრაფიული პრობლემა, სამი ტყუპის დაბადებას სახელმწიფო სიხარულით ხვდება და ყველაფერს უკეთებს. თუმცა, არა უშავს... ჩვენ მაინც გავიზრდებით.

ეთერ ერაძე

ახალი რუბრიკა

ცნობილთა ნაკვესები

შალვა ნუცუბიძე

ერთ თავყრილობაზე ვიღაცამ შალვა ნუცუბიძეს ჰკითხა:

— როგორ ხართ, შალვა ბატონო?

— მეხივით, მეხივით! — ხმამაღლა უპასუხა შალვამ.

— გამოიწიეთ, თავზე არ დაგვეცეს! — „იხუმრა“ ერთმა მის გვერდით მდგომმა.

— ნუ გეშინიათ, მეხი ცარიელ ადგილას არ ეცემა! — უმალ მიახალა შალვამ.

ანა ოკინაშვილი

მარკ ტვენი

ერთხელ მარკ ტვენმა საკუთარ გაზეთში ამხილა ვიღაც ნაძირალა. სტატია მთავრდებოდა სიტყვებით: „მისტერ „ი“ იმასაც არ იმსახურებს, რომ მიაფურთხო“. განრისხებულმა „მისტერ „ი“-მ სასამართლოში იჩივლა. სასამართლომ გაზეთს დაბეჭდილის უარყოფა და ბოდიშის მოხდა დააკისრა!

მარკ ტვენი „კანონს დაემორჩილა“ და გაზეთში ასეთი განცხადება გამოაქვეყნა: „რაც შეეხება სტატიას, ჩვენ შეხედულება შევიცვალეთ: „მართლი არ ვიყავით, როცა ვაცხადებდით, რომ მისტერ „ი“ შეფურთხებას არ იმსახურებს. პირიქით, მისტერ „ი“ ამას ნამდვილად იმსახურებს!

...ასე რომ, არ შედრკეთ, ქართველო ჟურნალისტებო.

ალექსანდრე თოფურია

მხოლოდ აქ არის მზე მზისფერი

არსებობს ერთი ზღაპარი ცნობისმოყვარე გოგონაზე, კედელზე დაკიდებულ სურათში რომ გავა და ჯადოსნურ სამყაროში მოხვდება... ეს ამბავი, ახლა რომ გიამბობთ, იმ ზღაპარს ჰგავს.

... მხატვარ ზაზა ლოდიას სახლის ზღურბლს გადავაბიჯეთ და ნახატში შევედით. პატარა სახელოსნო, წინ ბაღი, სადაც ხის გადაჭრილი ტოტები ცოცხალი თვალებით გიყურებენ... ესენი სკამებია, თუმცა ამ ეზოში სინამდვილეში, არც „სკამი“ არსებობს, არც „მაგიდა“. არსებობს სურათები, რომლებსაც თავისი ფერმწერი ჰყავთ...

ზაზა ლოდია მინანქრის I-ელ საერთაშორისო ბიენალეში გამარჯვებულია. მისი ცხოვრება ხელოვნების ქმნილებას ჰგავს, რაც უფრო დიდხანს დააკვირდები, მით მეტის მიღებას შეძლებ.

— პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტურის ფაკულტეტი დავამთავრე, — მითხრა ზაზამ, — ჩვენი კათედრის გამგემ, ირაკლი ციციშვილმა, ძეგლთა დაცვის დეპარტამენტში მუშაობა შემომთავაზა, დავთანხმდი და მაშინ მოვიარე მთელი საქართველო. გოგა კუპრაძე, კაკო თოფურია და მე ერთად დავდიოდით... იმ წლებმა მაგრძნობინა, რომ საქართველოს სხვადასხვა კუთხის ნაგებობათა ქვის წყობაშიც კი სხვადასხვა ხასიათი ჩანს... მაგალითად, კონჭკათის ეკლესია გურიაში კრიმანჭულს ჰგავს...

— ტისრულ მინანქარზე მუშაობა როდის დაიწყეთ?

— ამ დარგის აღორძინება საქართველოში რიმას ბურნეიკას სახელს უკავშირდება. ვილნიუსში ჩავდიოდი, მის სახელოსნოში ვაკვირდებოდი, როგორ ქმნიდა მინანქარს... მაშინ აზრად არ მომსვლია, მინანქრის ტექნოლოგიას ვისწავლი-მეთქი. პირველად გოგა კუპრაძე დაინტერესდა: — როგორ მინდოდა მინანქრის სწავლაო... რიმასისგან ვისწავლეთ. მას თავისი ტექნოლოგია ჰქონდა. ბურღებს იყენებდა. მისი ტექნოლოგია ქსოვასთან იყო ახლოს. ჩვენც ასე ვმუშაობდით. ბურღები რომ გამითავდა, გადავედი მინანქრის ქართულ ტექნოლოგიაზე, ეს უფრო მომეწონა. რიმას ბურნეიკა ავად რომ გახდა, ჩამოვიყვანეთ საქართველოში, ერთი წელი მთაწმინდაზე სახელოსნოში ცხოვრობდა. ამბობდა, ვილნიუსში არ მიგრძნია ასეთი სიყვარული და მეგობრობაო... მას შემდეგ ბევრმა ისწავლა საქართველოში მინანქრის დამუშავება. ზოგი ამბობს, ამდენს არ უნდა ასწავლოთ ეს ტექნოლოგიაო... მე კი მინდა, რომ იგი განვითარდეს. არ შეიძლება ვიღაცას სწავლა უნდოდეს და არ ასწავლო. ის, რაც შენშია, მაინც შენთან დარჩება...

— ამჟამად მარტო მინანქარზე მუშაობთ თუ გრაფიკაშიც?

— მე მგონია, მხატვრის მთელი ცხოვრება ნახატია. ქვა, მზე, ბალახი — ეს ყველაფერი ნახატია, ამაზე ვფიქრობ... ესაა, რომ მინანქარს უფრო ხშირად მიკვეთენ... მასზე უფრო ხშირად მიხდება მუშაობა. შენს ნამუშევრებთან ერთად უნდა დაიბადო, იცხოვრო, სიკვდილისთვისაც მზად უნდა იყო. ნამუშევარი ცოცხალია, გააჩუქებ თუ არა, ის მაინც ცოცხლობს... ვიღაცას გულზე ჰკიდია, ან კედელზე აქვს გამოფენილი. ერთი ხმალი გავაჩუქე. ამ ბოლო დროს ვფიქრობ, ხმა არ მომსვლია იქიდან, რა ქნა ამ ხმალმა, გაჭრა, არ გაჭრა, დაიჟანგა თუ არა...

— თქვენ ამბობთ, ყველაფერი ნახატიაო, რამდენი კარგი ნახატი გაგახსენდებათ წარსულიდან... ფოტო ვანახე, მთამსვლელებთან ერთად ხართ...

— ჩემი მეგობარი ზურა ბადრიაშვილი მთამსვლელია. მყინვარზე ხშირად ადის ხოლმე. ერთხელ გავყევი. ბლომდე ვერ ავედით, 50 მეტრი იყო მწვერვალამდე დარჩენილი... მივხვდი, მყინვარი ცოცხალი ორგანიზმი იყო — უზარმაზარი ყინულის რვაფეხა... არ დამსაჯა, დამინდო... რომ ჩამოვედით, მწვანე მოლზე დავსხედით. იქვე წყარო მოჩუხჩუხებდა. ზემოდან მყინვარი დაგვყურებდა. იქ უფრო იყო ჩემი სამყარო...

— ბევრი მოწვევაც გექნებოდათ უცხოეთიდან, წასვლაზე ხომ არ გიფიქრიათ?

— ამდენი იმიტომ ვილაპარაკე, რომ ბოლოს ეგ გეკითხა?.. მაგაზე არასოდეს ვიფიქრებ. ულამაზესი ქვეყანაა საფრანგეთი. იქ რომ ვიყავი, ბევრი რამ მართლაც მომეწონა. ფრანგებს სიცოცხლეც უყვართ, ხელოვნებაც, მაგრამ... ჩემთვის იქაური მზე ლიმონისფერი იყო, არ მათბობდა. გამიგია, რომ აზიაში მზე ისეთი წითელია, შეიძლება დაგწვასო... თუ სადმე წახვედი, პატარა საქართველო უნდა მოიწყო, რომ გადარჩე. ადრე ვფიქრობდი, ცხოვრება გადის, ჟნდა გავიტანო ჩემი ნამუშევრები, ვუჩვენო ვინმეს-მეთქი. ახლა არსად აღარ მეჩქარება. აქ მინდა ყოფნა. მხოლოდ აქ არის მზე მზისფერი...

ლელა ჯიყაშვილი

— რაც გაჰქრა, ის მენანება...

„მსახიობების ოჯახში გავიზარდე, ბავშვობა მარჯანიშვილის თეატრში გავატარე. ამიტომ არ აქვს მნიშვნელობა, სპექტაკლი მაქვს თუ არა. ვცხოვრობ თეატრით და თეატრში“, — ამბობდა მსახიობი თაზო თოლორაია, ვინც უკვე რამდენი ხანია აღარ გამოჩენილა თეატრის სცენაზე და მაყურებლებსა და თაყვანისმცემლებს მძაფრად აგრძნობინა მონატრება.

ეს გრძნობა კიდევ უფრო გამწვავდება, რადგან თაზო აღარ შეგვხვდება თეატრის წინ პატარა სკვერში, არც კულისებში, არც თავის საგრიმიოროში... ის უკვე ზეციურ საქართველოს შეუერთდა.

ერთ-ერთ ინტერვიუზე მივმართე ბატონო თამაზ-მეთქი. გაეცინა: — კაცო, მთელი საქართველოსთვის თაზო ვარ, პრეზიდენტიც კი თაზოს მეძახის, შენთვის ვარ ბატონი თამაზიო? მართლაც, თაზოს ვეძახდით ყველა, იმიტომ, რომ თავს მის ახლობლებად ვთვლიდით. ისე იყო კინომსახიობთა თეატრს შესისხლხორცხებული, ვერც კი წარმოგვედგინა, სხვაგან თუ შეიძლებოდა მოგვეძებნა. არც ტელეფონი გვჭირდებოდა, არც მისამართი, ვიცოდით თეატრში იყო.

კეთილშობილი და მხიარული ღიმილით ფარავდა სევდას. არავის აგრძნობინებდა, რა დარდი ჰქონდა. „ტყუილად არ მიცხოვრია, მაგრამ რაც გაჰრა, ის მენანება,“ — ამბობდა სევდიანი. ქალბატონ თამარ სხირტლაძისა და ბატონ კოტე თოლორაიას შვილი სხვანაირი ვერც იქნებოდა.

არყოფნა ტკივილია, დიდი, უსაშველო ტკივილი, მაგრამ განა შეიძლება არყოფნისათვის დარჩეს ადგილი, როცა ამდენი კარგად შესრულებული როლი არსებობს... 15 წლის ასაკიდან მოყოლებული („ცისკრის ზარები“) მისი კინოსახეები ხომ ყველას ახსოვს.

განა არყოფნა ჰქვია ამას, როცა კინომსახიობთა თეატრში, იქვე გვერდით, თაზოს გულისცემას გაიგონებ? ვერ დაინახავ, მაგრამ წარმოიდგენ და ეს იქნება დიდი სიმართლე.

თაზო თოლორაიას მსგავსი ხელოვანები სიკვდილის მერეც აგრძელებენ სიცოცხლეს.

ლელა ჯიყაშვილი

მკითხველის პრემია * მკითხველის პრემია

ეს თქვენი გაზეთია და რადგან ასეა, „კვირის პალიტრის“ ჟურნალისტებს თქვენ ანიჭებთ ყოველკვირეულ პრემიას. შეაფასეთ ამ ნომრის მასალები, აღნიშნეთ რეიტინგის ქვითარში თქვენი აზრით, ნომრის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი.

ამ მასალის ავტორს, რომელიც ყველაზე მეტ ხმას მიიღებს თქვენგან, მკითხველის სახელით, რედაქცია პრემიას — 25 ლარს გადასცემს, II ადგილზე გასულ ჟურნალისტს გადაეცემა 20 ლარი, III ადგილის მფლობელი კი მიიღებს პრემიას — 15 ლარს. გამარჯვებულ ჟურნალისტთა ვინაობას მომდევნო ნომერში შეიტყობთ. *(რეიტინგის ქვითარი იხ. 35-ე გვერდზე).*

წინა ნომრის მკითხველის პრემიის შედეგები ასეთია:

1. **ვაჟა გავაშელი** — „განგებისგან დასჯილი“ — 95 ხმა
2. **ინგა ჯაფელი** — „ეძღვნება ყველას, ვისაც სიცოცხლე უყვარს...“ — 52
3. **ეკა ლომიძე** — „ღმერთი არ გაგვიწყრეს და ვარძია თავზე არ დაგვენგრეს!..“ — 47
4. **ზვიად ჩაკვეტაძე** — „დედაქალაქში შექმნილია „არქიტექტურული საამიროები“ — 35

პრემიები კი ასე გადანაწილდება: პირველი პრემია — 25 ლარი გადაეცემა **ვაჟა გავაშელს**, მეორე — 20 ლარი — **ინგა ჯაფელს**, ხოლო **ეკა ლომიძე** მკითხველის სახელით მიიღებს პრემიას — 15 ლარს.

„მკითხველის პრემიის“ მფლობელები 363-მა რესპონდენტმა გამოავლინა

CMYK

ხვალ იყო ომი?!

რუსები ტყვეებში წართმეული რაკეტების გაცვლას ითხოვდნენ

ექსკლუზიური ფოტო: ცხინვალის ციხეში საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებული ნოდარ ეფრემიძე ტყვეობაში მყოფ ქართველებს ხვდება...

დადგა დრო და უკან დასახევი გზა აღარ დარჩა: საქართველო ან აგრძელებს დაჩაგრული ქვეყნის იმიჯის „განმტკიცებას“, ანდა იწყება ნამდვილი ბრძოლა ქვეყნის გამთლიანებისთვის.

ის, რაც დღეს ცხინვალის რეგიონში ხდება, სავარაუდოდ, ახალი ომის დაწყების წინაპირობაა. ომი ახალ ქართულ ხელისუფლებას ხელს არ აძლევს, მაგრამ კოკოითის მთავრობა, როგორც ფიქრობდნენ, არ ჰგავდა ასლან აბაშიძისას და მასთან ჰუმანიტარული იერიშების პოლიტიკა ნაკლებად მომგებიანი აღმოჩნდა. ამასთან, აბაშიძისგან განსხვავებით, კოკოითი მზადაა სისხლის დასაღვრელად, რადგან ომის დაწყების შემთხვევაში, იგი, დიდი ჩრდილოელი მფარველის — რუსეთის თვალში, ქართველების მიერ დაჩაგრული ერის შვილად „წარმოჩნდება“.

რაკეტებწართმეული რუსების შურისძიება

7 ივლისს, სოფელ კეხვთან, რუსული სამშვიდობო ძალებისთვის ორ ასეულამდე უმართავი საავიაციო რაკეტის ჩამორთმევით შეიძლება ქართულმა მხარემ სწორი ნაბიჯი გადადგა და ერთგვარად მომგებიანი პოლიტიკური ქულებიც ჩაიწერა, მაგრამ სამაგიეროდ ძლიერი დარტყმა მიიღო საერთოდ ქართულმა პოზიციებმა ამ რეგიონში.

სავარაუდოდ, რუსეთის სამშვიდობო ძალების მეთაურობამ ერთგვარი შურისძიების აქცია განახორციელა თანამომძე ოსების ხელით და სოფელ ვანათში 40-ზე მეტი ქართველი სამხედრო სამარცხვინოდ დაატყვევა.

სადაც თავად არ ყოფილხარ, ძნელია განსაჯო, როგორ მოიქცეოდი იმ ბიჭების ადგილზე...

ვანათის სკოლა ალყაშემორტყმული იყო, ძალები — არათანაბარი და დაუმორჩილებლობა აშკარა სიკვდილს ნიშნავდა...

მაგრამ ეს ის შემთხვევაა, როდესაც თავს უფლებას მივცემ, განვაცხადო: — ზუსტად 12 წლის წინ, 1992 წლის 21 ივლისის ღამეს, სწორედ ალყაშემორტყმული ვანათის სკოლაში ვიყავით მაშინდელი სახელმწიფო საბჭოს წევრებთან და რამდენიმე ჟურნალისტთან ერთად, მაგრამ ოსებს ტყვედ არავინ ჩაჰბარებია (თუმცა, მაშინ თბილისიდან გამოგზავნილმა დამხმარე ძალამ გვიშველა)!

წმინდა სამხედრო თვალსაზრისით, ერთი გასროლის გარეშე საბრძოლო დანაყოფის განიარაღება და ტყვედ აყვანა დიდ სირცხვილად ითვლება. ინციდენტიდან რამდენიმე საათის შემდეგ, ვანათის სკოლის ნახვა მოხერხდა. სპორტულ დარბაზში ისევ იყო გაშლილი საველე ლეიბები და საძილე ტომრები, მათი პატრონები კი უკვე ცხინვალის ციხეებში ისხდნენ. ოსებმა შეურაცხყვეს ვანათის სკოლის დერეფანში ბრძოლებში დაღუპული ქართველი მეომრების სტენდი და რატომღაც ყბა ჩამოამტვრიეს აკაკი წერეთლის თაბაშირის ბარელიეფს.

ასეთი შედეგი კი იმის ბრალია, რომ ვანათში ათიოდე დღით ადრე ჩაყვანილი ქართველი სამხედროები არ ასრულებდნენ საყარაულო წესდების ელემენტარულ მოთხოვნებს და არ ეყენათ გუშაგები, რომლებიც უმალ აცნობებდნენ მოსალოდნელი საფრთხის შესახებ.

ის აზრი, რომ ოსები მეზობელი დმენისიდან დიდი ხანია უთვალთვალებდნენ ვანათის სკოლას, თუნდაც თავად კოკოითის ადრეულ განცხადებაში გამოსჭვივის — თბილისმა თელავიდან ვანათში 50-მდე სამხედრო შეიყვანაო.

როგორც ირკვევა, სკოლას გამთენიისას ორ ასეულამდე ოსმა მილიციელმა შემოარტყა ალყა. მათ ქართველი მეთაური მოსალაპარაკებლად გარეთ გაიხმეს და შუბლზე იარაღი მიადეს. ამგვარადვე აიძულეს დანარჩენებიც იარაღი დაეყარათ.

მაგრამ არავინ დაინტერესებულა, როგორ გაიყვანეს ქართველი მძევლები პატარა ლიახვის ხეობიდან ცხინვალამდე? საამისოდ ხომ ერედვის გზას ვერ გამოიყენებდნენ. ამაზე ქვემოთ, სტატიის იმ თავში მოგითხრობთ, სადაც საერთოდ გზების მნიშვნელობაზე გვექნება ლაპარაკი.

რა დაუჯერებელიც არ უნდა იყოს, სტატიის ავტორმა მოახერხა დატყვევებული ქართველი სამხედროების მონახულება ცხინვალში, ჯერ კიდევ 8 ივლისს, რაშიც დაგვეხმარა საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებული სამხედრო მოსამსახურეთა უფლებების დაცვის საკითხებში, ბატონი ნოდარ ეფრემიძე. ჩვენ, ორმა, 34 ქართველი მძევალი ცხინვალში იქაური შსს-ს, პროკურატურისა და ციხის საკნებში პირველებმა მოვინახულეთ. ნოდარ ეფრემიძემ, როგორც სახალხო დამცველის წარმომადგენელმა, გაამხნევა ბიჭები. ოსური მხარე მათი მშობლების ჩამოყვანას ითხოვდა. ნაწილობრივ ეს პრობლემა უამისოდ გადაწყდა, თუმცა სამი ქართველი სამხედრო ოსურმა მხარემ მაინც დაიტოვა მძევლად, მაგრამ ამ ჩახლართულ ამბავში კიდევ ერთხელ გამოჩნდა რუსული კვალი — რუსეთის სახმელეთო ჯარების მთავარსარდლის პირველი მოადგილე სამშვიდობო ძალების მხრივ, გენერალი ევნევიჩი სამივეს გათავისუფლებაში სწორედ იმ რაკეტების დაბრუნებას ითხოვდა, რომელთა წართმევითაც დაიწყო მთელი ეს დავიდარაბა.

(გაგრძელება იხ. გვ 9)

„არ მინდა, ოდესმე კიდევ ვნახო დაჩოქილი ქართველები!“

თავხედისთვის საკადრისის მიზღვა გვმართებს და კარგია, რომ ამ საკითხზე ყველანი ერთსულოვანი ვართ. „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხზე ოპოზიციური აზრი არ არსებობს“, — მიაჩნია ოპოზიციაში ახალგადასულ სამტრედიის მაჟორიტარ დეპუტატს, პარტია „კონსერვატორის“ თავმჯდომარეს, **ზვიად ძიძიგურს:**

— სამაჩაბლოს პრობლემას მანამ ვერ მოვაგვარებთ, სანამ იქ რუსი სამშვიდობო ძალები იქნებიან. რატომ ვერიდებით ამაზე ლაპარაკს? თუ თავს იმიტომ ვიკავებთ, რომ რუსეთთან ურთიერთობის გამწვავებას ვერიდებით, მაშინ სრულიად უნდა ავიღოთ ხელი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე. ცხინვალი გაცილებით იოლი დასაბრუნებელია, ვიდრე აფხაზეთი.

— თქვენი აზრით, რუსების გასვლისთანავე კოკოითი მორჭულდება?

— რა თქმა უნდა. ცხინვალში რომ რუსები არ იყვნენ, კოკოითი ერთი უსუსური არსება იქნებოდა. ის რუსების მარიონეტია, რუსების სამხედრო მხარდაჭერით არის ვითომ „მაგარი ბიჭი“. ის ბაჭიაა, რომელსაც ზურგს უკან ლომი უდგას. ლომს (რუსულ სამხედრო ნაწილებს) თუ მოვაცილებთ, ბაჭია ჩირგვებში შეძვრება — ისე გაძვრება როკის გვირაბში, მის კუდსაც ვერ მოვკრავთ თვალს. რუსები რომ არა, ვინ გაუბედავდა ჩვენს ჯარისკაცებს დაჩოქებას? არ მინდა ოდესმე კიდევ ვნახო დაჩოქილი ქართველები. საქართველო 1992 წელს დაიჩოქეს. მას შემდეგ ერთთავად ჩაგვჭიჩინებდნენ — ქართველები არ ხართ ის ხალხი, რომელსაც გამარჯვება, თავის მაღლა აწევა და ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნება შეგიძლიათო. ეს დრო წარსულს ჩაბარდა! აუცილებლად უნდა გამოიძიონ, ვინ უბრძანა ქართველ ჯარისკაცებს, არ გაისროლოთო. 1990-91 წლებში სულ 10 კაცი იცავდა საქართველოს, 50 ავტომატი არც ჰქონია მაშინდელ ხელისუფლებას და არ შეგვშინებია, ვიბრძოდით. ახლა კი რა ღმერთი გაგვიწყრა, შეიარაღებული და გაწვრთნილი (თუ გაწვრთნილები არ იყვნენ იქ რატომ გაგზავნეს) 50 კაცი ერთი ფეხის დაბაკუნებაზე როგორ ჩაჰბარდა მომხდურს. უთუოდ უნდა აგონ პასუხი ამ ჯარისკაცების მეთაურებმა, რომელთაც დაკისრებულ მისიას თავი ვერ გაართვეს და მოსახლეობის დაცვის ნაცვლად იარაღი ჩააბარეს ოსებს.

უსაფუძვლოდ მიმაჩნია არგუმენტი, — ჯარისკაცებმა იმიტომ არ ისროლეს, რომ ომის პროვოცირების შეეშინდათო. სტრატეგიული საკითხები ჯარისკაცის გადასაწყვეტი არ არის. ომის თავიდან აცილებაზე ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელობა ზრუნავს. როდესაც ხელისუფლება ჯარისკაცს კონკრეტულ უბანს აბარებს, მან კეთილი უნდა ინებოს და ის ყველა საშუალებით დაიცვას. როცა იარაღს გაძლევენ, ეს იმას ნიშნავს, რომ სამხედრო ოპერაცია უნდა ჩაატარო. ჯარისკაცს ქვეყნის დაცვა ევალება და არა იარაღის მოწინააღმდეგისთვის გადაცემა და შემდეგ მის ფეხებთან ფორთხვა. ქართველი სამხედროების საქციელი, ფაქტობრივად, კაპიტულაცია იყო. საქართველო დღეს ძალას იკრებს და სურს მსოფლიოს დაანახვოს — ჩვენ ის ხალხი ვართ, რომელსაც მამულის პატრონობაც შეუძლია და სახელმწიფოს აშენებაც. ასე ვერავის პატივისცემას ვერ მოვიპოვებთ. მე დაჩოქილი კი არა, გამარჯვებული, თავაწეული ქართველების ნახვა მინდა. მომენატრა გამარჯვება, გამთლიანება, ფეხზე დგომა, ხალხო! ყელში ამომივიდა ამდენი დამარცხება — ალბათ საქართველოს ყველა მოქალაქეს ასეთივე განცდა აქვს.

ცხინვალის რეგიონის მცხოვრებლები ვაჟკაცი ხალხია. წლების განმავლობაში ისინი, ფაქტობრივად, ექსტრემალურ პირობებში ცხოვრობენ და ისე იქცევიან, როგორც ჩვენი სახელოვანი წინაპრები. თამარაშენის, ერედვის, ქურთისა და სხვა სოფლების მოსახლეობას ერთ ხელში თოხი უჭირავს, მეორეში კი თოფი. ქედს ვიხრი მათ წინაშე და მზად ვარ, განსაცდელის ჟამს დეპუტატთა ერთ ჯგუფთან ერთად მათ გვერდით დავდგე.

— ხელისუფლება პრობლემის მშვიდობიანი მოგვარების მომხრეა, მაგრამ მშვიდობა, როგორც ჩანს, კოკოითს არ უნდა...

— თუ ეს მშვიდობიანი ბრძოლა არ გაამართლებს, არც ძალის გამოყენებას უნდა შევუშინდეთ. წლების წინ ოსებმა დრო იხელთეს და ჩვენი დაპირისპირების და შუღლის დროს გამოაცხადეს „დამოუკიდებლობა“. ახლა ოსებს გინდ რუსი დაეხმაროს, გინდ უცხოპლანეტელი, საქართველოს აქვს საკმარისი პოტენციალი, რომ სამაჩაბლოს პრობლემა გადავწყვიტოთ. იმერეთში, კახეთში, სამეგრელოსა თუ თუშეთში ყველას უნდა საქართველოს ერთიანობა და ყველა გაფაციცებული შეჰყურებს სამაჩაბლოს. მინდა ყველას მოვუწოდო, მხარში ამოვუდგეთ საქართველოს ხელისუფლებას. როდესაც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხი დგას, ოპოზიციონერობის დრო არ არის, ერთსულოვანი უნდა ვიყოთ. საპენსიო პოლიტიკაზე, ბიუჯეტსა და სხვა ამგვარ საკითხებზე შეიძლება განსხვავებული პოზიცია გქონდეს, მაგრამ ქვეყნის ერთიანობის საკითხზე განსხვავებული აზრი დაუშვებელია.

— როდესაც სამაჩაბლოს პრობლემის მოგვარებაზეა ლაპარაკი, ხშირად ისმის, დაუშვებელია ძველი შეცდომების გამეორებაო. რა შეცდომა დაუშვა თავის დროზე გამსახურდიას ხელისუფლებამ სამაჩაბლოსთან დაკავშირებით?

— შინაურ პოლიტიკაში დაშვებული უზუსტობების გამო ქართველთა შორის დაპირისპირება გამოვიწვიეთ, თორემ მაშინ ოსეთის პრობლემა არც არსებობდა. ცხინვალში, ფაქტობრივად, ოსები აღარ იყვნენ. 2 სექტემბრის პროვოკაციის შემდეგ დაიწყეს ოსებმა სეპარატისტული ქმედებები. სანამ ერთად ვიდექით, ვერავინ ვერაფერს ბედავდა. გამსახურდიას ხელისუფლების შეცდომა ის იყო, რომ მაშინ ქართველებმა ერთმანეთის ყელის გამოსაჭრელად გამოვნახეთ დრო და ენერგია. ეს შეცდომა აღარ უნდა დავუშვათ, თორემ ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლა ყოველთვის სამართლიანია. ამჟამად საერთაშორისო ორგანიზაციები და დასავლეთიც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მომხრეა, ასეთი ფუფუნება წინა ხელისუფლებას არ ღირსებია. დღეს საინფორმაციო ომსაც ვიგებთ, რადგან სიმართლე ჩვენს მხარესაა. საქართველო ოსებს არ ერჩის, ჩვენთვის კოკოითისა და მისი კლანის ფინანსურ-ეკონომიკური და ბანდიტური ინტერესებია მიუღებელი. ასეთ ვითარებაში, ვფიქრობ, რუსეთი დათმობს სამაჩაბლოს და სამაგიეროდ, ჩაებღაუჭება აფხაზეთს თავისი ინტერესების განსახორციელებლად. რუსეთი ცხინვალს იმიტომაც დათმობს, რომ იქ ნაკლებად აქვს სტრატეგიული ინტერესები, მისთვის დღეს გაცილებით მიმზიდველი აფხაზეთი და შავი ზღვისპირეთია(!).

მარი ზანდუკელი

ქართველი სამხედროების საქციელი, ფაქტობრივად, კაპიტულაცია იყო

უსაფუძვლოდ მიმაჩნია არგუმენტი, — ჯარისკაცებმა იმიტომ არ ისროლეს, რომ ომის პროვოცირების შეეშინდათო. სტრატეგიული საკითხები ჯარისკაცის გადასაწყვეტი არ არის. ომის თავიდან აცილებაზე ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელობა ზრუნავს. როდესაც ხელისუფლება ჯარისკაცს კონკრეტულ უბანს აბარებს, მან კეთილი უნდა ინებოს და ის ყველა საშუალებით დაიცვას. ჯარისკაცს ქვეყნის დაცვა ევალება და არა იარაღის მოწინააღმდეგისთვის გადაცემა და შემდეგ მის ფეხებთან

„თქვენს მიწაზე ხართ და ქართულს თითქმის არაფერს უფრთხილდებით“

რამდენიმე დღეა ვფიქრობ, რა იყო უფრო მნიშვნელოვანი საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ირანში სტუმრობისას — ორ ქვეყანას შორის პოლიტიკურ-ეკონომიკური საკითხების განხილვა, თუ სააკაშვილის შეხვედრა ფერეიდნელ ქართველებთან. ვინც ამ შეხვედრას ტელეეკრანებიდან ადევნებდა თვალ-ყურს, შეუძლებელია ქართული დელეგაციის წევრების მსგავსად გულწრფელი ცრემლი არ დასდენოდა. 8 ივლისს საქართველოს პრეზიდენტისა და ფერეიდნელი ქართველების შეხვედრამ ოთხასი წლის წინანდელი და ამ ხნის მანძილზე მიყუჩებული იარა გახსნა. სულის შემძვრელი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე იმ უკიდეგანო სიყვარულმა, რომელიც მშობლიური მიწიდან ძალით აგლეჯილი ქართველების შთამომავალთაგან ვიგრძენით. მათი ხილვის და მოსმენის შემდეგ გული იმედით აევსება კაცს — ქართველობას ვერასდროს მოერევა მტერი, ისე როგორც საუკუნეთა მანძილზე ვერავინ მოგვერია და ვერ გადაგვაშენა. დღესაც განსაცდელი უდგას საქართველოს. ამიტომაც ცოტა ძნელია, რიხიანად ილაპარაკო ხვალინდელ დღეზე, მაგრამ გარდაუვალია — ღვთის ნებით მშვიდობა დამკვიდრდება ჩვენს სამშობლოში და გამარჯვებას წინ ვეღარაფერი დაუდგება.

— როცა საქართველოს თავდაცვისუნარიანობის გასაძლიერებლად ფიზიკური ძალა არ ჰყოფნიდა, დავით აღმაშენებელმა 40000 ყივჩაღი ჩამოასახლა საქართველოში. ფერეიდანში 60 ათასი გულმხურვალე ქართველი მზადაა დედასამშობლოს მხარში დაუდგეს, ძალა გაუსაკეცოს და სისხლი გაუხალისოს, ჩვენ ოთხასწლოვანმა სიმარტოვემ ვერ დაგვიმონა, ვერ დაგვღალა და ვერ წაგვაქცია. ჩვენ, შორეულ ფერეიდანში მრავალგზის გადათელილები და წალეკილები, ფენიქსივით აღვსდექით და მარადისობისკენ ვილტვით, ეს არის ნიშანი იმისა, რომ ჩვენი მცირერიცხოვანი ერი ძლიერია, დაუმარცხებელია — ასე ფიქრობენ ქართველები ფერეიდანში და ფერეიდნელი ქართველები თბილისში. ისინი ერთ კვირაზე მეტია საქართველოში იმყოფებიან და ყველაფერს ისე აღიქვამენ, როგორც ოდესღაც ნანახს და ცნობიერების რომელიღაც კუნჭულში გაყუჩებულს... ვინ იცის, იქნებ **ვახტანგ** და **ტარიელ სეფიაშვილები** და **ილია კურდანიძე** სიზმრად მართლაც ცხოვრობდნენ საქართველოში. ამ ბიჭებთან საუბრისას ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ოთხასი წლის წინანდელ ქართველებს ვესაუბრებოდი, მათი ტკბილქართული მეტყველება და ჯანსაღი ნაციონალიზმი თითქოს წარსულთან მაბრუნებდა და სიამაყით მავსებდა.

— **ცისარტყელაში გაძვერით?**

ტარიელი: — (იცინის) დიახ. თქვენ ეს ბავშვური ფანტაზიის ნაყოფი გგონიათ? ცისარტყელაში გაძვრომა მართლა შეგაძლებინებს სასწაულს. აი, ბავშვობის ოცნება სიჭაბუკეში აგვიხდა, სამშობლოშიც დავბრუნდით, დროებით, მაგრამ ვინ იცის, რა მოხდება.

ვახტანგი: — ახლა, როცა აქ ვარ და ჩემს აქაურ დას გესაუბრები, თავი მაინც სიზმარში მგონია. ისე უეცრად წამოვედით, აქაც ისე დაგვეხვა თავბრუ, რომ ჯერაც ვერ მოვსულვართ გონს. საქართველო ზღაპრულ წალკოტს ჰგავს, ნაოცნებარივით ლამაზია, ალბათ ამიტომაც ჰყავდა და ჰყავს დღემდე უამრავი მტერი.

იავნანასავით დაგვკვნესოდა დედა გურჯისტანის შესახებ, ალბათ ვერც კი წარმოედგინა, რომ მისი ზღაპარი რეალობად გვექცეოდა.

— **ყველა ირანელი ქართველი თქვენსავით უფრთხილდება თავის ეროვნებას?**

ტარიელი: — ეჰ, ძნელია ეს, თანდათან ირანული წესი, ადათი იმორჩილებს ქართველს. იქ, სადაც ისტორიული სჯული არ აქვთ, ეროვნული კულტურაც კვდება და მეობაც. ამიტომაც ყველა ფერეიდნელი დარწმუნებულია, რომ იმ შემთხვევაში გადარჩებიან, შეინარჩუნებენ ქართველობას, თუ მათ სამშობლოში თავისუფლად მიმოსვლის საშუალება და ორმაგი მოქალაქეობა ექნებათ. მიჭირს თქმა, მაგრამ უნდა ვთქვა: საქართველოში იმან გამოაგნა, რომ თქვენს მიწაზე ხართ, თქვენს სამშობლოში და ქართულს თითქმის არაფერს უფრთხილდებით. ტელევიზიები ყველაფერს არაქართულს უჩვენებენ, რადიოებში ქართული სიმღერა ნაკლებად ისმის. ტკივილიანი გაოცება მოგვგვარა ამ ფაქტმა.

ვახტანგი: — თითქოს ჩვენ ფერეიდანში უფრო ვუფრთხილდებით ყველაფერ ქართულს, ვიდრე თქვენ აქ. ვაითუ ვინმემ გვიწყინოს ეს სიტყვები. მიფიქრია ამაზეც, მაგრამ მე ძმა ვარ შენი და თუ არა მე, აბა, ვინ გითხრას ჩვენი მთავარი სატკივარი? ეროვნულ ტრადიციას და კულტურას რომ დაკარგავ, სახესაც დაკარგავ. მამა-პაპა სიყრმიდან გვასწავლიდა, არ დაგავიწყდეთ ვინა ხართ და საიდან მოდიხართ, ღმერთი არ გაგიწყრეთ და სისხლი არ შეურაცხყოთ, ქართველი შეირთეთ ცოლად, ქართველს უნდა მისთხოვდეს ჩვენი ქალები. დედა გვეუბნებოდა ბავშვობაში, ჩვენი გენი ძლიერია, მდიდარი, თუ სხვას შეერთვებით, თქვენს გენს დააკნინებთ და სხვას გააძლიერებთო. ამას ყველა ქართველი პირნათლად იცავს ჩვენს პატარა შორეულ საქართველოში.

— **თქვენი მოსმენის შემდეგ ყველა იტყვის, როგორ უსაზღვროდ უყვართ საქართველო.**

ტარიელი: — არც უმიზეზოდ გვიყვარს და არც უმიზეზოდ არაფერს ვამბობთ. ერთი ეგვიპტელი მეცნიერი სტუმრობდა ირანში ჩვენს მასწავლებელ საიდთან. მან გვითხრა, ქართველები ძალიან ძლიერი ხალხი ხართ და უდიდესი კულტურა გაქვთო. თავმდაბლურად ვუპასუხეთ: განა თქვენ, ეგვიპტელებს ან თუნდაც სპარსელებს ნაკლები კულტურა გაქვთ? მან გაიღიმა და თქვა — მერე რა, რომ დიდი კულტურა გვქონდა ჩვენც და სპარსელებსაც. ჩვენი მიწები ძალიან დიდი იყო და ხალხი ურიცხვი. საქართველო კი ძალიან პატარა იყო და მაინც უდიდესი კულტურა ჰქონდა. არაბები ეგვიპტეში შემოვიდნენ თუ არა, ეგვიპტელები მყისვე ემონენ, არაბულად მოიქცნენ სჯულითაც და ადათ-წესითაც. საქართველოს კი ვინ აღარ მტრობდა, ვინ აღარ ცდილობდა მის დამონებას საუკუნეების მანძილზე, მაგრამ ვერც გატეხეს და ვერც სახე უცვალეს, აი, თქვენ, ფერეიდნელებიც ოთხასი წელი ვერაფერმა შეგცვალათ, ქართველობა ვერ დაგავიწყათ, ამიტომაც ვამბობ, რომ თქვენ უფრო ძლიერები ხართ, ვიდრე ჩვენო. განა ევროპელებიც არ აღიარებენ ქართულ კულტურას?

ვახტანგი: — ზოგჯერ ისიც მიფიქრია, ალბათ იმიტომ ვართ ასეთები, სულ სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე რომ ვიდექით. მტრისგან გამუდმებულ საფრთხეს რომ ვგრძნობდით, ალბათ ამან არ მოგვადუნა და გადაგვარჩინა. მაგრამ ფერეიდანში უკვე უჭირს ქართველს, კარგი იქნება საქართველოს მთავრობამ იქ ქართულის მასწავლებლები რომ გამოგზავნოს, რადგან ირანის მთავრობა ამისთვის ფულს არ გადაიხდის. საქართველოს მთავრობამ რაღაც უნდა მოიფიქროს ისეთი, რაც იქ ქართველებს დაეხმარება ეროვნების და კულტურის მარადიულად შენახვაში. თუ აქ დაბრუნებას ვერ შევძლებთ, იქ მაინც არ უნდა გადავშენდეთ. სააკაშვილს სხვა შეცვლის, იმ სხვას კიდევ სხვა და ასე იქნება მუდმივად. ყოველი მათგანის მოსვლისას სახვეწარი რომ არ გვქონდეს, არიქა გვიშველეთ რამეო, ახლავე უნდა მოიფიქრონ რაღაც. უნდა გვიშველონ. დღეს საქართველო აფხაზეთის და სამაჩაბლოს დაკარგული მიწების დაბრუნებას ცდილობს. იქნებ დაკარგულ შვილებზეც იზრუნოთ, მათ ხომ დღე-დაღამ ენატრებათ სამშობლო.

— **გავიგე, ფერეიდანში კახელების გარდა, იმერლებიც არიან.**

— აბა! შეხედავენ თუ არა ქართველები ერთმანეთს, მყისვე ხვდებიან, საქართველოს რომელი კუთხიდან მოდის მისი გენი. როგორც საქართველოშია სხვადასხვა კუთხე — ქართლ-კახეთი, გურია-სამეგრელო, იმერეთი და ა.შ., ისეა ირანშიც. ქართველები სხვადასხვა ადგილას ცხოვრობენ, ამ ადგილების სახელებია მარტყოფი, ვაშლოვანი, ჩუღურუთი, თორი და ა.შ. ირანელი იმერელი ფერით, სახის მოყვანილობით განსხვავდება კახელისგან, კილოც განსხვავებული გვაქვს.

— **იქ ალბათ ბევრი შვილები ჰყავთ ქართველებს.**

— კარგი იქნებოდა, აქაც რომ ბევრი შვილის გაჩენა მოსწონდეთ. უფრო მეტი ვიქნებოდით ქართველები. ოთხ შვილზე ნაკლები არ უნდა გყავდეს, თითო შვილის თითო კუთხის დასაცავად გაშვება უნდა შეგეძლოს.

ტარიელი: — მინდა ძალიან ბევრი ვიყოთ და თანაც, მდიდრები. თორემ ახლა რომ აცხადებს საქართველოს ხელისუფლება — ყველაფერს ვყიდითო, მოვიდოდით და ჩვენ, ქართველები ვიყიდით ყველაფერს. არ გვინდა, სხვა შემოვიდეს ჩვენს მიწაზე. სულ ვფიქრობ, ნუთუ ჩვენი მამა-პაპა იმისთვის იბრძოდა, რომ დღეს ყველაფერი გაგვეყიდა? სასტუმროებს ვყიდითო, ე.ი. იმ მიწას ყიდი, რომელზეც სასტუმრო დგას, ის ქართული მიწაა. ასე ირანში არავინ მოიქცევა. იქ წელში გაწყდებიან, პრობლემას თვითონ მოაგვარებენ და სხვას არ გააბატონებენ საკუთარი მიწის თუნდაც ერთ გოჯზე. ფერეიდნელი ქართველები ძალიან განცდა. ამ შემთხვევაში ნანახი საერთო ჯამში არადამაკმაყოფილებელია. დაუკვირდით სომხებს, ნახეთ, რა ჭკვიანები არიან. ჩვენსავით ყველას კი არ ეპატიჟებიან საკუთარ სამშობლოში. ამიტომაც არ არიან უმადური „მდგმურებისგან“ შეწუხებული, ამიტომაც არავინ ეცილებათ სამშობლოს, საქართველოში დასახლების უფლება იმ შემთხვევაში უნდა მისცენ უცხოელს, თუ ის კაპიტალით გააძლიერებს საქართველოს.

ორი ქართველი ახლა თაკარა მზის ქვეშ ფეხით მოდის აქეთ. ჩვენი ჩამოსვლა თვითმფრინავით, არაფერია მათ მოსვლასთან შედარებით. ფერეიდანში მათზე ამბობენ, ეს ბიჭები ჩვენი ელჩები არიან სამშობლოშიო. მათი გზა იმის ნიშანია, რომ ყველანი დავბრუნდებით საქართველოში. წყალნი წავლენ და წამოვლენ, მაგრამ ბოლოს საგუბარში ჩადგებიან, ჩვენც წყალი ვართ, საგუბარი კი საქართველოა.

— **ირანში მცხოვრები ქართველი ქალები ძალიან მეცოდება, როგორც ვიცი, მათაც ირანელი ქალებივით მძიმე ყოფა აქვთ....**



ალავერდი ხან უნდილაძის ხიდი

მარცხნიდან: ვახტანგ სეფიაშვილი, ილია კურდანიძე, და ტარიელ სეფიაშვილი

„მოვალ და გევედრები ჩამიხუტე დედასავით!“

ქართველები იმ დროიდან შემორჩენილან ავღანეთს, როცა იქ ქართველი მეფისწული მეფობდა(!)

ილია: — ქართველი ქალები იქ ქუჩაში ირანელებისგან არ უნდა განსხვავდებოდნენ, მაგრამ ოჯახში განსხვავებულად ცხოვრობენ. ირანელისთვის ქალი არაფერია, კაცია მთავარი. ქართველი კი ფერეიდანშიც პატივს სცემს ქალს. ჩვენი ენა გვასწავლის, რომ ქართველისთვის ქალი დიდებულია, ნახეთ ყველა სიტყვაში ქალია პირველი: დედ-მამა, და-ძმა, ცოლ-ქმარი, დედა-მიწა და ა.შ. „ვეფხისტყაოსანშიც“ ხომ წერია, ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადიაო. ჩვენ გვეამაყება, რომ საქართველოში პარლამენტის თავმჯდომარე ქალია, რომ მეფე თამარი გვყავდა. აქ ძალიან ლამაზი ქალები დადიან. გვეამაყება, ასეთი ქალები არავის ჰყავს.

იქნებ შევირთო კიდეც აქაური, მაგრამ ფერეიდანში ვერ წავიყვან, იქაურობისთვის აქაური ცოდოა. მენანება.

საუბრის დროს ვახტანგმა ღიღინი დაიწყო „საქართველოო ლამაზო, სხვა საქართველო სად არი...“ მღეროდა და ღიმილი დასთამაშებდა სახეზე.

— **ვახტანგ, ვიცი, რომ სამივენი მღერით. თანამედროვე ქართველ მომღერლებს თუ იცნობთ და თუ მოგწონთ?**

— ვიცნობთ, მაგრამ ბევრი რამ არ მოგვწონს. ქართულ ენაზე მღერიან, მაგრამ მელოდია უცხოური აქვთ, მიკვირს, განა ვერ ხვდებიან ასე საკუთარ ნიჭს რომ აკნინებენ? რად უნდა ქართველს სხვისი მუსიკა? სიმღერისას თითქოს საქართველოში მოქრის ჩვენი სულები. აქაურ მთებს და ღრუბლებს ვგრძნობთ. აქაური ცა და მზე გვათბობს, როცა „სულიკოს“ ვმღერით.

— **წასვლის წინ როგორ დაემშვიდობებით საქართველოს?**

— მალე შეხვედრამდის, ჩემო სამშობლო! მე დავბრუნდები! რახან გნახე, შენი სიყვარული უფრო გაუსაძლისი იქნება. მოვალ და ჩამიხუტე დედასავით!

ეკა ლომიძე

„ჩვენ წყალი ვართ, საგუბარი კი საქართველოა“

„რად უნდა ქართველს სხვისი მუსიკა?!“

ჩვენ გვწერენ

გულისამაჩუყებელი წერილი გურჯისტანს

წერილმა, რომელიც ფერეიდნელმა ქართველებმა გამოგზავნეს, კიდევ ერთხელ შეარხია ის სიმი, რომელსაც ერის გამთლიანების სურვილი ჰქვია და, რომელიც ფერეიდანზეც გადის... უკომენტაროდ გთავაზობთ ფერეიდნელი ქართველების წერილს (სტილი დაცულია).

დიდება ქართველ ერს

ჩვენო ძვირფასო მიშა! კეთილი იყოს შენი ჩამოსვლა ჩვენთან. ჩვენ დიდი იმედები გვაქვს შენზე. ეს გზა, რომელიც შენ 2 საათის მანძილზე გადმოიარე, აი ამ გზაზე 4 ას წლის წინ ჩემი და შენი წინაპრები, ჩვილი ქართველ ყმაწვილები, ქალები და ორსულიანი დედები და ბერიკაცები ცემით და ტყეპით ცხელ დღეებში და შავ ღამეებში ჩამათრიეს რამდენი თვის მანძილზე...

მოხუცები და ჩვილი ყმაწვილები მელიებს და მგლებსა შეაჭმეინეს და ლამაზი მზისუნა-ხავი გოგოები არამხანებში დაირიგეს და კაცები ცხვარზე და თხაზე და... მიცვალ მოცვალეს. იმ უნამუსო შახმა და მის თავადებმა ის ხალხი ისე აშიმშილეს, რომ რჯული დაუკარგეს, მაგრამ ენას ვერა მოუგონეს. ქართველობა ამოაგდეს და მოსპეს!.. ასე ეგონათ, მაგრამ იმ თავდადებული ხალხის და მით თესვლი და სისხლისაგან ქართველობამ ინერგა და უფრო ძლიერი ქართველობა გაიზარდა ამ არაბთა გაუქმებულ 3000 წლიან ცივილიზაციან სპარსეთში.

ჩემო ძმაო და შვილო, ბევრი რამ სატირალო ნათქვამი მაქვს. ნეტავ ახლო მენახა შენთავი და შუბლი დამედო შენ გულისპირზე და ოთხას წლის ტკივილისა და სევდის ცრემლი დამეღვარა შენ კალთაში. შენ კალთაში იმიტომ, რომ შენ შეგიძლია გამიგო და იგრძნო, რა მიჭირს და რამდენი თაობას რა ტანჯი თავგარდასული ჰქონია... შენ დამტკიცე, რომ იცი რა დავალებულნი ვართ ჩვენი ერისათვის. იმიტომ შენ გეძახი რომ, მომისმენია შენი რაც გითქვამს წვიმიან ცივ ღამებში რუსთაველზე. აჭარას სოფლებში და სხვა და სხვა გან. იმიტომ, რომ ირანში ჩამოსულნია სტალინიც, შევარდნაძეც და სხვა და სხვებიც, მაგრამ ნიშნელობა არა ჰქონია მათგან ჩვენი ქართველობას. მე მინდა შენი მოსვლამ ბევრი რამე შეცვალოს. 4 საუკუნეა რომ ირანში გარდმოსახლებულ ქართველს ენატრება, რომ დაბრუნდეს თავის სამშობლოში და ზოგიერთიც უკან დაბრუნებულია, მაგრამ რუსელთა კომუნისთურ რეჟიმს და შევარდნაძების რეჟიმს ვერ შეუძლია მისდენ რომ ტყვედ წაყვანულთა შვილი შვილებს სხვა მოსახლეობასთან განსხვავება აქვთ ფიქრით და აზრით. არ გაიგეს იმიტომ, რომ არ უნდოდათ გაიგონ. თუ ჩვენ თვითონ სამშობლოდან დავანებულნი ვართ უცხო ქვეყანებში, აბხაზეთის ტკივილიც ჩვენი დარდებს გაუხსენებს და ამ ტკივილის გაძლება ძნელია იმისათვის, რომ ქართული სისხლი ძარღვებში გვაქვს.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ერთობით და ჭკვიანურად მუშაობით ძალიან ძლიერი საქართველოდ მოვაქციოთ ეს ღვთის ხვედრი მიწა წყალი. მე მინდა ჩვენი ხალხის მიმოსვლა ადვილად შესაძლებელი გახდეს. სკოლების და უნივერსიტეტური კულტურული ურთიერთობა გამარავლდეს ჩვენ შორის.

ვიცით რომ გასაკეთები ჯერ ბევრია, მაგრამ ისინიც უნდა რიგში ჩავაგდოთ. არ ვიცი ამ წერილის მოწდას მოვახერხებ თუ არა, მაგრამ საუბარი ბევრი მაქვს და იმედიც. გთხოვთ ეს წერილი დამიწეროთ და მომცეთ საშვალება ურთიერთობისათვის. იქნებ კარგი ძმები თუ არა, კაი მეგობრები ან მეზობლები ან ნაცნობები გავხდეთ...

სამშობლოს სიყვარულით ფერეიდნელი ქართველები

„ფეხებზე სადენი შემოერთეს და 45 წუთის განმავლობაში დენს მიბარებდნენ...“

„მე ვიყავი ხელისუფლების პირველი წარმომადგენელი, რომელმაც საკმაოდ მკაცრი საყვედური მიიღო“

წინასწარი დაკავების საკანში კონტროლის პალატის ყოფილი ხელმძღვანელის, სულხან მოლაშვილის წამების შესახებ სკანდალური ინფორმაცია გაჟღერდა და ამ ფაქტის გამო საყვედური უკვე გაისმა ევროსაბჭოდან. უცხოელ ექსპერტთა მკაცრი ტონის მიზეზი მხოლოდ მოლაშვილის სხეულზე ნანახი წამების კვალი არ ყოფილა, ისინი იმ პირობებმაც აღაშფოთა, რომელშიც პატიმარი იმყოფებოდა. როგორც ირკვევა, სულხან მოლაშვილს ვიღაცამ სასამართლო პროცესამდე კარცხიანება რამდენიმე თვის წინ ჰქონდა მიყენებული. ფეხებზე კი სისხლჩაქცევები და დაზიანებული ვენები ვნახე. მას ვენების ვარიკოზული გაგანიერება ისედაც ჰქონდა, მაგრამ როდესაც ელექტროშოკით აწამეს, ვენებმა ვეღარ გაუძლო. ნანახით გაოგნებული ვიყავი. მაშინვე ვუთხარი — ამას ვერ დავფარავ, მსოფლიოს და საერთაშორისო ორგანიზაციებს ვაცნობებ და რაკი ინფორმაცია გახმაურდება, თქვენს ღიკვიდაციასაც ვეღარ გაბედავენ-მეთქი. მართლაც, რამდენიმე საათში ეს ამბავი პრესკონფერენციაზე განვაცხადე. იმ ღამესვე,

ერში ჯდომა მიუსაჯა(?!). თუ ვინ, რატომ და რის საფუძველზე, ამას ალბათ გამოძიება გაარკვევს, მაგრამ ერთი რამ ცხადია, ეს პატიმარზე ზეწოლის მიზნით მოხდა.

დამნაშავე ჩინოვნიკებმა რომ პასუხი უნდა აგონ და მოპარულიც უნდა დააბრუნონ, ამაზე არავინ დაობს. ალბათ ბიძაშვილების, მამიდაშვილებისა და მეგობრების სახელზე გაფორმებულ მავანთა ქონებასაც უნდა გამოუჩნდნენ ნამდვილი პატრონები, რომელთაც იმის ახსნაც მოუწევთ, როგორ ააშენეს 120-ლარიანი ხელფასით სასახლეები. თუმცა, ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მიზანი საშუალებას არ ამართლებს. დაკავებულისგან წამებით ჩვენების მიღება ყველა ცივილიზებული სახელმწიფოსთვის დანაშაულია. მთელი მსოფლიო შემოგვყურებს, ქებას არ გვაკლებენ და აუცილებელი იყო, ისევ თითის საქნევად გაგვეხადა საქმე? ქვეყნის ახალ ხელისუფლებას დღეს ყველაზე მეტად შინაურისა და გარეულის მხარდაჭერა სჭირდება და ზოგიერთი მოხელის გაუმართლებელი „გულმოდგინება“, შესაძლოა, ძვირად დაუჯდეს.

ნანა კაკაბაძე, არასამთავრობო ორგანიზაციის „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ თავმჯდომარე: — დაპატიმრებიდან მეორე-მესამე დღეს გავიგე, რომ სულხან მოლაშვილი წინასწარი დაკავების საკანში აწამეს და მერე ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაიყვანეს. საავადმყოფოში შესვლა მოვახერხე და ვნახე. მეტისმეტად შეშინებული და დათრგუნვილი ჩანდა. როდესაც ვკითხე, ხომ არ უწამებიხართმეთქი, კითხვას თავი აარიდა, თითქოს იუარა, მაგრამ მივხვდი, ეს „არა“-ს არ ნიშნავდა. მიუხედავად იმისა, რომ არავინ გვისმენდა, შევატყვე, თქმის მაინც შეეშინდა. მხოლოდ ის დაიჩივლა, თირკმლები და ვენების ვარიკოზი მაწუხებსო. რამდენიმე ხნის შემდეგ იმავე წყარომ ისევ მაუწყა, შესაძლოა, მოლაშვილმა პასუხს თავი აღარ აარიდოსო. 2 ივლისს ისევ ვინახულე. ამჯერად ის №1 საპყრობილეში იმყოფებოდა. გავუმეორე, დანამდვილებით ვიცი, წინასწარი დაკავების საკანში რომ გაწამეს და სხეულზეც გეტყობათ ნაკვალევი, იქნებ არ ღირს დამალვა და ყველაფერი მიამბეთ-მეთქი. თავიდან ისევ იუარა, რა აზრი აქვს ლაპარაკსო. ბოლოს იმ პირობით დამეთანხმა, თუ ამ ამბავს არ გავახმაურებდი — ამის შესახებ ჩემმა ცოლმა, ძმამ და ბავშვმა არაფერი იციან, არ მინდა ზედმეტად ავაფორიაქო, თანაც ხომ იცით, რაც შეიძლება ამას მოჰყვესო.

— **ამით რაზე მიგანიშნათ?**

— მას ფიზიკური ლიკვიდაციის ეშინოდა... ვუთხარი, ამის საფრთხე ისედაც არსებობს. არა მგონია, თუკი ყველაფერს იტყვით, თქვენი ლიკვიდაცია დაარჩარონმეთქი. ძლივს დავიყოლიე, რომ დაშავებული ადგილები ეჩვენებინა (ალბათ, ყველა არა). მაისური აიწია და ზურგზე, ბეჭების არეში, სიგარეტით დამწვარი ლაქა მაჩვენა — ვარდისფერი, ახალშეხორცებული. აშკარად ეტყობოდა, რომ დაზიანება რამდენიმე თვის წინ ჰქონდა მიყენებული. ფეხებზე კი სისხლჩაქცევები და დაზიანებული ვენები ვნახე. მას ვენების ვარიკოზული გაგანიერება ისედაც ჰქონდა, მაგრამ როდესაც ელექტროშოკით აწამეს, ვენებმა ვეღარ გაუძლო. ნანახით გაოგნებული ვიყავი. მაშინვე ვუთხარი — ამას ვერ დავფარავ, მსოფლიოს და საერთაშორისო ორგანიზაციებს ვაცნობებ და რაკი ინფორმაცია გახმაურდება, თქვენს ღიკვიდაციასაც ვეღარ გაბედავენ-მეთქი. მართლაც, რამდენიმე საათში ეს ამბავი პრესკონფერენციაზე განვაცხადე. იმ ღამესვე,

> აუცილებელი იყო ისევ თითის საქნევად გაგვეხადა საქმე?!

12 საათზე, მოლაშვილი №7 საპყრობილეში გადაიყვანეს და პირობები გაუმკაცრეს. დილით კი კარცერის ტიპის საკანში მოათავსეს, სადაც არც შუქი იყო და არც წყალი. საერთაშორისო ნორმებით კი ბნელ ოთახში ადამიანის გაჩერება წამებაა; თუ სულხან მოლაშვილი აწამეს შს სამინისტროში, იუსტიციის სამინისტრო ვალდებული იყო, ახალშემოსული პატიმრის სხეულზე არსებული დაზიანებები დაეფიქსირებინა. მათ დასკვნაში კი ამის შესახებ არაფერი წერია.

— **რას ითხოვდნენ წამებისას მოლაშვილისგან?**

— მოგეხსენებათ, მოლაშვილმა ბევრი რამ იცის. ბუნებრივია, წამებისას მისი დაშინება და გაჩუმება ჰქონდათ გამიზნული. მიზანს იმ მხრივ მიაღწიეს, რომ მოლაშვილი ძალიან შეშინებულია. გარეგნულად იმდენად შეცვლილა, თავდაპირველად ვერ ვიცანი. ძალიან გამხდარია. როდესაც მომიკითხა — როგორ ხართო, ხმა მეცნო. ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში მოლაშვილი ასეთ მდგომარეობაში არ ყოფილა. მოკლე ხანში ადამიანის ასეთი გარეგნული ცვლილება, მართლაც რომ თავზარდამცემია...

ჩვენ სხვა პატიმრებთან შესვლა უკვე აგვიკრძალეს და ვეჭვობ, ზურაბ ჭანკოტაძესა და დავით მირცხულავას მიმართაც ამ მეთოდებს ხომ არ იყენებდნენ... ასეთი მოპყრობა პოლიტიკური ანგარიშსწორებაა. ხელისუფლების განცხადება, მოლაშვილზე აურზაური იმიტომ ატყდა, მისიანებმა სახალხო დამცველის ოფისში დიდი თანხა მიიტანესო, ცილისწამებაა და გამიზნულია საიმისოდ, რომ ზედმეტის თქმა არავინ გაბედოს.

სულხან მოლაშვილი ევროსაბჭოს ექსპერტებსა და მათიას იორშთან ერთად პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ, **ალენე თევდორაძემაც** ინახულა. მასაც მიაჩნია, რომ კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარის მიმართ არაერთი უკანონო ქმედებაა განხორციელებული.

— სულხან მოლაშვილის მიმართ პროცესუალური ნორმა მაშინ დაირღვა, როდესაც მას სამთვიანი პატიმრობა მიუსაჯა რაიონულმა სასამართლომ — ამის უფლება მხოლოდ საოლქო და უზენაეს სასამართლოებს აქვთ. როცა ეს განვაცხადე, ციხის რესპუბლიკური საავადმყოფოდან მაშინვე გადაიყვანეს მე-5 საპყრობილეში. მერე კი შუაღამისას შემატყობინეს, მოლაშვილი მე-7 საპყრობილეში გადაჰყავთო. რა აუცილებელი იყო ეს ღამის თორმეტ საათზე? ამიხსნეს, პროკურატურის გადაწყვეტილებააო, რაც სიცრუე აღმოჩნდა. მეტიც, არავის გაუცია განკარგულება მოლაშვილის მე-7 საპყრობილეში გადაყვანის შესახებ(?). ეს თურმე ციხის ადმინისტრაციის სიტყვიერი მითითებით მოხდა, რაც კანონდარღვევაა.

როდესაც არასამთავრობო ორგანიზაციებმა სულხან მოლაშვილის წამების შესახებ ინფორმაცია გაავრცელეს, პრეზიდენტისა და შს მინისტრის თხოვნით, ის თინა ხიდაშელთან ერთად ვინახულე. მოლაშვილს ზურგზე მართლაც ემჩნევა კვალი — მაშინ ვერ მივხვდი, ეს სიგარეტით მიყენებული დამწვრობა იყო თუ სხვა რამ. თუმც უკვე არსებობდა ექსპერტის დასკვნა — ეს ცხელი საგნის ნაკვალევიაო. შოკის მომგვრელი იყო იმ საკნის ნახვა, სადაც მოლაშვილი ჰყავდათ, ეს უფრო კარცერი იყო. აღარაფერს ვამბობ ჰაერზე, მისთვის საათი და სკამიც წაურთმევიათ. სკამი ჩემი ხელით შევიტანე საკანში, რომ დავმჯდარიყავი. საწოლიდან ცხვირი, ფაქტობრივად, უნიტაზში ჰქონდა ჩაყოფილი. ასეთ პირობებში როგორ უნდა ეჭამა ან როგორ უნდა დამჯდარიყო? კარცერში 72 საათსაც ჭირს გაძლება და მოლაშვილი კი ასეთ პირობებში ელოდა სასამართლო პროცესს. მაშინვე გამოვიძახე იუსტიციის მინისტრის მოადგილე, რათა საკუთარი თვალით ენახა ყველაფერი. სანამ პატიმრის საქმის გამოძიება მიმდინარეობს, იუსტიციის სამინისტროს კომპეტენცია არ არის მისი გადაყვანა-გადმოყვანა (ეს პროკურატურის მოვალეობაა), მაგრამ ის ვალდებულია, პატიმარი უზრუნველყოს ისეთი პირობებით, რასაც მას კანონი ანიჭებს. ევროსაბჭოს წარმოგზავნილებმა,

კირილოვმა და იორშმა თავად ნახეს, რა პირობებშიც იმყოფებოდა მოლაშვილი. მე ვიყავი ხელისუფლების პირველი წარმომადგენელი, რომელმაც მათგან საკმაოდ მკაცრი საყვედური მიიღო... დღეს მოლაშვილი შედარებით უკეთეს პირობებშია — ვიცი, რომ შუქიც აუნთეს, საათიც დაუბრუნეს და ტელევიზორიც შეუტანეს.

პრეზიდენტის სურვილით, შესაძლოა მოლაშვილის საქმეში უცხოელი ექსპერტებიც ჩაერთონ. ამაზე უკვე მუშაობს თავისუფლების ინსტიტუტი, პროკურატურამ კი აღძრა საქმე მოლაშვილის მიმართ ჩადენილი უკანონობის (წამების) ფაქტზე.

— **საპყრობილეში დავით მირცხულავა თუ მოინახულეთ?**

— დიახ. ის ექიმის ოთახში მოათავსეს — მიაჩნიათ, რომ საკანში გადაყვანა მის სიცოცხლეს საფრთხეს შეუქმნის.

— **რით იყო გამოწვეული მოლაშვილის მიმართ ასეთი ქმედებები?**

— პრეზიდენტისთვისაც და ჩვენთვისაც, ყველასთვის, ეს აბსოლუტურად გაუგებარი იყო. ვის უნდა დასჭირვებოდა ანგარიშსწორება, ეს ხომ ვანდალიზმია? ეს პრეზიდენტისა და ხელისუფლების წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯია, ეტყობა, ვიღაცას ამის გაკეთება უნდოდა და გააკეთა კიდეც. თუ წინასწარი დაკავების საკანში ამგვარად უსწორდებიან ცნობილ პირს, რას უზამენ რიგით პატიმრებს? ერთხანს ვეჭვობდი, — თვითონ ხომ არ მოსწია საკუთარ თავს ეს-მეთქი, მაგრამ როდესაც ვნახე, დავრწმუნდი — ასეთ ადგილებში თვითონ ვერ მიიყენებდა დამწვრობას. ამბობს, ფეხებზე სადენი შემიერთეს და 45 წუთის განმავლობაში დენს მიტარებდნენო. მოლაშვილსაც არა აქვს პასუხი კითხვაზე — რატომ გააკეთეს ეს.

— **მოლაშვილმა თუ გთხოვათ დახმარება?**

— უკაცრავად, მაგრამ იქ რომ მივედი, ეს უკვე დახმარება იყო(!) — მისი უფლებები აღვუდგინე.

„სახალხო დამცველის ოფისის თანამშრომლებზე მეც გამიჩნდა ეჭვი“

ზურაბ ადეიშვილის პირველმა მოადგილემ და მარჯვენა ხელმა გიორგი ჯანაშიამ აჭარლებს გასულ კვირას ახალი „მთავარი“ პროკურორი, გიორგი პაპუაშვილი წარუდგინა. აჭარელი სამართალდამცველები ხელცარიელი არ დახვედრიან თბილისელ სტუმრებს — აბაშიძის რამდენიმე თანამზრახველი გაკოჭეს. ასე რომ, წინ ხმაურიანი სასამართლო პროცესები გველის და, სავარაუდოდ, აჭარის მინისტრთა საბჭოს ყოფილ თავმჯდომარეს, გიორგი ცინცქილაძეს, საბაჟო პოლიციის ყოფილ უფროსს, სულიკო ბლადაძეს, გემთმშენებელი ქარხნის ყოფილ დირექტორს, ვაჟა ცინცაძეს, პორტის უფროსის ყოფილ მოადგილეს, როინ ნაკაშიძესა და ბათუმის ყოფილ ვიცემერს, ბადღევს, ასევე აჭარის ყოფილ ლიდერს პატიმრობა ელით.

გენერალური პროკურორის პირველ მოადგილესთან, **გიორგი ჯანაშიასთან** საუბარი, რა თქმა უნდა, აჭარის თემით დავიწყეთ და სულხან მოლაშვილის წამების გახმაურებული ფაქტით გავაგრძელეთ. პირველმა მოადგილემ ჩვენთვის საინტერესო სხვა კითხვებზეც შეძლებისდაგვარად (ისე, რომ გამოძიების ინტერესები არ დაეზარალებინა) გვიპასუხა:

ერთ-ერთ საქმეში, რომელიც აჭარის საგადასახადო სამსახურის საქმიანობას ეხება, ფიგურირებს ასლან აბაშიძის გვარიც. ძიებას საფუძველი მიეცა, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ყოფილ ხელმძღვანელზე სისხლის სამართლის საქმე აღეძრა. აჭარის საზღვაო ბანკში ანგარიშები რამდენიმე ისეთ ფონდს ჰქონდა გახსნილი, რომლებიც იუსტიციის სამინისტროში ოფიციალურად არ ყოფილა რეგისტრირებული (ეს იყო „მშვიდობის“, „ასლან აბაშიძისა“ და სხვა ფონდები). ფონდებში დიდძალი თანხების აკუმულირება ხდებოდა (ლაპარაკია 14 და 3 მილიონზე, არის სხვა თანხებიც). დანამდვილებით ვიცით, რომ საბიუჯეტო და კომერციულ ორგანიზაციებს ემუქრებოდნენ და აშინებდნენ, რომ ფონდების ანგარიშებზე თანხები გადაერიცხათ.

ჩვენთვის ანგარიშსწორება მიზანი არ არის, მაგრამ ნაძარცვი ქონება და თანხები სახელმწიფოს უნდა დაუბრუნდეს.

— ხომ არ აპირებს გენერალური პროკურატურა საქმე აღძრას სამხრეთ ოსეთის თვითმარქვია პრეზიდენტ ედუარდ კოკოითზე?

— კოკოითი ჩვეულებრივი დამნაშავეა და მის ყველა უკანონო ქმედებას აუცილებლად მიეცემა სამართლებრივი შეფასება. მის წინააღმდეგ უსათუოდ დაიწყება სისხლის-სამართლებრივი დევნა და საქართველოს კანონმდებლობიდან გამომდინარე მოუწევს პასუხისგება.

— რამდენადაც ვიცი, პროკურატურაში სულხან მოლაშვილთან დაკავშირებით კიდევ ერთი საქმე აღიძრა. კონკრეტულად, რა ფაქტზეა ლაპარაკი?

— საქმე აღძრულია სხეულის დაზიანების ფაქტის გამო. უნდა გაირკვეს, სულხან მოლაშვილს განზრახ მიაყენეს დაზიანებები თუ ეს თვითდაზიანება იყო. არგუმენტი, მოლაშვილი თავისი ხელით ვერ მიიყენებდა იმ ადგილებზე დაზიანებასო, გამოძიებისთვის ვერ იქნება გადამწყვეტი. ხომ შეიძლება დაზიანება ვინმეს მიეყენებინა სავსებით კონკრეტული მიზნისთვის, წამების სიმულაცია და ფალსიფიცირება მომხდარიყო? გამოძიება ყველა ვერსიაზე დეტალურად მუშაობს, დაიკითხება ყველა პირი, რომელთაც მოლაშვილთან ჰქონდათ ურთიერთობა მისი დაკავებიდან დღემდე. გამოძიება აბსოლუტურად გამჭვირვალე იქნება.

როდესაც დაკავებული საპყრობილეში მიჰყავთ, ექიმი-ექსპერტი მას ეკითხება, — აყვანის მომენტში ან წინასწარი დაკავების საკანში ხომ არ მოგაყენეს დაზიანებაო და პასუხის მიუხედავად, ხდება სხეულის დათვალიერება. როდესაც მოლაშვილი სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში მიიყვანეს, მას არ განუცხადებია, დაზიანება მომაყენესო და არც დათვალიერების შემდეგ აღმოაჩნდა რამე. უცნაურია, რომ მოლაშვილი სხეულის დაზიანებაზე დაკავებიდან მხოლოდ 3 თვის შემდეგ ლაპარაკობს. არგუმენტი, რომ მოლაშვილი ერთი საპყრობილიდან მეორეში სათანადო დოკუმენტაციის გარეშე გადაჰყავდათო, არასწორია. ამ მხრივ ყველაფერი კანონიერად არის გაკეთებული.

— პრეზიდენტმა ამას წინათ განაცხადა — მოლაშვილის გამო აურზაური იმიტომ ატყდა, რომ სახალხო დამცველის ოფისში თანხა მიიტანესო. თუ მიმდინარეობს გამოძიება იმ პირთა გამოსავლენად, რომელთაც არსებული ინფორმაციით, ფული აიღეს?

— სახალხო დამცველის ოფისის თანამშრომლები მართლაც განსაკუთრებულ დაინტერესებას იჩენენ კონკრეტული პირების მიმართ. მათი განცხადებების გამო, ბუნებრივია, მეც გამიჩნდა ეჭვი. თუკი საფუძვლიანი გარემოებები გამოიკვეთა, საქმე აღიძვრება იმ პირებზე, რომელთა მიმართაც გაჩნდება ეჭვი, რომ ანგარებით მოქმედებდნენ.

— თუ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მერიასთან აქციის დარბევის გამო?

— ამ ფაქტს უსათუოდ მიეცემა სამართლებრივი შეფასება. კანონის ჩარჩოებში მოქმედება უპირველესად სამართალდამცველებს მართებთ. მიმდინარეობს მოკვლევა და თუ აღმოჩნდა, რომ კონკრეტულმა პირებმა თავიანთ უფლებამოსილებას გადააჭარბეს, სისხლის სამართლის საქმეც აღიძვრება და დამნაშავეც დაისჯება.

გვერდი მოამზადა
იზო რიკაძემ

რა უნდა იცოდეს მოსახლეობამ ომის დროს

ცხინვალის რეგიონის მცხოვრებლებმა ბრძოლის დაწყების შემთხვევაში თავის გადარჩენაზე უნდა იზრუნონ

ქართული სოფლების მოსახლეობას აუცილებლად მოუწევს ყურადღების გამახვილება თავისსავე უსაფრთხოებისათვის

არ არის გამორიცხული, რომ სიტუაციის უფრო გამწვავების პარალელურად, გახშირდეს უეცარი თავდასხმები ქართულ სოფლებზე მძევლების გატაცების მიზნით, ამიტომ სოფლის განაპირას, მინდორში ან ბაღში სამუშაოდ გასულ გლეხებს შეიარაღებული დაცვა დასჭირდებათ.

სოფლის იმ ადგილებში, საიდანაც ყველაზე მეტად არის მოსალოდნელი მოწინააღმდეგის უეცარი თავდასხმა, სასურველი იქნებოდა სავალი გზის დროებით გადათხრა და მავთულხლართის მოწყობა, რომელიც აშკარად დროს დააკარგვინებდა მომხდურს.

არ გვინდა ვინმე დავაშინოთ, მაგრამ სამწუხარო რეალობა თავად გვკარნახობს ამგვარი სტატიის დაწერის აუცილებლობას — შედარებით მჭიდროდ დასახლებული დიდი და პატარა ლიახვის ხეობების სოფლების (სულერთია, ქართული თუ ოსური) მოსახლეობა სამწუხაროდ შეიძლება ინტენსიური საბრძოლო მოქმედებების ცენტრში აღმოჩნდეს.

ამ რეგიონის მშვიდობიანმა მოსახლეობამ 12 წლის წინ გამოსცადა, რას ნიშნავს შეიარაღებული კონფლიქტის რეგიონში ცხოვრება, მაგრამ დღეს ამ სოფლების ახალგაზრდობას ნაკლები წარმოდგენა აქვს, რა საფრთხე შეიძლება დაემუქროს.

საფრთხეს უპირველესად ზრდის გეოგრაფიული მდებარეობა — დიდი და პატარა ლიახვის ხეობები ერთმანეთისგან სულ რამდენიმე კმ-ითაა დაშორებული, ხოლო ცხინვალიდან ქართულ სოფელ ერედვს 82 მმ კალიბრიანი ნაღმსატყორცნის ნაღმიც კი სწვდება (თუმცა პირიქითაც შეიძლება მოხდეს).

სწორედ ნაღმსატყორცნია ყველაზე საშიში მშვიდობიანი მოსახლეობისთვის, რადგან სროლა მთის უკანა, ტყიანი ფერდობიდანაც შეიძლება, ხოლო ნასროლი ნაღმი თითქმის შვეულად, ზემოდან ეცემა და დაუცველ მოსახლეობას საფრთხეს უქმნის.

თუკი ცხინვალიდან ერედვამდე პირდაპირ 4,5-5 კმ-ია, ცხინვალი და ქართული სოფელი თამარაშენი ერთმანეთთანაა გადაბმული და აქ მშვიდობიანი მოსახლეობა, გარდა ნაღმსატყორცნების ნაღმებისა, ყუმბარსატყორცნების რეაქტიულ ჭურვებსა და, რა თქმა უნდა, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის ტყვიასაც უნდა უფრთხოდეს.

საერთოდ, სანგრის გათხრა სირცხვილი კი არა, სამხედრო აუცილებლობაა, თანაც არა მარტო ბრძოლის წინა ხაზზე, არამედ სოფლებშიც. ღრმად გათხრილი და კარგად შენიღბული სანგარი ხშირად გადარჩენის უფრო მეტ შანსს იძლევა, ვიდრე ბეტონის ფილებით ან ქვიშის ტომრებით მოწყობილი თავშესაფრები (სასურველია თუ ამის გაკეთება არ მოგვიწევს, მაგრამ...). ეს უკანასკნელნი თავისი ზომით ყოველთვის გამოირჩევიან, ადვილი აღმოსაჩენნი არიან და თუკი შიგ მყოფს ავტომატის ჯერისგან დაიცავენ, სამაგიეროდ, ტანკსაწინააღმდეგო ჯავშანგამტან კუმულაციურ ჭურვს ვერ აკავებენ.

მშვიდობიანმა მოსახლეობამ ასევე თადარიგი უნდა დაიჭიროს, გაასუფთაოს და წინასწარ მოამზადოს ყველა სარდაფი და მიწური, ხოლო შენობების ფანჯრებს აკრას ქაღალდის „ჯვრები“, დაახლოებით ისე, როგორც ეს მეორე მსოფლიო ომის დროს ხდებოდა, რადგან შეიძლება ჭურვი ეზოში ისე აფეთქდეს, რომ სახლის პატრონებს ვერაფერი დააკლოს, მაგრამ აფეთქების ტალღით ჩალეწილი ფანჯრის მინების ნამსხვრევებმა კი დააზიანოს მოსახლეობა.

ღამით მოწინააღმდეგის დივერსიულმა ჯგუფებმა შეიძლება სცადონ სპეცოპერაციის ჩატარება (რისი მცდელობაც ოსური მხრიდან ბოლო დღეებში აშკარად გახშირდა); სოფლის მშვიდობიანი მოსახლეობა ანუ ყველა ის, ვინც არ მონაწილეობს სოფლის დაცვაში, სჯობს შინ დარჩეს, რათა ჩაბნელებულ ორღობეებში ზედმეტი მოძრაობით შეცდომაში არ შეიყვანოს სოფლის დამცველები.

არ არის გამორიცხული, რომ სიტუაციის უფრო გამწვავების პარალელურად, გახშირდეს უეცარი თავდასხმები ქართულ სოფლებზე მძევლების გატაცების მიზნით, ამიტომ სოფლის განაპირას, მინდორში ან ბაღში სამუშაოდ გასულ გლეხებს შეიარაღებული დაცვა დასჭირდებათ.

არ იქნებოდა ურიგო, გამგებლებს სოფლის შუაგულში ან რამდენიმე კუთხეში დაეყენებინათ სპეციალური საყვირები ან ხმამაღლამოლაპარაკეები, რომლებითაც მოსახლეობას დაუყოვნებლივ აუწყებდნენ თავდასხმის დაწყებას.

სოფლის იმ ადგილებში, საიდანაც ყველაზე მეტად არის მოსალოდნელი მოწინააღმდეგის უეცარი თავდასხმა, სასურველი იქნებოდა სავალი გზის დროებით გადათხრა და მავთულხლართის მოწყობა, რომელიც აშკარად დროს დააკარგვინებდა მომხდურს.

გასათვალისწინებელია კიდევ ერთი გარემოება — მომხდური სანამ თავდასხმის ოპერაციას დაიწყებს, მანამდე დღისით, ჩასაფრებული დამცველი ბინოკლით რამდენიმე საათი სოფლის ყველა კუთხეს აკვირდება და სულ მცირე ცვლილებასაც კი აფიქსირებს. სოფლის მცხოვრებლებს მოუწევთ ყოველივე ამის გათვალისწინება (მაგალითად, როდესაც გამთენიისას სოფ. ვანათის სკოლაში დაბანაკებულ ქართველ სამხედროთა ჯგუფს ალყა შემოარტყეს, მანამდე ცხინვალის შსს-ს სპეცრაზმის მებრძოლები ოსური სოფლის, დმენისის თავზე მდგარი ძველი ციხესიმაგრიდან რამდენიმე დღე აკვირდებოდნენ, თუ რა განრიგი ჰქონდათ ან როგორ მოქმედებდნენ ვანათის სკოლის ახალი მობინადრენი).

პატარა ლიახვის ხეობის ქართული სოფლების მცხოვრებლებს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნიუანსი აქვთ გასათვალისწინებელი — მათ სოფლებში ბევრი შერეული ან ოსური ოჯახია. ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ამ ოჯახების წევრები მაინცდამაინც კოკოითის ხელისუფლების მომხრენი არიან, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ თითქმის ყველა ინფორმაციას ქართულ სამხედრო დანაყოფებზე ცხინვალში დროულად იგებენ.

ურიგო არ იქნებოდა, ყოველივე ზემოთქმულს თუ გაითვალისწინებს როგორც დიდი, ისე პატარა ლიახვის ხეობების ქართული სოფლების (თამარაშენი, ხეითი, ქურთა, აჩაბეთი, კეხვი, ქემერტი, ფრისი, არგვიცი, ერედვი, ვანათი და სხვა) მშვიდობიანი მოსახლეობა, რადგან 12 წლის წინანდელი შეცდომების გამეორება დამღუპველი იქნება.

ᲮᲕᲐᲚ ᲘᲧᲝ ᲝᲛᲘ?!

(დასაწყისი იხ. გვ. 5)

ხელისუფლების არაშორსმჭვრეტელობა და გზების მნიშვნელობა

„სიურპრიზების“ მოწყობა რუსებისა და ოსებისთვის ერთი მხრივ, კარგია, მაგრამ ხანდახან მაინც ხომ უნდა ვცადონ იმის გაანგარიშება, რა შეიძლება მოჰყვეს ამ „სიურპრიზებს“.

ამას შედეგად კი „მცირე მიწასთან“ დამაკავშირებელი მეორე და მეტად მნიშვნელოვანი გზის დაკარგვა მოჰყვა. „მცირე მიწაში“ დიდი ლიახვის ხეობის ცხრა ქართული სოფელი იგულისხმება. მათთან დამაკავშირებელი, ცხინვალზე გამავალი ცენტრალური გზა, როგორც მოსალოდნელი იყო, სიტუაციის გამწვავებისთანავე ოსურმა მხარემ ჩაკეტა.

მაგრამ ჩვენ გვრჩებოდა შემოვლითი — ერედვი-ხეითის გზა, რომლითაც ამ სტატიის ავტორსაც უსარგებლია ომის დროს. იგი თამარაშენი-კეხვისთვის სიცოცხლის გზა გახლდათ.

რაკეტების პარტიის დაკავებისთანავე ოსურმა და რუსულმა მხარეებმა გადაკეტეს ერედვი-ხეითის გზა და დიდი ლიახვის ხეობის ქართული სოფლები მძიმე მდგომარეობაში ჩააგდეს, რადგან ეს სოფლები ისევე ყელში ეჩხირებათ ოსებს, როგორც აფხაზებს — კოდორის ხეობა.

სავარაუდოა, რომ დღე-დღეზე მათ ორივე მხრიდან — როგორც ცხინვალიდან, ისე ჯავიდან — შეუტიონ ამ ცხრა ქართულ სოფელს, იქაურთა ოპერატიული დახმარება კი უგზოობის გამო ძალიან გაჭირდება. შველმფრენების გამოყენებას აძნელებს რთული რელიეფი და ოსური პოზიციების სიახლოვე, რადგან დიდი ლიახვის ხეობაში დაშვებისას ქართული შველმფრენები საზენიტო „სტრელების“, „იგლებისა“ და ЗУ-23-2-ების სამიზნე შეიძლება გახდნენ.

ოსური მხარე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს გზებს. არაერთხელ გვითქვამს როკის გვირაბის სტრატეგიულ მნიშვნელობაზე — ამ გზის წყალობით გაჭირდება ამ ომში გამარჯვება, რადგან იქიდან დაუბრკოლებლად შემოვა კოკოითის შეიარაღებული დანაყოფებისთვის სახარჯო მასალა — ვაზნები, ჭურვები და ნალმსატყორცნი ნალმები.

კეხვი-თამარაშენის ქართულ მონაკვეთს ხელი რომ არ შეეშალა, ოსებმა ჯერ კიდევ წინა ომის დროს გაიყვანეს შემოვლითი გზა ძარიდან ცხინვალამდე.

უფრო მეტიც, მათ ვანათში დატყვევებული ქართველი სამხედროები სპეციალურად გაკეთებული გზით ჯოჯიანიდან ბუზაღაში (ჯავის ქვემოთ) გადაიყვანეს და იქიდან ძარის გავლით ცხინვალში ჩაიყვანეს.

გამოდის, რომ ოსური მხარე უფრო რეალურად და სწრაფად აფასებს გზების მნიშვნელობას(!). საბრძოლო მოქმედებების დაწყების შემთხვევაში მათ ამავე გზების გამოყენებით შეეძლებათ დამხმარე ძალების გადასროლა პატარა ლიახვის ხეობის თავში, ვანათთან და ოსური დმენისის დახმარება.

ასევე გასათვალისწინებელია დმენისი-ვანათის მონაკვეთიდან წრუსკენ მიმავალი კიდევ ერთი სპეციალურად გაკეთებული გზა, რომელიც სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ზონკალის წყალსაცავის გაკონტროლების საშუალებას იძლევა.

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ სანამ პრეზიდენტი სააკაშვილი საზღვარგარეთ ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა, მისმა ძალოვანმა გუნდმა, მაინცდამაინც კარგად ვერ გაართვა თავი ქვეყნის ერთ-ერთ ცხელ რეგიონში შექმნილ ექსტრემალურ სიტუაციას.

რუსი „სამშვიდობოების“ ეშმაკობანი

ცხინვალის რეგიონში სიტუაციის დაძაბვისთანავე, სოკოებივით დაიწყო რუსი „ცისფერჩაფხუტიანების“ ახალ-ახალი საგუშაგოების „აღმოცენება“.

ვანათის ინციდენტის შემდეგ, ამ სოფლისკენ მიმავალ გზაზე ახალი რუსული საგუშაგო გაჩნდა ორი ქვეითთა საბრძოლო მანქანით. ერედვი-ხეითის გზაზე რუსული დროშის გამოჩენა და იქ ახალი საგუშაგოს შექმნაც დაფიქსირებულია, ხოლო ტყვიავიდან ერგნეთისკენ მიმავალ ცენტრალურ გზაზე, სოფელ მეღვრეკისთან, პატარა ხიდზე, გზა ნახევრად გადაკეტილი აქვს კიდევ ერთი რუსული საგუშაგოს ჯავშანმანქანას.

ერთი შეხედვით, რუსი „ცისფერჩაფხუტიანები“ ამას სიტუაციის არასტაბილურობით ამართლებენ, მაგრამ თუკი ჩავუკვირდებით, სულ სხვას დავასკვნით.

რუსული საგუშაგო ვანათის შესასვლელთან როდი დგას, იგი აქედან ერედვის მიმართულებით, უფრო ქვემოთ, რამდენიმე ასეულ მეტრშია, ისე რომ, ოსური დმენისიდან ვანათში გადასასვლელ ხიდს ეს რუსული საგუშაგო ვერ აკონტროლებს; არადა ვანათის სკოლაზე ამასწინანდელი თავდასხმის ერთ-ერთი მიმართულება სწორედ ამ ხიდიდან იწყებოდა. ამგვარად, ქართულმა მხარემ კიდევაც რომ მოინდომოს ვანათის მოსახლეობის დახმარება, გაუჭირდება, რადგან წინ რუსული საგუშაგო გადაეღობება.

ერედვი-ხეითის შემოვლითი გზის გადაკეტვის მიზანზე უკვე ვილაპარაკეთ, ხოლო თუ ამის აუცილებლობა დადგება, მეღვრეკისთან მდგარი რუსული ჯავშანმანქანები ერგნეთისკენ და ცხინვალისკენ არ გაუშვებენ ქართველ სამხედროებს.

აკი, 8 ივლისის ღამეს სწორედ მეღვრეკისთან გადაუდგნენ წინ და უკან დააბრუნეს შინაგანი ჯარების ათიოდე სატვირთო მანქანა, რომელთა შესახებ რუსებმა და ოსებმა წინასწარ იცოდნენ, რადგან ამ კოლონის ტყვიავის საგუშაგოსთან გავლისას ერთ-ერთი პოპულარული ქართული ტელეკომპანია პირდაპირ ეთერში დიდი გულმოდგინებით თვლიდა თითოეულ ქართულ მანქანასა და მასში მსხდომ მებრძოლებს(?!).

და მანამდე ვერავინ მიხვდა შეცდომას, სანამ სახელმწიფო მინისტრმა არ ატეხა ყვირილი — კამერები გამორთეთ, ცირკი ხომ არ არისო (!).

ქართული მასმედია – ვინ უფრო მეტს შეატყობინებს მოწინააღმდეგეს?!

ჟურნალისტებს კოლეგების შეცდომებზე ლაპარაკი ყოველთვის უჭირთ, გამონაკლისი არც ჩვენ ვართ, მაგრამ სენსაციისა თუ ერთმანეთის ჯიბრის გამო სულაც არ გვინდა ჩვენი ქვეყნის არაკეთილმოსურნეების კიდევ ერთ და უტყუარ ინფორმატორად ვიქცეთ.

„კვირის პალიტრას“ საკმაო ინფორმაცია გააჩნია, თუ რა ხდება და როგორც შეიძლება განვითარდეს მოვლენები, მაგრამ მათი განცხადებების შედეგად შეიძლება გარკვეული პრობლემები შეექმნას ქართველი სამხედროების მიერ დაგეგმილ ამა თუ იმ ოპერაციას, რასაც ჯარისკაცთა და ოფიცერთა გაზრდილი მსხვერპლი მოჰყვება...

ამიტომაც ქართულ მასმედიას, განსაკუთრებით კი ტელევიზიებს, რომლებიც გაზეთებთან შედარებით ბევრად უფრო ოპერატიულები არიან, მოუწევთ აწონ-დაწონა, რამდენად სასარგებლო იქნება ამა თუ იმ ინფორმაციის „გასროლა“ პირდაპირ ეთერში.

როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები?

ჯერჯერობით, ყველაფერს ისეთი პირი უჭირავს, რომ საბრძოლო მოქმედებების დაწყება გარდაუვალია, თუნდაც იმიტომ, რომ კიდევ ერთ ქართულ სოფელზე თავდასხმის შემდეგ ოფიციალური თბილისი თავისი მოსახლეობის წინაშე ვალდებული იქნება, გადადგას გადამწყვეტი ნაბიჯი და არ დაემსგავსოს შევარდნაძის უნიათო მთავრობას.

იქიდან გამომდინარე, რომ ოსურმა და რუსულმა მხარეებმა გადაკეტეს ერედვი-ხეითის შემოვლითი გზა და დიდი ლიახვის ხეობის ქართული სოფლები ერთგვარ ბლოკადაში მოექცა, უფრო უნდა ველოდოთ ოსური მხარის თავდასხმას თამარაშენის მიმართულებით; ამ შემთხვევაში რუსი „ცისფერჩაფხუტიანების“ საგუშაგოები ეცდებიან, ქართული მოსახლეობის დასახმარებლად წასული ქართველი სამხედროები არ მიუშვან საბრძოლო მოქმედებების ადგილამდე.

მუსირებს კიდევ ერთი ვერსია იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები უახლოეს დღეებში. ამ ვერსიის თანახმად, უკვე მიღწეულია ერთგვარი საიდუმლო შეთანხმება თეთრ სახლსა და კრემლს შორის, რომლის თანახმადაც რუსეთი წააქეზებს კოკოითს ქართულ სოფლებზე თავდასასხმელად. ამის შემდეგ დასავლეთისგან და პირველ რიგში აშშ-ისგან მხარდაჭერილი ოფიციალური თბილისი ცხინვალს ღია აგრესიაში დაადანაშაულებს და დაიწყებს ფართომასშტაბიან კონტრიერიშს. რუსეთის სამხედრო ძალები კი კრემლსა და თეთრი სახლის საიდუმლო მოლაპარაკების თანახმად აღარ გაუწევენ სამხედრო მხარდაჭერას განწირულ კოკოითს...

ეს საინტერესო ვერსიაა, მაგრამ არ არის გამორიცხული ისიც, რომ მოსკოვმა იმუხთლოს, რაც მას არაერთხელ გაუკეთებია...

ასეთ დროს ოფიციალურ თბილისს უთუოდ მოუწევს გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმა, სხვა გამოსავალი, უბრალოდ, აღარ დარჩება.

P.S. საქართველოს უშიშროების მინისტრი აცხადებს, რომ მას გარკვეული შეკითხვები გაუჩნდა ვანათში ტყვედ ჩაბარებული დანაყოფის მეთაურის, კაპიტან მიხეილ სურმავას მიმართ.

მანამდე კი ერთ-ერთ რუსულ ინტერნეტგვერდზე გავრცელდა ინფორმაცია ცხინვალიდან, თითქოს ოსებმა ტყვედ ჩაიგდეს საქართველოს შინაგანი ჯარების სარდალი, გენერალ-მაიორი გოგი თათუხაშვილი. ინტენსიურ დაკითხვას აწარმოებენ და მისგან სენსაციური ინფორმაციის შეტყობას გეგმავენ. ეს ყველაფერი საინტერესო იქნებოდა, რომ არა, ერთი ნიუანსი — ზუსტად იმ პერიოდში, როდესაც თითქოსდა ცხინვალელი პროკურორი ქართველ გენერალს „ამუშავებდა“, ამ სტატიის ავტორმა თათუხაშვილი შინაგანი ჯარების შტაბში თავად ნახა.

P.P.S. 11 ივლისს დილაუთენია კოკოითმა ცხინვალში საგანგებო სიტუაცია შემოიღო და საერთო მობილიზაცია გამოაცხადა. ამავე დროს, თითქმის ნახევარი საათის განმავლობაში მიმდინარეობდა ინტენსიური სროლები თამარაშენი-ცხინვალის მიჯნაზე.

ᲜᲐᲚᲛᲣᲠᲘ ᲝᲛᲘᲡ ᲡᲐᲨᲘᲨᲠᲝᲔᲑᲐ

შეტაკებების დაწყების შემთხვევაში ოსური მხარე ნაღმებს ფართოდ გამოიყენებს

ნალმურ ომში ყველაზე მეტად მშვიდობიანი მოსახლეობა ზარალდება

საერთოდ, საინჟინრო ნაღმების გამოყენების ტაქტიკას უფრო ის მხარე მიმართავს, რომელიც თავს იცავს. ჯერჯერობით, შეტევით სპეცოპერაციებს კოკოითის ხელისუფლება აწარმოებს ქართულ სოფლებზე — ფრისზე, არგვიცზე, ერედვსა და ვანათზე. მოსალოდნელია ანალოგიური შეტევა დიდი ლიახვის ხეობის ცხრა ქართულ სოფელზეც. ამიტომაც ლოგიკური იქნება, თუ ქართული სოფლების დასაცავად გადამღობ ნაღმურ ველებს ქართული მხარე გამოიყენებდა.

ცხინვალის წინა ომში ნაღმებს ოსური მხარე უფრო ხშირად იყენებდა, შეიძლება იმიტომაც, რომ რუსეთმა სეპარატისტებს გადასცა ცხინვალში მდგარი საინჟინრო პოლკის მთელი ავლადიდება — ათასობით სხვადასხვა კლასისა და ტიპის ნაღმი.

იქიდან დღესაც ბევრი დარჩა და ადვილი შესაძლებელია, სეპარატისტებმა მათი ინტენსიური გამოყენება დაიწყონ.

ამ მხრივ ჩვენთვის ყველაზე საშიში იქნებოდა პატარა და დიდი ლიახვის ხეობების ქართული სოფლების შემაერთებელი ახალდაღდგენილი ერედვი-ხეითის გზის დანაღმვა, მაგრამ, სამწუხაროდ, ბოლო მოვლენების შემდეგ ამ გზაზე კონტროლი ოსურმა და რუსულმა მხარეებმა აიღეს ხელში.

მაინც რა სახისა და ტიპის ნაღმების გამოჩენას უნდა ელოდონ ქართველი სამხედროები ცხინვალის მისადგომებთან?

საეჭვოა დასავლური წარმოების ნაღმების გამოყენება, რაც, ერთი მხრივ, გაუადვილებს ქართველ გამნაღმველებს საქმიანობას, რადგან საბჭოთა წარმოების ნაღმები არაერთგზის გაუვნებლებიათ როგორც ცხინვალის პირველი ომის დროს, ისე აფხაზეთში.

ოსურ მხარეს აქვს ტანკსაწინააღმდეგო ნაღმების ძირითადად ორი ტიპი — ТМ-57 და ТМ-62. თითოეული მათგანი 9-10 კგ-ს იწონის და მათში 6,5-8 კგ მასის ასაფეთქებელი ნივთიერებაა მოთავსებული. მართალია, ეს ტანკსაწინააღმდეგო ნაღმები ადამიანის ფეხის დაბიჯებაზე არ ფეთქდება, მაგრამ მოტოროლერის გადასვლა უკვე საშიშია, რომ აღარაფერი ვთქვათ ავტომობილზე (სწორედ ოსების მიერ ზემო ნიქოზთან ჩადებულ ნაღმს შეეწირნენ გასულ ომში საბარგო მოტოროლერით ყანაში მიმავალი ქართველები).

სეპარატისტებს რუსი სამხედრო ინსტრუქტორები წვრთნიან და მოსალოდნელია, რომ ისინი ნაღმურ ველებს საბჭოთა სამხედრო წესებით მოაწყობენ. თუმცა არაა გამორიცხული, ჩეჩნეთის ომის გამოცდილებაც გამოიყენონ და ნაღმური ველები ან გზების დანაღმვა „სიურპრიზებით“ დაიწყონ.

ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმებს სეპარატისტები, სავარაუდოდ, ჩააწყობენ იმ ბილიკებზე, რომლებითაც, ერედვი-ხეითის აღდგენილი გზის ჩაკეტვის შემდეგ, ფაქტობრივად ბლოკადაში მოქცეული დიდი ლიახვის ხეობის ქართული სოფლების დახმარებას ეცდებიან ქართველი სამხედროები.

ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმებიდან, რომლებიც სეპარატისტთა შეიარაღებაშია, აღსანიშნავია ფუგასური მოქმედების ПМН, ПМН-2, მსხვრევადი ОЗМ-72 და მიმართული მოქმედების МОН-50.

პლასტმასის კორპუსიანი ПМН და, განსაკუთრებით ПМН-2 ნაღმმძებნით ძნელი საპოვნელია, რადგან მცირე რაოდენობით აქვს მეტალის დეტალები. ПМН-2 400 გ-ს იწონის, საიდანაც 100 გ ასაფეთქებელი ნივთიერებაა. ნაღმი მიწაში 3,5-4 სმ-ის სიღრმის ორმოში იდება და ინიღბება (შეიძლება მისი საერთოდ მიწის ზემოთ დადება და ბალახით შენიღბვა). იგი ფეხის დადგმისთანავე ფეთქდება.

ОЗМ-72 ტიპის ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმი შედგება მიმმართველი ჭიქის, კორპუსის, გამომგდები მუხტისა და დამრტყმელი მექანიზმისგან. ეს ნაღმი მიწის ზედაპირთან ახლოს დგება და მასზე გამობმულია რამდენიმე წვრილი მავთული. მავთულზე ფეხის გამოდებისთანავე ის დაიჭიმება, ამფეთქი ინიცირებას განიცდის და ნაღმს მიწის ზედაპირიდან 60-90 სმ-ის სიმაღლეზე ამოისვრის, ამ დროს ხდება ნაღმის აფეთქება. დაზიანების წრიული რადიუსი — 25 მ-ს უტოლდება.

განსაკუთრებული დანიშნულების ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმი МОН-50 მიმართული მოქმედებისაა. მას აყენებენ ადამიანის სხეულის სიმაღლეზე, მისი აფეთქების შედეგად, 50 მ-ის სიშორეზე უდიდესი სიჩქარით გამოიტყორცნება 485 გამზადებული რკინის პატარა ბურთულა, რომლებიც სასიკვდილოდ აზიანებენ ცოცხალ არსებას. МОН-50 2 კგ-ს იწონის და მასში 700 გ ასაფეთქებელი ნივთიერებაა მოთავსებული.

ბუნებრივია, არ არის გამორიცხული, მოწინააღმდეგემ სხვა ტიპის, უფრო თანამედროვე რუსული ნაღმებიც გამოიყენოს. ყოველ შემთხვევაში, ქართულ სამხედრო დანაყოფებს ისევე, როგორც მშვიდობიან მოსახლეობას, დიდი სიფრთხილე და გულისყური სჭირდება, რადგან ცხინვალის პირველი ომის გამოცდილება გვკარნახობს — ცხინვალის რეგიონში საბრძოლო მოქმედებების დაწყების შემთხვევაში ნაღმური ომი გარდაუვალი გახდება.

რუბრიკა მოამზადა
ირაკლი ალადაშვილმა

როგორ „გააჩალიჩა„ იური ლუჟკოვმა მიწის ნაკვეთი ბათუმში?!

მოსკოვის მერის კორპუსის მშენებლობა შეჩერდა...

ვისი სახლები მოჩანს ასლან აბაშიძის აშენებული „სავაჭრო ცენტრის“ თავზე...

დელფინარიუმის აუზში ლეღვი ამოსულა...

ფოტოაპარატი მოვიმარჯვე. მართლაც დრონი მეფობენ, რამდენიმე თვის წინ ვინ გადაგაღებინებდა აქ ფოტოს? სახლების სახურავებზე სნაიპერები მორიგეობდნენ ხოლმე და... ახლა იმ ბინაში აღარავინ ცხოვრობს. ნეტავ რომელ ბედნიერს ერგება? ალბათ ისევ ვინმე დიდი კაცი დაისაკუთრებს. უბრალო კაცი რას შესწვდება! ამბობენ, რომ ამ ბინის რემონტი ნახევარი მილიონი დაჯდა. ეს ისე, სიტყვას მოჰყვა...

მცელავებს გამოვემშვიდობე და სავაჭრო ცენტრისკენ გავემართე. თაღებით და უზარმაზარი ვიტრაჟებით დამშვენებული ბათუმური სავაჭრო ცენტრისთვის არც მარმარილოს ფილები დაუკლიათ და არც გრანიტი, მაგრამ სამწუხაროდ, ამას ზღვისპირა პარკის აშენების იდეა შეეწირა. იქვე ახლოს შუქურა იდგა. მისკენ გავემართე. მომცრო შენობის კარი ღია დამიხვდა. უკითხავად შევედი. შენობაში შუქურის მორიგე, სამხედრო-საზღვაო აკადემიის კურსანტი **გურამ ცეცხლაძე** დამხვდა. მან შუქურაზე ასვლის ნებართვა მომცა — მეტიც, თვითონვე მიმეგზურა. ვიწრო, დახვეულ კიბეზე ავედით. გურამი მიხსნის: — ეს შუქურა 24 მეტრი სიმაღლისაა. ლაზერული მოწყობილობაა დამონტაჟებული და მისი შუქის დანახვა 1000 კილომეტრზეც შეიძლება ზღვიდან.

— 1000 კილომეტრი რა ამბავია, ხომ არ მატყუებ?

— ეს ცუდ ამინდში, თორემ გემიდან სპეციალური მოწყობილობით მისი შუქის შემჩნევა უფრო შორიდანაა შესაძლებელი, თუმცა 1000 კილომეტრზე მეტი საჭირო არც არის.

შუქურიდან ხელისგულივით მოჩანდა სავაჭრო ცენტრი. რამდენიმე კადრი გადავიღე და კიბეზე ძლივს ჩამოვბობღდი. ერთ-ერთი გამვლელი შევაჩერე და მოსკოვის მერის, ლუჟკოვის სახლის ადგილმდებარეობა ვკითხე. ახალგაზრდამ, რომელიც ბათუმელი **ნუგზარ ბოლქვაძე** აღმოჩნდა, თავისი ავტომანქანის კარი გამოაღო და ლუჟკოვის სახლთან მიყვანა შემომთავაზა. ბულვარს გავცდით თუ არა, პლაჟთან ახლოს, უზარმაზარი მშენებარე საცხოვრებელი კორპუსები დავინახე. „ეს არის ლუჟკოვისა და ასლანის საცხოვრებელი კომპლექსი. როგორც ვიცი, ეზოში დაცვაა და არა მგონია, ვინმემ შეგიშვას“, — მითხრა ნუგზარ ბოლქვაძემ. ხის ღობისთვის ერთგან კიბე მიედგათ. ამით ვისარგებლე და სანამ ვინმე თვალს მომკრავდა, ფოტოაპარატი ავაჩხაკუნე. ფიცრულში დასაცხუელი მუშები ისვენებდნენ და მათ ვთხოვე მშენებლობის ხელმძღვანელებთან შეხვედრა. პასუხად მივიღე: — მშენებლობა შეჩერებულია. უფროსების ნახვა თუ გინდა, „ლიბერტი-ბანკის“ გვერდზე რომ შენობაა, იქ იკითხე მოსკოვური სამშენებლო ფირმა „კონტის“ ოფისი და მიგასწავლიან“.

— მართლა ლუჟკოვისაა ეს კორპუსები?

— ლუჟკოვის და კიდევ მოსკოველი ბოლებისა. წადი ოფისში და მათგან გაიგებ ყველაფერს...

იმ დღეს ბათუმში ადგილობრივი არქიტექტორების ნამუშევართა გამოფენაც იმართებოდა. მათთანაც მქონდა შეხვედრა დაგეგმილი. რაკი დათქმული დრო ახლოვდებოდა, ფირმა „კონტის“ ოფისში მისვლა გადავდე და შეხვედრაზე წავედი. საგამოფენო დარბაზში აჭარის არქიტექტორთა კავშირის თავმჯდომარე **გია ბალუშვილი** შემომეგება და პირდაპირ საქმეზე გადავიდა: „ასლან აბაშიძემ ბევრი კარგი რამ გააკეთა ბათუმისათვის. მაგალითად, ქალაქის დარბაზი აშენდებოდა, პარკში არხებით ზღვის წყალი შემოვიდოდა, გაკეთდებოდა ტერასები და მიწისქვეშა აკვარიუმი...“

აჭარის მშენებლობისა და ურბანიზაციის სამმართველოს უფროსი **გია რამიშვილი:** „თუ აბაშიძის კაცი არ იყავი, ისე პროექტს არავინ გაგაკეთებინებდა და არც მშენებლობის უფლებას მოგცემდნენ. თვითონ იყო არქიტექტორიც და მშენებელიც. არაფერს ვიგონებ, ყველაფერი მართლა ასე იყო. პროექტსაც თვითონ ამტკიცებდა და მშენებლობის ნებართვასაც ის იძლეოდა. სავაჭრო ცენტრს რომ სამი კორპუსი დააშენა, ორი სარფიანად გაყიდა. როგორც ამბობენ, ერთი ცნობილ ქართველ ფეხბურთელს, კახა კალაძეს მიჰყიდა, მეორე სახლი კი ბათუმელი ჯულია ხოფერიას კუთვნილებაა. ხოფერია მოსკოვშია გათხოვილი. მისი ქმარი მოსკოვის კლინიკური საავადმყოფოს დირექტორი მირონოვია. მესამე სახლი თვითონ დაიტოვა. მეტიც, აჭარაში მცხოვრებ ყველა არქიტექტორს და მშენებელსაც აბაშიძე და მისი კლანი უსასყიდლოდ ამუშავებდნენ. მშენებლებს კი უხდიდნენ ცოტაოდენს, ასე, სამუშაოს მესამედის საზღაურს. პრეტენზიას თუ გამოთქვამდი, ბათუმში აღარ დაგედგომებოდა. აბაშიძე სულ იმას გაიძახოდა, ფული არ მაქვსო. ახლა კი აღმოჩნდა, რომ აბაშიძის ფონდში სამ მილიონ დოლარზე მეტი იყო. „აღორძინების“ ანგარიშზე კი 17 მილიონი დოლარი ირიცხებოდა“.

რესპონდენტებთან საუბარში დამიღამდა. სასტუმრო „მერკურიში“ დავბინავდი. დაძინების წინ სასტუმროს მეპატრონესთან, **თენგიზ მათიაშვილთან** საუბარს შევყევი: „ეს სასტუმრო ჩემი ხარჯით ავაგე. ყოველდღე ველოდი, როდის დამიბარებდნენ და მეტყოდნენ, სასტუმრო დღეიდან შენი არ არის, ჩვენ გვჭირდებაო. ასე დაისაკუთრეს რამდენიმე სასტუმრო, თუმცა ახლა ძველმა მეპატრონეებმა კუთვნილი ქონება დაიბრუნეს“...

დილით ფირმა „კონტის“ ოფისს მივაშურე. ოფისის დაცვამ უარით გამომისტუმრა, უფროსები არ არიანო. იმავე შენობაში ბათუმის მიწის მართვის სამმართველო იყო და იქ შევედი. სამწუხაროდ, მიწის მართვის სამმართველოს ახალი ხელმძღვანელობა ჯერ არ ჰყავს და მხოლოდ სამმართველოს იურისტს, **კახა თავდგირიძეს** გავესაუბრე:

— ბატონო კახა, რის საფუძველზე გამოუცო მიწის ნაკვეთი მოსკოვურ სამშენებლო ორგანიზაცია „კონტის“ ბათუმის მიწის მართვის სამმართველომ?

— 2003 წლის 20 მაისის, ბათუმის მერის, გიორგი აბაშიძის დადგენილებით გადაწყდა 8.700 კვმეტრი მიწის გაცემა იჯარით, ოღონდ მიწაზე აღნაგობის უფლებით. შემდეგ იმავე წლის 30 აპრილს მიწის მართვის განკარგვის კომისიამ კონკურსში გამარჯვებულად ცნო „სტროიმონტაჟ-ბათუმი“. „სტროიმონტაჟ-ბათუმსა“ და ბათუმის მერიას შორის 2 ივლისს გაფორმდა საიჯარო ხელშეკრულება მიწის ნაკვეთის გადაცემის თაობაზე.

— კი, მაგრამ მოსკოვური ფირმა „კონტი“ რა შუაშია?

— როგორც ვიცი, „სტროიმონტაჟ-ბათუმმა“ მშენებლად „კონტი“ მოიწვია, თუმცა მათი ოფისი აქვეა და ახლავე ვინმეს მოვიყვან...

მართლაც, რამდენიმე წუთში კახა თავდგირიძემ „კონტის“ წარმომადგენელი ირაკლი ბოლქვაძე მოიყვანა. **ირაკლი ბოლქვაძე:** „სტროიმონტაჟ-ბათუმი“ მოსკოვური ჰოლდინგის, „კონტის“ ფილიალია ბათუმში. „კონტი“ სამშენებლო ფირმაა, რომელიც 33 ქვეყანაში საქმიანობს და თანამედროვე კომფორტულ საცხოვრებელ კორპუსებს აშენებს. „სტროიმონტაჟ-ბათუმმა“ ჩვენი დავალებით სამი წლის იჯარით აიღო მიწის ნაკვეთი და ახლა იქ ცხრასართულიან, 104-ბინიან საცხოვრებელ კომპლექსს ვაშენებთ. ყოველ კვადრატულ მეტრში საიჯარო გადასახადს, 4,5 ლარს ვიხდიდით.

— „კონტის“ ერთ-ერთი მესაკუთრე იური ლუჟკოვი ყოფილა.

— მესაკუთრე ლუჟკოვი კი არა, ტემირ ბულატოვია. სხვათა შორის, „კონტი“ თბილისშიც აშენებს საცხოვრებელ კორპუსს.

— მაშ, რატომ უკავშირდება ეს მშენებლობა ლუჟკოვის სახელს?

— როდესაც აჭარის მთავრობასა და მოსკოვს შორის ურთიერთხელსაყრელი საქმიანობისა და თანამშრომლობის შესახებ მემორანდუმი გაფორმდა, ლუჟკოვმაც მოაწერა მას ხელი.

ლუჟკოვმა, როგორც მოსკოვის მერმა, მხარი დაუჭირა „კონტის“. ამით ამოიწურა ლუჟკოვის მონაწილეობა ამ საქმეში...

ჩემთვის საინტერესო საკითხზე დამატებითი ინფორმაციის მისაღებად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ახალდანიშნულ სამხარეო პროკურორს, **გიორგი პაპუაშვილს** ვესტუმრე, ახალი თანამდებობა მივულოცე და ვკითხე:

— როგორ შეეგუეთ ახალ თანამდებობას?

— შეგუების დრო რომ მქონდეს, რა მიჭირს, აკლიმატიზაციის გარეშე დავიწყე მუშაობა. პროკურატურა ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ დანაშაულებრივი გზით მითვისებული მავანთა ქონება ხალხს დაუბრუნდეს. ჯერ კიდევ არ დაგვიმთავრებია ასლან აბაშიძის კუთვნილი უძრავი ქონების მოძიება და აღრიცხვა.

(გაგრძელება იხ. გვ. 27)

ასეთი პლაჟებით გვინდა მოვიზიდოთ ტურისტები?

ბათუმი. 2004 წ. 9 ივლისი

თუ ბულვართან მდებარე პლაჟი, ასე თუ ისე, გასუფთავებულია, ამას ვერ ვიტყვით ბათუმის პლაჟის სხვა ნაწილზე. ხშირად დაინახავთ ნაგვის გროვებს, რომელთა გასატანად თავს არავინ იწუხებს. ვიცი, აჭარის ახალ ხელისუფლებას რევოლუციის შემდეგ უამრავი რამ აქვს მოსაგვარებელი. მაგრამ საკითხავია, კანალიზაციის არხის ჩაკეტვას, პლაჟის ნაგვისგან გაწმენდა-დასუფთავებას ისეთი რა ევროპული განათლება, დრო და თანხები სჭირდება.

გვისმენენ თუ არა?

„დარწმუნდებით, რომ სუფთად ვმუშაობთ“

უკანასკნელ ხანს „კვირის პალიტრაში“ მკითხველის ზარი გახშირდა, „ჯეოსელის“ აბონენტები სატელეფონო მომსახურებაში არსებულ ხარვეზებს უჩივიან. ვითარების გასარკვევად ერთერთი წერილის ავტორს, თამარ კვარაცხელიას გავესაუბრეთ. მისი თქმით, ბოლო დროს მას ტელეფონით სარგებლობისას პრობლემები ექმნება. „განსაკუთრებით ძნელია რაიონთან დაკავშირება, — გვითხრა თამარ კვარაცხელიამ, — საღამოს ეს, ფაქტობრივად, შეუძლებელია. დღისით კი უნდა იწვალო, რომ სასურველ ნომერზე დარეკო. ხშირად მობილურზე დარეკვაც ჭირს. ერთი და იგივე ნომერი რამდენჯერმე უნდა აკრიფო, რომ ვინმეს დაელაპარაკო“.

დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად ჩვენ „ჯეოსელის“ ოფისს მივმართეთ. „კვირის პალიტრასთან“ საუბრისას „ჯეოსელის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების მენეჯერი მანანა დულარიძე აცხადებს, რომ ხარვეზები „ჯეოსელის“ მიზეზით არ არის გამოწვეული. რაიონებთან სატელეფონო კავშირები იმიტომ ჭირს, რომ ხშირად რაიონის სატელეფონო სადგურებში შუქი არ არის და ხაზი გადატვირთულია. ამიტომ რაიონთან დაკავშირება ნებისმიერ სატელეფონო კომპანიას გაუჭირდება.

მობილური ტელეფონით სხვა მობილურთან დაკავშირების შეფერხება კი, მანანა დულარიძის თქმით, ნებისმიერი ოპერატორისთვის ჩვეულებრივი ამბავია. ზაფხულია და თბილისიდან რაიონებსა და სოფლებში გასული ხალხი ყოველდღიურად უკავშირდება თბილისში დარჩენილ ახლობლებს და პირიქით. რის გამოც (განსაკუთრებით პიკის საათებში) სატელეფონო ქსელი გადატვირთულია. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ბოლო თვეების მანძილზე სავარაუდოზე მეტად გაიზარდა აბონენტთა რიცხვი — ერთბაშად რამდენიმე ათასი აბონენტი დაგვემატა და ამას სამწუხაროდ, მოუმზადებელი შეეხვდით. ასე რომ, „ჯეოსელის“ ხარვეზებით მუშაობის ერთი მიზეზი ალბათ ესეც არის. უკვე შევიძინეთ საჭირო აპარატურა, რამდენიმე დღეში მას დავამონტაჟებთ და ხარვეზებიც აღმოიფხვრება.

— **თქვენ ზოგიერთი აბონენტის მტკიცებით კი ხარვეზების მიზეზი ტელეფონების მიყურადებაა შესაბამისი სამსახურების მიერ.**

— სისულელეა. ეს იმათი მოგონილია, რომლებსაც მიზეზთა გამო ჩვენი კომპანია გულზე არ ეხატებათ. ჩვენი კომპანიის მობილური სატელეფონო აპარატების მოსასმენი აპარატურა ძალიან ძვირი ღირს.

მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, „ჯეოსელისთვის“ არასოდეს მოუსმენიათ და არ უსმენენ. ხარვეზების მიზეზები კი უკვე აგიხსენით. მეტიც, სპეცსამსახურებს ჩვენგან ფარულად რომც გამოეყენებინათ მობილური ტელეფონების მოსასმენი აპარატურა, პირველად ამას ჩვენ დავაფიქსირებდით. გაითვალისწინეთ, რომ მოსასმენი აპარატურის სხვაგან დამონტაჟება არაფერს იძლევა, იგი მხოლოდ ჩვენს ქსელში უნდა ჩაერთოს და მაშინ აქვს ეფექტი. მობრძანდით ნებისმიერ დროს, ყველაფერს დაგათვალიერებინებთ და დარწმუნდებით, რომ სუფთად ვმუშაობთ. როგორც ჩანს, ვიღაცებს ძალიან სურთ „ჯეოსელს“ ავტორიტეტი შეულახონ მოსახლეობის თვალში. ვხვდები, საიდან იღებს სათავეს ეს განცხადება, მაგრამ მათ დონეზე არ დავეშვები. თვითონ მოსახლეობამ განსაზღვროს, ვინ გვივრცელებს ჭორებს.

დავით დევიძე

გასწორება

თქვენი გაზეთის 5-11 ივლისის №27 ნომერში გამოქვეყნდა ჟურნალისტ ზვიად ჩაკვეტაძის სტატია სათაურით „დედაქალაქში შექმნილია „არქიტექტურული საამიროები“.

ჟურნალისტი მართლაც შემხვდა, გამესაუბრა და საუბარი გამოაქვეყნა ზემოთ აღნიშნულ სტატიაში, მაგრამ ჩემი მონოლოგი ზუსტად არ გადმოსცა. კერძოდ, მე ვთქვი, რომ ამწე დაეცა ჩემი მეზობლის სახლს, და არა ჩემსას, როგორც შესაძლოა მოეჩვენოს მკითხველს, აგრეთვე არ მითქვამს, რომ ქიჩირი ბასილაშვილმა მომატყუა. მე განვაცხადე, რომ ბასილაშვილს ჯერჯერობით ვენდობი, მიუხედავად იმისა, რომ ბინა დღემდე არ მოუცია. ძალიან გთხოვთ, ჩემი ეს შესწორება გამომიქვეყნოთ.

პატივისცემით, ნონა ჭიჭალუა



ოდითგანვე წყლის რესურსებით განთქმული ჩვენი ქვეყანა მალე შესაძლოა დიდი ეკოკატასტროფის წინაშე აღმოჩნდეს, რადგან ბუნებისგან ნაბოძებ სიკეთეს ადამიანთა უგუნურებამ საფუძველი გამოაცალა. ძალიან სამწუხაროა და მოსასმენადაც არასასიამოვნო, რომ მტკვარი, რომელშიც ადრე „ლაჟვარდი ცისა კამარა“ კრთოდა, დღეს კანალიზაციის წყლებით გაჯერებული მოედინება. ეს სულაც არ არის „სხვისი ჭირი“, მისგან გამოწვეული უმძიმესი შედეგები ხომ ყოველი ჩვენგანის ოჯახს შეეხება.

ქალაქის სანიტარული სამსახურის უფროსმა **დავით მესხიშვილმა** ამას წინათ ტელევიზიით განაცხადა, რომ მდინარე ვერესა და ლისის ტბაში ბანაობა ჯანმრთელობისთვის საშიშია. ჩვენ კი აგვიხსნა, რომ წყნეთის მონახულების შემდეგ, მდინარე ვერეს კვლევა თურმე აღარც კი ყოფილა საჭირო, რადგან წყნეთის მოსახლეობა საკანალიზაციო მილებს აზიანებს და ამ წყალს სარწყავად იყენებს(!). ფეკალური მასების ნაწილი მდინარე ვერეში ჩაედინება. სანამ საკანალიზაციო მილები მთლიანად არ აღდგება, მანამდე მდინარე ვერეს წყლის ანალიზის ჩატარებას აზრიც არა აქვს(!).

კანალიზაციის წყლის სარწყავად გამოყენების ფაქტები არც თბილისის მიმდებარე ტერიტორიებზეა იშვიათი. თუმცა მოსახლეობა დაბეჯითებით ამტკიცებს, რომ მათ მიერ გამოყენებული წყალი სუფთაა და ამ წყალში მათი შვილები და შვილიშვილები სიამოვნებით ჭყუმპალაობენ... ხომ გაგიგიათ, „ჭირმა თავი არ დამალაო“ — ხვალ და ზეგ „სუფთა“ წყალმა შესაძლოა ის ბავშვებიც დაავადოს, მისით მორწყულმა ბოსტნეულმა კი ნებისმიერი ჩვენგანი.

ლისის ტბა ისტორიულად ბუნებრივი ნალექებითა და მიწისქვეშა წყლებით იკვებებოდა. მას შემდეგ, რაც მის მიმდებარე ტერიტორიაზე ბევრეთისა და წყნეულეთის მცხოვრებლებმა ნიადაგიდან წყლის ამოტუმბვა დაიწყეს და თვითნებურად დაბურღეს ჭები, ლისის ტბას მუდმივმკვებავი არტერიები გამოეცალა. ამას ძლიერი სიცხეებიც დაერთო. ის არხებიც, საიდანაც ტბაში ბუნებრივი ნალექი უნდა ჩადენილიყო, ამოვსებულია. ყველაფერმა ერთად კი განაპირობა ის, რომ 2001 წლისთვის წყლის დონე 30 სანტიმეტრამდე(?!) დაეცა, ტბის პერიმეტრი (წყლის ფართის ზედაპირი) 70 ჰექტარიდან 10 ჰექტარზე დავიდა. ამან გამოიწვია მინერალიზაციის გაზრდა (მინერალების რაოდენობა ერთ კუბურ მეტრ წყალზე ნორმაზე გაცილებთ მეტი მოდიოდა), რაც ეკოკატასტროფის მიზეზად იქცა. ლისის ტბაში თევზი გაწყდა.

ლისის ტბის კომპლექსის დირექტორმა, **რამაზ ახვლედიანმა** ისიც გვითხრა, რომ...

— ტბა მთლიანად რომ არ დამშრალიყო, ჩავუშვით თერმული წყალი (გოგირდწყალბადის შემცველი წყალი). პარალელურად ვეძებდით ლისის ტბის წყლით კვების ახალ საშუალებებს. ერთ-ერთი გამოსავალი მდინარე მტკვრიდან წყლის გადმოქაჩვა იყო. მაგრამ სანიტარული ზედამხედველობის ინსპექციამ ვერე და მტკვარი ეკოლოგიურად საშინლად დაბინძურებულად გამოაცხადა. ადრე ლისის ტბის ზედა მხარეს არსებობდა მარილიანი ტბა, რომელიც 20-25 წლის წინ დაშრა (მასაც გამოეღია საკვები მიწისქვეშა წყლები), ახლა ამ ადგილს მშრალ ტბას ეძახიან. თუკი მტკვრის წყალს გამოვიყენებდით, განზრახული გვქონდა, მშრალი ტბა გამოგვეყენებინა სალექარად და მერეღა ჩამოსულიყო წყალი ლისის ტბაში. მაგრამ შემდეგ ნუცუბიძის IV პლატოზე გრუნტის წყლები აღმოჩნდა და ის წყალი გადმოვქაჩეთ ლისის ტბაში. მესამე წელია ასე ვავსებთ ტბას, წყლის სიღრმე უკვე 2 მეტრამდე ავწიეთ. ამას გარდა სხვადასხვა ჯიშის თევზი გავუშვით გასამრავლებლად:

— **რის საფუძველზე გამოცხადდა ლისის ტბა ჯანმრთელობისთვის საშიშად?**

— ბიოლოგიური, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური შემადგენლობით წყლის ხარისხი მისაღებია, მაგრამ წყლის დონე იმდენად დაბალია, ვიდრე იქამდე შეხვალთ, რომ გაცურვა შეძლოთ, წყალი იმღვრევა. ამიტომაც ვიკავებთ თავს სეზონის გახსნისგან...

მკითხველს კარგად ემახსოვრება წლების წინ გავრცელებული ინფორმაცია, რომ მავანნი ლისის ტბის მიდამოებში სასაფლაოს გახსნას აპირებდნენ. საბედნიეროდ, ახლა ეს საშიშროება ტბას აღარ ემუქრება. არსებობს კანონი, რომლის თანახმად, ტბასთან 3 კილომეტრის რადიუსის დაშორებით არა მარტო სასაფლაოს მოწყობა, არამედ საკარმიდამო ნაკვეთებში შხამქიმიკატების გამოყენებაც კი იკრძალება. ამის გამო მოსახლეობასთან პრობლემებიც კი შეექმნა ტბის „ინტერესების“ დამცველებს. ყველაფერი კი იმის ბრალია, რომ ხშირად არ ვფიქრობთ, დღევანდელ კეთილს ხვალინდელი ქათმის ნაცვლად, სერიოზული პრობლემები რომ მოჰყვება ხოლმე. ლისის ტბას ყურადღება, დაცვა და მოფრთხილება სჭირდება. არავინ იფიქროს, რომ ეს მხოლოდ ბიზნესმენის ინტერესებში შედის... ლისის ტბის დაშრობა ან დაბინძურება თბილისისთვის სავალალო შედეგს მოიტანს. შეიცვლება არა მარტო მიმდებარე ტერიტორიის მიკროკლიმატი, ტბის ირგვლივ მცენარეებიც გახმება და რაც მთავარია, თბილისს ამ მხრიდან ჟანგბადი აღარ მოეწოდება. როგორც ჰიდრომეტეოროლოგმა **ირაკლი ჩოგოვაძემ** გვითხრა, ერთადერთი, რაც თბილისს ასულდგმულებს, ესაა ჩრდილო-დასავლეთის ქარი, რომელიც მტკვრის ხეობას მოჰყვება. ის რომ არა, ჩვენი დედაქალაქის ჰაერი კიდევ უფრო დაბინძურდებოდა. ლისის ტბის ეკოლოგიური სიჯანსაღე კი თბილისელების დასვენების კერისა და საერთოდ დედაქალაქში ჰაერის გასუფთავების ერთ-ერთი გარანტია.

P.S. არსებობს გამოთქმა: „ბედი წყალს გაატანაო“... გონს მოვეგოთ, კანალიზაციის წყალს ნუ გავატანთ ჩვენივე კეთილდღეობას.

ლელა ჯიყაშვილი

უნიკალური ფოტოები — „კვირის პალიტრას“



კონსტანტინე გამსახურდიას ოთარ კაკაბაძის „სალონში“ პყვარებია ფოტოების გადაღება.

როგორც გახსოვთ, „კვირის პალიტრა“ ცნობილი ფოტოსელოვანის, ოთარ კაკაბაძის მეტად საინტერესო არქივიდან მცირე ფოტოგამოფენის „მოწყობას“ დაჰპირდა მკითხველს. დღეს კიდევ რამდენიმე უნიკალურ ფოტოს გთავაზობთ.

ფოტოგრაფია და მისი მეოხებით შეჩერებული წამები თავისი მნიშვნელობითა და დანიშნულებით საუკუნეებს უტოლდება. კადრებზე სამუდამოდ აღბეჭდილი სახეები ბევრ საიდუმლოს „გვიმხელენ“... ფოტოალბომის შემწეობით დაჭერილი თითქოსდა სრულიად უმნიშვნელო შტრიხით ხშირ შემთხვევაში ადამიანის ხასიათის სრული გახსნაც ხდება შესაძლებელი.

აი, თქვენ წინაშე არიან საქართველოს მთის გოლიათი შვილები — ვაჟა-ფშაველა და ალექსანდრე ყაზბეგი. რამდენი სიღრმე, გონიერება და ერთმანეთისადმი კეთილგანწყობა იკითხება მათ გამოხედვაში. ბიოგრაფებიც ტყუილად როდი გვიამბობენ მათი მეგობრობის შესახებ.

მართალია, ვაჟასა და ყაზბეგის აღნიშნული ფოტო ყველას გვეცნობა თუნდაც ქრესტომათიიდან, მაგრამ საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ბატონ ოთართან სწორედ ამ ფოტოს პირველწყარო ინახება.

ბატონ ოთარ კაკაბაძის ფოტოარქივში დაცულია ალექსანდრე ყაზბეგის ხელნაწერიც, რომელსაც აქვე გთავაზობთ. როგორც ჩანს, ნიჭიერი პროზაიკოსი დროდადრო ექსპრომტებსაც უძღვნიდა ახლობელ ადამიანებს.



— რა ბევრი აქვს საერთო თქვენს ხალხს ჩვენს ხალხთან — უთქვამს დიდ უკრაინელ პოეტს ტარას შევჩენკოს ახალგაზრდა აკაკი წერეთლისთვის...

— ბატონო ოთარ, როგორ აღმოჩნდა თქვენს ხელში ეს უნიკალური ფოტო, ან ყაზბეგის ხელნაწერი?

— ბაბუაჩემი, მაქსიმე კაკაბაძე ისტორიული ფოტოების მოყვარული გახლდათ. რა არ აღმოჩნდა მის მომცრო არქივში. ეს ფოტოები აკადემიურად დავამუშავე და შევინახე. სწორედ ბაბუამ მასწავლა, მოვიდა 50-იან წლებში, როგორც ინჟინერ-ტექნოლოგი, მივლინებით გახლდით კიევში, ვარციხის ღვინის ქარხნის ტექნოლოგ გივი კალანდაძესთან ერთად. იმ პერიოდში უკრაინის „გლავვინოს“ დირექტორის მეუღლემ ფოტოგამოფენა მოაწყო, სადაც წარსულში ცნობილი ადამიანების უნიკალური ფოტოები იყო გამოფენილი. მე აკაკისა და შევჩენკოს ფოტოთი დავინტერესდი და ამ ქალბატონმა მისახსოვრა. ასე გახდა ეს სურათი ჩემი არქივის „ბინადარი“.

ამ ფოტოს შექმნის ისტორია კი ასეთი გახლავთ: საქართველოს დიდი მგოსანი აკაკი წერეთელი პეტერბურგში სწავლის პერიოდში დიდ უკრაინელ პოეტს ტარას შევჩენკოს შეხვედრია. საუბრისას აკაკის საქართველოს წარსულზეც მოუთხრია შევჩენკოსთვის, რომელსაც აღფრთოვანებულს უთქვამს: „რა ბევრი აქვს საერთო თქვენს ხალხს ჩვენს ხალხთან“ და მწარე, სევდიანი კილოთი დაუწყია ლაპარაკი უკრაინაზე. „ჩვენი საუბარი გაგრძელდა ღამის სამ საათამდე, — იგონებს აკაკი წერეთელი, — ჩვენ დავშორდით, როგორც მეგობრები და პირობა დავდეთ, რომ უფრო ხშირად შევხვდებოდით ერთმანეთს. მაგრამ ვაი რომ ჩემს ბედნიერებას აღარ ეღირსა განხორციელება: მე ტიფით გავხდი ავად და სამ თვეს ვიწექი ლოგინში. მას შემდეგ მე აღარ მომცემია შემთხვევა, მასთან შეხვედრისა, მხოლოდ ეს პირველი და უკანასკნელი შეხვედრა დამრჩა ნათელ მოგონებად მთელი ჩემი სიცოცხლის მანძილზე“. სამაგიეროდ, ჩვენ დაგვრჩა ამ ერთადერთი შეხვედრის აღსანიშნავად გადაღებული ორი ქვეყნის სათაყვანო შვილის ერთადერთი ფოტო, რომელიც ბატონი ოთარის არქივში აღმოჩნდა დაცული.

ვაჟა-ფშაველასა და ალექსანდრე ყაზბეგის უნიკალური ფოტო

აი, როგორია ოთარ კაკაბაძის თვალით დანახული და ფოტოზე აღბეჭდილი მეფე მუზათა, მეფე პოეტთა — გალაკტიონი.

კონსტანტინე გამსახურდიას რამდენიმე მართლაც გასაოცარი ფოტოცაა ამ უჩვეულო არქივში. ეს კი, რომელსაც ახლა გთავაზობთ, თავად ბატონ ოთარს გადაუღია.

— ბატონო ოთარ, რას გეიმბობდით დიდ კლასიკოსზე?

— ბატონი კონსტანტინე თავდაპირველად ზუგდიდში გავიცანი. რესტორან „ოდიშში“ ვისხედით ბიჭები. უეცრად კარი გაიღო და კონსტანტინე გამსახურდია შემოვიდა ამაყად, თავადურად... მოწიწებით მიეგებნენ. ჩვენც მოვუდრიკეთ ქედი დიდ მწერალს. მთელი გულით ვთხოვეთ, ჩვენთან ერთად დაბრძანებულიყო. ჯერ ცერად გადმოგვხედა, მერე, ეტყობა, თვალში მოვუვედით და შემოგვიერთდა... მერე კი ჩემი ფოტოსალონის ხშირი სტუმარიც გახდა.

გალაკტიონი — ასე შორეული და ასე ახლობელი, ასე ნაცნობი და ასე უცნობი, ასე მიწიერი და ასე ამაღლებული, კონტრასტებით, უცნაურობებით აღსავსე და მზის სხივივით დაუმორჩილებელი — აი, როგორია ოთარ კაკაბაძის თვალით დანახული და ფოტოზე აღბეჭდილი მეფე მუზათა, მეფე პოეტთა.

— გალაკტიონთან შეხვედრასაც გაიხსენებთ?

— რუსთაველზე, ცნობილი ზემელის აფთიაქთან ბიჭებს ნასვამი გალაკტიონი შეგვხვდა და თამბაქო გვთხოვა. მერე გამოგველაპარაკა, ვინ ვიყავით, ვიცნობდით თუ არა მას, მის პოეზიას და როცა რამდენიმე ლექსი ზეპირად წავუკითხეთ, კმაყოფილმა ჩაიღიმა, მეგობრულად ხელი გადაგვხვია და ბელინსკზე ერთ პატარა სარდაფში ჩაგვიყვანა. აღმოჩნდა, რომ იქ მთელი ჩვენი დიდებული „დინამოელები“ ქეიფობდნენ. სუფრას უსხდნენ გაიოზ ჯეჯელავა, ბორის პაიჭაძე, გრიშა გაგუა, შურა დოროხოვი... მოკლედ, „დინამოს“ მთელი პლეადა. თამადობდა „დინამოს“ კაპიტანი შოთა შავგულიძე. გალაკტიონს ფეხზე წამოუდგნენ და ყველანი მათი სუფრის წევრები გავხდით. ნამდვილად არ მეგონა, ფეხბურთელებმაც თუ იცოდნენ ზეპირად დიდი პოეტის ლექსები. თავად გალაკტიონმა „მერი“ და „მესაფლავე“ წაიკითხა მისეული განუმეორებელი ხიბლით. არც ფეხბურთელებს შეურცხვენიათ თავი... შუაღამისას გამოვედით ქუჩაში. პოეტი შინ მივაცილეთ, მარჯანიშვილის თეატრის გვერდით კორპუსში ცხოვრობდა. ბედნიერი იყო მგოსანი — მთელი საღამო მისი პოეზიის თაყვანისმცემელთა გარემოცვაში გაატარა...



როგორც ჩანს, ალექსანდრე ყაზბეგი დროდადრო ექსპრომტებსაც უძღვნიდა ახლობელ ადამიანებს.

P.S. ასეთია მოკლედ იმ უნიკალური ფოტოების მოპოვებისა თუ გადაღების ისტორია, რომლებიც ამჯერად წარვუდგინეთ ჩვენს მკითხველს. ბატონი ოთარ კაკაბაძის არქივში კი კიდევ არაერთი საინტერესო ექსპონატია...

თამარ კაპანაძე

რას გვეტყვი, მამაო?

— ჩემს ცხოვრებაში ისეთი მოვლენები ხდება, რომ ხშირად მირჩევენ „კვეთებულის“ ლოცვას დავესწრო. გთხოვთ, განმიმარტოთ რა არის ეს ლოცვა და როგორ მივიდე ამ ლოცვებზე დასასწრებად.

— სიტყვა „კვეთებული“ გვიჩვენებს, რომ ადამიანი ბოროტი ძალისგან არის კვეთებული და ბრკოლდება. ზოგჯერ ადამიანი ამ ძალის ზეგავლენას არა მხოლოდ სულიერად, არამედ ფიზიკურადაც განიცდის... კვეთებულის ლოცვების დროს გათავისუფლება ხდება ამ ბოროტისაგან, მაგრამ სანამ ამ ლოცვებზე დასასწრებად მიბრძანდებოდეთ, ჯერ კარგად უნდა გაარკვიოთ, სინამდვილეში რასთან გაქვთ საქმე. ამისათვის უნდა მიბრძანდეთ თქვენს ახლოს მდებარე ტაძარში და მოძღვარს გაესაუბროთ. ასევე შეგიძლიათ წინასწარ ესაუბროთ იმ მოძღვარს, რომელიც ამ ლოცვებს კითხულობს. „კვეთებულის“ ლოცვები ძლიერი ლოცვებია და იგი დიდ სულიერ ძალისხმევას მოითხოვს არა მარტო იმ მოძღვრისაგან, რომელიც მას კითხულობს, არამედ ამ ლოცვაზე მყოფი ადამიანისგანაც. საქართველოს პატრიარქი ამ ლოცვების წაკითხვის კურთხევას მხოლოდ რამდენიმე გამოცდილ მამას ანიჭებს. ყოველივე ზემოთ თქმული იმას ნიშნავს, რომ სიფრთხილით უნდა მოეკიდოთ ამ ფაქტს, ეკლესიურად მოემზადოთ, ანუ შეასრულოთ ის რჩევა, რასაც ლოცვებზე დასწრებამდე მოძღვარი მოგცემთ.

— ამბობენ, რომ ეკლესიაში მისულ ადამიანს ბოროტი ძალა უფრო ებრძვის, ვიდრე იმას, ვინც იქ არ დადის. ეს რას ნიშნავს, მორწმუნე უფრო დაუცველია, ვიდრე ურწმუნო?

— ეს არ ნიშნავს, რომ მორწმუნე დაუცველია. ეს იმას ნიშნავს, რომ ბოროტ ძალას არ უნდა, რომ ადამიანს უფალი იცავდეს. ბოროტს იმდენად შურს იმ სიკეთის, რაც ღმერთმა ადამიანს მიანიჭა, ყოველ წუთს ცდილობს კაცი ამ სიკეთისგან განაშოროს, ამიტომაც აცდუნებს. როცა ადამიანი ცოდვებში იფლობა, ბოროტი ძალა მშვიდად არის, მსხვერპლს ჩააგონებს, რომ სწორედ ასეთი ცხოვრებაა მართებული. ამიტომაც არის, რომ ხშირად ამქვეყნიურ ვნებებში ჩაფლულები, გარშემომყოფებსაც გულწრფელად ურჩევენ გამოსცადონ ვნებების სიამოვნება. მათ სჯერათ, რომ ამით არაფერი შავდება... მაგრამ როგორც კი მსხვერპლი მოინდომებს ცოდვებისგან გათავისუფლდეს, ბოროტი მწარდება და ხშირად ფიზიკურადაც უტევს მას... გვერწმუნეთ, რაც უფრო მეტად დაუდგებით გვერდით უფალს და მიმართავთ ეკლესიას, მით უფრო შესუსტდება ბოროტის ძალა. ის ვერასდროს მოგერევათ, თუკი ეკლესიურად გაძლიერდებით, ბოლოს და ბოლოს, მოგშორდებათ და სიკეთე მოგენიჭებათ.

— ძალიან მინდა „ყურანის“ წაკითხვა, რას მირჩევთ?

— ლიტერატურით განათლების მიღება ცოდვა არ არის... თუმცა, უნდა გაითვალისწინოთ, რა საფრთხეს შეიცავს ეს ლიტერატურა. ჩვენი საზოგადოების უმეტეს ნაწილს, ეკლესიისგან ხანგრძლივი ჩამოშორების მიზეზით, აკლია გამოცდილება, რომ უცხო რელიგიური ლიტერატურის გავლენა არ განიცადოს. ამიტომაც თუ მაინცდამაინც აპირებთ ამ ლიტერატურის გაცნობას, გირჩევთ, ჯერ იმ ცოდნას ჩასწვდეთ, რომელიც ჩვენი უფლისა და წმინდა მამების ნააზრევს გადაგიშლით და რწმენას გაგიძლიერებთ. ვფიქრობთ, ამის შემდეგ უცხო რელიგიური ლიტერატურის გაცნობა სულიერ მერყეობას აღარ გამოიწვევს.

თქვენთვის საინტერესო კითხვები მოგვაწოდეთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით. მათი განლაგების შესახებ იხ. გვ. 36.

მკითხველთა შეკითხვებზე უპასუხებენ მართლმადიდებელი მამები.

„კოკოითი პოლიტიკოსი კი არა, ერთი მოქეიფე და მონადირე კაცია“

„ცხინვალის რეგიონიდან მხოლოდ ვლადიმირ ვოლფოვიჩს თვეში რამდენიმე მილიონი რუსული რუბლი მისდიოდა“

ამონიუმის გვარჯილითა და ჰუმანიტარული ფქვილით სამაჩაბლოს შემოერთება შეუძლებელი ხდება. ედუარდ კოკოითის თვითმარქვია ხელისუფლება აშკარად საომარ განწყობაზეა. მართალია, ცხინვალის რეგიონში ფართომასშტაბიან საომარ მოქმედებებამდე ჯერ საქმე არ მისულა, მაგრამ სროლის ხმა უკვე გაისმის. რამდენიმე ქართველი სამხედროც დაიჭრა. არის იმის საშიშროება, რომ სიტუაცია თორმეტი წლის წინანდელ ნიშნულს დაუბრუნდეს. არადა, ცოტა ხნის წინ ვარაუდობდნენ, რომ საომარ მოქმედებამდე საქმე არ მივიდოდა და ხელისუფლების ცვლა ცხინვალის რეგიონში აჭარის მსგავსად ხავერდოვნად და სწრაფად მოხდებოდა. სამწუხაროდ, პროგნოზი არ მართლდება. ექსპერტების აზრით, ამას ობიექტური მიზეზები აქვს.

„კვირის პალიტრას“ ესაუბრა სპეცსამსახურების ექსპერტი **ამირან გუშაძე**: — აჭარის ამბების შემდეგ, ბევრი ფიქრობდა, რომ სამაჩაბლოს რეგიონშიც ანალოგიურად განვითარდებოდა მოვლენები, მაგრამ ეს ჩვენი საზოგადოების სურვილებიდან გამომდინარე დასკვნები უფრო იყო. სამწუხაროდ, სამაჩაბლოსა და აჭარის რეგიონების ერთმანეთთან შედარება შეუძლებელია. ასლან აბაშიძეს საომარი მოქმედებები რომც წამოეწყო, მოსახლეობა მხარს არ დაუჭერდა. აბაშიძისგან განსხვავებით, აჭარლები ყოველთვის ესწრაფოდნენ საქართველოს ერთიან სივრცეში მოქცევას.

სამაჩაბლოში სხვა ატმოსფეროა. ბოლო ათწლეულის განმავლობაში იქაურები საქართველოსგან თითქმის იზოლირებულ გარემოში ცხოვრობდნენ. ერგნეთის ბაზრობისა და კონტრაბანდის წყალობით ისინი სასათბურე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ — კონტრაბანდამ მათ საქართველოსგან დამოუკიდებლად არსებობის საშუალება მისცა. საქართველოს ძველ ხელისუფლებას არაფერი გაუკეთებია უკანონობის აღსაკვეთად. ცხინვალი კონტრაბანდის გარეშე ფუნქციას კარგავდა და ამიტომ უპასუხა კოკოითის მთავრობამ საქართველოს ხელისუფლებას ასეთი პროვოკაციული ნაბიჯით. ვგულისხმობ ჰუმანიტარული ტვირთების დაბლოკირებას და სამხედრო-საველე წვრთნების დაწყებას. ამით ცხინვალი შეეცადა დანარჩენი მსოფლიოსთვის დაენახვებინა, რომ დამოუკიდებლობის დასაცავად იბრძოლებენ.

— არსებობდა ვერსია, რომ საომარ მოქმედებამდე საქმე არ მივიდოდა და ყველაფერი „ზემოთ“, ამერიკა-რუსეთს შორის გადაწყდებოდა.

— ამ ვერსიას დღესაც არ დაუკარგავს აქტუალურობა. რა მოხდება ხვალ, ამის თქმა ძნელია... ჩვენი აზრით, ფართომასშტაბიანი საომარი მოქმედება არ გაჩაღდება. თუ ჩვენი ხელისუფლება იძულებული გახდება, რომ რეგიონში სამხედრო ძალა გამოიყენოს, ვფიქრობთ, პროცესი არ გაჭიანურდება. რუსეთი დღეს აშკარად ვეღარ დაეხმარება ოს სეპარატისტებს.

— ღიად არც მაშინ ეხმარებოდა, როცა ჯერ სამაჩაბლო დავკარგეთ და შემდეგ აფხაზეთი. ამასთან, თითქოს ყველაფერი იმ დროინდელი ხელწერით მიმდინარეობს. ცხინვალში ჩრდილოკავკასიელი ბოევიკებიც გამოჩნდნენ.

— მე არ გავავლებდი ასეთ პარალელებს. რუსი სამხედროები დღეს ვეღარ შეძლებენ თუნდაც ფარულად დაეხმარონ ოსებს სამხედრო შეიარაღებით. ვგულისხმობ აქტიურ დახმარებას. როგორ ფიქრობთ, იარაღით დატვირთული მანქანები რომ წაართვეს რუსებს, იოლად შეურიგდებოდნენ ბედს და მათი წაყვანის უფლებას მოგვცემდნენ? ამას სხვა მიზეზი ჰქონდა.

— კერძოდ?

— ათი წლის წინ ჩვენს სამხედროებს რუსების მანქანები რომ გაეჩერებინათ, რუსი ჯარისკაცები იქაურობას აიკლებდნენ, მაგრამ დღეს ამას ვეღარ გაბედავენ. შეიძლება, ის შეიარაღება მართლაც სეპარატისტებისთვის იყო განკუთვნილი, მაგრამ ჩვენი ვარაუდით, ეს მოსკოვისგან ფარულად ხდებოდა.

— ე. ი. რუსი სამხედროები საკუთარ ხელისუფლებას ანგარიშს არ უწევენ...

— უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე სამაჩაბლოში საკუთარი ინფრასტრუქტურა შექმნეს არა მარტო სეპარატისტებმა, არამედ რუსმა სამხედროებმაც. კონტრაბანდა მათთვის შემოსავლის წყაროდ იქცა. კონტრაბანდული შაქრით თუ ფქვილით დატვირთულ ყოველ მანქანაზე რუსები 100 დოლარს იღებდნენ. წარმოიდგინეთ, დღეში რამდენი მანქანა შედიოდა ცხინვალში, რომ აღარაფერი ვთქვათ კოტრაბანდის სხვა, არანაკლებ მსხვილ პარტიებზე. რუსმა ოფიცრებმა დიდძალი ფული იშოვეს. ამიტომ რუსი სამშვიდობოები, ცხადია, მალულად, მაგრამ მაინც შეეცდებიან სტატუს კვოს აღდგენას. თუმცა ეს მაინც ხავსზე მოჭიდება იქნება...

— როგორ ფიქრობთ, ცხინვალში მყოფ რუს სამხედროებს ვინ ლობირებს?

— დუმის დეპუტატებს დიდ თანხებს აძლევდნენ აქედან. ამან გააცეცხლა ჟირინოვსკი და იმიტომაც თქვა: ჩემი ნება რომ იყოს, მთელ საქართველოს ერთ საათში გავანადგურებდი და არც ერთი ქართველი აღარ იქნებოდაო. ეს კაცი, მართალია, გიჟის შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ მერწმუნეთ, ძალიან ჭკვიანია. ჩვენი ინფორმაციით, დუმაში არჩევისას მის წინააარჩევნო კამპანიას სწორედ სამხედროები აფინანსებდნენ. არჩევნების შემდეგ მხოლოდ ცხინვალის რეგიონიდან ვლადიმირ ვოლფოვიჩს თვეში რამდენიმე მილიონი რუსული რუბლი მისდიოდა. აი, ამ ჯაჭვის გაწყვეტამ გააღიზიანა დუმის დეპუტატები.

— როგორც ჩანს, ფული მნიშვნელოვან როლს თამაშობს კონფლიქტის მოგვარების საქმეში. სხვათა შორის, ლაპარაკი იყო თანხაზე, რომელიც ამერიკას უნდა გადაერიცხა რუსეთისთვის სამაჩაბლოს საქართველოსთვის დაბრუნების სანაცვლოდ.

— პოლიტიკაში ასეთი პრობლემების მოგვარებისას სხვადასხვა სახის გარანტიებს იყენებენ. ამერიკას დღეს სტაბილური საქართველო აძლევს ხელს, რაც ამ ეტაპზე რუსეთის ინტერესების იგნორირებას ნიშნავს. ამიტომ ამერიკას არ გაუჭირდება იმ სახსრების გამოძებნა, რომლითაც საქართველოს სანაცვლოდ რუსეთს კომპენსაციას გადაუხდის.

— ანუ ფულს გადასცემს, მაგრამ როგორ?

— უამრავი გზა არსებობს. მაგალითად, რუსები მტკივნეულად განიცდიან აჭარიდან სამხედრო ნაწილის გაყვანას. მათი არგუმენტით, რუსეთს სამხედრო ნაწილის რუსეთის ტერიტორიაზე განსახლებისა და სამხედროების მატერიალურად უზრუნველყოფის საშუალება არ გააჩნია. ამერიკას კი შეუძლია ამ პრობლემების მოგვარება. არსებითად, მოსკოვი ამას დათანხმდება, რადგან რუსეთისთვის ცხინვალის რეგიონის შენახვა მაინც წამგებიანია. რუსეთს საკუთარი ეთნოკონფლიქტებიც ეყოფა და სხვის პრობლემებში ჩაფვლის თავი აღარ აქვს. სწორედ ეს გარემოება იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ ფართომასშტაბიანი ომი ცხინვალში არ იქნება.

— მაგრამ ამისთვის კოკოითი საფუძვლიანად ემზადება.

— კოკოითი ცალკე საუბრის თემაა, ახლა ყველაფერს ვერ გეტყვით, მაგრამ როცა სახელმწიფოთა შორის ფულადი გარიგება ხდება, პირველი პირები ყოველთვის ახერხებენ თავიანთი წილის მიღებას და უშფოთველი მომავლის უზრუნველყოფას. რაც შეეხება კოკოითს, მას ასეთი რამ არ „ემუქრება“. პიროვნული თვისებებიდან გამომდინარე, სეპარატისტთა ლიდერს მოსკოვში სერიოზულად არავინ უყურებს. ედუარდ კოკოითი ერთი მოქეიფე და მონადირე კაცია, რომელსაც პოლიტიკოსობამდე დიდი მანძილი აშორებს. ხშირად უთქვამს, რომ მოსკოვში მიდიოდა მოსალაპარაკებლად, სინამდვილეში კი მთაში სანადიროდ დადიოდა. ამიტომ მოსკოვში მალევე ჩაიქნიეს ხელი მასზე. უფრო სწორად, ის მხოლოდ რიგითი ჩინოვნიკის დონეზე დარჩა, რომელიც ნაბზდოროვის თუ სხვა სამხედროების მარიონეტია. კოკოითი უკვე მიხვდა, რომ რუსეთი თავშესაფრის გარდა, არაფერს შესთავაზებს, ამიტომ ცდილობს მდგომარეობის კარდინალურად გამოსწორებას.

— გინდათ თქვათ, რომ კოკოითი უწილოდ დატოვეს?

— როგორც ჩანს, ასეა. ის აბაშიძესავით სერიოზული ფიგურა არ არის, რომ ვინმემ ანგარიში გაუწიოს. მით უმეტეს, დღეს, როცა იგი პოლიტიკურად გაკოტრებულია და დამარცხებისთვის არის განწირული. ამიტომ იგი როგორც საქართველოსთან, ასევე რუსეთთან იარაღის ჟღარუნით ვაჭრობს და ფულს მოითხოვს. მაგრამ ეს დუმის დეპუტატებისა და რუსი სამშვიდობოების გადასაწყვეტი არ არის; ხოლო ვინც ფულის გაცემის საქმეს წყვეტს, მისთვის კოკოითი აბსოლუტურად უმნიშვნელო ფიგურაა...

დავით დევიძე

ოსების აზრით სეპარატისტები ოცნებობენ ქართველების სროლაში აყოლიებას

კოკოითი ჩრდილოკავკასიურ „შპარგალკებს“ იყენებს

უკიდურესად დამძიმებული სიტუაციის მიუხედავად, ღიმილის მომგვრელია ე.წ. სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლების ლიდერის, ედუარდ კოკოითის გამოხდომები. ტყვეთა გასათავისუფლებლად მათი მშობლების დაპარების გამო იგი ძალიან ჰგავს სკოლის ჭირვეულ დირექტორს, რომელსაც მოსწავლეების დასჯა და მერე მათ მშობლებთან ნოტაციების კითხვა იტაცებს. რა განწყობაა რეგიონში, რას ფიქრობენ ცხინვალელი ოსები და არსებობს თუ არა ჩიხიდან მშვიდობიანი გამოსავალი, ამ საკითხებზე გვესაუბრება ოსი ეროვნების ქალბატონი, ქართულ-ოსური კავშირის „იბერ-ირონის“ პრეზიდენტი **მაია ცაბოევილი**.

— წლის დასაწყისიდან ცხინვალში ცნობილი რუსი ჩინოსნების მოხშირებული ვიზიტები ოსების გაოცებასაც კი იწვევდა. სეპარატისტებს ვერ წარმოედგინათ, რომ რუსეთი მათ ზურგს სერიოზულად გაუმაგრებდა. მაგრამ როგორც კი კოკოითის მხარზე ძმურად დაჰკრეს ხელი, მან სამხრეთ ოსეთში რუსეთის რეჟიმის ამოქმედების შესახებ განკარგულება გასცა. თბილისიდან არავის მოუთხოვია რუსებისთვის პასუხი კოკოითის განცხადებების გამო, ისე როგორც თავის დროზე. პასუხი არ მოსთხოვეს ოსების პასპორტიზაციის შესახებ. დღეს კი რუსები აცხადებენ, ისინი ჩვენი მოქალაქეები არიან და მათი მორალური და კონსტიტუციური დაცვის უფლება გვაქვსო. ამის შესახებ ერთადერთმა ირინა ხაკამადამ დააფიქსირა ნორმალური პოზიცია — „თუ რუსეთის მოქალაქეები ცხინვალში თავს დაუცველად გრძნობენ, ჩემოდანი აიღონ და რუსეთში ჩამოვიდნენო“. საქართველოს ცხინვალის რეგიონში საქმე აქვს არა კოკოითთან, არამედ რუსეთთან და ჩრდილო ოსეთთან. იქ ყველას ეგონა, პუტინი სამხრეთ ოსეთის „უმნიშვნელო“ ფართობის გამო რუსეთის იმიჯს არ შებღალავდა. 9 ივლისს, ქართულ-ოსური კონფლიქტის რუსეთის დუმაში განხილვის დროს, რუსი დეპუტატების დაბნეულობაც თითქოს ამის მანიშნებელი იყო, მაგრამ 10 ივლისს გამოტანილი დადგენილებით, დუმამ რუსეთის იმპერიული ინტერესები გამოამჟღავნა. როგორც ჩანს, ან პუტინი ვერ არის ისეთი ძლიერი, როგორც თავი მოაქვს, ან მისი ზრახვებიც რუსული მანკიერი პოლიტიკური „სექტების“ იდენტურია.

— თქვენი აზრით, შექმნილი ურთულესი სიტუაციიდან როგორ შეიძლება მოიძებნოს გამოსავალი?

— მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით. სხვანაირად, შესაძლოა საქართველოს მომავალი ძალიან დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს. მოლაპარაკების მაგიდასთან უნდა დასხდნენ ქართულ-ოსური მხარეები, მათთან ერთად აშშ-ც. რუსეთი კვლავაც იგნორირებას უკეთებს ქართულ სახელმწიფოებრივ პოლიტიკას და ცრუდიპლომატიას თამაშობს. ამიტომაც აუცილებელია აშშ-ის სახით მან ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარებით დაინტერესებული ძლიერი მხარე დაინახოს. წინააღმდეგ შემთხვევაში ჰუმანიტარული შტურმით და „აჭარული“ მეთოდებით ქართულ-ოსურ კონფლიქტს ვერ მოვაგვარებთ.

— თქვენ იმყოფებოდით ცხინვალში, შეხვდით სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებს, რა განწყობაა იქ?

— რთული. დაბნეულობა და შიში სუფევს. 9 ივლისს ქართველი ბიჭების სახალხოდ, მოედანზე დაჩოქების ფაქტმა შეურაცხყო უამრავი ოსი. ბევრმა ოსმა მებრძოლმა იმ დღეს პროტესტის ნიშნად იქაურობა დატოვა. ამ ამბით ძალიან გაღიზიანებული იყვნენ ქალებიც, ვინც 90-იანი წლების დასაწყისში კონფლიქტის დროს შვილები, ქმრები და ძმები დაკარგა. ოსებს კოკოითისგან არ მოსწონთ ე.წ. ჩეჩნური ტრადიციების გადმოღება. თავის დროზე რუსი ჯარისკაცების გასათავისუფლებლად მათ დედებს იბარებდნენ ჩეჩნები. როგორც ჩანს, კოკოითი ჩრდილოკავკასიური „შპარგალკით“ მოქმედებს. მისი საქციელი სიბრალულნარევი ღიმილის მომგვრელია. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მისი ყოველი გამოხდომა ქართული მხარის მიერ დაშვებული შეცდომების შედეგია. დღეს ის ხალხი კბილებამდე შეიარაღებულია. თუმცა ამბობენ, რომ ომი არ უნდათ და მასში მხოლოდ იძულებით ჩაერთვებიან ოჯახის დასაცავად. ვიმედოვნებ, რომ პროვოკაციაზე არ წამოვეგებით და არც შეიარაღებულ გამოწვევაში ჩავერთვებით. ქართულმა მხარემ წარმატებულად განახორციელა და მოიგო კიდეც საინფორმაციო ომი ოსებთან და რუსებთანაც. იმ ფაქტით, რომ ადგილობრივ მოსახლეობას არ დაურიგეს იარაღი, უკვე ლახვარი ჩასცეს სეპარატისტებს. ცხინვალში თურმე ოცნებობენ ქართველების სროლაში აყოლიებას, თუ ქართულ მხარეს მოთმინება ეყოფა და პროვოკაციულ, თუნდაც უმნიშვნელო ცდუნებას ბოლომდე გაუძლებს, აუცილებლად გავიმარჯვებთ.

ეკა ლომიძე

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კვლევის, დანერგვა-კონსულტირებისა და სწავლების პროექტი

მოგეხსენებათ, სოფლის მეურნეობა წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკის ძირითად საყრდენს, რომელზეც მოდის მთლიანი შიდაპროდუქტის 30% და დასაქმებულთა 50%-ზე მეტი.

მსოფლიო ბანკისა და იაპონიის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით საქართველოს მთავრობამ მოამზადა სასოფლო-სამეურნეო კვლევის, დანერგვა-კონსულტირებისა და სწავლების პროექტი. პროექტის განხორციელების ვადაა 2001-2005 წლები. პროექტის დაფინანსება წარმოეზს რამდენიმე წყაროდან: — განვითარების საერთაშორისო ასოციაციის კრედიტი — 7,54 მლნ აშშ დოლარი; — გარემოს გლობალური დაცვის ფონდის გრანტი — 2,47 მლნ აშშ დოლარი; — საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი — 1,67მლნ აშშ დოლარი; — მოსარგებლეთა თანამონაწილეობა — 0,66 მლნ აშშ დოლარი.

პროექტის ამოცანას წარმოადგენს ეფექტური და რენტაბელური სასოფლო-სამეურნეო ცოდნის სისტემის შექმნა, რომელიც თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა-დემონსტრირების გზით ხელს შეუწყობს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების მდგრად ზრდასა და გარემოს დაბინძურების შეჩერებას.

სხვადასხვა კვლევით და სასწავლო დაწესებულებებში დაკავებული მეცნიერები შესაძლებლობას მიიღებენ, კონკურსის გზით მოიპოვონ საგრანტო დაფინანსება თავიანთი სამუშაოს შედეგების ფერმერულ მეურნეობებში დასანერგად.

ფერმერულ მეურნეობებს, მთელი ქვეყნის მასშტაბით, გაეწევათ კონსულტაციები გაუმჯობესებული ტექნოლოგიების დანერგვასთან დაკავშირებით, რომლებიც უზრუნველყოფენ, როგორც მოსავლისა და ფერმერების შემოსავლების ზრდას, ისე ბუნებრივი რესურსების ექსპლუატაციისა და გარემოს დაბინძურების შემცირებას.

სასოფლო-სამეურნეო კვლევის, დანერგვა-კონსულტირებისა და სწავლების პროექტი შედგება სამი კომპონენტისაგან:

I საკონკურსო გრანტების სისტემა: საკონკურსო გრანტების სისტემა წარმოადგენს გამოყენებითი კვლევისა და მისი შედეგების დანერგვის დაფინანსების საკონკურსო მექანიზმს, რომელიც ემსახურება კერძო ფერმერული მეურნეობების წარმადობის გაუმჯობესებას, რენტაბელობისა და გრძელვადიანი მდგრადობის უზრუნველყოფას. საკონკურსო გრანტების მექანიზმში წარმოადგენს დაფინანსების ინოვაციურ ინსტრუმენტს, რომელმაც უნდა შეავსოს სასოფლო-სამეურნეო კვლევისა და დანერგვის სისტემისთვის ხელმისაწვდომი მწირი სახელმწიფო დაფინანსება. იგი შექმნილია მეცნიერებსა და ფერმერებს შორის კავშირების გამყარების მიზნით, რაც გამოიხატება საკვლევი სამუშაოების მეწარმეთა უშუალო საჭიროებებზე მორგებაში და ეფექტური და გარემოსადმი ნაკლები ზიანის მომტანი ტექნოლოგიების ფერმერთა ფართო აუდიტორიამდე მიტანაში.

II სასოფლო-სამეურნეო ცოდნის სისტემის რეფორმა: სასოფლო-სამეურნეო ცოდნის სისტემის რეფორმის მოდელის გამოსაცდელად შერჩეულია მებაღეობის და მევენახეობის სფეროში მოქმედი კვლევითი და საგანმანათლებლო დაწესებულებები. განეული ტექნიკური დახმარების შედეგად მომზადდა რეფორმის კონცეფცია და განხორციელების დეტალური გეგმა.

III გარემოს დაბინძურების შემცირების პროგრამა: ამ პროგრამით დაფინანსება ხორციელდება გარემოს გლობალური დაცვის ფონდის გრანტის სახსრებით. პროგრამა ითვალისწინებს შავ ზღვაში ჩამდინარე დასავლეთ საქართველოს მდინარეების აზოტითა და ფოსფორით დაბინძურების შემცირებას. პროგრამა ხელს უწყობს საქართველოს მიერ შავი ზღვის დაცვის ბუქარესტის საერთაშორისო კონვენციის ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

სასოფლო-სამეურნეო კვლევის, დანერგვა-კონსულტირებისა და სწავლის პროექტს განახორციელებს საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო. პროექტის განხორციელების ძირითადი ტექნოლოგიური და სოციალურ-ეკონომიკური შედეგების მიხედვით საკონკურსო გრანტების სისტემის ფარგლებში მევენახეობაში დაფინანსდა 10 პროექტი, მოცული იქნა 9 რაიონი და 13 სოფელი; მეკარტოფილეობაში დაფინანსდა 9 პროექტი, მოცული იქნა 16 რაიონი და 36 სოფელი; მეხილეობაში დაფინანსდა 11 პროექტი, მოცული იქნა 18 რაიონი და 29 სოფელი. სუბტროპიკულ კულტურებში დაფინანსდა 7 პროექტი, მოცული იქნა 13 რაიონი და 16 სოფელი; მეცხოველეობაში დაფინანსდა 16 პროექტი, მოცული იქნა 13 რაიონი და 26 სოფელი. მეფუტკრეობაში დაფინანსებულ იქნა 1 პროექტი, რომელიც მიმდინარეობდა 2 რაიონის 2 სოფელში. მემარცვლეობის პროფილით დაფინანსდა 18 პროექტი, მოცული იქნა 29 რაიონის 58 სოფელი; სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის წარმოებაზე, გადამუშავებასა და გასაღებაზე დაფინანსდა 11 პროექტი, მოცული იქნა 12 რაიონი და 19 სოფელი; დაფუძნდა 2 საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრი წყალტუბოსა და თელავის რაიონებში; პროექტებში დასაქმდა 210 აგრარული და სხვა მიმართულების მეცნიერი, 460 პირდაპირ და 15400 ირიბად მოსარგებლე და დამხმარე პერსონალი; გრანტით დაფინანსების შედეგად ფერმერებს დაეზოგათ 1.400 ათასი ლარის ოდენობის საკუთარი სახსრები მექანიზაციის საშუალებებზე, შხამქიმიკატებზე, სათესლე და სანერგე მასალაზე, საწვავზე და სხვა დამხმარე მასალაზე; მოწინავე ტექნოლოგიების სწავლებასა და დემონსტრირებაზე დაიხარჯა 300 ათასი ლარი, ჩატარდა 400 ლექცია-სემინარი, 200 სადემონსტრაციო დღე, გამოიცა და გავრცელდა 200 სხვადასხვა სახის ბროშურა, ბიულეტენი და მეთოდური მითითება საერთო ტირაჟით 30 000.

თემურ კაციაშვილი

რევოლუციის გაკვეთილები

როგორ მზადდება მშვიდობიანი დემოკრატიული რევოლუციები? პოლიტიკური აქტივისტებისთვის ეს დღეს ძალზე მნიშვნელოვანია-მეთქი, — ვკითხე სტამბოლში საქართველოს პრეზიდენტს, მიხეილ სააკაშვილს, ბოლო წლების ყველაზე იღბლიან რევოლუციონერს. მან დაწვრილებით ამიხსნა, თუ როგორი თანმიმდევრობით უნდა მოხდეს ცვლილებები 21-ე საუკუნეში.

საგულისხმოა, რომ სააკაშვილს, ისევე როგორც ბევრ სხვა რევოლუციონერს, მესიის რაღაც ნიშანი ადევს და თუ თვალი არ მიადევნე — დემოკრატიისთვის ეს შეიძლება სახიფათოც აღმოჩნდეს.

გთავაზობთ მის რჩევებს:

— ***ნგრევა შიგნიდან.*** როგორც ბევრი რეფორმატორი, სააკაშვილიც იმ რეჟიმის ნაწილი იყო, რომელიც მოგვიანებით თავად დაამარცხა. მის მიერ გატარებულმა რეფორმებმა ხელი შეუწყო საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების განმტკიცებას, რამაც დაასუსტა მმართველი პარტია. ამერიკაში სწავლის შემდგომ, 1995 წელს სამშობლოში დაბრუნდა. 2000 წელს იუსტიციის მინისტრი გახდა. მან რეფორმების განხორციელებით გამოიყენა ეს პლატფორმა პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ.

— ***პოლიტიკური მოძრაობის შექმნა,*** რომელიც დააკმაყოფილებს თანამედროვეობის მოთხოვნებს, დაიმსახურებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების სიმპათიას, საჭირო კავშირები ექნება დასავლეთთან.

სააკაშვილმა შექმნა ასეთი ჯგუფი, სახელწოდებით „კმარა“. მოდელი გადაიღეს სერბეთის ჯგუფის მაგალითზე, რომელმაც უსისხლო გადატრიალება მოუწყო სლობოდან მილოშევიჩს. ამ მოძრაობას ნაწილობრივ აფინანსებდა ჯორჯ სოროსის „ღია საზოგადოება“.

სააკაშვილი აფრთხილებს მომავალ რევოლუციონერებს:

— ***ნუ გექნებათ მხოლოდ უცხოელთა დახმარების იმედი,*** რადგან ვერავინ იყიდის რევოლუციას და ხალხის ენთუზიაზმს.

— ***არასოდეს გამოამჟღავნებთ შიშს.*** თუ ხალხი შიშს შეგატყობთ, არასოდეს გამოგყვებათ. გასული წლის ნოემბერში სააკაშვილმა და მისმა მიმდევრებმა დაიკავეს საქართველოს პარლამენტის შენობა. მან განაცხადა, რომ როდესაც აიღეს შენობა, იგი მზად იყო სიკვდილისათვის. ამ უშიშარმა პიროვნულმა თავდადებამ უფრო მეტი სტიმული მისცა მის მხარდამჭერებს. „ჩვენ რომ შეგვშინებოდა, ხალხი არ გამოგვყვებოდა“, თქვა მან.

ტაქტიკის კიდევ ერთი საკვანძო მომენტია:

— ***ყველა შემთხვევაში ძალადობაზე უარის თქმა.*** ძალის გამოყენების ცდუნება დიდია, მაგრამ თუკი ამ ცდუნებას ვერ მოერევი, უკანდასახევი გზა აღარ გრჩება.

— ***მტრების კეთილგანწყობის მოპოვება.***

სააკაშვილის ყველაზე ბრძნული ნაბიჯი იყო ქართული არმიისა და პოლიციის „გულის მოგება“ და მათზე ზრუნვა.

ნოემბრის რევოლუციის ცივ დღეებში, სააკაშვილის მომხრეები ჯარს ვარდებს ესროდნენ, პარლამენტის წინ მდგარნი ლუკმას უყოფდნენ და როცა მას დემონსტრანტების დარბევა უბრძანეს, — უარი თქვა ბრძანების შესრულებაზე. და რევოლუციამ გაიმარჯვა.

საუბრის დასასრულს სააკაშვილს რობესპიერზე ჩამოვუგდე სიტყვა: — ისტორიული ფაქტია, რომ დღევანდელი რევოლუციონერი ხშირად ხვალინდელი დიქტატორია. საქართველოს ლიდერს უკვე აკრიტიკებენ მკაცრი რეფორმებისთვის, რომლებიც მას ნელ-ნელა ავტოკრატად აქცევს. სააკაშვილმა თავდაჯერებით მიპასუხა: — რეფორმებს თუ ხელს მოჰკიდებ, ბოლომდე უნდა მიჰყვე. მისი ანტიკორუფციული კამპანიის ნაწილია 19 000 პოლიციელის, 2 000 საგადასახადო და 1 500 საბაჟოს თანამშრომლის დათხოვნა. იცის, რომ ამით ბევრ მტერს გაიჩენს, მაგრამ რეფორმებს მაინც გააგრძელებს მანამ, ვიდრე ყველაფერს არ მოაწესრიგებს, რადგან რეფორმატორებს მეორედ შანსი არ ეძლევათ.

იმაზე, თუ რა შეუშლის მას ხელს, რომ კიდევ ერთი დიქტატორი გახდეს, სააკაშვილი ამბობს, — დიქტატორობის უფლებას თავისუფალი მედია და თავისუფალი არჩევნების სისტემა არ მომცემს. ოდესმე ხალხი დაიღლება ჩემი პოლიტიკით და „გადამაგდებს“, ეს შეიძლება პირველი 5-წლიანი ვადის შემდეგაც მოხდეს. ეს კი იმის მაჩვენებელი იქნება, რომ საქართველო ნორმალურ ქვეყნად იქცა.

ბუში-უმცროსის ადმინისტრაცია გაუთავებლად ლაპარაკობს დემოკრატიულ ცვლილებებზე, მაგრამ ცვლილებებს სააკაშვილისნაირები ახორციელებენ.

დავით იგნაციუსი,
ვაშინგტონ პოსტი

სამხრეთ ოსეთი: პროგნოზები

ალექსანდრ რარი, *გერმანიის საგარეო პოლიტიკის საბჭო, ბერლინი:* — ევროპის თვალსაზრისით მიხეილ სააკაშვილს თავისი პოლიტიკით შეუძლია გააკეთოს ის, რაც ვერ მოახერხა ედუარდ შევარდნაძემ — ნამდვილად გააძლიეროს საქართველო და საბოლოოდ დაამარცხოს სეპარატიზმი. ის, რაც მოხდა აჭარაში, აქ სენსაციად აღიქმება. ეტყობა, სააკაშვილი „ვარდების რევოლუციას“ სხვა ფორმით გადაიტანს სამხრეთ ოსეთში. საქართველოს პრეზიდენტი ამ პოლიტიკის გასატარებლად მშვენიერ დიპლომატიას ახორციელებს. საინტერესოა, რას იზამს რუსეთი. ბევრი ელოდება, რომ ის ეცდება, ქართველ პრეზიდენტს ხელი შეუშალოს და კიდევ უფრო დაძაბოს სიტუაცია, მაგრამ ეს ასე არ ხდება. ვგონებ, რუსეთისა და საქართველოს პრეზიდენტები ერთმანეთს საიდუმლოდ გაურიგდნენ და ამ გარიგებით სააკაშვილს საქართველოს ტერიტორიაზე ყველანაირ ქმედებაზე ხელი ეხსნება. რუსეთის ფედერაციას კი ექნება გარანტია, რომ იმ დიდ გეოპოლიტიკურ თამაშში, რომელიც დღეს კავკასიასა და კასპიის რეგიონში ვითარდება, საქართველოში გათვალისწინებული იქნება რუსეთის ინტერესები.

ანრი დიუზიენი, *საერთაშორისო და სტრატეგიული ურთიერთობების ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-მუშაკი, პარიზი:* — ამ ბოლო დროს რუსეთი კავკასიაში თავის პოზიციებს მხოლოდ ჰკარგავდა. აბაშიძის გადადგომა მოსკოვის მორიგ მარცხად იქნა მიჩნეული. თუმცა სამხრეთოსურ სიუჟეტში მას მეტი კოზირი გააჩნია — რუსეთს რეალურად შეუძლია გავლენის მოხდენა პოლიტიკაზეც, ეკონომიკაზეც და სამხედრო თვალსაზრისითაც. სამხრეთ კავკასიაში მომხდარი მოვლენები სერიოზული ტესტი იქნება კავკასიაში რუსეთის პოზიციების გამოსავლენად. ეტყობა, სააკაშვილი გენერალ სვიატოსლავ ნაზდოროვის გადაყენებას და სხვა დათმობებს მოითხოვს. პუტინი ასე ადვილად არ დააკმაყოფილებს მის თხოვნას, რადგან სამხრეთ ოსეთში ახლა მისთვის „წითელი ხაზი“ გადის. ყურადსაღებია, რომ სააკაშვილს სამხრეთ ოსეთში მანევრირების არე ნაკლები აქვს, ვიდრე აჭარაში. იქ ასლან აბაშიძეს ძლიერი ოპოზიცია ჰყავდა, სამხრეთ ოსეთში მსგავსი არაფერია. ეკონომიკურმა ბლოკადამ გარკვეული შედეგი გამოიღო, მაგრამ ეს საკმარისი არ არის ედუარდ კოკოითის რეჟიმის დასამხობად. ძალადობის ესკალაციის შესაძლებლობა აქ უფრო რეალურია, ვინემ აჭარაში იყო. ევროპა და აშშ ასეთ სცენარს არ გამორიცხავენ, თუმცა დასავლეთი განსაკუთრებით არის დაინტერესებული აზერბაიჯანისა და საქართველოს სტაბილურობით.

დარიო ტიუზური, *მსოფლიო ბაზრების კვლევის ცენტრის ანალიტიკოსი, ლონდონი:* — სიტუაცია სამხრეთ ოსეთში დიპლომატიური კრიზისიდან უშიშროების კრიზისისკენ მიექანება. მიხეილ სააკაშვილს არჩევანი მოუწევს. პირველი ვარიანტი — მოლაპარაკება რუსეთის და სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლებთან. ამის მომხრეა საერთაშორისო საზოგადოებრიობა, რომელიც ამიერკავკასიაში შემდგომი დესტაბილიზაციის საფრთხეს ხედავს. მეორე ვარიანტი: — სააკაშვილის მუქარა ცხინვალის მიმართ, ეკონომიკური ბლოკადის გამოცხადებაც კი. ეს ტაქტიკა იყო გამოყენებული აჭარის წინააღმდეგ. უფრო სახიფათოა მესამე ვარიანტი: — ქართული სპეცდანიშნულების რაზმების გამოყენება სამხრეთ ოსეთის ჯარების ნეიტრალიზებისთვის. ამან შეიძლება დაბალი ინტენსივობის კონფლიქტი გამოიწვიოს, ისეთისა, როგორიც 90-იან წლებში მოხდა და ასობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

ნეზავისიმაია გაზეტა რუ

კვირის ფრაზა: **მიხეილ სააკაშვილი:** „კალიფორნიაში უფრო მეტი რუსეთის მოქალაქე ცხოვრობს, ვიდრე სამხრეთ ოსეთში. მაშინ მიიერთეთ კალიფორნიაც, მოაქციეთ თქვენს იურისდიქციაში“.

არგუმენტი ი ფაქტი

აფხაზეთში არც მშვიდობაა და არც ომი

აფხაზეთის სანაპიროზე დამსვენებლები დაგვიანებულ ზაფხულს ეგებებიან. საქართველოს მოსაზღვრე მთიან რაიონებში არ გამორიცხავენ დივერსანტების გამოჩენას, ან რუსი სამშვიდობოების საწინააღმდეგო პროვოკაციებს. „ნებაყოფლობით არასდროს გავხდებით საქართველოს ნაწილი, თუ ჯარს შემოიყვანენ, სისხლის ბოლო წვეთამდე ვიბრძოლებთ. სხვაგან წასასვლელი არ გვაქვს, აქ არის ჩვენი სამშობლო,“ — ამბობს 22 წლის ანზორი.

„დაახლოებით 15 ათასი სარეზერვო ჯარისკაცის შეკრება შეგვიძლია. ჩვენ, კანონის თანახმად, იარაღი შინ გვაქვს. მხარს დაგვიჭერენ მოხალისეები: ადიღეელები, ყარაჩაელები, ჩერქეზები. აფხაზეთის ტერიტორიაზე დგას ყუბანელ კაზაკთა საგანგებო ნაწილი, — განაცხადა ვიცე-პრეზიდენტმა ვალერი არშბამ.

ცხადია, რომ რეგიონში მთავარ სამშვიდობოებად რუსები რჩებიან. „2004 წლიდან ჩვენს ცისფერჩაფხუტიანებს უვადო მანდატი აქვთ. კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო ძალების სარდალმა, გენერალ-ლეიტენანტმა ალექსანდრ ევსეევმა განგვიმარტა, —„ახლა ქართულ მხარეს აქვს უფლება, შეაგროვოს აუცილებელი საბუთები მანდატის გადასახედად ან შესაწყვეტად, მაგრამ გადაწყვეტილებას დსთ-ის ქვეყნების მეთაურთა საბჭო მიიღებს.“

საბრძოლო განწყობის მიუხედავად, ომის დაწყებისა არავის სჯერა, განიხილავენ ორ სცენარს. პირველი (მის მომხრეთა შორის ასახელებენ არა მარტო საქართველოს დასავლელ კონსულტანტებს, არამედ ბ. ბერეზოვსკისაც): — საქართველოს ხელისუფლება შეეცდება, აფხაზეთის ტერიტორიაზე დააბრუნოს დევნილები და გამოიწვიოს არეულობა, რაც ძალის გამოყენების საბაბი გახდება; მეორე: — თვითნგრევა. ცივი ზაფხული საკურორტო შემოსავალს შეამცირებს. გაჭირვება ხალხის უკმაყოფილებას გამოიწვევს. ეს ყველაფერი არასახარბიელო წინასაარჩევნო ფონს შექმნის. ამჟამინდელ პრეზიდენტს ვ. არძინბას ავადმყოფობის გამო არჩევნებში მონაწილეობა არ შეუძლია; კანდიდატები ერთმანეთში საქმის გარჩევას დაიწყებენ. მოსახლეობის ერთსულოვნება (რითაც აფხაზეთი აჭარისგან განსხვავდება) დაირღვევა. რაც ამას მოჰყვება, ცხადია.

ოფიციალური მოსკოვი მზადაა თვითმარქვია რესპუბლიკისთვის უფრო მორალურად მხარდასაჭერად. აფხაზეთს ცალკეული რეგიონები ეკონომიკურად მხარს უჭერენ იმით, რომ იქ ყიდულობენ უძრავ ქონებას, მაგალითად, როგორც ამას აკეთებს კრასნოდარის მხარის გუბერნატორი ალექსანდრ ტკაჩოვი ან მოსკოვის მერი იური ლუჟკოვი. აფხაზეთის იურიდიულად ცნობა კი ჩეჩნეთისთვის სახიფათო მაგალითი იქნება.

არგუმენტი ი ფაქტი №29

ირანი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მომხრეა

ირანი მიესალმება საქართველოში დემოკრატიულ გარდაქმნებს და საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას უჭერს მხარს. დამოუკიდებლობის, სტაბილურობის და უშიშროების შენარჩუნება არის მთავარი პრიორიტეტი კავკასიური რეგიონისა და საქართველოსთვის, — განაცხადა ირანის ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტმა, მოჰამედ ხათემიმ საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან შეხვედრისას. საქართველო უზარმაზარ მნიშვნელობას ანიჭებს ირანთან ეკონომიკურ თანამშრომლობას, — თქვა საქართველოს პრეზიდენტმა ირანში ბიზნესმენებთან შეხვედრაზე. მისი აზრით, ირანი და საქართველო ეკონომიკური თანამშრომლობის პოტენციალის მხოლოდ მესამედს იყენებენ. მიხეილ სააკაშვილმა ხაზი გაუსვა საქართველოს სტრატეგიულ მნიშვნელობას — საქართველო ირანს სატრანზიტო გზად გამოადგება ევროპაში საქონლის გასატანად. თუ გავითვალისწინებთ საქართველოში არსებულ მაღალ საწარმოო კულტურას და იაფ მუშახელს, თბილისი თეირანის ხელშეწყობით შეძლებს ერთობლივი კომპანიების შექმნას. ირანის სავაჭრო პალატის პრეზიდენტმა, ალი-ნაქი ჰამუშმა თქვა, რომ საქართველო დასაბამიდან ირანსა და ევროპას შორის გადებული ხიდი იყო. მისი მონაცემებით, 2003 წელს საქონელბრუნვა ირანსა და საქართველოს შორის შეადგენდა 53 მლნ დოლარს, აქედან საქართველოში ირანის იმპორტზე 38,6 მლნ დოლარი მოდის. საქართველომ ირანში 15,1 მლნ დოლარის საქონელი შეიტანა. ირანს საქართველოში შეაქვს სურსათი, ტანსაცმელი, სამშენებლო მასალა, სანტექნიკა, საკანცელარიო საქონელი, სხვადასხვა აქსესუარი. საქართველოდან კი გააქვთ მექანიკური აღჭურვილობა, მილები, ორთქლის ქვაბები და გენერატორები, ალუმინი.

ვიზიტის დროს განიხილეს საქართველოს გავლით ევროპაში ირანის გაზის გატარების საკითხიც.

თეჰერან თაიმსი

განხეთქილების ვაშლი

თბილისის და ცხინვალის კონფლიქტი რეგიონულ ჩარჩოებს გასცდა. მან რუსეთსა და მის დასავლელ პარტნიორებს შორის უთანხმოება გაამწვავა

სამხრეთ ოსეთის სპეცრაზმელების მიერ ქართველი პოლიციელების დაპატიმრება აშშ-მა მკაცრად დაგმო. „ჩვენ მოვუწოდებთ სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებას გაათავისუფლოს მძევლები და თავიდან აიცილოს შემდგომი უხეში პროვოკაციები“, — განაცხადა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურმა წარმომადგენელმა რიჩარდ ბაუჩერმა, ვაშინგტონი უკვე ჩაერთო ამ პრობლემის გადაწყვეტაში და სახელმწიფო მდივანი კოლინ პაუელი რფ-ის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვს ესაუბრა. ორივე მხარემ დააფიქსირა პრინციპული პოზიცია — საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარება. ყველაფერი იმაზე მიუთითებს, რომ ვაშინგტონის აზრით, სამხრეთ ოსეთის ხელმძღვანელობაზე გავლენა მოსკოვმა უნდა მოახდინოს, ასევე ფიქრობს თბილისიც. ცხინვალის ქმედება დაგმო ეუთომაც და საპარლამენტო სესიამ საგანგებო რეზოლუცია მიიღო „ე.წ. სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით“. ეუთომ არა მარტო მოსთხოვა სამხრეთ ოსეთს „ქართველი პოლიციელების დაუყოვნებლივ განთავისუფლება“, არამედ სამშვიდობო ძალებსაც მოუწოდა „რეგიონში უსაფრთხოების უზრუნველყოფა“. რეზოლუციას ხმა მხოლოდ რუსეთის დელეგაციამ არ მისცა — რუსეთის ინტერესებს არ შეესაბამება და ცალმხრივად არის მიღებულიო. რფ-ის წარმომადგენლებს ეტყობა, არ მოეწონათ, რომ ქართულ-ოსური კონფლიქტის გამწვავებაში ბრალი მთლიანად ცხინვალს დასდეს. მოსკოვში კი რფ-ის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი აცხადებს, — ამ რეგიონში დაძაბულობა გამოიწვია იმან, რომ შერეული საკონტროლო კომისიის ბოლო სხდომაზე მიღებულ ხელშეკრულებებს ქართული მხარე არ ასრულებსო. ამგვარად, ქართულ-ოსური კონფლიქტის ესკალაცია არა მარტო გარე ფაქტორების ჩართვას იწვევს, არამედ რუსეთსა და მის დასავლელ პარტნიორებს შორის უთანხმოებასაც. ეს კი, როგორც ჩანს, არ პასუხობს მოსკოვის ინტერესებს. ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარებაში პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინიც ჩაერთო — ტელეფონით ელაპარაკა საქართველოს მეთაურს. დაძაბულობის განმუხტვის კონკრეტული გზების შესახებ აზრი გამოთქვა რფ-ის უშიშროების საბჭოს მდივანმა იგორ ივანოვმა: „რუსეთი სთავაზობს საქართველოს უახლოეს დროში შერეული სა-

ოსეთის სპეცრაზმი ომისთვის ემზადება

კონტროლო კომისიის სხდომის ჩატარებას მოსკოვში, რომელსაც დაესწრებიან რუსეთის, საქართველოს, სამხრეთ ოსეთის და ჩრდილო ოსეთის მაღალჩინოსნები“. თათბირის მთავარ პირობად უშიშროების საბჭოს მდივანი თვლის ყველა ქართველი პოლიციელის განთავისუფლებას და რუსი სამშვიდობოებისთვის ქართველთა მიერ ჩამორთმეული იარაღის დაბრუნებას.

რუსეთის საგარეო პოლიტიკის უწყებამ მოუწოდა ქართულ მხარეს, მიუჯდეს მოლაპარაკების მაგიდას და გააფრთხილა, რომ რუსეთი გულგრილი ვერ დარჩება თავისი მოქალაქეების მიმართ, რომლებიც სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის უმრავლესობას წარმოადგენს და დაიცავს მათ უსაფრთხოებას. მათ დაგმეს შეიარაღებული ქვედანაყოფის მიერ განხორციელებული პროვოკაციული აქტები და თბილისის პროპაგანდისტული ზეწოლა.

კომერსანტი. რუ

ქართული პარლამენტი ჟირინოვსკის ცირკში ვაკანსიას სთავაზობს და საპასუხო დეპეშას უმზადებს

რუსეთის ვიცე-სპიკერმა ვლადიმირ ჟირინოვსკიმ საქართველოს პრეზიდენტს დეპეშა გაუგზავნა, სადაც საქართველოს მოუწოდა თავი შეეკავებინა სამხრეთ ოსეთის მიმართ მკვეთრი განცხადებებისგან. „საქართველო მალე საერთოდ არ იარსებებს. სანამ დრო გაქვთ, დაისვენეთ შავ ზღვაზე და გაიგრილეთ გული. ყველა პრობლემას უთქვენოდ გადაწყვეტენ ვლადიკავკაზში“, — ნათქვამია დეპეშაში. ჟირინოვსკის მიხეილ მაჭავარიანმა უპასუხა, — ჟირინოვსკი ჯერაც არ გამოსულა საცირკო ასაკიდანო. თბილისის ცირკში სამუშაოდ მიიწვია და განაცხადა, — ვლადიმირ ვოლფოვიჩის სახელზე საპასუხო დეპეშას ვამზადებ, რომელიც სამი სიტყვისგან იქნება შედგენილიო...

რეგნუმ რუ

გვერდი მოამზადა
თინათინ მარგველაშვილმა

ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო!

კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. გმადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.

პატარები გვეხუმრებიან

— ბაბუმ თქვა — რა არის ეს ტელეფონი წამდაუწუმ რეკავს!

— წამი ვიცი რა არის და უწუმ რა არის? — იკითხა **ანიმ**.

***

3 წლის **ირაკლი თორთლაძემ** ლიმონათი დალია, ბოთლი და საცობი ბაბუას მიაწოდა:

— დაახურე, ბაბუა, ქუდი დაახურე.

ცოტა ხნის შემდეგ ლიმონათი ისევ მოუნდა, — ბაბუა, აახურე ქუდი ლა...

***

— **თამთა**, ჩიტი რას შვრება?

— დაფრინავს.

— რითი?

— ფრთებით.

— ადამიანი რას შვრება?

— დადის.

— რითი?

— ჩუსტებით.

I იპოვე ბუტერბროდი, რომელიც იმ თანამიმდევრობითაა აწყობილი, როგორც მარცხნივაა ნაჩვენები



დევი და უქნარა

ზ ღ ა პ ა რ ი

ძველად, ერთ სოფელს დიდი დევი შემოეჩვია, რომლის გამოჩენაც ხალხს შიშის ზარს სცემდა. ამ სოფელში ერთი უქნარა ბიჭი ცხოვრობდა, რომელიც თავისი გულადობით ტრაბახობდა და ყველას ნიშნის მოგებით უცხადებდა, რომ დევის სულაც არ ეშინოდა. ერთხელაც დევი უქნარასთან მივიდა. უქნარამ დევი რომ დაინახა, შეეშინდა და სხვენზე აძვრა.

დევმა უქნარას შესძახა:

— მანდ როგორ ახვედიო.

— როგორ და, გობები ერთმანეთზე დავალაგე, შევდექი და ამოვედიო.

დევმაც დაალაგა გობები ერთმანეთზე, შედგა ზედ და სიმძიმისგან სულ დაამტვრია.

— უქნარავ, ასე არ გამოდისო, — შესძახა დევმა.

— მაშინ თეფშები დააწყვე ერთმანეთზე და ამოხვალო, — უპასუხა უქნარამ.

ესეც სცადა დევმა, მაგრამ თეფშებიც ჩაელეწა.

— ჩამოდი, უქნარავ! უნდა შეგჭამო, სულ ერთია, მაინც ჩემი ლუკმა ხარო, — დაუყვირა მოშიებულმა დევმა.

— დევო, ახლავე გაჩვენებ, რა ძალაცა მაქვს. აი, ამ ქვას დავფშვნი და ძირს ჩამოვყრიო, — დიდგულობდა უქნარა. აიღო ჭყინტი ყველი, მოუჭირა ხელი, დაფშვნა და ძირს ჩაყარა.

— უქნარავ, ან ჩამოდი, ანდა მითხარი, მანდ როგორ ახვედიო, — შეეხვეწა დევი.

— თუ მე ჩამოვალ, მე შეგჭამ, თუ შენ ამოხვალ, შენ შემჭამეო, — უპასუხა უქნარამ და იქვე დაუმატა, — მანდ რომ რკინის კეტი გდია, ცეცხლში გააწითლე, მერე ზედ შეჯექი და ამოხვალო.

დევმა ცეცხლში გაახურა კეტი, დაჯდა ზედ და სიმწრისაგან სული განუტევა.

უქნარამ რომ დაინახა, დევი მოკვდაო, ყვირილი მორთო:

— დევი მოვკალი, დევი მოვკალიო!

ყვირილზე ხალხი მოგროვდა. მკვდარი დევი რომ დაინახეს, იფიქრეს, მართლა უქნარამ მოკლაო და იმდენი ქონება მისცეს, მთელი სიცოცხლე ეყოფოდა.

შეიტანე კროსვორდის ბადის ცარიელ უჯრებში ნახატის შემადგენელი გამოსახულებების სახელწოდებები ვერტიკალურად და ყვითელ ჰორიზონტალურ რიგში მიიღებ **ჯუნგლებში გაზრდილი ბიჭუნას სახელს**.

II

იპოვე ორი ერთნაირი სპორტსმენი

III ანა, გამოიცანი

1) რა ჰქვია წმინდა კვერს, რომელსაც ზიარების დროს იყენებენ?
ა) სეფისკვერი; ბ) თაფლაკვერი; გ) ობლის კვერი; დ) თონის კვერი.

2) ჩამოთვლილი გამონათქვამებიდან რომელი ნიშნავს „სმენად გადაიქცა?“
ა) ყურები ჩამოყარა; ბ) ყურები დაცქვიტა; გ) ყურები გამოიბერტყა; დ) ყურები გამოუჭედა.

3) რა ჰქვია ცხენის კუდის ბეწვს?
ა) ფაფარი; ბ) თმა; გ) ჯაგარი; დ) ძუა.

4) ვინ არის ავტორი სიტყვებისა: „ჟაჟანებს არ შვენის ცრემლის ღვრა, ქვითინი დიაცურადა“?
ა) რაფიელ ერისთავი; ბ) ვაჟა-ფშაველა; გ) ალექსანდრე ყაზბეგი; დ) აკაკი წერეთელი.

5) დაასრულე ბიბლიაში მოცემული გამოთქმა: „მარცხენა ყბაში რომ გაგარტყან, მარჯვენა...“
ა) ყბაში გაარტყიო; ბ) ხელი დაარტყიო; გ) ყბა მიუშვირეო; დ) ყური აუწიეო.

6. რა ჰქვია ზუსტ მიბაძვა-მიმსგავსებას?
ა) ილუზია; ბ) იმპროვიზაცია; გ) იმიტაცია; დ) ინაუგურაცია.

7) ქართული მითოლოგიის მიხედვით, ვინ ითვლებოდა ნადირობის ქალღმერთად?
ა) დიანა; ბ) ბარბალე; გ) დალი; დ) ნანა.

8) რომელი უფრო ადრე მეფობდა?
ა) რუსუდანი; ბ) გიორგი II; გ) დემეტრე II; დ) ვახტანგ III.

იპოვე 10 განსხვავება

პასუხები იხილეთ 31-ე გვერდზე

გვერდი მოამზადა მამუკა ხუციშვილმა

„კვირის პალიტრის“ „ზღაპრების სახლმა“ უკვე 50 ქართული და უცხოური ზღაპარი გამოსცა. შეამოწმეთ, არის თუ არა ყველა ზღაპარი თქვენს კოლექციაში. ის ზღაპრები, რომლებიც წაკითხული გაქვთ, აღნიშნეთ ასე: — და სია აჩვენეთ მშობლებს

1. მელია და მწყერჩიტა
2. ქალთევზა
3. ნაცარქექია
4. მძინარე მზეთუნახავი
5. კომბლე
6. ირემისა
7. ჩიპოლინო
8. წითელქუდა
9. ფიფქია და შვიდი ჯუჯა
10. ხუთკუნჭულა
11. მაკნატუნა
12. თოვლის დედოფალი
13. ბრემენელი მუსიკოსები
14. ალიბაბა და ორმოცი ყაჩაღი
15. სამი გოჭი
16. თორმეტი თვე
17. სიზმარა
18. მაუგლი
19. ჩექმებიანი კატა
20. მგელი და შვიდი თიკანი
21. ნამცეცა
22. ნახევარქათამა
23. სამი ფორთოხალი
24. გოგონა და ურჩხული
25. წიქარა
26. ალადინი
27. ლორების მწყემსი
28. მძლეთამძლე
29. ქოჩორა რიკე
30. უფლისწული ბაყაყი
31. ბულბული
32. რიკი-ტიკი-ტავი
33. კონკია
34. მახინჯი იხვის ჭუკი
35. კატა, მამალი და მელა
36. ცეროდენა
37. გაუცინარი პრინცესა
38. ველური გედები
39. გაქვავებული სამეფო
40. გოგონა და სამი დათვი
41. წითელი ფეხსაცმელები
42. მოჯადოებული კატა
43. მეჩონგურე
44. თხისყურებიანი მეფე
45. ბურატინოს თავგადასავალი
46. ლომი და კურდღელი
47. მოჯადოებული ტყე
48. არვიციას ამბავი
49. ჯიუტი სილუკა
50. შრომის ფასი

ერთი წიგნი-ზღაპარი + გასართობი გვერდები 1 ლარი და 20 თეთრი ღირს

ზღაპრების შეძენა შეგიძლიათ „კვირის პალიტრის“ საგაზეთო ჯიხურებში, აგრეთვე პრესის სხვა გამავრცელებლებთან და წიგნის მაღაზიებში

ქართული კინოს საგანძურში შესული ფილმები: „მაგდანას ლურჯა“, „ჩვენი ეზო“, „ეგარისკაცის მამა“, „ლიმილის ბიჭები“, „ნირგები“, „დონ კიხოტი“ და კიდევ ბევრი სხვა, ერთი სიტყვასლია — სიცოცხლე კინოფილმებით განვლილი. ამ ფილმებით ნებისმიერი ქვეყანა იამაყებდა... ჩვენც გვიყვარს, დიდი სიამოვნებით ვუყურებთ მათ — რეჟისორისათვის კი ამაზე დიდი წარმატება არ არსებობს.

რეზო ჩხეიძე ნახევარ საუკუნეზე მეტია, ქართულ კინოს ემსახურება. რეჟისორის თვალით დანახული სამყარო განსხვავებული და საინტერესოა.

50 წელი დიდი დროა, მით უმეტეს, ეს ხანი პოლიტიკური კატაკლიზმებითაა დატვირთული. ბევრი რამ შეიცვალა... როცა ერთხელ რეზო ჩხეიძეს საყვედურით უთხრეს, — „რაიკომის მდივანს“ რატომ იღებო, ბატონმა რეზომ უპასუხა: — მე იმიტომ ვიღებ, რომ გოდერძი ჩოხელმა და თემურ ბაბლუანმა არასოდეს გადაიღონო.

ბატონ რეზო თავის სტუდენტებს თეატრისა და კინოს უნივერსიტეტში ხელოვნებასთან ერთად სამშობლოს და ქართველობის განცდას ასწავლის. „გუშაგობ ერს?“ — მარადა!“ ასე ესალმებიან ის და მისი მოწაფეები ერთმანეთს.

რა კარგი იქნება, ჩვენს ეროვნულ ჯარშიც ასეთი მისალმება რომ დამკვიდრდეს.

...ბევრი რამ გადაიტანა ბატონმა რეზომ, თუმცა სირთულე რა სახსენებელია იმ მშვენიერ განცდასთან, რასაც კინოს შეეწირა ჰქვია...

რეჟისორი მაყურებელს კიდევ უფრო მეტად აფასებს თავის ქვეყანას. თვითონაც სულ სხვა თვალით უყურებს სამშობლოს. ასე არ არის? — გკითხეთ ბატონ რეზოს.

რეზო ჩხეიძე:

ახლა მივხვდი, რა მშვენიერებაა უსასრულო ქვიშის ტრამალები...

— როცა კინოს იღებ, ის ადგილი, სადაც გადაღება გაქვს დაგეგმილი, ძალიან კარგად უნდა გაიცნო. იქაური ხალხი, იქაური ბუნება — გაითავისო. ასე უფრო უახლოვდები და ერწყმი იმ გარემოს... კინემატოგრაფისტის ხელობა ასეთია — ყველაფერს ზედმიწევნით უნდა იცნობდეს...

— თქვენთვის ყველაზე ახლობელი მაინც ის ადგილი იქნება, საიდანაც ჩხეიძეები წამოვიდნენ — ტაბაკინი, არა?

— ბაღდათთან ახლოს არის ტაბაკინი. იქ ჩვენი საგვარეულო ეკლესია და სასაფლაოა. ბავშვობაში მშობლებმა წამიყვანეს ტაბაკინში. მეორედ 1956 წელს ვიყავი იქ, უკვე „ჩვენი ეზოს“ ეპიზოდებს ვიღებდი ქუთაისში და გავიარე. სამწუხაროდ, კარგა ხანია, აღარ ვყოფილვარ...

— თქვენი ცხოვრების მანძილზე, ბევრ სირთულეს ხვდებოდით. ამაში რა გეხმარებოდათ?

— ბევრი სირთულე გადავლახე, ბევრიც უნდა გადავლახო. ადამიანის ყველაზე დიდი დამხმარე სიკეთეა. ის გიკაფავს გზას, გაგიყვანს ისეთ ადგილზე, სადაც არ მოელოდი, რომ გავლა შეიძლება. ვგრძნობ ხოლმე და ჩვენი გადამღები ჯგუფის წევრებიც გრძნობენ, რომ ღმერთი გვეხმარება. შეიძლება ცუდია, ასე რომ ვფიქრობ, იქნებ ამპარტავნობაა, მაგრამ ასე ვგრძნობდი. ახლაც, ბოლო ფილმზე მუშაობისას, ისეთი სიტუაცია შექმნილა, ხელები ჩამოგეშვება კაცს, არ ჩანს არანაირი გამოსავალი, უცებ კი ყველაფერი მოგვარდებოდა.

— ხასიათიც ხომ არის ანგარიშგასაწევი?

— შეიძლება ხასიათსაც აქვს მნიშვნელობა. მამაჩემი, დავით ჩხეიძე (ფსევდონიმით დია ჩიანელი), ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე გახლდათ. ამავე დროს პედაგოგიც, ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ერთ-ერთი დამაარსებელი. მე ქუთაისში ვარ დაბადებული და ხუთი კლასი იქ დავამთავრე. ჩვენი ოჯახი ლიტერატურულ-თეატრალურ სალონს ჰგავდა, ვის არ ნახავდით იქ, მთელი ქართული ინტელიგენცია თავს ჩვენთან იყრიდა...

მამა 1937 წელს დააპატიმრეს. სახლიდან გაგვყარეს. მამა ციხიდან წერილებს გვწერდა თუთუნის შესახვევ ძალიან თხელ და პატარა ქაღალდებზე. ეს ქაღალდები ერთ ქალბატონს გამოეჰქონდა სრულიად უსასყიდლოდ. მამა გვწერდა ყველას: დედას, ჩემს დებს, მე... მაგრამ მამა ძირითადად ჩემზე წერდა. არ ვიცი, იმიტომ, რომ ბიჭი ვიყავი, თუ იმიტომ, რომ უმცროსი ვიყავი. დედას სწერდა: — რეზოს სახელს თქვენ გაბარებთო. ამ მსხვერპლად შეწირული კაცის სიტყვამ თავისი გააკეთა. ვცდილობ, ქრისტიანი ვიყო. თუმცა მისგან ჯერ კიდევ შორს ვდგავარ. ამას არ ვამბობ მოკრძალების გამო, სრული შეგნებით გეუბნებით. მე ამ გზის დასაწყისში თუ ვდგავარ. ქრისტიანობა ძალიან რთულია, დიდ ნებისყოფას მოითხოვს...

— გვარი ხელს გიწყობდათ, რომ „ხალხის მტერი“ გამხდარიყავით. რეპრესირებული ოჯახის შვილობა დამღასავით იყო. ვინც მას ატარებდა, გზას ყველგან ულობავდნენო, — ამბობენ. თქვენ როგორ მიიღწიეთ საწადელს?

— საერთოდ, ბევრი რამ კომუნისტურ სისტემაში გაუგებარი იქნება, თუკი არ გავითვალისწინებთ იმას, რომ ხალხი სხვანაირად ფიქრობდა, არა ისე, როგორც გაზეთში იწერებოდა და როგორც ამას პარტია მოითხოვდა. უამისოდ ვერც ერთ რეალობას, რომელიც კომუნისტურ რეჟიმში იყო, ვერ გაიგებთ. გიამბობთ ერთ ამბავს: ჩავედით მოსკოვში, კინემატოგრაფიის ინსტიტუტში გამოცდების ჩასაბარებლად. ვავსებ ანკეტას. სოციალური წარმოშობის გრაფაში ჩავწერე — „თავადური“. მერე იყო მშობლების საქმიანობის ჩასაწერი გრაფა. დავწერე: მამა რეპრესირებულია 1937 წელს, დედა მუშაობს ბიბლიოთეკაში. მეორე დღეს მითხრეს, დეკანი გიბარებსო. სულ არ ვიცნობდი, ვინ იყო, პირველად ვნახე. მითხრა: — ერთი, კარი მოხურეო. დავხურე. დეკანმა დაიწყო: შენ, ქართველო, ნორმალური თუ ხარ, ეს რა დაწერე, ამითი ვინ მიგიღებს ინსტიტუტშიო? რა დავწერე-მეთქი? რომ წერ, თავადური წარმოშობისა ვარო, ახლავე ჩაწერე, მოსამსახურეთა ოჯახიდან ვარო... მამა დაპატიმრებულიაო... ვინ გეკითხება ამას, ვინ იცის მოსკოვში ეს? დაწერე მამის პროფესიაც და დედისაც. ეს განცხადება უცნობი რუსი ადამიანის ხელშეწყობით გადავწერე. არადა, როგორც დეკანს, შეეძლო შეეფერისხე. ის ფრონტიდან იყო დაბრუნებული. სამხედრო ფორმა ეცვა. გულზე ორდენები ეკეთა, სახელმწიფოს წარმოადგენდა. იმის ნაცვლად, რომ სახელმწიფო ინტერესები დაეცვა, მე დამიცვა. ასეთი რამ ხშირად შემხვედრია. ქვეყანა დაყოფილი იყო შრეებად. ამ დაყოფამ გამოიწვია საბოლოოდ კომუნისტების კრახი. ძნელი დასაჯერებელია, რასაც ახლა გეტყვით: მამა რომ წაიყვანეს, ჩვენთან შინსახკომელი მოვიდა ავეჯის აღსაწერად. ოთახში როიალი გვედგა. რომ შემოვიდა, ჩვენთვის არც შემოუხედავს, ვითომ კედლებს ათვალიერებდა, თან ამბობდა: ნათესავი ან მეზობელი არ გყავთ, ეს როიალი გაიტანეთო. მართლაც გავიტანეთ. მერე რომ გაგვიხსნეს ბინა, ისევ ის როიალი დაგვხვდა.

„დონ კიხოტის“ გადაღებისას

ეს სურათი „ლენფილმშია“ გადაღებული. გასცეს ბრძანება, — დაწვითო. ერთ ღამეს რეზო ესაძემ დამირეკა ლენინგრადიდან — ასეა ჩემი საქმე, რა ვქნაო. ვუთხარი, — ახლავე ჩამოდი-მეთქი. როგორ ჩამოვიდე, გზის ფული მე არ მაქვს, ფილმი ჩაკეტილია, არ მატანენო. გამოგიგზავნი გზის ფულს, სურათი მოიპარე და ჩამოდი-მეთქი. ეს ყველაფერი ასეც მოხდა.

— როგორ მოხდა, რომ რუსეთი ასე თუ ისე თვალს ხუჭავდა ქართულ ეროვნულ კინოზე და თქვენც ახერხებდით ეროვნული ფილმების გადაღებას?

— რუსეთშიც, ბევრ განყოფილებაში იჯდა ხალხი, რომელსაც სწორედ თვითმყოფადი, ეროვნული მოსწონდა. გვეუბნებოდნენ, — გადაიღეთ, ფული იქნებაო. ეს არ იყო ვინმეს მიმართ პიროვნულად გამოცხადებული სიმპათია. ეს იყო მათი სურვილიც.

— საქართველოში იბეჭდებოდა ის, რაც მოსკოვში არასდიდებით არ დაიბეჭდებოდა... რას მიაწერთ ამას — ქართულ გამბედაობას?

— პოლიტიკის თვალსაზრისით, ზენოლა „მოსფილმზე“ და „ლენფილმზე“ უფრო იყო, ვიდრე „ქართულ ფილმზე“. ჩვენ გვერიდებოდნენ. ქართული ინტელიგენციის მათ უფრო ეშინოდათ. მოსკოვში ჩემს დანახვაზე იტყოდნენ, — „ვოტ, პრიეხალ გრუზინსკი ტანკ“-ო. ამით რებოდეს და იოლი გზით წასვლა მერჩიოს. ერთადერთია: ასაკს მე კი არა, ფაუსტმა ვერ აჯობა. ფაქტია, ძალიან ბევრი წლისა ვარ. წლებთან ერთად სევდაც მატულობს, კიდევაც რომ გამიხარდეს რაიმე, ბოლოს ნაღველში გადადის ყველაფერი... თქვენ როგორ ფიქრობთ, ასაკის დაძლევა შეიძლება?

— ალბათ შეიძლება... სევდის დაძლევაა ძნელი...

— ერთ ათონელ მამას უთქვამს: არის ბუზი, რომელიც დაფრინავს ქვეყანაზე, ყოველგვარ სიბინძურეს შეკრებს და მოიტანს, არის ფუტკარი, რომელიც იქვე დაფრინავს და ნექტარს აგროვებსო — ეს თქვენს პასუხს მოვაყოლე. ამაში დიდი სიბრძნეა. ადამიანმა სილამაზე უნდა ეძებოს... ეს სევდაზე ძლიერიც იქნება.

— ყველაფერს ასწრებდით, რისი მოსწრებაც გინდოდათ? ოჯახის წევრებთან ერთის დაახლოსნამდვილად გექნებათ...

— რა გითხრათ... ახლა მე ხუთი შვილიშვილი მყავს. ერთი სულ ციცქნაა — ხუთი თვის, მეორე პატარა წელს მიდის სკოლაში. მიუხედავად მოუცლელობისა, ვცდილობ, მოვასწრო და ყველაფერი ვასწავლო. დამყავს გადაღებებზე. ბევრს ვუამბობ. რაც ახლა არ ესმის, ვნერ და ვუტოვებ. რომ გაიზრდება, წაიკითხავს...

— შვილებსაც სწერდით?

— შვილები რომ პატარები იყვნენ, მეც ყმაწვილი ვიყავი და ამისი სიბრძნე არ მქონდა... ახლა სხვაგვარად ვფიქრობ. ეს პატარა, რომელზეც გიყვებით, ჩემი ქალიშვილის შვილია. გულში კი მინდა, რომ ჩხეიძე იყოს, მაგრამ ამის თქმას ვერ გავბედავ!

— ბატონო რეზო, დედასთან როგორი დამოკიდებულება გქონდათ?

— ბავშვობაში დედაზე მიკედლებული ვიყავი. ამის გამო ბაღშიც არ ვიარე. დედა რვა წლის წინ გარდაიცვალა. ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, ერთხელ არ მითქვამს ხმამაღალი სიტყვა... არც შევკამათებივარ, არც სიტყვა შემიბრუნებია... ერთი დოკუმენტური ფილმია ჩემზე გადაღებული, იქ ამბობს დედაჩემი: — რეზოს ადრე ვერ ვიშორებდი, ისე მოკედლებული იყო, ახლა ვეღარ ვპოულობ, სულ წასულიაო... დედა იყო არაჩვეულებრივი ქალი. მამა რომ დაიჭირეს და მიჰყავდათ, საფულე ამოიღო ჯიბიდან, სულ 26 მანეთი ჰქონდა, ეს დაგვიტოვა... დედაჩემმა სამივე შვილი გაგვზარდა, ფეხზე დაგვაყენა! ამას ვერასოდეს დავივიწყებ...

— დაბოლოს, ახლა ძალიან მოუცლელი ხართ (როგორც ყოველთვის), ახალ ფილმს იღებთ..

— რა სამწუხაროა, რომ დაწვრილებით არ იცით ამ სცენარის შინაარსი. ფილმს ჰქვია „მაცხოვრის საფლავზე დანთებული წმინდა სანთლები“. ეს არის თანამედროვე ადამიანის სულიერ სამყაროზე შექმნილი ფილმი. გადაღებები გვქონდა ტიმოთეს უბანში, ისრაელში, ეგვიპტეში და ისევ საქართველოში უნდა გადავიღოთ (თუკი საამისო სახსრებს მოვიძიებთ). ვფიქრობ, ეს ფილმი სიკეთეს მოუტანს ქართველ ხალხს. წინ ხომ ახალი საქართველოს მშენებლობაა.

— ბატონო რეზო, თქვენი გამოცდილების რეჟისორს ძნელად გააკვირვებს რამე და მაინც, რამ მოახდინა თქვენზე დიდი შთაბეჭდილება ამ ფილმის გადაღებისას?

— ისეთ ადგილებს ვიღებდით, რომ შეუძლებელია, გულგრილნი დავრჩენილიყავით. ცხადია, როცა ზეციური ცეცხლის გადმოსვლას იღებ იერუსალიმში, ეს საოცარ ზეგავლენას ახდენს, მას სხვა ვერაფერი შეედრება. აქვე გეტყვით, ეგვიპტეში გადაღებები გვქონდა უდაბნოში და არ მოველოდი, თუ ასეთი მშვენიერი იქნებოდა უდაბნო. მან მართლაც გამოუთქმელი შთაბეჭდილება მოახდინა. ის კი არა, მინდა ახალი ფილმი, თუ ამას ღმერთი ჩამაგონებს, უდაბნოში გადავიღო.

ახლა მივხვდი, რა მშვენიერებაა უსასრულო ქვიშის ტრამალები...

ლელა ჯიყაშვილი

მეათე საუკუნის მეორე ნახევარი და მთელი მეთერთმეტე საუკუნე საქართველოს გაერთიანებისთვის ბრძოლას შეალიეს ქართველმა მეფეებმა. ღირსეულად უძღვებოდნენ ამ უდიდეს მისიას ქვეყნის საჭეთმპყრობელნი: წინა აზიაში უდიდესი ავტორიტეტის მქონე დავით მესამე კურაპალატი და მისი შვილობილი, გამორჩეულად ძლიერი ხელმწიფე ბაგრატ მესამე, ყმაწვილი და ბიზანტიის წინააღმდეგ დაუცხრომელი მებრძოლი გიორგი პირველი, რომელმაც სულ 25 წელი (ზოგიერთი წყაროს მიხედვით — 29 წელი) იცოცხლა, მაგრამ შეუპოვარი მებრძოლის სახელი დატოვა. მისმა მემკვიდრემ ბაგრატ მეოთხემ კი ბალავერი დაუდო მეთორმეტე საუკუნის უძლიერეს საქართველოს.

ბაგრატ მეოთხე – უმეტეს საქმენი, ვიდრე სახელი...

ისევ პაექრობა ბიზანტიასთან

მცირეწლოვანი ავიდა სამეფო ტახტზე ბაგრატ მეოთხე. მხოლოდ 9 წლისა (ზოგიერთი წყაროთი 7 წლისა) იყო, როდესაც 1027 წელს, მამამისი, გიორგი პირველი გარდაიცვალა. ურთულესი იყო ქვეყნის მდგომარეობა. მრავალწლიან ომში ვიყავით ჩართულები ბიზანტიის იმპერიასთან, რომელიც ტაო-კლარჯეთს და საერთოდ სამხრეთის მიწა-წყალს გვედავებოდა. ბიზანტიას არც საქართველოს გაერთიანების ტენდენციები ეხატებოდა გულზე. პირდაპირ ვთქვათ, რომ საბოლოოდ, მამა-შვილის, გიორგი პირველისა და ბაგრატ მეოთხის გონივრულმა პოლიტიკამ და შეუპოვარმა ბრძოლამ მეთერთმეტე საუკუნეში შეუნარჩუნა დამოუკიდებლობა ქვეყანას და საბედნიეროდ, ჩვენ არ გავიზიარეთ მეზობელი სომხეთის ბედი, რომელმაც ვერ გაუძლო ბერძენთა იმპერიის აგრესიას და შეწყდა მისი სახელმწიფოებრიობა.

...დასაწყისი კი მეტად ძნელი იყო. 1028 წელს იმპერატორი კონსტანტინე აოხრებს ტაოს, იმ მიწა-წყალს, რომელიც რამდენიმე წლის წინ ბასილი მეორე ბულგართმჟლეტისგან იყო იავარქმნილი. ამით აგრძნობინებს ქართველებს, რომ იმპერატორები იცვლებიან, მაგრამ პოლიტიკა და პრეტენზიები საქართველოს მიმართ არ იცვლება.

ტაოს შემდგომ თრიალეთს მოადგნენ ბიზანტიელნი, მაგრამ ლიპარიტ ბაღვაშმა აჩვენა მტკიცე მახვილის ძალა და უკუაქცია.

პირისპირ ბრძოლის გარდა არც დივერსიას და გაერთიანების გზაზე დამდგარი ქვეყნის შიგნიდან გახლეჩის მცდელობას თაკილობდა ბიზანტია. განზე გამხედვარ დიდებულებს რა გამოლევდა... არ სურდა ბევრს მეფის მტკიცე ხელისუფლება. უკიდეგანო უფლებები ეზღუდებოდათ, ბიზანტიური ძღვენ-ტიტულებიც ხიბლავდათ. ასე უგანეს მეფეს ვაჩე კარიჭის ძემ და ბანას ეპისკოპოსმა იოანემ, ჩანჩახა ფალელმა და არჯევან ჰოლოლას ძემ, შავშეთის ერისთავმა და „უმრავლესნმა აზნაურნმა ტაოსა“, ციხიანებმა და უციხოებმა...

მთლად უიმედოდაც არ იყო საქმე. საბედნიეროდ, არ დაშრეტილა და არც დაიშრიტება სამშობლოსადმი ერთგულების უხილავი ენერგია. სასულიერო პირები დადგნენ საქართველოს სამხრეთი მიწა-წყლის დარაჯად — სპეტაკნი სულით და შეუდრეკელნი ღონით — ეპისკოპოსნი საბა მტბევარი და ეზრა ანჩელი. კიდევ ერთხელ უკუაგდეს მტერი და დუშმანი სამხრეთიდან.

ჯვრისწერა მცირეწლოვანთა

საჭირო იყო სახელისუფლებო-დიპლომატიური ღონისძიებანი, რაც ითავა ბაგრატ მეოთხის დედამ, სახელოვანი სენექერიმის (სომეხთა მეფის) ასულმა და საქართველოს დედოფალმა მარიამმა. ამ დროს კონსტანტინეპოლში ახალი იმპერატორია — რომანოზ მესამე. მას, კონსტანტინეპოლის პრეფექტ-ეპარქოსს, როგორც ხშირად ხდებოდა ბიზანტიაში, შემთხვევით „მიართვეს“ ტახტი. კონსტანტინე მერვემ სიკვდილის წინ დაიბარა იგი და ერთ-ერთი ქალიშვილის (მეფეს სამი შეუხედავი ასული ჰყავდა, სამივე გაუთხოვარი), ზოიას ხელი შესთავაზა. სხვა რა გზა ჰქონდა რომანოზს, კანონიერ ცოლ-შვილს, შერისხვასა და ყველაფრის დაკარგვას უსახური ზოიას ქმრობა, იმპერატორობა და დიდება არჩია.

სწორედ ამ რომანოზთან აწარმოა მოლაპარაკება კათალიკოს მელქისედეკის თანხლებით მარიამმა. ამჯერად მშვიდობა ბიზანტიისათვის ხელსაყრელი აღმოჩნდა და ერთობისა და სიყვარულის ფიციც დაიდო ორ ქვეყანას შორის. და რომ ეს ფიცი უფრო განმტკიცებულიყო, იმპერატორმა „მოსცა პატივი კურაპალატობისა და მოსცა ცოლად ბაგრატისათვის დედოფალი ელენე“ — თავისივე ძმისშვილი.

საზღვარზევე შემოეგებნენ მაყრიონს ბაგრატი და ამალა მისი. ერთმანეთი გაიცნეს და გაიხარეს ბავშვებმა — 12-13 წლისანი იქნებოდნენ. ჯვრისწერაც გაიმართა ბანას დიდებულ მონასტერში. უჩვეულო და უმშვენიერესი სანახაობა მოეწყო. ახალწამოჩიტული ნეფე-პატარძალიც ბედნიერები იყვნენ და ერთმანეთს შეჰხაროდნენ... სამწუხაროდ, დიდხანს არ გაგრძელდა პატარების სიყვარული. დღენაკლული აღმოჩნდა ბერძენი დედოფალი და მოკლე ხანში აღესრულა კიდეც. მცირეხნიანი „მეგობრობაც“ ორ ქვეყანას შორის ქიშპით შეიცვალა. მოგვიანებით სამოყვროდ ქართველთა სამეფო კარი კავკასიონის იქით მეზობელ ოსებს დაუკავშირდა და ბაგრატ მეოთხემ ცოლად შეირთო ელენეზე არანაკლებ მშვენიერი ბორენა, ასული მეფე ურდურესი.

სხვათა შორის, ოვსთა ასულებს დაადგეს თვალი ქართველმა მეფეებმა, მეტადრე ამ ეპოქაში. განთქმულნი იყვნენ სილამაზით ამ ტომის ქალები. სტეპური სიმკაცრე შერწყმული იყო კავკასიურ მომხიბვლელობასთან. თუმცა პოლიტიკაც არ უნდა დავივიწყოთ. ადრეფეოდალური სახელმწიფო ყალიბდებოდა ალანოსებში, ქართველთათვის ხელსაყრელი იყო ძლიერ მოკავშირეს გაეკონტროლებინა დარიალის, იმავე დარიალანის ჩრდილო კარიბჭე. ოსი ქალებისთვის კი მიმზიდველი იყო კავკასიისა და წინააზიის ერთ-ერთი უძველესი და დიდი კულტურის მქონე ხალხის დედოფლობა.

ბაგრატის მამას, გიორგი პირველს მეორე ვაჟიც ჰყავდა „სხვა ცოლისაგან“ — ოვსთა მეფის ასულ ალდესაგან — დემეტრე. ახლა მისი გამოყენება სცადეს შინაურმა და გარეშე მტრებმა. მან კი ძლიერი მფარველი, ბიზანტია ამოირჩია და როგორც ბიზანტიელი ისტორიკოსი გიორგი კედრენე მოგვითხრობს, ერთგულების დასამტკიცებლად ბიზანტიას ანაკოფია (ახალი ათონი), ეს უმტკიცესი ციხე „მიართვა“. მიიღო კიდევაც სანაცვლოდ მაგისტროსის ტიტული.



ოშკის ტაძრის კედელზე შემორჩენილი ფრესკის ფრაგმენტი, რომელზეც ასახულია მეფედ კურთხევა ბაგრატ მეოთხისა

კარგა ხანს გამოიყენეს ბიზანტიელებმა პლაცდარმად ანაკოფია. დიდი ბრძოლა დასჭირდათ ქართველებს, რომ ბერძნებისთვის აქედან ფეხი ამოეკვეთათ.

მეფისა და ლიპარიტის ოცწლიანი ქიშპი

მცირეხნიანი მშვიდობა ჩამოვარდა ბიზანტიასთან. ისარგებლა ამ „შესვენებით“ ბაგრატმა და განძა (განჯა) დალაშქრა. სასტიკად დაამარცხა გადიდგულებული ფადლონ — ამირა განძისა. ამის შემდეგ კი იწყება ბრძოლა თბილისისათვის. თითქმის ოთხი საუკუნე(!) იყო გასული მას შემდეგ, რაც არაბები დამკვიდრდნენ ქართლის უმთავრეს ქალაქში. სახალიფოს შესუსტების შემდეგ, მეცხრე საუკუნიდან დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულად, საამიროდ ჩამოყალიბდა თბილისი. მოსახლეობა უმეტესად ქართული იყო, მმართველნი — არაბნი და სხვა ჯურის მუსლიმნი. ერთ-ერთი უმთავრესი ქალაქი და სავაჭრო ცენტრი იყო მახლობელ აღმოსავლეთში თბილისი. ნაყოფიერ სანახებსა და ძლიერ ციხეებსაც ფლობდა ქვემო ქართლში. სწორედ ამ მამულებს დაადგა თვალი ლიპარიტ ბაღვაშმა, უძლიერესმა დიდებულმა მაშინდელი საქართველოსი. 1032 წელს დიდებულ იოანე აბაზას ძესთან ერთად გამოიტყუეს თბილისის ამირა ჯაფარ ალის ძე, დაატყვევეს და ბირთვისის ციხეც აიღეს. ეჭვით შეხვდნენ სხვა დიდებულები ამირას შეპყრობას. ლიპარიტის გავლენა და მამულები კიდევ უფრო იზრდებოდა და მეფისთვისაც საშიში ხდებოდა იგი. ამიტომაც დაყაბულდა ბაგრატი დიდებულების რჩევას და გაათავისუფლა ამირა ჯაფარი. წყენა არ შეიმჩნია, მაგრამ გულში კი ჩაიდო ლიპარიტმა.

ხუთი წლის შემდეგ ლიპარიტმა კვლავ შემოარტყა ალყა თბილისს. ორი წელი გაგრძელდა გარემოცვა. ქალაქში საშინელმა შიმშილმა დაისადგურა, მემატიანეთა ცნობით, სხვა რომ არა იშოვებოდა, „ერთი ლიტრა (სამასი გრამი) ვირის ხორცი ხუთასი დრაჰმა ღირდა“. ამირას ტივები და ნავები გამზადებული ჰქონდა, რომ უჩუმრად დაშვებულიყო მტკვარზე, მაგრამ კვლავ ბედმა გაუღიმა. ლიპარიტის გარეშე მოურიგდა მას ბაგრატი, ალყა მოხსნა ქალაქს და სანაცვლოდ, მხოლოდ ბირთვისისა და ფარცხისის ციხეები დაიკავა. ამით საბოლოოდ გადაიმტერა ბაღვაში და მათი უმაგალითო ქიშპი და მტრობა თითქმის ოცი წელი გაგრძელდა. ამ ხნის მანძილზე ვერაფერი მოუხერხა მეფემ თავის ფეოდალს — წამქეზებელი და მხარდამჭერი ბიზანტია ჰყავდა ლიპარიტს. მაგრამ თავად ლიპარიტ ბაღვაშიც მნიშვნელოვანი ფიგურა იყო საქართველოს ისტორიაში და დიდი სახელიც ჰქონდა იმდროინდელ მეფე-სულთნებსა და მხედართმთავარ-დიდგვაროვნებს შორის. ერთად, ერთ ეპოქაში მოუწია ორ დიდებულ პიროვნებასა და გამორჩენილ სარდალს მოღვაწეობა — საქართველოს გაერთიანებისთვის დაუცხრომელ მებრძოლ ბაგრატ მეოთხეს და მის ურჩსა და დაუოკებელ ვასალს ლიპარიტ ბაღვაშს. დიდად დასანანი კი სწორედ ის არის, რომ თავისი ნიჭი და უნარი ლიპარიტმა საქართველოს ძლიერებას კი არ შეალია, არამედ ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ უშეღავათო ბრძოლას.

მკვლევარები მანანა სანაძე და თამაზ ბერაძე გვაწვდიან უცხოელი მემატიანის საინტერესო ცნობებს, რაც ნათლად ახასიათებს ლიპარიტ ბაღვაშის სახელსა და პიროვნებას. ლიპარიტი, ბიზანტიელებთან ერთად იბრძოდა წინა აზიაში თურქ-სელჩუკებისა და მათი სულთნის, თოღრულ ბეგის წინააღმდეგ. ამ ბრძოლაში 1048 წელს ტყვედ ჩავარდა ლიპარიტი. ბიზანტიის კეისარმა კონსტანტინე მეცხრე მონომახმა სულთანს ნახევარ ტონაზე მეტი ოქრო (რაც 400 ათასი დინარით გამოიხატებოდა) შესთავაზა თანამებრძოლის გამოსახსნელად. და აი, შუა საუკუნეების რაინდული ურთიერთობის ღირსეული ნიმუში: თოღრულ ბეგმა იუკადრისა ასეთი გამოჩენილი მხედართმთავრის სანაცვლოდ თანხის აღება და გამოსასყიდის გარეშე გაათავისუფლა. კმაყოფილმა კეისარმა კი მართლაც მეფური გულუხვობით გადაუხადა სამაგიერო თოღრულ ბეგს. არნახული ძღვენი გაუგზავნა (რომელზე უარის თქმაც წარმოუდგენელი იყო მაშინ) — 100 ფარჩისა და 500 სხვა სამოსი, 500 ცხენი, 200 ათასი დინარი (ანუ მეოთხედი ტონა ოქრო), 100 ვერცხლის ზოდი, 300 საპალნე ცხენი, 300 ეგვიპტური სახედარი, 1000 თეთრბეწვა, შავთვალა და შავრქიანი თხა, ხოლო შუამავალსა და საქმის მომრიგებელ იბნ მირვანს, დიარბექირ-ხლათ-მანაზკერტის გამგებელს უძღვნა ათი მანი, ანუ 8.125 გრამი მუშკი — უძვირფასესი სურნელოვანი ნივთიერება, რომელიც ჩინეთიდან და ტიბეტიდან შემოჰქონდათ.

ამ ფაქტის აღსანიშნავად კონსტანტინე მონომახმა კონსტანტინეპოლში, არაბი ხალიფა აბდ ალ-მალიქის ძმის, სარდალ მასლამას მიერ მერვე საუკუნეში აგებული მეჩეთი აღადგინა!

ტყვეობიდან ასე სახელოვნად გათავისუფლებულმა ლიპარიტმა ისევ შეუტია ბაგრატ მეოთხეს.

მოუღლელად ებრძოდა ოცი წელი ლიპარიტ ბაღვაში ბაგრატ მეოთხეს, რამდენჯერმე დაამარცხა კიდეც, მაგრამ ერთი რამ ფაქტია — მეფობა გულშიც არ გაუვლია. ყოველთვის ჰყავდა მომზადებული თავისი ფავორიტი, რომლის დასმასაც ცდილობდა მეფედ. ჯერ იყო და ბაგრატის ნახევარძმა დემეტრე ჰყავდა გამზადებული სამეფოდ, მერე კიდევ უფლისწული, ბაგრატისვე ვაჟი, მცირეწლოვანი გიორგი...

კვლავ ერთიანობისთვის ბრძოლა

მეფე ბაგრატი ამასობაში ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევს დასახული მიზნისკენ, საქართველოს გაერთიანებისთვის. მეთერთმეტე საუკუნის შუა ხანებში დადგა სომხეთის სახელმწიფოს ყოფნა-არყოფნის საკითხი. ბოლო მეფე გაგიკ მეორე 1045 წელს კონსტანტინეპოლში გაიწვიეს და იქ დაატყვევეს. როდესაც გაუჭირდებათ ხოლმე, სომხები რეალურ გამოსავალს პოულობენ. ასე იყო ახლაც. მიიჩნიეს, რომ ქომაგად საქართველო დაუდგებოდათ. მით უმეტეს, დედოფალი მარიამი სომეხთა სამეფო ტახტის ჩამომავალი იყო. ბაგრატმა ეს მიწვევა მიიღო, ბიზანტიას რამდენიმე მხრიდან შეუტია და ერთი დრო ანისის სამეფო ტახტიც „მოსინჯა“ და იქ თავისი მეციხოვნეც ჩააყენა. ამავე დროს ანაკოფიაში გადავიდა და თავისი ნახევარძმა დემეტრე კუთხეში მიიმწყვდია. ამ დროს ეახლნენ მეფეს თბილისის ბერები, გამგებლები, ამირა ჯაფარის გარდაცვალება აუწყეს და ქალაქის დასაკავებლად მიიწვიეს. ანაკოფიაში ერთგული სარდალი დატოვა და მსწრაფლ თბილისს მოაშურა. ეტყობა, ესწრაფოდა, თბილისი ლიპარიტს არ დაეკავებინა. ზარზეიმით შეხვდა თბილისი მეფეს: „მოეგებნეს ქალაქის ბერნი, დარბაზის ყმანი ცხენოსანნი დილმისა ველსა... მოართუნეს კლიტენი ქალაქისანი და შეიყვანეს საამიროსა დარბაზს“. ისანი არ დაემორჩილა ბაგრატს და დიდი ბრძოლაც გაუმართა. კვლავ „ამოძრავდა“ ბიზანტია, ლიპარიტთან და ქვეყნის სხვა შინამტრებთან ერთად ბაგრატ მეოთხეს ეს მნიშვნელოვანი წამოწყებანი ჩაუშალა. ანისიც დაკარგა და ვერც თბილისი და ანაკოფია დაინარჩუნა მეფემ.

„საპატიო ტყვეები“

საბოლოოდ ისევ ბიზანტიას მიაკითხა საქმის მოსაგვარებლად დედასთან, მარიამთან ერთად, ბაგრატ მეოთხემ. კონსტანტინეპოლში წასვლის წინ ტახტზე მცირეწლოვანი მემკვიდრე გიორგი დატოვა. სწორადაც მოიქცა. რადგან მართალია, ბიზანტიაში ერთმანეთთან კი დააზავეს მეფე ბაგრატი და ვასალი მისი ლიპარიტი, მაგრამ მთელი სამი წლის განმავლობაში კეისარმა მიხეილ მეექვსემ განზრახ არ გაუშვა მეფე საქართველოში. ფაქტობრივად, „საპატიო ტყვედ“ ჰყავდა იგი 1057 წლამდე, როცა სამშობლოში დააბრუნა „დიდითა დიდებითა ნიჭითა და განძითა მიუწვდომელითა“.

ახალი დაპირისპირება იყო მოსალოდნელი ქვეყნის შიგნით. ამას კი ვეღარ გაუძლებდა ფეხზე ახალდამდგარი საქართველო. ამიტომაც იყო, რომ პატრიოტმა დიდგვაროვნებმა მესხი აზნაურის სულა კალმახელიძის მეთაურობით, შეიპყრეს ლიპარიტი და ვაჟი მისი ივანე და ბორკილგაყრილი მიჰგვარეს მეფეს ძვირფასი ტყვეები. ბაგრატმა ივანე ბაღვაშს კლდეკარის საერისთავო ჩამოართვა და მხოლოდ საგვარეულო მამული, არგვეთი დაუტოვა. ლიპარიტი კი ბერად აღიკვეცა ანტონის სახელით და მის მიერვე ანტიოქიის მახლობლად დაარსებული მონასტრიდან დასდო ღვაწლი ქართულ მეცნიერებასა და კულტურას. 1060 წელს მიიცვალა, ანდერძის თანახმად ჩამოასვენეს და დაკრძალეს „კაცხს, სამარხავსა მამათა მათთასა“.

თურქ-სელჩუკთა გამოჩენა

თითქოს დამშვიდდა საქართველო, ქვეყნის საბოლოო გაერთიანებაც არ არის შორეული საქმე. შინაური მტრებიც ალაგმულნი არიან, ბიზანტიასთანაც ასე თუ ისე, მოგვარებულია ურთიერთობა... მაგრამ როდის ყოფილა, რომ საქართველოსთვის დიდხანს გაგრძელებულიყო მშვიდობიანი ცხოვრება... თურქებია მორიგი სასჯელი ჩვენთვის! თანაც ძალიან დიდი ხნით!

მეთერთმეტე საუკუნის სამოციან წლებში პირველად გამოჩნდნენ საქართველოში თურქნი, სელჩუკთა მოდგმისა, რომელნიც თავიანთი სამკვიდროდან, კასპიისპირეთიდან უკვე წინა აზიაში შემოხიზნულან. შემოხიზნულან არა მშვიდობით, არამედ ხმლითა და სისხლით. წინ წამოუძღვა თოღრულ ბეგი — სელჩუკის შვილიშვილი.

ორი მძიმე ლაშქრობა მოაწყო თურქთა სულთანმა ალფ-არსლანმა. 1064 წელს თავისი ურდოებით თრიალეთ-ჯავახეთი მოარბია, ხოლო 1068 წელს — აღმოსავლეთი საქართველო. ხარაჯას სთხოვდა ალფ-არსლანი ქართველთა მეფეს, სამაგიეროდ, შერიგებასა და ზავს სთავაზობდა, მაგრამ იმ წელს უჩვეულო ყინვებისგან მეტად შეწუხებული პასუხს აღარ დაელოდა, აიყარა და თავისი სამკვიდროსკენ იქცია პირი.

უძლეველ თურქ-სალჩუკთა მრისხანე სულთნის ალფ-არსლანის წინააღმდეგ ბრძოლა ფაქტობრივად ბაგრატ მეოთხის გამარჯვებით დასრულდა. იგი ისე გარდაიცვალა, რომ არც დამარცხება უღიარებია და არც ხარკის გადახდა უკისრია თურქთათვის.

მიიცვალა საქართველოს გაერთიანებისათვის დაუცხრომელი მეფე ბაგრატ მეოთხე 1072 წელს, 24 ნოემბერს. მეფე, რომელიც 9 წლისა ავიდა სამეფო ტახტზე, 45 წელი იმეფა და 54 წლისა აღესრულა. და მემატიანის სიტყვით იყო „სახით უმშვენიერესი ყოველთა კაცთასა. სრული სიბრძნითა, ფილოსოფოსი ენითა, სვიანი ბედითა... მოწყალე ცოდვილთათვის“.

განილია მეფობა ბაგრატ მეოთხესი. არ იყო გარეგნულად მბრწყინავი და „ეფექტური“ მეფე, მაგრამ უდიდესი საქმე გააკეთა. იმიტომაც ვერ დატოვა შთამომავლობაში განსაკუთრებული შარავანდედით მოსილი სახელი, რომ ჯერ აუწყობელ ქვეყანაში სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა ხალხისა მძიმე იყო. ასე იყო მაშინ და ახლაც ასეა — რთულია ყველა იმ ქვეყნის მდგომარეობა, ვინც იწყებს და ახორციელებს სახელმწიფოს გაერთიანებას თუ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას. ეს კი ისეთი საქმეა, რომლის სასიკეთო შედეგები, სოციალურად და ეკონომიკურადაც, მაშინვე არ ჩანს...

ისტორიული წყაროების მიხედვით მოამზადა ნოდარ შოშიტაშვილმა

CMYK

„ვეამბორები ქართულ მიწას და ავტირდები ტარიელივით...“

„თუ ჩამოსული ქართველი თავად არ მოინდომებდა ჩემთან შეხვედრას, ახლოსაც არ ვეკარებოდი“

2003 წლის ნოემბრის ბოლოს ამერიკაში მცხოვრები ქართველი ემიგრანტის, ბატონ პეტრე ხვედელიძის მიწვევით ვაშინგტონში გავემგზავრე. ბატონი პეტრე ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის გაზეთ „ქნარის“ საშუალებით გავიცანით. ერთ მშვენიერ დღეს კი ბატონმა პეტრემ თავისი ბიბლიოთეკა, მუსიკალური ჩანაწერები და საარქივო მასალები თეატრს გადმოსცა საჩუქრად. ამერიკაში სწორედ ამ მასალის საქართველოში გამოსაგზავნად მომზადებისთვის გავემგზავრე... პეტრე ხვედელიძე ძველი ქართული ემიგრაციის ცოცხალი მატიანეა. საარქივო მასალებზე მუშაობისას მის მემუარებსაც გავეცანი, რასაც ბატონ პეტრესთან საინტერესო ინტერვიუ მოჰყვა. გთავაზობთ მას მცირედი შემოკლებით...

პეტრე ხვედელიძე

— ბატონო პეტრე, მიხარია, რომ თქვენთან შეხვედრის საშუალება მომეცა. საქართველოშიც ბევრს უყვარხართ და მეგობარიც მრავლად გყავთ... რამ გადაგაწყვეტინათ თქვენი ბიბლიოთეკის, მუსიკალური ჩანაწერებისა და სხვა საარქივო დოკუმენტების თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრისათვის გადაცემა?

— მიზეზი ჩემს ბავშვობასა და ჩემი ცხოვრების ბოლო წლებს შორის უნდა ვეძებოთ, მათ შორის კი ერთი ჩვეულებრივი ადამიანის ტკივილით სავსე სიცოცხლეა მოქცეული... მუსიკოსები ოჯახში არ მყოლია, მაგრამ ხელოვნება ყველას გვიყვარდა. დედა ყოველ წელს ყიდულობდა ჩემთვის წლიურ აბონემენტს მოზარდ მაყურებელთა თეატრის სპექტაკლებზე. ბავშვობის მოგონებები უკავშირდება დიდუბის ეკლესიის მრევლსაც, რომლის წევრიც დედაჩემი იყო, და მუშთაიდის ბაღს, რომელსაც გასაბჭოების შემდეგ ორჯონიკიძის სახელი(!) უწოდეს. ამ ბაღში ზაფხულობით ხშირად დავდიოდი, უფრო სწორად, ვიპარებოდი, რადგან ბილეთის ფული არ მქონდა. იქ ხშირად ტარდებოდა კონცერტები, უჩვენებდნენ კინოფილმებს, უკრავდა ორკესტრი, რომლის დირიჟორი, სხვათა შორის, ძალიან ჰგავდა ბეთჰოვენს... მუშთაიდში მოვუსმინე პირველად ნიკო ქუმსიაშვილს, ახალგაზრდა პეტრე ამირანაშვილს, ემანუელ აფხაიძეს... ხელოვნების სიყვარული სამშობლოდან გადახვეწილსაც არ გამნელებია. ძალიან მიყვარდა კითხვა — ვყიდულობდი წიგნებს, საუკეთესო მუსიკალურ ჩანაწერებს, ვიწერდი პერიოდულ გამოცემებს. ვფიქრობდი, პენსიაზე რომ გავალ, დროს წიგნების კითხვაში, მუსიკის მოსმენასა და მემუარების წერაში გავატარებ-მეთქი... მაშინ რას წარმოვიდგენდი, რომ საბჭოთა კავშირის დაშლას მოვესწრებოდი და სამშობლოსთან დაკავშირების საშუალება მომეცემოდა. სწორედ მას შემდეგ გადავწყვიტე ბიბლიოთეკის საქართველოში გაგზავნა. ვიფიქრე, დროა „ვალი“ დავაბრუნო-მეთქი და გადავწყვიტე, ჩემი ბიბლიოთეკა და სხვა მასალები ოპერის თეატრისთვის მეჩუქებინა. ეს არის წარსულში ერთი დიდუბელი პატარა ბიჭის ოცნების ასრულება და ამაში ღმერთი დამეხმარა...

— ბატონო პეტრე, მრავალთა შორის თქვენც ერთმა პატარა გაუგებრობამ „მოლალატედ“ გაქციათ და სამშობლოსთან განშორება მოგისვადათ...

— ომი რომ დაიწყო, ჩემი სამხედრო ნაწილი ბესარაბიაში იდგა. პირველი შეტევის დროს სამი კვირა მივდიოდით აღმოსავლეთისკენ, ვცდილობდით, როგორმე სამშვიდობოს გაგვეღწია. გერმანელებს უკვე ბევრი წითელარმიელი ჩაეგდოთ ტყვედ, თუმცა ბევრი ნებითაც ბარდებოდა. მალე ჩვენი ნაწილიც დიდ ალყაში მოექცა. ჩვენი ასეული რომელიღაც დივიზიის არტილერიის დასაცავად გააგზავნეს. ის ადგილი კი უკვე გერმანელებს დაეკავებინათ. რამდენიმე მეგობართან ერთად ალყა გავარღვიე და ბატალიონის უფროსი ვიპოვეთ, რომელიც ჩემი უფროსი ძმის — მიხეილის ყოფილი ხელქვეითი აღმოჩნდა. გამიხარდა მისი დანახვა. ვთხოვე, თქვენთან დავრჩები-მეთქი, მაგრამ უარი მითხრა — ბრძანებაა, იქ უნდა დაბრუნდეთ, სადაც იყავითო. ამ „დაბრუნებაში“ გერმანელების ხელში აღმოვჩნდით. ძალიან განვიცდიდი ტყვეობას, მაგრამ მერე და მერე ომში ნანახმა ბევრ რამეზე ამიხილა თვალი... ტყვედ კი არ ჩავბარდი, ტყვედ ჩამიგდეს. ტყვედ ჩაბარება რომ მნდომებოდა, ამას ომის პირველივე დღეებში მოვახერხებდი... ყველა ქვეყანა სამშობლოში დაბრუნებულ ტყვედყოფილებს ზარ-ზეიმით ხვდებოდა, საბჭოთა მთავრობა კი მათ ხვრეტდა ან ციმბირისკენ მიერეკებოდა.

— ალბათ, რამდენჯერ გიოცნებიათ სამშობლოში დაბრუნებაზე...

— იმის შემდეგ, რაც მოხდა, აღარ მიფიქრია სამშობლოში დაბრუნება. არა იმიტომ, რომ სამშობლოს სიყვარული გამინელდა. უბრალოდ, ომის წლებმა კიდევ უფრო გამიმძაფრა შეურიგებლობის გრძნობა საბჭოთა რეჟიმის მიმართ, რომელმაც ჩემი სრულიად უდანაშაულო ორი უფროსი ძმა იმსხვერპლა. მიხეილი 1937 წლის 23 სექტემბერს, გამთენიისას წაიყვანეს სახლიდან. მეორე დღეს, ამბის გასაგებად განყოფილებაში მისულ დედაჩემსა და ძმის მეუღლეს, თინა თარაშვილს ცინიკურად უპასუხეს — ჩვენთან ასეთი არავინ მოუყვანიათო. მეორე ძმას უბრალო ინტრიგის გამო ჯერ ფეხბურთის თამაში აუკრძალეს („დინამოში“ თამაშობდა), მერე კი გადაასახლეს. დიდი ხნის შემდეგ დაბრუნებულა საქართველოში, მაგრამ იქ დარჩენა აღარ მოუნდომებია... მესამე ძმას — კონსტანტინეს ტყვეობაში შევხვდი. ისე იყო გასაცოდავებული, თვითონ რომ არ დაეძახა, ვერც ვიცნობდი. იმდენად დრამატული იყო ჩვენი შეხვედრა, რომ გერმანელებიც კი ტიროდნენ. გერმანელ კაპიტანს ვთხოვე — ჩვენი დიდი ოჯახიდან ეს მაინც უნდა გადარჩეს. თუ მას სიცოცხლეს აჩუქებთ, მე გინდ დამხვრიტეთ, გინდ ტყვეთა ბანაკში გამგზავნეთ-მეთქი. მკითხა, რა ხელობა იცის შენმა ძმამო. რომ გაიგო, ზეინკლობა შეუძლიაო, დამამშვიდა — ნუ გეშინია, ზურგში გადავისვრით, ჩვენ ასეთები გვჭირდებაო. მართლაც, ბრანდენბურგში გააგზავნა სამუშაოდ.

— ომის შემდეგ საბჭოთა მთავრობა გაფაციცებით დაეძებდა ყოფილ საბჭოთა ტყვეებს, თქვენ როგორ გადაურჩით მის კლანჭებს?

— როცა გერმანელები დარწმუნდნენ, რომ დამარცხება გარდაუვალი იყო, ე. წ. კავკასიური ნაწილების მოშორება გადაწყვიტეს — ომის დასასრულს საფრანგეთში გადაისროლეს. 1944 წელს საფრანგეთში ვიყავი, აგვისტოში ჩავბარდით. ჩვენი დივიზიის მეთაურს, პოლკოვნიკ მახცს საშინლად სძულდა ჰიტლერი. ახლო ურთიერთობა ჰქონდა ქართველ პოლკოვნიკთან — ვლადიმერ შარაბიძესთან, რომელიც ჩემი უფროსი ძმის თანაკლასელი იყო და სამხედრო სამსახურიც ერთად ჰქონდათ გავლილი. მახცმა ფარული მოლაპარაკება გამართა დეგოლისტებთან, რომ მის დაქვემდებარებაში მყოფი ქართველები და გერმანელები დე გოლის ჯარის ნაწილებისთვის მიეერთებინათ. ამით ის, ქართველებთან ერთად, გერმანელების გადარჩენასაც ცდილობდა, მაგრამ ქართველთა ერთ ნაწილს დე გოლის მოწინააღმდეგე ფრანგი კომუნისტების აქტიური პროპაგანდის წყალობით, ილუზია შეექმნა, რომ თუ ფრანგ პარტიზანებს შეუერთდებოდნენ, სტალინის რისხვას თავს დააღწევდნენ და ადგილობრივ ლეგიონში კომუნისტური წრეები ჩამოაყალიბეს. ყოველივე ამან ქართველთა შორის სიტუაცია უკიდურესად დაძაბა. პოლკოვნიკმა მახცმა შარაბიძეს ურჩია — მოდი, ქართველები როგორმე განვაიარაღოთ, თორემ ვაითუ კომუნისტურად და ანტიკომუნისტურად განწყობილები ერთმანეთს დაერიონო. წარმოგიდგენიათ? ამას ამბობდა ავსტრიელი კაცი. განიარაღება უმტკივნეულოდ მოხდა... ვლადიმერ შარაბიძემ დიდებული საქმე გააკეთა — გახსნა სახელოსნოები, სადაც ქართველებისთვის ჩოხა-ახალუხები იკერებოდა, მზადდებოდა ხანჯლები. შეიქმნა კულტურული ოცეული, იმართებოდა საინტერესო საღამოები და ლექციებიც კი იკითხებოდა საქართველოს ისტორიაზე. ჰოდა, ერთ დღეს ქართველები მორიგი ლექციის მოსასმენად რომ წავიდნენ, გერმანელებმა მათი იარაღი ფრანგებს გადასცეს. რადგან ყველაზე დიდი საშიშროება თავიდან აიცილეს, მახცმა შარაბიძეს უთხრა — ქართველებიდან ვისაც სურს, დაბრუნდეს რუსებთან. ვისაც არა, თქვენი დევნილი მთავრობა პარიზშია და ვალდებულია, დაგეხმაროთო.

— ერთია, როცა დაბრუნება აღარ გინდოდათ იქ არსებული რეჟიმის გამო, მაგრამ სამშობლოში ხომ თქვენი მშობლები და ახლობლები დარჩნენ... არ გიცდიათ მათთან დაკავშირება?

— შეუძლებელია ადამიანმა წარმოიდგინოს ის ტკივილი, რაც მე გამოვიარე. ვცდილობდი, ჩემიანებს არაფერი გაეგოთ, თორემ მათ სიცოცხლეს საფრთხეში ჩავაგდებდი. თავს იმითღა ვიმშვიდებდი, რომ ვიცოდი, ჩემი მესამე ძმა (რომელიც გერმანელებმა მაჩუქეს) სად იყო, მეტი აღარაფერი მაინტერესებდა. თუმცა საქართველოსთვის ისიც დაკარგული იყო...

— ალბათ, ზოგჯერ გიწევდათ უცხოეთში თანამემამულეებთან შეხვედრა...

— 1974 წელს ანზორ კავსაძემ თავისი ანსამბლი ჩამოიყვანა ამერიკაში... კონცერტები კენედის ცენტრში იყო დაგეგმილი. მოგეხსენებათ, როგორი დიდი რეკლამაც უნდა ჰქონდეს, როგორი ბრწყინვალე ანსამბლიც უნდა იყოს, კენედის ცენტრში ორ საღამოზე მეტს ვერავინ ძლებს. კავსაძის ანსამბლმა კი ექვსი კონცერტი სრული ანშლაგით ჩაატარა. მაშინ „ამერიკის ხმაში“ ვმუშაობდი. ვიყიდე 50 ბილეთი და სხვადასხვა განყოფილების ხელმძღვანელები მეუღლეებთან ერთად კონცერტზე დავპატიჟე. ვუთხარი — მოდით და ნახეთ, რა განსხვავებაა რუსებსა და ქართველებს შორის-მეთქი. მართლაც აღფრთოვანებულები იყვნენ. რა დამავიწყებს იმ საღამოს... აი, სცენაზე გამოვიდნენ ქართულ ჩოხებში გამოწყობილი გუნდის წევრები. თან მათ ვუყურებ, თან ცალი თვალი ჩემი სტუმრებისაკენ მიჭირავს, არ მინდა მათი რეაქცია გამომეპაროს... გამოვიდა ანზორი, ჯერ დარბაზს მიესალმა, მერე გუნდს მიუბრუნდა, მისცა ტონი და როგორც კი გუნდმა სიმღერა დაიწყო, გავიდა. დავიბენი, რა ვუთხრა ჩემს მეგობრებს, რომლებმაც მანიშნეს — რა ხდებაო? გუნდმა სიმღერა დაამთავრა. ანზორი ისევ გამოვიდა, ვიფიქრე, ალბათ, შეუძლოდ იყო და სცენიდან იმიტომ გავიდა-მეთქი, მაგრამ... ანზორმა ისევ მისცა ხმები გუნდს და გავიდა... მაყურებელი აღტაცებას ვერ მალავდა. მეც შვებით ამოვისუნთქე. მივხვდი, გუნდი ისე კარგად იყო მომზადებული, რომ ლოტბარის სცენაზე ყოფნა საჭირო არ იყო. ბედნიერებისგან აღარ ვიყავი, როგორ გინდა ასეთ დროს თავი შეიკავო? მაგრამ მაინც არ მივედი ანზორთან, მიუხედავად იმისა, რომ მისი ბიძა დავითი, დიდუბის შრომის სკოლაში ჩემი მუსიკის მასწავლებელი იყო... სხვებსაც ვურჩევდი, — ნუ მიხვალთ, ნუ დაელაპარაკებით, ისინიც გულს გაგიხსნიან და მათთვისაც ცუდი იქნება-მეთქი... მოგვიანებით გავიგეთ, რომ მართლაც მომხდარა ინციდენტი. ანზორთან რომელიღაც ქართველი ემიგრანტი მისულა (ალბათ აღტაცების გამოსახატად). ანზორს შეუმჩნევია, ამ ამბით როგორ „დაინტერესებულა“ მისი გუნდის ერთერთი წევრი. მისთვის გასახდელში კისერში წაუვლია ხელი — წადი და სადაც გინდა, დამაბეზღეო... მერე ხმა ჩამოვიდა, ანზორ კავსაძე გუნდის ხელმძღვანელობიდან გაათავისუფლესო. გვეწყინა, მაგრამ მაინც შვება იყო, რომ არ დააპატიმრეს(!). თუმცა, ამერიკაში ისეთი პოპულარობა მოიპოვა, რომ მის გაქრობას ასე იოლად ვერ მოახერხებდნენ... ამის შემდეგ ფრთხილად ვიყავი. თუ ჩამოსული ქართველი თავად არ მოინდომებდა ჩემთან შეხვედრას, ახლოსაც არ ვეკარებოდი... 1982 წელს ფეხბურთში მსოფლიო თასის გათამაშების დროს ბარსელონაში ერთ-ერთი მატჩისას მივედი რადიოდისპეტჩერთან და საიდუმლოდ ვთხოვე — „ამერიკის ხმიდან“ ვარ, აქ ქართველები არიან და უთხარით, რომ მათი ნახვა მინდა-მეთქი. იმ ქალმა კი 5 წუთის შემდეგ ხმამაღლა გამოაცხადა — აქ იმყოფება ერთი ქართველი ამერიკიდან, რომელსაც ქართველებთან შეხვედრა უნდაო და ჩემი ადგილსამყოფელი მიუთითა. მართლაც, მოვიდა ერთი მათგანი, ზრდილობიანად მომესალმა. მოვუბოდიშე, — რაღაც გაუგებრობა მოხდა, არავისთან არ მინდა შეხვედრა-მეთქი. გაიღიმა, — მე არ მეშინია, აქ ბევრი ქართველია და მათ შორის ყველასთვის კარგად ცნობილი გიგლა ფირცხალავაც კიო (გიგლა ჯერ კიდევ მექსიკიდან მახსოვდა. იქ ერთმა რუსმა რაღაც უკადრებელი უთხრა, გიგლა წამოუხტა და რომ არ დაეჭირათ, არ ვიცი, რა მოხდებოდა). სასხვათაშორისოდ ვუთხარი, — ძალიან კარგი, მოკითხვა გადაეცით-მეთქი. ეტყობა, მართლა უთხრა გიგლას ჩემ შესახებ. გახურებული თამაშია, გიგლა შუა ადგილას ზის, მე უკან, გაცილებით შორს და ამ დროს, ისე რომ უკან არ მოუხედავს, მესმის გიგლას ხმამაღალი შეძახილი (ვითომ გუნდს გულშემატკივრობს) — იქ ქართველები ბევრნი ხართო. მივუხვდი და მეც ვითომ რაღაცაზე დავიყვირე — კი, საკმაოდ არიან-მეთქი. ამ გადაძახილებით ერთგვარი კომიკური სიტუაცია შეიქმნა...

— თქვენს ნათესავებთან დაკავშირების საშუალება როდის მოგეცათ?

— 1991 წელს. ჩემი მეგობრის ვაჟმა, კოკი გუგუშვილმა სიურპრიზი მომიწყო. იგი თბილისში თავის ნათესავებთან გაემგზავრა. აღმოჩნდა, რომ მისი ნათესავი და ჩემი ძმისშვილი კარგად იცნობდნენ ერთმანეთს. ჰოდა, ერთ დღესაც კოკიმ ჩემი ძმისშვილი ამერიკაში ჩამოიყვანა. ამ შეხვედრამ კიდევ უფრო გამიმძაფრა ახლობლების ნახვის სურვილი.

— ვიცი, რომ თქვენ ოცნებობთ საქართველოში წასვლაზე...

— (დაფიქრებით) სიმართლე გითხრათ, მეშინია. აღარ მახსოვს ვისი სიტყვებია, „ვაჟკაცი ვნახო მტირალი, მაშინ ვარ მოსაწონები“ (ვაჟა-ფშაველა. — რედ.)... ალბათ, ავქვითინდები. მირჩევნია საქართველოში მარტო ჩავიდე, მალულად... ისე, რომ არავინ მნახოს. ვეამბორები ქართულ მიწას და ავტირდები ტარიელივით... მერე ჩემს ნათესავებს, ჩემი ძმისა და დის, მათი შვილების ოჯახებს მოვინახულებ, ყველას მოვეფერები... არ ვიცი, რა ამოავსებს 65-წლიან მონატრებას... სადაც კი ვყოფილვარ, ქართველი კაცი რაინდობის, ერთგულების, სხვისი სიხარულისა თუ მწუხარების გამზიარებლის სიმბოლოდ იყო აღიარებული... აი, ეს უნდა დავიბრუნოთ, — ყველა ქართველი უნდა ამაყობდეს არა იმით, რომ უბრალოდ ქართველია, არამედ იმით, რომ დიდებული ტრადიციების მქონე ქვეყნის ღვიძლი შვილია... აი, ასეთი საქართველოს ნახვა მენატრება...

ციცინო ჯერვალიძე გაშინგტონიდან

ანზორ კავსაძესთან რომელიღაც ქართველი ემიგრანტი მისულა (ალბათ აღტაცების გამოსახატად). ანზორს შეუმჩნევია, ამ ამბით როგორ „დაინტერესებულა“ მისი გუნდის ერთ-ერთი წევრი. მისთვის გასახდელში კისერში წაუვლია ხელი – წადი და სადაც გინდა, დამაბეზღეო... მერე ხმა ჩამოვიდა, ანზორ კავსაძე გუნდის ხელმძღვანელობიდან გაათავისუფლესო. გვეწყინა, მაგრამ მაინც შვება იყო, რომ არ დააპატიმრეს(!). თუმცა, ამერიკაში ისეთი პოპულარობა მოიპოვა,რომ მის გაქრობას ასე იოლად ვერ მოახერხებდნენ... ამის შემდეგ ფრთხილად ვიყავი. თუ ჩამოსული ქართველი თავად არ მოინდომებდა ჩემთან შეხვედრას, ახლოსაც არ ვეკარებოდი...

P.S. მრავალწლიანი განშორების შემდეგ ბატონი პეტრე საქართველოში დაბრუნდა. ჩვენ შევხვდით მას თავისი ახლობლების გარემოცვაში. აი, რა გვიამბო ბატონმა პეტრემ: — აეროპორტში ბევრი ხალხი დამხვდა, უმეტესობა ჩემი ნათესავები. მათგან მხოლოდ ერთს ვიცნობდი პირადად, დანარჩენებს კი ფოტოებით და სატელეფონო საუბრებით. მაქსიმალურად შევეცადე აღელვება მომეთოკა და ავტომობილში მჯდომი ვითომდა მშვიდად ვადევნებდი თვალს 65 წლის მონატრებულ ჩემს თბილისს, რომელიც ასე გამოცვლილი დამხვდა. მოვიხიბლე ორმხრივი სანაპიროებით, ულამაზესი ხეივნებით, რომელსაც ბევრი ქალაქი ინატრებდა, თუმცა ოღროჩოღროებიც შევნიშნე... დიდუბის ეკლესიის პირდაპირ ჩემს ახალგაზრდობაში ბარაკული ტიპის სახლები იყო დიდი ეზოებით. სწორედ იქ გავატარე ბავშვობა და სიყმაწვილე. აეროპორტშივე ვთხოვე ნათესავებს, რომ ჩემი სულიერი მოთხოვნილება იყო დავბინავებულიყავი მასთან, ვინც ყველაზე ახლოს იყო ამ ადგილთან. ასეთი ჩემი დის უფროსი ვაჟი თორნიკე აღმოჩნდა. 9-სართულიანი კორპუსი, სადაც თორნიკე ცხოვრობს, იმ ადგილას დგას, სადაც ოდესღაც ჩემი სახლი იყო. ასე რომ, 65 წლის წინ დიდუბიდან წასული 21 წლის ბიჭი 85 წლის ასაკში სიყრმის ადგილს დავუბრუნდი და ჩუმად ვეამბორე ჩემი საყვარელი დიდუბის მიწას... დამაღონა იმან, რომ ჩემი და-ძმებიდან ცოცხალი აღარავინ დამხვდა. მართალია, მე ყველაზე უმცროსი ვიყავი, მაგრამ მეგონა, რომელიმეს მაინც ჩამოვუსწრებდი... გაოცებული ვარ სახეცვლილი თბილისით. დღევანდელი ვკუ და საბურთალო ჩემს ახალგაზრდობაში უდაბნო იყო. ჩემი თაობის მთავარი სასეირნო ადგილი ზემელი და მიხაილოვსკი იყო. რაც მე ფეხსაცმელები მაქვს გაცვეთილი მეგობრებთან ერთად იქ ხეტიალში... ჩემი დროის ქართველები ფრიად მხიარულები და ლაღები იყვნენ. დღევანდელ ქართველობას კი ის სილაღე აკლია... ხანგრძლივი ხეტიალის მანძილზე არ დავოჯახებულვარ. ამას შეიძლება იმანაც „შეუწყო“ ხელი, რომ ქართულ ეკლესიაში დავდიოდი ბავშვობაში, სადაც შთამაგონეს, რომ შეუღლება უნდა მოხდეს მხოლოდ ერთხელ და ცხადია, ასეთი ქალის პოვნა იოლი არ იყო... თუმცა, მიუხედავად ამისა, რამდენჯერმე ვიყავი შეყვარებული... მალე ამერიკაში მივდივარ, მაგრამ საბოლოოდ საქართველოში ვაპირებ დაბრუნებას. საამისოდ უბრალოდ, ბიუროკრატიული ბარიერის გადალახვა მომიწევს — პენსიები უნდა გადმოვიტანო ამერიკიდან და საფრანგეთიდან, რასაც ალბათ რამდენიმე წელი დასჭირდება...

სოფიკო ჯერვალიძე, თბილისი





1 4-ტაეპიანი ლექსი
2 სახელმწ. ვერობაში
3 CNN-ის მფლობ. ტერენი ...
4 „გაზაფხულდა, აყვავილდა ...“ (სიმღერა)
5 გალილეის ალმოჩენილი თანამზავრი
6 უძველესი სახელმწ. ამერკვეც. ტერიტორიაზე
7 ამერიკელი მსახიობი ლივ ...
8 „უსადენო ტელეგრაფი“
9 ხეხილი
10 მელოდიის ტიპი
11 მოდილიანის ნახატი
12 ვაჟიშვილი
13 „ვარსკვლავიჭუნა“ (მწერალი)
14 მშვიდი, უშფოთველი ცხოვრება
15 იაპონელთა ცივი იარაღი
16 ჯადოსნური ლამპრის მეპატრონე
17 გერმანული ავტომობილი
18 ესპანელი ფეხბურთელი
19 ქალი და მამაკაცი (მსახიობი) ანუკ ...
20 საკრედიტო დაწესებულება
21 ერთ-ერთი ბონდი
22 საბავშვო თამაში ... ტაფელა
23 ... პუგაჩოვა
24 მამათა დიდი მონასტერი
25 ვენერას ვაჟი
26 ნაშრალი შიმპანზეს ფრანგული ალიმერა
27 ევას სასურველი ადგილი
28 ლავზონიის ფოთლები როგორც საღებავი
29 ბრიტანელი ფეხბურთელი
30 ყველაზე პოპულარული შარვალი
31 ცნობილი კაბარე „... რუჟი“
32 ძლიერი მედრეკილება რაიმესადმი
33 მუნიციპალიტეტის მეთაური
34 ქორბუდა ცხოველი
35 ბიბლიური პერსონაჟი
36 მსახიობის შექმნილი სახე
37 მაიკლ ჯექსონის შვილის დედა
38 მესამე ბრაჰმასა და ვიშნუსთან ერთად
39 სპოროვანი მცენარე
40 ქალის ძვირფასი გულსაკიდი
41 ქართული პური
42 სუპერკონტინენტი
43 კორეული ფირმა
44 ნარკოშანის საყვარელი ყვავილი
45 რუსული თვითმფრინავის მარკა
46 ყველაზე პოპულარული ხათამამო
47 ამერიკ. მსახიობი ... გრანტი
48 0,91 მ
49 პატარა დასაკეცი დანა
50 „ვეფხისტყაოსნის“ დამსურათებელი
51 სასწრაფო დახმარების ფურგონი
52 აბაშიძე
53 დასაცურებლად შეკრული მორები
54 „... ჯერი“ და
55 მუსიკალური ნაწარმოები, მელოდია
56 ჯონტუზე რომანების ავტორი
57 ჩინური ვარჯიში
58 გინეა

ნინა- სკანვორდის პასუხები: 1. სურდო; 2. ბურვილი; 3. ედსონ; 4. პრუსი; 5. რეჰანი; 6. შევრო; 7. ევრო; 8. რური; 9. ჰერ; 10. ორლი; 11. ეისი; 12. ეინდჰოვენი; 13. ოსტი; 14. სარი; 15. ნაბუკო; 16. ბე; 17. გი; 18. ნარდი; 19. ლელო; 20. სორენტო; 21. გრინი; 22. როსელინი; 23. კიი; 24. ალპინიზმი; 25. რაინი; 26. გარდა; 27. ურნა; 28. გორდა; 29. მორზე; 30. ლამპასი; 31. ზანგი; 32. ლია; 33. ელვა; 34. დენდი; 35. ვადიმი; 36. ოსაკა; 37. პი; 38. მიდი; 39. დრო; 40. ლალი; 41. ნიუ; 42. სტილი; 43. რეიგანი; 44. მი; 45. პასი; 46. ტილი; 47. მორი; 48. პია; 49. ზედაზენი; 50. ზნე; 51. ოლეგი; 52. ომი; 53. იასპი; 54. სი; 55. მია; 56. ლეშხი; 57. ტყე; 58. გინეა.

1. სპეცრესი; 2. ძალა ერთობაშია; 3. მწვადი რუსულად; 4. ახალი მეთოდი; 5. ატაში.

პასუხები მოცემულია სკანვორდში მითითებული ნომერაციის მიხედვით, ქვედა ხაზზე მოცემულია ფოტოების პასუხები.

შეადგინა რამაზ ალპნიამ

ქართული სენსაცია და ოაზისი

გაცოცხლდა 14 საუკუნის მაკურნებელი წყარო...

საგარეჯოდან რამდენიმე კილომეტრით დაშორებულ ივრის ზეგანის მყუდროებას მხოლოდ ქარები არღვევენ, სამკაულად კი რამდენიმე მლაშე ტბა და წყარო აქვს... თუმცა უსიცოცხლობა და სიცარიელე აქ მაინც არ არის. პირიქით. უფასს ამ მიწაზე იმდენი სიკეთე შეუქმნია, ხოლო ზემოდან ისეთი სუფთა ცა დაუხურავს, რომ სწორედ აქ იგრძნობა ღვთის სიახლოვე.

თბილისელების ვნებებით დამძიმებული მამა დავითიც აქ გამოემართა. სიცხით შეწუხებულმა წმინდა მამამ მხურვალედ ილოცა და კლდიდან წამოვიდა წყარო. მამა დავითს მრავალი ბერი მოჰყვა. წმინდა მამები ამ ადგილებში ალბათ ბევრჯერ წააწყდებოდნენ უძველესი ცივილიზაციის ნაშთებს... თუმც კი ამის შესახებ წერილობითი წყაროები დუმან; სამაგიეროდ... არქეოლოგი **კიაზო ფიცხელაური** იხსენებს, თუ როგორ დაამუნჯა უდაბნოს იდუმალებით შემცბარმა ტროას ექსპედიციის ხელმძღვანელმა, მანფრედ კორფმანმა გარშემომყოფნი: — ხმა არ გამცეთ, მე ძველ აღმოსავლეთში ვდგავარ!

რა იმალება გარეჯის უდაბნოში?

ძვ. წ. XII-XI საუკუნეების უდიდესი ცივილიზაცია კოლხეთის სამეფოს ხნისაა. კოლხეთის სამეფოს შესახებ ძველაღმოსავლური ანტიკური წყაროები გვიამბობენ, მაგრამ ქალაქური ტიპის დასახლებები ჯერ არ გვიპოვია. უდაბნოს ცივილიზაციაზე წერილობითი ცნობა არ მოგვეპოვება, მაგრამ მატერიალური კულტურის ძეგლები აღმოვაჩინეთ. ეს არის 3000 წლის წინანდელი ქალაქები. მობრძანდით, ნახეთ და გაოგნდებით. 25 წლის წინ ეს ცივილიზაცია აეროფოტოგადაღების დეშიფრირებით დადასტურდა — აქ უზუსტესი დაგეგმარებით ნაშენები ნაგებობებია. ამ ტერიტორიაზე, რომელიც ტრანსკავკასიური გზების გადაკვეთაზე მდებარეობს, იყო სავაჭრო ცენტრი და იჯდა დიდი მმართველი, რომელიც განაგებდა კავკასიის ამ ნაწილს. მის ნებაზე იყო დამოკიდებული, ვინ გაივლიდა ამ გზაზე. ქალაქები მდიდრდებოდა, სიმდიდრე კი დასაცავი გახლდათ. ამიტომ 5 და 9-მეტრიან ქვის გალავნებს აგებდნენ, ხოლო ციტადელს რამდენიმე ასეთი გალავანი ჰქონდა შემოვლებული. წარმოიდგინეთ, როგორი ომები იქნებოდა გაჩაღებული ირგვლივ და რამდენი მტერი ეყოლებოდათ! ქალაქები უბნებად იყო დაყოფილი და ყველა უბანს გარს სამეურნეო სავარგულები ერტყა: ხნავდნენ, თესავდნენ, პირუტყვს ამრავლებდნენ და... იმ დროისათვის ისეთი მნიშვნელობის იარაღიც ჰქონდათ, როგორიც დღეს ატომია.

რა იყო უდაბნოს ატომი?

ეს იყო რკინა. ძველ მსოფლიოში მისი დამუშავება და მოხმარება დაახლოებით ძვ. წ. XII საუკუნეში იწყება და დღესაც რკინის ხანაში ვცხოვრობთ. გარეჯის უდაბნოში, ზღვის დონიდან 1000 მეტრის სიმაღლეზე არის მთა, რომელსაც ქართველები რკინის მთას ვეძახით. რამდენიმე წლის წინ არქეოლოგებმა მის წიაღში მართლაც აღმოაჩინეს რკინის მადანი, იქვე, ახლოს, სამარხებში — უძველესი რკინის ნაკეთობები. იმ პერიოდისთვის რკინის ადგილობრივი მარაგი სრულიად საკმარისი იქნებოდა იმისთვის, რომ ამ ცივილიზაციას მრისხანე იარაღი ჰქონოდა. რკინის წარმოებამ უფრო გააძლიერა ისედაც სტრატეგიული ადგილი, საიდანაც შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს მთელი კახეთის, რუსთავისა და თბილისის ტერიტორია. ქალაქები ტყის სუფთა ჰაერით სუნთქავდნენ... ნიადაგის თანამედროვე ანალიზით დადგინდა, რომ ამ ტყეში უხვად იყო მუხა და წიფელი. რადგან ტყე იყო, ესე იგი, იყო წყალიც. შემდეგ ეს ცივილიზაცია განადგურდა და ძველი წელთაღრიცხვის VIII საუკუნისთვის აქ მხოლოდ ხრიოკი ადგილიღა დარჩა.

რამ გაანადგურა აყვავებული ქალაქები

თავისმა თავმა — ესეც ანალიზით დადგინდა... რკინის წარმოებას ხის ნახშირი სჭირდება. ამიტომ დიდი რაოდენობით იჩეხებოდა ხეტყე. დიდმა მეტალურგიამ მცენარეულობა გააჩანაგა. როცა ხეტყე მოისპო, წყალიც გაქრა, დარჩა მარილოვანი წყაროები. ეს წყაროები არ იქნებოდა, უდაბნოში წყლის უმდიდრესი რეზერვუარი რომ არ ყოფილიყო. ასეა მთელ მსოფლიოში — უძველესი ცივილიზაცია სწორედ გაეერანებულ ადგილებში უნდა ვეძებოთ.

მაგრამ უბედურება ის არის, რომ დღესაც იმავეს ჩავდივართ... ვჩივით, წყალდიდობებია, მიწები იტბორებაო. ჩვენივე ბრალია — ხეტყეს ვჩეხავთ, მიწა წყალს ვეღარ იკავებს და საცხოვრებელ ტერიტორიებს ტბორავს. ასე თუ გაგრძელდა, შემდგომში წყალიც დაიკარგება. ასე გაჩნდა ჩვენში უდაბნო. ნიადაგი იქ დღესაც მშვენიერია — შავმიწა და ნოყიერი... გათხრები 25 წლის წინ დავიწყეთ. დაახლოებით იმავე დროს კომუნისტებმა ხელი მოჰკიდეს იმ ადგილების განაშენიანებას. დიდი გეგმა ჰქონდათ, მაგრამ ამ გეგმიდან მხოლოდ სოფელი უდაბნო აშენდა — გაიყვანეს წყალი და ელექტროენერგია. მედეა მეზვრიშვილმა დამირეკა: — ბიჭოო, ტერიტორიების ათვისებას ვიწყებთ, ჩამოდი, ეგებ საშენო რამე ნახოო... ჩავედი. ჩავატარეთ პირველი გათხრები და მუშაობა შეწყდა...

მარტო ერთმა შაჰ-აბასმა, XVII საუკუნეში, ერთ დღეს ამოხოცა აქ 6000 ბერი. ის ბერები უზარმაზარ აღმშენებლობით საქმიანობას ეწეოდნენ. აეროგადაღებების ფოტოებს რომ დახედოთ, გაოცდებით, მათი გაყვანილი წყალმომარაგების სისტემა საგარეჯოს მიდამოებიდან მთელ უდაბნოს მოიცლის, ისეთი დაქანებით, რომ წყალმა მთას თავისი დინებით გადაუაროს. ერთგან მიწაში, 4 მეტრის სიღრმეზე ვნახეთ მათი ჩაწყობილი მილები. ამ უმძიმესი შრომით მათ უდაბნოში მეორე ცივილიზაცია ააყვავეს...

სოფელი უდაბნო – უდაბნოს ოაზისი თუ მსხვერპლი?

— ერთიცა და მეორეც. აქაურები არც ღატაკები არიან, მაგრამ არც მდიდრები ეთქმით. სოფელი ერთნაირ, ორსართულიან სახლებში ცხოვრობს. ლამპის შუქზე ზრდიან შვილებს, ეწევიან მეცხოველეობას ისე, როგორც 3000 წლის წინათ (რასაკვირველია, მადანს აღარ ამუშავებენ), მაგრამ... არა აქვთ ტყე და აღარც სასმელი წყალი. თუმცა მტრის ჯიბრზე სოფელი მაინც მრავლდება და არა მარტო ფერდობებზე შეფენილ აზერბაიჯანელების პირუტყვს, არამედ უდაბნოს ქურდებსაც აფრთხობს...

რა შეიძლება მოიპარო უდაბნოში?

3000 წლის წინანდელი გალავნის ქვები. ამ ქვებით იორმუღანლოში აზერბაიჯანელთა გრანდიოზული დასახლება შენდება. ის, რაც ძველმა ხელისუფლებამ არქეოლოგიური გათხრებისთვის გააკეთა, მთლიანად განადგურდა. მოიპარეს წყლის მილები, ელექტროხაზები, არქეოლოგების სახლი. იპარავენ იმასაც, რითაც გვაძლევდა ნისიად. 7000 ლარის ბეწზინი ჩაგვისხა — ვიცი, რა საქმესაც ემსახურებითო... დავპირდი მალე გადაგიხდი-მეთქი, მაგრამ... წელს იმ კაცმა მორიდებით მითხრა, — ბატონო კიაზო, ფული ძალიან მჭირდებაო... წარმოგიდგენიათ? აქეთ მიხდის ბოდიშს. ამას ხომ გერმანელს ვერ გააგებინებ, არ დაგიჯერებს — რატომ გაძლევდაო!.. იმიტომ მაძლევდა, რომ ის კაცი ქართველია. იცის, რაც არის დავითგარეჯი — მარტო ერთმა შაჰ-აბასმა, XVII საუკუნეში, ერთ დღეს ამოხოცა აქ 6000 ბერი. ის ბერები უზარმაზარ აღმშენებლობით საქმიანობას ეწეოდნენ. აეროგადაღებების ფოტოებს რომ დახედოთ, გაოცდებით, მათი გაყვანილი წყალმომარაგების სისტემა საგარეჯოს მიდამოებიდან მთელ უდაბნოს მოიცლის, ისეთი დაქანებით, რომ წყალმა მთას თავისი დინებით გადაუაროს. ერთგან მიწაში, 4 მეტრის სიღრმეზე ვნახეთ მათი ჩაწყობილი მილები. ამ უმძიმესი შრომით მათ უდაბნოში მეორე ცივილიზაცია ააყვავეს...

როგორ აშენებდნენ წმინდა მამები

სახელი „გარეჯა“ დავით გარეჯელის მეუდაბნოებას უკავშირდება. ამბობენ, რომ წმინდა მამა მოსაგრეებთან ერთად ირმის რძითა და ბალახეულობით იკვებებოდა. როცა ირმებს გველეშაპი დაედევნა, მამა დავითმა ჯვარი გარდასახა და გველეშაპის სისხლით შეიღება დავითგარეჯის კლდეები, — ისინი დღესაც წითელია. მამა დავითის კვალზე წამოსული ბერები წლობით კვეთდნენ კლდეებში სენაკებს. თითქმის ყველა სენაკს თავისი სამლოცველო ჰქონდა. კლდეშივე მარტვილობდნენ, წმინდა წიგნებს წერდნენ.

IX საუკუნეში 14 წლის ილარიონ ქართველი დაეყუდა გარეჯის პატარა გამოქვაბულში: „მარხვითა და მღვიძარებითა ჰასაკსა მას სიჭაბუკისას დააჭკნობდა, ლოცვითა და მარადის ღმრთისა ხედვითა უხორცოთა მიემსგავსებოდა“. ამ დროიდან სენაკები გამრავლდა. XI-XII საუკუნეებში ქართველთა ქვეყანა გაძლიერდა და გაძლიერდა დავითგარეჯიც. XI საუკუნეში კლდეში გამოკვეთეს უდაბნოს მთავარი მამათა მონასტერი. მოგვიანებით, ამ მონასტერში გადმოასვენეს შაჰ-აბასისგან შემუსვრილ ბერთა წმინდა ნაწილები, აქვე წმინდა მეფეს, დმეტრე II-საც ჰქონდა სამწირველო... ხოლო დმეტრე I-მა, ბერობაში დამიანებულ წოდებულმა, დავითგარეჯის ღავრაში დაწერა ღვთისმშობლის საგალობელი — „შენ ხარ ვენახი“.

დავით გარეჯის ახალი სასწაული

დავითგარეჯში XX საუკუნის 20-იან წლებამდე ლოცულობდნენ და მოღვაწეობდნენ ბერები. 20-იანი წლებიდან 1990 წლამდე უდაბნოს წმინდა სენაკები დაცარიელდა... 1990 წლიდან აქ კვლავ აღესრულება ღვთისმსახურება. 3-4 წლის წინ ახალი სასწაული მოხდა: დავითგარეჯის ცრემლის წყარო, რომელიც ჩიტებსაც არ ჰყოფნიდათ, გარეჯობის დღესაწაულზე უცებ აივსო. მას შემდეგ წვეთწვეთობით დღე-ღამეში 124 ლიტრი წყალი გროვდება. ზოგჯერ სასმელი წყალი სოფელ უდაბნოშიც კი გადააქვთ...

გაცოცხლდა 14 საუკუნის მაკურნებელი წყარო — ეს რასაც ნიშნავს, საქართველომ იცის...

ეთერ ერაძე

ტერფის სრული დაავადებისგან განთავისუფლება
ყველაზე ეფექტური, სწრაფი და იაფი გზით

ტერაზილის კრემის ეპირატესობანი

ნარკოტიკმა სიყვარულიც კი გააბნელა

„გამარჯობა, ჩემო სიყვარულო... ვიცი, გული გატკინე, მაგრამ გეფიცები, ეს მხოლოდ შენი და იაკოს გულისთვის ჩავიდინე... ვიცი, განა არ ვიცი, რომ ეს არ უნდა გამეკეთებინა და რომ ადრე თუ გვიან, სხვისი (ისევე, როგორც ბევრ ჩემნაირს), არ შემერგებოდა, მაგრამ ამაზე მაშინ არ ვფიქრობდი. ცდუნებამ მძლია და დავისაჯე — ოთხ კედელშუა ვარ გამომწყვდეული, შენ კი — თვალცრემლიანი დარჩი ჩვენს შვილთან ერთად... როცა ცოლად მომყავდი, არც არავის იმედი არ მქონია, გარდა საკუთარი თავისა, მაგრამ... იმედია, თქვენები მხარში ამოგიდგებიან, ძმაც დაგეხმარება... აბა, მამაჩემს, ინვალიდ კაცს რა მოვთხოვო? ის იქითაა საპატრონო, მაგრამ შენ ვერაფერს დაგავალდებულებ, ჩემი მამიდაშვილები მიხედავენ... თეა, ჩემო სიცოცხლევ, მაპატიე, გთხოვ... მერწმუნე, თუ აქედან მალე გამოვაღწიე, თავიდან დავიწყებ ცხოვრებას და ისეთი მოსიყვარულე ქმარი ვიქნები, ძველ ტკივილს დაგავიწყებ. გკოცნი, შენი გუჯა“.

„დავიფიცე, თეას არაფერზე შევანუხებ-მეთქი, მაგრამ შენს იქით გზა არ მაქვს... წინა წერილში მწერდი, — რა გინდა, რა მოგიტანოო... თუ მოახერხებ, დასაყენებელი ჩაი მინდა (1კგ), ყავა და მშრალი საჭმელები: ძეხვი, ყველი...

იცი, როგორ მიყვარხარ? მენატრები. 7 წელი ჩვენთვის, ორივესთვის, შვიდი საუკუნეა, საკმაოდ დიდი დროა, მაგრამ მერწმუნე, მაინც მალე გაირბენს და აი, ნახავ, მერე რა კარგად ვიქნებით... ხელისგულზე გატარებთ შენც და ჩემს იაკოს. მალე 5 წლის ქალი ხდება, ხუმრობა ხომ არაა?! — გკოცნით უთვალავს... მამაჩემის ამბავი გამაგებინე.“

„ჩემო თეო, მომიყევი ყველაფერი, როგორ შეხვდა იაკო დაბადების დღეს და მამიკოს საჩუქარს?.. სულ კაპიკ-კაპიკ ვაგროვებდი ფულს, რომ მისთვის ლამაზი საჩუქარი გამეკეთებინა. ჩემი ბიჭები რასაც მიგზავნიდნენ აქ, ციხეში, ვზოგავდი, ნაწილს ვინახავდი ამ დღისთვის, მაგრამ საბოლოდ აღმოჩნდა, რომ მაინც ცოტა იყო... მერე აქაურებმაც გაიგეს და დამიმატეს ფული. ჯემალას ვთხოვე, დილით, თქვენს კარებთან დაეწყო ყველაფერი... ხომ ისე ჩატარდა, როგორც საჭირო იყო?.. ეჰ, ნეტავ, გუშინ მანდ ვყოფილიყავი და სხვას აღარაფერს ვინატრებდი...

მიყვარხართ და მენატრებით უსაშველოდ... აქ ლაპარაკობენ, რომ შეიძლება ამნისტია შეგვეხოს... თუ მართლა ასე მოხდა, ჩათვალე, რომ წელიწად-ნახევარში გარეთ ვიქნები“.

„რა ვთქვა, რით მოვინანიო ჩემი საქციელი, არ ვიცი! დამნაშავე ვარ, მაპატიეთ-მეთქი, ათასჯერ მაინც გთხოვე, მაგრამ ეტყობა, ძნელია მარტოხელა ქალისთვის ოჯახის ტვირთის ზიდვა, ამიტომაც, შიგადაშიგ, როცა ძალიან გადაიღლები ან მარტოსულად იგრძნობ თავს, ვიცი, მაშინ მსაყვედურობ... გთხოვ, თეა, ძალიან მიჭირს, ნუღარ დამიმძიმებ ისედაც დამძიმებულ ყოფას...“

„პასუხი დამიგვიანე... ისევ ნაწყენი ხარ? თეა, ნუ მებუტები, რა! ისედაც მძიმე სასჯელია უთქვენობა. მამაჩემს რაღა მოუვიდა, ის მაინც არ მიგვიანებდა წერილს. ალბათ რძალს აუბა მხარი, არა?! მე არაფერი მინდა, გარდა თქვენი წერილებისა. ვიცი, ჩემი ნახვისთვის ფულია საჭირო, სანამ კოლონიაში გადამიყვანენ, მხოლოდ ერთხელ შეიძლება შეხვედრის ნება დაგვრთონ... ჰოდა, წერილებს ნუ მომაკლებთ მანამდე. თეა, იაკოს ხელის ანაბეჭდი გამომიგზავნე, იქნებ ახალი ფოტოც გადაუღო. ალბათ დიდი გოგოა უკვე. ბავშვები ხომ თვალის დახამხამებაში იზრდებიან... მწერდი, მართლა რომ გყვარებოდი, დანაშაულს არ ჩაიდენდი და არ დაგვტოვებდი მარტოო... მერწმუნე, თეა, შენსავით არავინ მყვარებია ამქვეყნად. სადაცაა 36-ის გავხდები და ღმერთის, ხატის, დედის სულის დაფიცება შემიძლია, რომ ჩემი შენდამი სიყვარული წმინდა და უსაზღვროა. აღარ გამებუტო, მომწერე ყველაფერი, თუნდაც საათობრივად აღმიწერე თქვენი ყოველი დღე — დილიდან საღამომდე. გუჯა“.

„დილიდანვე უჟმური ამყვა. უგუნებოდ ვარ. ამ დროს ყოველთვის ვცდილობ, მხოლოდ შენზე (რა თქმა უნდა, იაზეც) ვიფიქრო... აი, გამახსენდა დათოს დაბადების დღე, ის წუთი, როცა ოთახში შემოხვედი, ნაცნობები გადაკოცნე, უცნობებს გაგვიღიმე და მერე აივანზე მსხდომ გოგონებს შეუერთდი. პირველკურსელი იყავი მაშინ, ვარდისფერი კაბა გეცვა. რა ლამაზი იყავი! დანახვისთანავე შემიყვარდი... საოცრება მოხდა, იმ მოგონებებმა მთელი ღამის დაძაბულობა მოიხსნა. სიზმარშიც შენ გნახე... შენ კი, ჩემო გოგო, წარამარა მაგას მსაყვედურობ, არ გიყვარვარო... ყოველდღიურად იზრდება შენდამი სიყვარული. მალე ალბათ დედამიწისოდენა გახდება, მერე სამყაროსხელა და თუ სამყაროზე დიდიც არსებობს რამე, იმოდენაც... დღეს ერთ ჩემს თანაკურსელს (54 წლის კაცია) ცოლის სიკვდილის ამბავი გააგებინეს. ამოდენა კაცი პატარა ბავშვივით ღრიალებდა, არავისი ერიდებოდა. ჩვენც ღამის ავტირდით... ერთ-ერთმა მისი ნუგეშისცემა დაიპირა — რას იზამ, ყველა სიკვდილის შვილი ვართ... ჯერ ახალგაზრდა კაცი ხარ, მალე გახვალ აქედან, მეორე ცოლსაც შეირთავ და ცხოვრებასაც თავიდან დაიწყებო. იცი, რა მოუვიდა? გაუქანა და სახეში გლიჯა. სხვათა შორის, ვერც მთქმელმა და ვერც ჩვენ ვერაფერი ვთქვით... მოდი და გაამტყუნე. ბუღალტერი კაცი ყოფილა, რაღაც მაქინაციებში ჰქონია ხელი გასვრილი, მაგრამ ამას ხომ ოჯახისთვის აკეთებდა? აბა, 115 მანეთი რას ეყოფოდათ? ცოლს ვერ გადაუტანია მისი დაპატიმრება, ინფარქტი მოსვლია და მომკვდარა... ერთი წუთით რომ წარმოვიდგინე იგივე ამბავი ჩემს თავს, კინაღამ გავგიჟდი...

თეა, მწერ, რა გამოგიგზავნოო, ჩემო სიცოცხლევ, შენს თავს გაუფრთხილდი და ბავშვს მიხედე, მე მეტი არაფერი მინდა... მამაჩემს რა მოუვიდა? რა უნდოდა ბაზარში, ხომ შევუთვალე, ამ სიცივეში გარეთ ფეხი არ გადგა, ყველაფერს ბიჭები მოგიტანენ-მეთქი! ალბათ გაცივდა, არა? გამაგებინე თქვენი ამბავი. შენი და მხოლოდ შენი გუჯა!“

„ვიცი, ძნელი იყო შენთვისაც ეს დღეები, მაგრამ მერწმუნე, ჩემთვის — გაუსაძლისი შეიქნა, რადგან, წარმოვიდგინე, თითქოს ყველაფერს ვხედავდი და არ შემეძლო შენი დახმარება... საშინლად მწყდება გული, რომ მამა ვერ გავაცილე უკანასკნელ გზაზე, ვერც შენ გვერდით დავდექი ასეთ დროს... ვიცი, ჩემი ბიჭები მაქსიმალურს გააკეთებდნენ, მაგრამ ისიც ვიცი, შენ ჩემ გვერდით ყოფნა გაგახარებდა ყველაზე მეტად! რა ვქნა, თეა, ასე ინება ბედისწერამ, შეცდომებისგან არავინაა დაზღვეული და შენც უნდა მაპატიო... ამ დიდ შუალედს, უერთმანეთოდ გატარებულ პერიოდს აუცილებლად ამოვავსებ!.. ჩემი საწყალი მამა, ვინ იცის, როგორ უნდოდა ჩემი ნახვა, იქნებ რაიმეს თქმაც... თეა, ვიცი, დიდი ხარჯი გექნებოდა. აქაურებმაც შემიგროვეს ფული და გიგზავნი. აბა, შენ იცი, თავს გაუფრთხილდი“.

„უკვე რუსთავში ვარ. მენატრებით. 22 დღე და ერთმანეთს ვნახავთ. აქაურებმა მითხრეს, თუ იჩალიჩე, 2-საათიანის ნაცვლად 3-დღიანს გამოჰკრავ ხელსო. იცი, როგორ მინდა სამი დღე ერთად ვიყოთ? იაკო მეცოდება. გადაიღლება, ამიტომ 2-საათიანი შეხვედრის დროს წამოიყვანე, შენ კი, მოემზადე 3-დღიანი პაემნისთვის, ჩემო კარგო. აქ მაცივარი საერთოა, დერეფანში დგას. ტუალეტიც დერეფნის ბოლოსაა, სამაგიეროდ, ოთახები მყუდროც კი მეჩვენება... მე „ვიჩალიჩებ“, რომ აქაური უფროსობა სამდღიანზე დავითანხმო. უკვე თითებზე ვითვლი დღეებს. როდის გავა 22 დღე... მე-ნა-ტრე-ბიიი! გუჯა“.

„არ მინდოდა აქაური ამბებით გული დამემძიმებინა შენთვის, მაგრამ რახან გაიგე და მეკითხები, რა მოხდაო, იძულებული ვარ, გითხრა.. 25 წლის ბიჭმა იმიტომ ჩამოიხრჩო თავი, რომ დიდი ფული წააგო, ვერ გადაიხადა, „ისინი“ კი ახლობლების დახოცვით ემუქრებოდნენ... დაღუპა საკუთარი თავიც და ახლობლებსაც ტკივილი მიაყენა... ძნელია აქ ყოფნა, თეა. მაგარი ვყოფილვარ, აქაურობას რომ შევეგუე და მოკლე დროში ჩემი „ადგილიც“ დავიმკვიდრე. შენ ნურაფრისა გეშინია, აქ უბატონოდ ხმას ვერავინ მცემს. იცი, რა არის მთავარი? არაფერი შეგეშალოს. თუ მართალი ხარ, ყველა უკან იხევს შენ წინაშე. ასე რომ, ჩემო კარგო, იცოდე, მე აქ არაფერი შემშლია და აქედან გამომდინარე: არავინ მერჩის და პატივსაც მცემენ. გკოცნი ბევრს. გუჯა“.

„გამიხარდა, სკოლაში მუშაობა რომ დაგიწყია. ცოტა გახალისდები, გულსაც გადააყოლებ, ალბათ იაკოსაც მანდ მიიყვან და მერე, ერთად ივლით დედა-შვილი სკოლაში. თქვენები როგორ არიან? ამას წინათ თამაზი იყო ჩემს სანახავად, ქვეყნის რაღაცები შემომიტანა, 50-მანეთიანიც მაჩუქა, უხერხულ მდგომარეობაში ჩავვარდი. მირჩევნია, შენი ძმა შენ დაგეხმაროს, მე აქ იოლად გავდივარ. როგორ შეეგუე კოლექტივს, მომწერე. თუ ვინმემ გაწყენინა, არ დამიმალო, იას გაფიცებ, აქედან დავარეგულირებ და მოვაწესრიგებ ყველაფერს. ახლა დაგემშვიდობები. პეტრეს შვილიშვილი შეეძინა, პურმარილი შემოუგზავნეს და მე მელოდებიან. ნახვამდის, ჩემო ძვირფასო!“

„ხომ გითხარი, ყველაფერი სასიკეთოდ შეიცვლება-მეთქი. კიდევ 9 თვე და მე სულ თქვენთან ვიქნები. გუშინ უფროსმა მითხრა, ამნისტია შეგეხო და ცოტაღა დაგრჩა გათავისუფლებამდეო. ჭკუაზე არა ვარ, ისე მიხარია. მალე უფრო დაწვრილებით მოგწერ წერილს. ახლა თავზე მადგანან, მელოდებიან, რომ დროულად დავწერო, ამიტომაც ვჩქარობ. აბა, ჰე!“

ეს ბარათები ქალბატონმა თეამ წამაკითხა... ამ პუბლიკაციას შეგნებულად არ წავუმძღვარე წინასიტყვაობა, მაგრამ რაღაც-რაღაცები ბოლოსთვის მაინც მოვიტოვე. თეაც, გუჯაც და იაკოც, — სამივე რეალური სახელებია. გუჯა 1978 წელს დააპატიმრეს, „სახელმწიფო ქონების დატაცების“ მუხლით. მას ახალი დაწყებული ჰქონდა მუშაობა ერთ-ერთ მსხვილ კომპანიაში. ასე ჩამოწვა ბედნიერ ოჯახში უსაშველო დარდი, რომელსაც შიგადაშიგ იმედი ასხივებდა, რომ მომავალში ყველაფერი კარგად იქნებოდა... თუმცა, დარდი დარდად დარჩა და კიდევ უფრო დამძიმდა. იქიდან გუჯა უიმედო ნარკომანი გამოვიდა. მართალია, სიყვარულსა და სითბოს არ აკლებდა ცოლ-შვილს, მაგრამ ნარკომანის „მტკიცე“ ხასიათის ამბავი მოგეხსენებათ... სამსახური ვეღარ იშოვა. საეჭვო პირებს დაუკავშირდა, ნარკოტიკებს ასალებდა კიდეც... თეა უძლებდა, როგორც შეეძლო, მას მართლა ძალიან უყვარდა ქმარი, ხედავდა, რომ მისი შვილის მამა ავადმყოფი უფრო იყო, ვიდრე დამნაშავე... დროთა განმავლობაში თითქოს შეეგუა ბედს, ხელი ჩაიქნია, რადგან ნებისმიერი კონფლიქტი იას ტირილით, მისი ისტერიკით და გუჯას გაუთავებელი დაპირებებით მთავრდებოდა... გუჯა უკვე უძლური იყო, თავი დაეღწია ამ სენისგან. ერთ დღეს აგარაკიდან დაბრუნებულ ცოლ-შვილს გუჯა საძინებელ ოთახში მკვდარი დახვდათ...

ნარკოტიკმა ერთ დროს ბედნიერი, მოყვარული ცოლ-ქმარი საბოლოოდ დააშორა ერთმანეთს... არადა შეეძლოთ იმ საბედისწერო შემთხვევის მერე ახლებურად დაეწყოთ ცხოვრება, მაგრამ ავადმყოფურმა ჟინმა ვერ სძლია სიყვარულსა და მოვალეობას...

ქალბატონმა თეამ მითხრა: „ნარკოტიკებმა დამინგრია ცხოვრება... მინდა გავაფრთხილო ყველა, ვინც ამ სენითაა შეპყრობილი, სანამ დროა, გონს მოვიდნენ, ნუ გააუბედურებენ ოჯახს, ნუ ატკენენ გულს ახლობლებს... ჩემს იაკოს რამდენჯერმე გააგონეს: ამისი მამა „კაიფში“ გაიპარაო. ახლა ის უკვე დედაა, მაგრამ მამის ცხოვრებამ ისეთი დაღი დააჩნია, რომ ბედნიერი აღარც მინახავს. განა რა დაუძლეველი ჟინია იმისთანა, რომ სიყვარული და ადამიანური ურთიერთობები ანაცვალოთ მას? ღირს ამაზე სერიოზული დაფიქრება!“

მარინა ბაბუნაშვილი

„აიღე სოსხი, დაგავე ქუშა...“

ორიოდე დღის წინ თბილისის ერთ უბანში სტუმრად მიმავალს ისეთი ამბავი შემემთხვა, რომლითაც შეიძლება თქვენ ვერ გაგაკვირვოთ, მაგრამ მე კი დამაფიქრა. ვიღაც ბედოვლათმა მაღლივი კორპუსის ერთ-ერთი სართულის ფანჯრიდან პირდაპირ ქუჩაში გადმოუშვა საზამთროს ქერქით საფსე ცელოფანის პარკი, რომელიც ზედ ჩემს ფეხებთან გასკდა... როგორც ჩანს, სურდა იქვე, ქუჩაში მდგარ ურნაში ჩუბინივით მოეთავსებინა პარკი. მასპინძლებს მოვუყევი, რაც შემემთხვა. არც გაჰკვირვებიათ. ზუსტად მითხრეს, რომელ კორპუსთან შეიძლება მომხდარიყო ეს და ვინ უნდა ყოფილიყო „ხულიგანი“...

ქეთი (42 წლის): — ბავშვობიდან ლამაზ მოგონებად მომყვება ქურთი მეეზოვეები და დაკრიალებული თბილისი. რაც დედაქალაქში ხდება, უწესრიგო ხალხის, განსაკუთრებით, ზარმაცი ქალების მომრავლების ბრალია. ბევრი საკუთარ სახლს არ უვლის, არათუ ქუჩას, ეზოს თუ სადარბაზოს. საქმეების გამო 4 წელი ოზურგეთში ვიცხოვრე. იქაური ქალები თავიანთი საცხოვრებელი კორპუსის თუ კერძო სახლების წინ ეზოს და ქუჩას ისე აწკრიალებდნენ, რომ ყველაფერი ელვარებდა მათი გამრჯეობის წყალობით. აქ დაბრუნებული კინაღამ გავგიჟდი. ახალი მეზობელი შემოგვისახლდა სართულზე, უამრავი სტუმარი დაუდიოდა, უამრავ ნაგავს ჰყრიდნენ სადარბაზოში. დიასახლისი კი თავისი კარის წინ ცოცხს ერთს გაკრავ-გამოჰკრავდა და ჩვენკენ მოახვეტავდა. საკუთარი აივნიდან ნაგავს ძირს ყრიდა. მოკლედ, ამნაირებით გაიცსო თბილისი.

ლიკა (38 წლის): — მთელი ჩემი სადარბაზოს დამლაგებლად ვართ გადაქცეული მე და დედაჩემი. პირველ სართულზე ვცხოვრობთ და 9 სართულის ნაგავს ჩვენ ვგვით. რა ვქნათ, თუ არ მივხედეთ, ამოვიხრჩობით. თითქოს ადამიანების უმსგავსობა არ გვყოფნიდეს, ძაღლმა და კატამაც აგვიკლო, რატომღაც ჩვენს სადარბაზოში ან სადარბაზოსთან უნდებათ ყველაფრის გაკეთება. კარს რომ გავაღებ, ეგრევე სიმღერას ვიწყებ — „აიღე სოსხი, დაგავე ქუშა“...

სერგო (56 წლის): — ამას წინათ გლდანში თანამშრომელთან მივდიოდი. უცებ ვიღაც დედაკაცმა თავზე ნარეცხი გადმასხა, განგებ კი არა, მაგრამ... იმ ოხერ-ტიალს ან ნიჟარა არ ჰქონდა შინ, ან უნიტაზი?

სადარბაზოში რომ შევედი გაწუწულ-გამწარებული, კიდევ უფრო გავმწარდი. ვიღაც ქალი მტვრიან ნოხებს კიბეზე ფერთხავდა. ისე „დამამშვენა“, მშობელი დედაც ვერ მიცნობდა. გადარეული შევვარდი თანამშრომელთან, ბოდიში მოვუხადე — აბაზანაში შევვალ, მოვწესრიგდები-მეთქი. იქ სულ დავიბენი — წყლით გაპიპინებულ აბაზანაში ნესვები, საზამთროები, პამიდვრები და კიტრები დაცურავდნენ. აბა, ესენიც ყოფილან-მეთქი, ვიფიქრე და გარეთ გამოსულმა სუფრასთან მიპატიჟებაც არ ვაცალე მასპინძელს, ისევე გავქუსლე შინისკენ.

ვალიკო (67 წლის): — ახლანდელმა ხალხმა არც სისუფთავის ფასი იცის და არც წესრიგისა გაეგება რამე. ძველთბილისურ ეზოში ვცხოვრობ. მაგიუებენ ეს ახალგაზრდა ქალები. წელი სწყდებათ, სანამ ურნასთან მივიდოდნენ. ზედ ფანჯრის წინ, ხის ძირში დაყრიან ნაგვიან ცელოფანებს და მთელი ღამე კატები და ძაღლები გლეჯენ და ფანტავენ, დილით კი მენაგეები იგინებიან, — ამათი დამყრელის ასე და ისეო. ეჰ, ქალებიც გადაგვარდნენ, კაცო!..

ეკა ლომიძე

ჩვენ გვწერენ

დედა, გთხოვ მაპატიო ჩემი სიყვარული

„ისე გავიდა ეს თვეები, თვალის დახამხამებაც ვერ მოვასწარი. ბიძაშვილებმა მითხრეს, შენი დანახვაც არ უნდაო. გული დამწყდა, დედა.

საიდუმლოებებს ვერასოდეს გიმხელდი, რადგან მუდამ მეშინოდა, არ გამწყრომოდი. თუმცა, ნაბიჯი, რომელიც სიყვარულის გამო გადავდგი, არც მაშინ მინანია და არც ახლა ვნანობ.

სიმართლე უნდა გითხრა: გამიჭირდა ეს სამი თვე უშენოდ. განა რა ჩავიდინე იმისთანა, რომ არა და არ მოგიკლბა გული? ძალიან მენატრები, დედა. გთხოვ, ნუ ჩამამწარებ ამ ბედნიერებას. ხომ იცი, მე და გოჩას მოწაფეობიდან გვიყვარდა ერთმანეთი... ისევ და ისევ შენი ჩარევის გამო მოხდა ის, რომ უარი ვუთხარი და უკან მოვბრუნდი... მერე აერდაერია მასაც ყველაფერი...

გაუთვალისწინებელი რაღაცები ხომ ხდება ცხოვრებაში. ჩემი ბრალია, მან რომ ჯიბრზე ცოლი მოიყვანა, მაგრამ მალევე ინანა...

თუკი რაიმეში ბრალს მდებ, იცოდე, მთავარი დამნაშავე სიყვარულია, სიყვარულის გამო კი ადამიანის დასჯა არ შეიძლება...

მეგობრებმა მირჩიეს, გაზეთის საშუალებით მომეწერა შენთვის წერილი.

გთხოვ, შემირიგდი.

შენი თეაკო“.

ბერძნული სამზარეული იმპერატორის სოლო

150 გ გარეცხილი ღორის ხორცი გაამშრალეთ, დაჭერით ძალიან წვრილად, 100 გ ქამა და კალმახა სოკო გარეცხეთ, გაამშრალეთ და დაჭერით, 1 თავი ხახვი დაკეპეთ.

ხორცი მოხრაკეთ 1 ს/კ ზეთში, გადმოდგით, მოაყარეთ მარილი და შავი პილპილი, დახურეთ თავზე და დადგით თბილ ადგილას.

მოხრაკეთ სოკო და ხახვი, თან ურიეთ, დაასხით 100 გ ბულიონი, მიიყვანეთ ადუღებამდე და შეურიეთ 1 ს/კ ნივრიანი არაჟანი, ტკბილი წითელი წიწაკა, 1 ს/კ თეთრი ღვინო, მარილი, წიწაკა. ცივ ანადუღარ წყალში გაქნილი 1 ჩ/კ ფქვილი ჩაასხით სოკოში, წამოადუღეთ ცოტა ხნით, ჩაყარეთ შიგ ხორცი და 2-3 წუთი ადროვეთ.

გარნირად მოუხდება შებრაწული კარტოფილი.

CMYK

„საქართველოს მზით ვარ დამუხტული“

საქართველოდან შორს უკვე იმდენი ქართველი მოღვაწეობს და თანაც ისეთი წარმატებით, რომ მათი ერთდროულად დაბრუნების შემთხვევაში მზე აღარც დაგჭირდებათ, ამ ხალხის ბრწყინვალება ისე გაანათებდა ქვეყანასო... — მითხრა ამას წინათ ერთერთ საღამოზე აქ მოღვაწე უცხოელმა. მართლაც, ბევრნი არიან სამშობლომონატრებულები დროისა და განგების გამო უცხოეთში გადახვეწილები, სადაც ნოსტალგიას შემოქმედებითი შრომით იქარვებენ. მათ შორისაა სახელგანთქმული მომღერალი **თამარ გვერდწითელი**. იგი ახლახან, სულ რამდენიმე დღით იმყოფებოდა თბილისში. მართალია, არა საგასტროლოდ, თუმცა საქმიანი პროგრამით, რის გამოც მისი მოხელეთება ინტერვიუსთვის ძლივს შევძელი.

— ქალბატონო თამარ, როგორც ვიცი, ყოველდღე გადაღებებზე დადიხართ, რა ხდება?

— რუსეთის კულტურის სამინისტროს თაოსნობით თენგიზ სემიონოვი უკვე ოთხი წელია იღებს ჩემ შესახებ დოკუმენტურ ფილმს. ეს არ არის ფილმი ერთ რომელიმე კონცერტზე ან მოვლენაზე... თანაც არც ერთი ხელოვანის ცხოვრება არ შეიძლება გაშუქდეს ბავშვობის წლების გარეშე, მით უმეტეს, ჩემი ბავშვობა მართლა ძალზე საინტერესო იყო... წლის ბოლოს უკვე მზად იქნება ფილმი, რომელშიც ნახავთ ყველაფერს — წინასაკონცერტო სამზადისს, რეპეტიციებს, კონცერტებსა და გასტროლებს. მაყურებელი გაეცნობა ჩემს საზოგადოებრივ საქმიანობას, კონტაქტებს საქართველოში, საფრანგეთში, რა თქმა უნდა, რუსეთში და ა.შ. მგონი, უკვე 900 საათია გადაღებული ოთხი წლის მანძილზე. მოკლედ, ყველაფერი ფირზეა ასახული — ჩემი საქმიანობა, ჩემი პრობლემები...



— თქვენ საოპერო სცენაზეც წარმატებები გაქვთ. მღერით კარმენის პარტიას.

— ახლახან შემომთავაზეს დულსინეას როლი სპექტაკლში „ადამიანი ლამანჩიდან“. ეს იქნება მუსიკალურ-დრამატული სპექტაკლი. რაც შეეხება კარმენს, ეს პარტია სიამოვნებით ვიმღერე. ესტრადის მომღერალს ჯერ არ შეუსრულებია კარმენის პარტია. დნეპროპეტროვსკის საოპერო თეატრის მთავარმა რეჟისორმა იური ჩაიკამ საგანგებოდ დადგა. მითხრა, რომ ეს სპექტაკლი აუცილებლად უნდა განვახორციელო და თქვენ კარმენი გამღეროთო. იგი ფიქრობს, რომ ჩემი ბოლო გზა მაინც ოპერაშია.

— პრობლემები ახსენეთ, რას გულისხმობდით, საქმიან თუ პირად პრობლემებს?

— შეიძლება იმას, რაც მე მაწუხებს, ზოგმა არც კი უწოდოს პრობლემა. მაგალითად, როცა ჩემი შვილი 5 წლისა იყო, მაწუხებდა ფიქრი — რომელ სკოლაში მიმეყვანა. ახლა სანდრო უკვე 18 წლისაა და დაძაბული ვფიქრობ, როგორც ყველა ქართველი დედა, სად ისწავლის, სად იცხოვრებს, რას გააკეთებს საერთოდ...

— დიდი ხანია საქართველოში გასტროლი არ გქონიათ, რატომ?

— შარშან ვაპირებდით ჩამოსვლას მე და ლიეპა კონცერტით „მუსიკა სულის ტაძარია“, ამას ხელი შეუშალა შარშანდელმა ნოემბრის მოვლენებმა, წელს ვაპირებთ ოქტომბრისთვის ჩამოსვლას...

— რამდენად პოლიტიკური ხართ?

— რამდენადაც ყველა ქართველი. გამუდმებით განვიცდი, რაც აქ ხდებოდა და ხდება. როგორც კი აქ სიტუაცია იძაბება, რუსეთში ჩემი ტელეფონი არ ჩერდება, ხან ვინ მირეკავს, ხან — ვინ. აი, ახლაც სამაჩაბლოში სიტუაციის დაძაბვის გამო მოსკოვიდან ზარები არ წყდება ჩემთან.

— თქვენი ჩამოსვლა დაემთხვა მუსიკალური ალბომის პრეზენტაციას, რომელშიც ებრაელებმა თავი მოუყარეს ყველა იმ სიმღერას, რაც ოდესმე შეუსრულებიათ ქართველ მომღერლებს ისრაელზე, მათ შორის თქვენი არაჩვეულებრივი „იერუშალაიმიც“ არის...

— 26-საუკუნოვანი ურთიერთობის ისტორიამ კიდევ შეახსენა მსოფლიოს თავი მუსიკალური ფორმით. ეს დისკი არის იმის ნიშანი, როგორ უნდა უყვარდეთ ერებს ერთმანეთი.

— „მზიური“ რომ არ ყოფილიყო, როგორ ფიქრობთ, თქვენი ცხოვრება როგორ წარიმართებოდა?

— ალბათ ცოტა სხვანაირად, მაგრამ მაინც მუსიკის თანხლებით. მუსიკალურ „ბედისწერას“ ვერ ავცდებოდი. თბილისში ჩამოსვლისთანავე შევხვდი „მზიურელებს“, კინოდოკუმენტალისტებმა გადაიღეს კიდეც ჩვენი შეხვედრა. მათ გვერდით ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ თითქოს დრო გაჩერდა, ყველა ერთად ვლაპარაკობდით. 8 წლის მანძილზე 365 დღე ერთად ვიყავით. გურამ ჯაიანიც ჩვენ გვერდით იყო. მართლა მეგონა, თითქოს მოკლეკაბიანი, ყელსახვევიანი გოგონები ვიყავით. მოვიგონეთ ჩვენი გარდაცვლილი მეგობრები, მზიურელების სევდად ქცეული ხათუნა დონდუა და ხათუნა საბაშვილი.

— თქვენი ვაჟი აბირებს ხელოვნების გზის არჩევას?

— სანდრო ბრიტანული სკოლის მე-13 კლასში გადადის. ყოველ არდადეგებზე ერთი სული აქვს, აქ გამოიქცეს. დიდი მონდომებით სწავლობს შექსპირს და ინგლისურ თეატრს. ვიმედოვნებ, მისი ცოდნა ქართულ ტემპერამენტთან და ნიჭთან ერთად შედეგს გამოიღებს.

— ძალიან მომხიბლავად და ახალგაზრდულად გამოიყურებით, რამე საიდუმლოს ფლობთ?

— ამას გამუდმებით მეკითხებიან რუსი ჟურნალისტები. მე კი ვპასუხობ, რომ საქართველოს მზით ვარ დამუხტული და ამ სიცივეში ალბათ იმიტომაც ვინათებ-მეთქი (ეცინება). ხომ იცით, როგორც უვლიან ქალები რუსეთში თავს, ჩვენ არ გვჭირდება მათთან გაჯიბრება, რადგან ბუნებამ გვიბოძა ყველაფერი...

— როგორც გავიგე, წინ სერიოზული საგასტროლო ტურნე გაქვთ, არ იღლებით?

— მუსიკა ენერგიის წყაროა, რა დამღლის. მალე ისრაელში მივდივარ, 12 კონცერტი უნდა გავმართო, მერე ამერიკაში წავალ, სან-ფრანცისკოდან დავიწყებ და თითქმის მთელ კონტინენტს მოვივლი. ნოემბერში საფრანგეთში მექნება კონცერტები. ასე რომ, სულ ჰაერში და სცენაზე ვიქნები.

— გაქვთ რაიმე თილისმა, ვინმეს ან რაიმეს მფარველობისა გწამთ?

— სულ თან დამაქვს წმინდა გიორგის ხატი, თან მახლავს დედა... ადამიანის ენერგია და თანაც დედის, ჩემი აზრით, უდიდესი მფარველია. გარდა ამისა, პირველი გასტროლიდან დღემდე თან დამაქვს გერმანული თოჯინა, რომელიც მგონი, უკვე ოცდაათი წლისაა, მისი გარდერობი დროდადრო იცვლება, თორემ ისე „უბერებელია“ და არ იღლება...

ჯერ ოქროს საწმისი და მედეა წაგვგვარეს, მერე კი...

„მართლმადიდებლები ცოტანი ვართ და ერთმანეთს უნდა გავუფრთხილდეთ“

იერუსალიმის ჯვრის მონასტერში შოთა რუსთაველის ფრესკის ხელყოფით დაწყებული ვნებათაღელვა არ წყდება და სავარაუდოდ, იგი დიდხანს გასტანს, ალბათ მანამ, ვიდრე საბერძნეთის ოფიციოზი სათანადო ზომებს არ გაატარებს ამ ვანდალური ფაქტის გამოსაძიებლად. წინააღმდეგ შემთხვევაში პოზიციების დათმობას და საპროტესტო აქციების შეწყვეტას არ აპირებს რუსთაველის თეატრის მსახიობი, „რუსთავი-2“-ის კორესპონდენტი და წამყვანი **ზურაბ შარია**. მან აღნიშნული ფაქტიდან მეორე დღესვე საქართველოში, საბერძნეთის საელჩოს წინ დაიწყო აქცია, რომელმაც მოგვიანებით ფრიად ორიგინალური გაგრძელება პოვა. ამის შესახებ ზურაბი თავად გვიამბობს.

— ელჩის მოვალეობის შემსრულებელთან საუბრისას, როცა იგი გვიმტკიცებდა, რომ ჯვრის მონასტერი იერუსალიმის საპატრიარქოს კუთვნილებაა და მათთან ვერაფერს გავხდებითო, საბერძნეთიდან მოვიდა ფაქსი, სადაც ნათქვამი იყო, რომ ჯვრის მონასტრის წინამძღვარს ისრაელში თხოვნით მიუმართავს შესაბამისი სამსახურებისათვის, რათა ჩაეტარებინათ აღწერა. ამით ბერძნებს იმის თქმა უნდათ, წაშლა რომ გვნდომოდა, აღწერას ხომ არ მოვითხოვდითო. ეს ძალიან უსუსური ალიბია, განსაკუთრებით იმათი მხრიდან, ვინც ქართველებს არც კი უშვებს ჯვრის მონასტერში (როგორც 8 ივლისს ჩასული ქართული დელეგაციაც არ შეუშვეს ბერძენმა ბერებმა მონასტერში). ერთი თვის წინ „მზის“ ჟურნალისტი გოდერძი შარაშია მხოლოდ მას შემდეგ შეუშვეს გადასაღებად მონასტერში, რაც მან სომხად გაასაღა თავი. გეტყვით იმასაც, რომ საელჩოში მიღებულ ფაქსში ჯვრის მონასტრის წინამძღვარი საბერძნეთის მთავრობას სთხოვდა თანხების გამოყოფას ჯვრის მონასტერში უძველესი ფრესკებისა და ძეგლების უკეთ დასაცავად. თუკი საბერძნეთის ხელისუფლება ჯვრის მონასტრის ბერებზე ზეგავლენას ვერ ახდენს, მაშინ თანხები რატომ უნდა გამოუყოს?

— ზურაბ, რამდენადაც ვიცი, საქართველოსთვის უწვეულო ტრადიციას დაუდე საფუძველი — მარტომ დაიწყე საპროტესტო აქცია, რამ გაგანაბირობა შენი ასეთი საქციელი?

— მძაფრი პროტესტის გრძნობამ. როცა შინაგანად ვგრძნობ, რომ რაღაცის გაკეთება შემიძლია, ვაკეთებ კიდეც, ამიტომ წავედი აფხაზეთის ომშიც. სანამ საბერძნეთის საელჩოს წინ დავდგებოდი, ვფიქრობდი, პლაკატზე საპროტესტო მოთხოვნა მრავლობით რიცხვში დამეწერა თუ მხოლობითში, ბოლოს მაინც ასე დავწერე: „მოვითხოვ ქართული სიწმინდეების დაბრუნებას“, რასაც მოითხოვს ყველა ქართველი. დაახლოებით 5 საათი მარტო ვიდექი, მერე მოვიდა ხალხი. მერე უცებ გაჩნდა „ტროას ცხენის“ იდეაც და ასე მიიღო აქციამ მეორე დღეს არაორდინარული სახე. აქციები გაგრძელდება მანამ, სანამ ბერძნები გონს არ მოეგებიან. ისინი იძულებულნი იქნებიან, უცქირონ მოპირდაპირე კედელზე, სტუდენტების მიერ მოხატულ რუსთაველის ფრესკას. ბერძნების საელჩო ვაკეშია, რაზმაძის ქუჩაზე, სადაც მოსახლეობა აღშფოთებას ვერ ფარავს ბერძენი დიპლომატების არაკორექტულობის გამო. როგორც ამბობენ, საკონსულოში ვიზების გაცემის დროსაც ცუდად ექცევიან ქართველებს. მაგალითად, ერთ ცნობილ მომღერალს ცინიკურად უთხრეს, დაგვიმტკიცე, რომ მომღერალი ხარ და მერე გაგიშვებთო. საპროტესტო აქციას რომ ვატარებდით, ვფიქრობდი, რომ საქართველოში ბერძნული სათვისტომოს წევრებიც გვერდით დაგვიდგებოდნენ.

— საერთოდ რევოლუციონერი და პროტესტანტი ხარ ბუნებით?

— შარია ვარ გვარად, დაბადებული ქაქუცა ჩოლოყაშვილის დაბადების და ბასტილიის დაცემის დღეს. რა გასაკვირია, პროტესტანტი რომ ვიყო. სხვათა შორის, ძარღვებში ცოტა ბერძნული სისხლიც მირევია ერთი ბებიის მხრიდან. ძალიან დიდ პატივს ვცემ ბერძენ ხალხს, ანტიკურ კულტურას, მაგრამ უმსგავსობას ვერავის მოვუთმენ. ჯერ იყო, ოქროს საწმისი და მედეა წაგვგვარეს, ვხუმრობ ხოლმე — „არგო“ რომ შემოვიდა ფოთის პორტში, მომსახურების ფულიც არ გადაიხადეს-მეთქი. როგორც ჩანს, საუკუნეთა მანძილზე დათმობების გამო ძალიან გაუვიდათ თავს. შესაძლოა, ფეხბურთში საქართველო-საბერძნეთის თამაშისას ბურთი თუ მათ მხარეს გადავიდა, უკან აღარც კი დაგვიბრუნონ.

— დამეთანხმები, ალბათ, რომ ბერძნებისგან ასეთი საქციელი განსაკუთრებით იმიტომ არის საწყენი, რომ ისინი მართლმადიდებლები არიან.

— რა თქმა უნდა. ამას წინათ რუმინეთში ვიყავი, რაღაცის გამო პირჯვარი გადავიწერე, იქაურმა მასპინძელმა შენიშნა და რომ გაიგო მართლმადიდებელი და ქართველი ვიყავი, საოცარი ღხინი გაგვიმართა, მართლმადიდებლები ცოტანი ვართ და ერთმანეთს უნდა გავუფრთხილდეთ. როგორც ჩანს, ეს არ ესმით რუსებს და ბერძნებს.

— ზურაბ, ახლახან მონაწილეობა მიიღე ერთ-ერთ დეტექტორ-ეროტიკულ სერიალში, სადაც ლამის სექსსიმბოლოდ გამოიყურები. თუმცა ჩემი აზრით, სცენაზე ჰამლეტის როლის შესრულების შემდეგ, ეს ამპლუა მაინცდამაინც ვერ მოირგე. როგორც ვიცი, რობერტ სტურუასთან ერთად მუშაობ „ვეფხისტყაოსანზე“. ვის ითამაშებ?

— ჯერჯერობით არ ვიცი, არ არის საბოლოოდ გადაწყვეტილი, თუმცა სულ ტარიელის როლს ვკითხულობ. „ვეფხისტყაოსანში“ ყველა როლი ძალიან საინტერესოა.

გვერდი მოამზადა ეკა ლომიძემ

ორშაბათი 12 ივლისი

კვირის პალიტრა

07.30 ალიონი 09.45 მულტსერიალი „სიმბა-ფეხბურთელი" 10.10 სერიალი „ოჯახური ურთიერთობანი" 12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე 12.15 ტელესერიალი „სოლედადი" 13.00 ნაშუადღევს 14.00 მოამბე ოსურ ენაზე 14.15 დოკ. სერიალი „მსოფლიოს ქალაქები" 15.20 სერიალი „რვაფეხა" 16.00 მოამბე ინგლისურ ენაზე 16.05 სერიალის გაგრძელება 17.05 მულტსერიალი „სიმბა-ფეხბურთელი" 17.30 მუს. არჩევნები 18.00 ვესტნიკი 18.20 სერიალი „ხუმრობა იქით იყოს" 18.45 დოკ. ფილმი „ყველანი ორბიტაზე" 19.00 „იმღერე რამე" 19.40 ბასტი-ბუბუ 21.05 სერიალი „სოლედადი" 22.00 ღამის მატარებელი 00.00 ვიდეოფილმი „საქართველო მე-20 საუკუნე" 00.20 მხ. ფილმი „იასამნისფერი ტაძარი" (15)

19.00 მულტფილმი „ბელფეგორი" 19.30 სერიალი „ეშმაკუნა" (U) 21.00 დოკ. სერიალი „წყვილები და დუეტები" 21.30 მოგზაურობა სასიტყვეთში 22.00 მხ.ფილმი „სტიქია" (15)

07.30 დილა მშვიდობისა 08.00 „ტელელიპუტები" 09.40 სერიალი „შურისძიება" 11.00 ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.50 კურიერი 12.20 უიმბლდონის ყოველდღიური მიმოხილვა 13.20 მხ. ფილმი „მახე მშობლებისთვის" (U) 15.25 სერიალი „სასწრაფო" 16.30 სერიალი „მაშველები" 17.25 პერეკრიოსტოკი 18.20 „ტელელიპუტები" 18.55 „დისკავერი" 19.45 სერიალი „შურისძიება" 22.00 სერიალი „უკვდავი" 23.00 სერიალი „სოპრანოს კლანი". 00.00 მხ. ფილმი „პიანისტი". მთ. რ-ში: ედრიან ბროუდი, ტომას კრეტჩმანი (18).

18.00 მინისერიალი „ხაბაზები" 1-ლი ს. 18.55 დოკ. ფილმი 19.50 კონცერტი 21.50 დოკ. ფილმი 22.30 მხ. ფილმი „ხაფანგი" (18)

07.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00 ქრონიკა 07.15, 11.20, 16.40, 17.20, 02.00 იმედის მელოდიები 08.00 „იმედის" დილა 10.00 დროება 11.25, 01.30 ტვ-მარკეტი 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00 ქრონიკა 12.10 სერიალი „კლონი" 13.15 სერიალი „შერლოკ ჰოლმსის თავგადასავალი" 15.15 ქალთა ეროვნული საკალათბურთო ასოციაცია 17.00, 18.00, 19.00, 21.25, 22.00, 01.10 ქრონიკა 17.25 ანიმაციური ფილმი „შავი მეკობრე" მე-9 ს. 18.05 სერიალი „ტყუპები" 19.35 სერიალი „კლონი" 20.30 სერიალი „შერლოკ ჰოლმსის თავგადასავალი" 21.30 „ვაკაჭი-ნიუსი" 23.00 სპ. პროგრამა „გოლი" 23.30 მხ. ფილმი „მშვიდობისმყოფელი" (დ. ლუნდგრენი) (U)

09.00 მზერა დღის ბოლოს 10.00 სერიალი „ველური მთვარე" 11.10, 20.50 მინისერიალი „მისტერ მკვლელობა" 12.00, 15.00, 18.00, 20.00 საინფ. გამოშვება „მზერა" 12.10, 21.45 დეტ. სერიალი „კოდი კოპერნიკი" 13.10 მხ. ფილმი „ბრწყინვალე" (U) (მერაია კერი) 15.10 სერიალი „მარია ემილია" 16.10 სერიალი „დინოტოპია" 17.10 მულტსერიალი „რედვოლი" 17.35 მულტსერიალი „კეროტის თავგადასავალი" 18.10 მულტსერიალი „მეხანძრე ძაღლები" 18.35 დოკ. სერიალი „ტაიმსლოტი" 19.00 სერიალი „ველური მთვარე" 20.50 მინისერიალი „სამყაროს შექმნა" 22.45 „მზერა დღის ბოლოს" 00.00 მხ. ფილმი „თანამზრახვარი 2" (18) (ტომას პაური)

12.00 ინდ. მხ. ფილმი 15.00 მხ. ფილმი 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს" 17.15 მუსიკა 18.00 სერიალი „მილედი" 10-11 ს. 19.20, 21.00 სპექტრი 22.30 „საქმე და ეკონომიკა"

08.00 „დილა მშვიდობისა, რუსეთო," "РТР Планета -ს„ პროგრამა 11.15 მუსიკალური კოლაჟი 12.15 ვარსკვლავები გვემცნობიან 13.15 ექიმი გვირჩევს 14.15 მუს. პაუზა 15.00 „ვესტი" "РТР Планета-ს„ პროგრამა 18.00, 18.30 მუს. პაუზა 18.15 ზღაპრის ტელედარბაზი 19.30 ჩემი თანატოლები 20.00 ექსტრაორდინალური 21.00 ინდ. ფილმი „ერთადერთი" 00.00 "РТР Планета-ს„ პროგრამა

07.20 პოპ. ად. ათეული 08.00 ტოროლა 11.00 ქართული მუსიკა 13.00 ინფორმატორი 13.30 პროფათეული 14.10 მუსიკა 16.00 მუსიკა 17.00, 19.15 მუსიკა 19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი 19.30, 20.15 ვიდეორადიო 21.15 მუსათეული 22.35 პაპარაცი 23.00 პოპ. ად. ათეული 02.00 „ბრავო" „ვირტუალური გოგონა". მთ. რ-ში: ჩარლი კერტისი. 03.00 პაუზის გარეშე

10.00 მულტფილმი 12.00 20 სთ-იანი ფილმის გამეორება 14.00 მუსიკა 15.00 მხ. ფილმი „აგენტი ჯონი ინგლიში" (რ. ატკინსონი) (U) 17.00 საბ. ფილმი 19.00 სერიალი „მუსკულები" (გაგ.) 20.00 მხ. ფილმი „ევოლუცია" (დ. დუხოვნი) (12) 22.00 სერიალი „მუსკულები" 22.20 ნიკა ქავთარაძის ანეკდოტები 22.30 შიშველი სიმართლე 22.40 ი. სალინაძის „კენო" 23.00 დებატები 00.00 მხ. ფილმი „რეკრუტი" (ალ პაჩინო) (15)

08.30, 01.10 საინფორმაციო დაიჯესტი 08.50 მუსიკა 09.20 მულტფილმი „უძველესი დედამიწა" 10.25 სათავგადასავლო ფილმი „მარტო სახლში-2" 12.30, 16.30, 20.30, 22.30 საინფორმაციო გამოშვება 12.45 კომედია „ითამაშე, როგორც ბეკჰემმა" 14.30 მუსიკა 14.50 თრილერი „დალი" 16.45 მულტფილმი „ველური ტორნბერელების თავგადასავალი" 18.10 მუსიკა 18.30 საინფორმაციო გამოშვება „ნოვოსტი" 19.00 ტელესერიალი „კონკიაზე ნადირობა" 19.50 დოკუმენტური ფილმი 21.00 კომედია „ოპერაცია „Ы" და შურიკის სხვა თავგადასავლები" 23.00 მხ. ფილმი „მოკვდი, ოღონდ ახლა არა" 03.30 მუსიკა 03.40 ისტორიული ფილმი „ბუშ ციხესიმაგრე"

06.00 "Доброе утро" 09.00, 12.00, 15.00, 18.00 Новости 09.20 Наталья Андрейченко в фильме "ПОДАРИ МНЕ ЛУННЫЙ СВЕТ" 11.10 Теория невероятности. "Харизма" 11.40 Следствие ведет Колобков 12.10 Александр Збруев в детективной трилогии "ДВА БИЛЕТА НА ДНЕВНОЙ СЕАНС" 14.00 Сериал "ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ" 15.20 Сериал "СЕЗОН ОХОТЫ" 16.30 Криминальная Россия. "Евроремонт для убийцы". 1-я серия 17.00 "Русская рулетка" 18.20 Смехопанорама 18.50 Сериал "КЛОН" 19.50 "Стирка на миллион" 20.00 Жди меня 21.00 Время 21.30 Сериал "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ". 22.40 Сериал "ТАНЦОР" 23.40 Искатели. "Убийство Павла I" 00.10 Сериал "24 ЧАСА" 01.00 Чарльз Бронсон в боевике "СЕМЬЯ ПОЛИЦЕЙСКИХ" 02.30 Джек Леммон в комедии "ПАПОЧКА" 04.30 Русский экстрим 05.05 "Кавказский Вавилон"

სამშაბათი 13 ივლისი

07.30 ალიონი 09.45 მულტსერიალი „სიმბა-ფეხბურთელი" 10.10 სერიალი „ოჯახური ურთიერთობანი" 12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე 12.15 ტელესერიალი „სოლედადი" 13.00 ნაშუადღევს 14.00 მოამბე ოსურ ენაზე 14.05 ლერერის შოუ 15.20 სერიალი „რვაფეხა" 16.00 მოამბე ინგლისურ ენაზე 16.10 სერიალის გაგრძელება 17.00 მულტსერიალი „სიმბა-ფეხბურთელი" 17.30 „ამბობენ" (გამ.) 18.00 ვესტნიკი 18.20 სერიალი „ხუმრობა იქით იყოს" 18.45 დოკ. ფილმი „ყველანი ორბიტაზე" 19.00 „იმღერე რამე" 19.40 ბასტი-ბუბუ 21.05 სერიალი „სოლედადი" 22.00 სერიალი „ფსიქოფაქტორი" (12) 22.25 „მუსიკალური არჩევნები" 00.00 ვიდეოფილმი „საქართველო მე-20 საუკუნე" 00.20 მხ. ფილმი „როგორ მოვიშოროთ მეზობლის ქალი" (U)

19.00 მულტფილმი „ბელფეგორი" 19.30 სერიალი „ეშმაკუნა"(U) 21.00 „პალიტრა" 21.30 ისტორიანი 22.00 მხ. ფილმი „ადამიანი მატარებლიდან" (U)

07.30 დილა მშვიდობისა 08.00 „ტელელიპუტები" 09.40 სერიალი „შურისძიება" 11.00 სერიალი „უკვდავი" 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.00 კურიერი 12.20 „დისკავერი" 13.20 მხ. ფილმი „ედი" (U) 15.25 სერიალი „სასწრაფო" 16.30 სერიალი „ალფი" 17.05 სერიალი „მაშველები" 18.20 „ტელელიპუტები" 18.55 „დისკავერი" 19.45 სერიალი „შურისძიება" 22.00 ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად 23.00 სერიალი „სოპრანოს კლანი". 00.00 მხ. ფილმი „ჩვენ ანგელოზები როდი ვართ". მთ. რ-ში: რობერტ დე ნირო, შონ პენი (18)

18.00 მინისერიალი „ხაბაზები" 18.55 დოკ. ფილმი 19.55 კონცერტი 21.15 დოკ. ფილმი 22.30 მხ. ფილმი „პეპელა მხარზე" (15)

07.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00 ქრონიკა 07.15, 11.20, 13.15, 17.20, 02.00 იმედის მელოდიები 08.00 „იმედის" დილა 10.10 სერიალი „ტყუპები" 11.05 „იმედითა შენითა" 11.30 სპ. პროგრამა „გოლი" 12.10 სერიალი „კლონი" 13.30, 01.30 ტვ-მარკეტი 14.05 სერიალი „შერლოკ ჰოლმსის თავგადასავალი" 15.15 მხ. ფილმი „მშვიდობისმყოფელი" (U) 17.00, 18.00, 19.00, 21.25, 22.00, 01.10 ქრონიკა 17.25 ანიმაციური ფილმი „შავი მეკობრე" 18.05 სერიალი „ტყუპები" 19.35 სერიალი „კლონი" 20.30 სერიალი „შერლოკ ჰოლმსის თავგადასავალი" 21.30 ლარის მახე 23.00 „ერთხელ ჰოლივუდში" 23.30 მხ. ფილმი „გამოუსწორებელი" (ჟან-პოლ ბელმონდო) (U)

09.00 მზერა დღის ბოლოს 10.00 სერიალი „ველური მთვარე" 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00 საინფ. გამოშვება „მზერა" 11.10, 20.50 მინისერიალი „მისტერ მკვლელობა" 12.10 დეტ. სერიალი „კოდი კოპერნიკი" 13.10 მხ. ფილმი „ვერტიკალური ზღვარი" (U) (კრის ოდონელი) 15.10 სერიალი „მარია ემილია" 16.00, 17.00, 18.00, 20.00 საინფ. გამოშვება „მზერა" 16.10 სერიალი „დინოტოპია" 17.10 მულტსერიალი „რედვოლი" 17.35 მულტსერიალი „კეროტის თავგადასავალი" 18.10 მულტსერიალი „მეხანძრე ძაღლები" 18.35 დოკ. სერიალი „ტაიმსლოტი" 19.00 სერიალი „ველური მთვარე" 21.45 დეტ. სერიალი „კონან დოილის ქრონიკები" 22.45 მზერა დღის ბოლოს 00.00 მხ. ფილმი „ცისფერი კრუიზი" (კუბა გუდინგი) (18)

13.00 მუსიკა 16.00 „საქმე და ეკონომიკა" 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს" 17.15 სერიალი „მილედი" 11-12 ს. 19.20, 21.00 სპექტრი 00.30 მუსიკა

08.00 „დილა მშვიდობისა, რუსეთო„ "РТР Планета-ს„ პროგრამა 11.15 მუსიკალური კოლაჟი 12.15 სალონი 13.45 ექიმი გვირჩევს 14.45 მუს. პაუზა 15.00 „ვესტი" "РТР Планета-ს„ პროგრამა 18.00, 18.30 მუს. პაუზა 18.15 ზღაპრის ტელედარბაზი 19.00 სპორტის სამყარო 20.00 მუს. პაუზა 21.00 „ვესტი" 21.30 სალონი 23.00 ინდ. მხ. ფილმი „გულისცემა" (15) 00.00 "РТР Планета-ს„ პროგრამა

07.20 პოპ. ად. ათეული 08.00 ტოროლა 11.00 ქართული მუსიკა 13.00 ინფორმატორი 13.30 მუსათეული 14.10 მუსიკა 16.00 მუსიკა 17.00, 19.15, 22.35 მუსიკა 19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი 19.30, 20.15 ვიდეორადიო 21.15 მუსათეული 23.00 პოპ. ად. ათეული 02.00 „ბრავო" „ყველაფერი შესაძლებელია შვილო". მთ. რ-ში: ჰიუ ლორი. 03.00 პაუზის გარეშე

10.00 დებატები 202-ზე (გამ). 11.30 მულტფილმი 12.00 20 სთ-იანი ფილმის გამეორება 14.00 მუსიკა 15.00 მხ. ფილმი „მისტერ ბინი" (რ. ატკინსონი) (U) 17.00 საბ. ფილმი 19.00 სერიალი „მუსკულები" (გაგ.) 20.00 მხ. ფილმი „ბიტლჯუსი" (რეჟ. მაიკლ კიტონი) (U) 22.00 სერიალი „მუსკულები" 22.20 ნიკა ქავთარაძის ანეკდოტები 22.30 შიშველი სიმართლე 22.40 ი. სალინაძის „კენო" 23.00 დებატები 00.00 მხ. ფილმი „ძირითადი ინსტინქტი" (მაიკლ დუგლასი) (18)

08.30, 01.10 საინფორმაციო დაიჯესტი 08.50 მულტფილმი „უძველესი დედამიწა" 10.00 სათავგადასავლო ფილმი „პინოქიო" 11.50 დოკუმენტური ფილმი 12.30, 16.30, 20.30, 22.30 საინფორმაციო გამოშვება 12.45 კომედია „როგორ მოვიშოროთ მამაკაცი 10 დღეში" 14.35 მუსიკა 14.45 თრილერი „მკვლელობა გროს-პოინტში" 16.45 მულტფილმი „მულანი" 18.15 მუსიკა 18.30 საინფორმაციო გამოშვება „ნოვოსტი" 19.00 ტელესერიალი „კონკიაზე ნადირობა" 19.50 დოკუმენტური ფილმი 21.00 თრილერი „სნაიპერი-2" 23.00 მხატვრული ფილმი „ატილა დამპყრობელი" 04.25 მუსიკა 04.30 თრილერი „დროის გამჩერებელნი"

06.00 "Доброе утро" 09.00, 12.00, 15.00, 18.00 Новости 09.20, 21.30 Сериал "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ" 10.30, 18.50 Сериал "КЛОН" 11.40 Дисней-клуб: "Мышиный дом" 12.10 Александр Збруев в детективной трилогии "КРУГ" 14.00 Сериал "ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ" 15.20 Сериал "СЕЗОН ОХОТЫ" 16.30 Криминальная Россия. "Евроремонт для убийцы". 2-я серия 17.00 "Слабое звено" 18.20 "Кумиры" 19.50 "Стирка на миллион" 20.00 Сериал "ЧЕРНЫЙ ВОРОН" 21.00 Время 22.40 Сериал "ТАНЦОР" 23.40 "Звезды эфира". Александр Иванов 00.10 Сериал "24 ЧАСА" 01.00 "После шока: Землетрясение в Нью-йорке". Фильм 1-й 02.30 Максимилиан Шелл в фильме "ПЕСНЯ ЖАВОРОНКА" 04.25 Сериал "БАДДИ ФАРО"

ოთხშაბათი 14 ივლისი

07.30 ალიონი 09.45 მულტსერიალი „სიმბა-ფეხბურთელი" 10.10 სერიალი „ოჯახური ურთიერთობანი" 12.00, 15.00, 20.00, 00.40 მოამბე 12.15 ტელესერიალი „სოლედადი" 13.00 ნაშუადღევს 14.00 მოამბე ოსურ ენაზე 14.15 დოკ. ფილმი „შავკანიანთა მუსიკა" 15.20 სერიალი „რვაფეხა" 16.00 მოამბე ინგლისურ ენაზე 16.05 სერიალის გაგრძელება 17.00 მულტსერიალი „სიმბა ფეხბურთელი" 17.30 „მუსიკალური არჩევნები" 18.00 ვესტნიკი 18.20 სერიალი „ხუმრობა იქით იყოს" 18.45 დოკ. ფილმი „ყველანი ორბიტაზე" 19.05 „იმღერე რამე" 19.40 ბასტი-ბუბუ 21.05 სერიალი „სოლედადი" 22.00 „მილენიუმი" 22.35 ვიდეოფილმი „საქართველო მე-20 საუკუნე" 00.00 ღამის მატარებელი 01.00 მხ. ფილმი „რემბო-2" (15)

19.00 მულტფილმი „ბელფეგორი" 19.30 სერიალი „ეშმაკუნა"(U) 21.00 დოკ. სერიალი „გემრიელად მირთვით ბავშვებო" 21.20 ჩვენი მისამართია 22.00 მხ. ფილმები „რემბო-პირველი სისხლი" (15)

07.30 დილა მშვიდობისა 08.00 „ტელელიპუტები" 09.40 სერიალი „შურისძიება" 11.00 ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.15 კურიერი 12.20 „დისკავერი" 13.20 მხ. ფილმი „როგორ დააქორწინა მეფე პეტრემ არაბი"(U) 15.25 სერიალი „სასწრაფო" 16.30 სერიალი „ალფი" 17.05 სერიალი „მაშველები" 18.20 „ტელელიპუტები" 18.55 „დისკავერი" 19.45 სერიალი „შურისძიება" 22.00 სერიალი „საპარას საიდუმლო" 23.00 სერიალი „სოპრანოს კლანი". 00.00 მხ. ფილმი „ბრწყინვალე აფერა". მთ. რ-ში: ნიკოლას კეიჯი (18)

18.00 მინისერიალი „ხაბაზები" 18.55 დოკ. ფილმი 19.55 კონცერტი 21.30 დოკ. ფილმი 22.30 მხ. ფილმი „ტარტიუფის შთამომავლობა" (12)

07.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00 ქრონიკა 07.15, 13.15, 17.20, 01.55 იმედის მელოდიები 08.00 „იმედის" დილა 10.10 სერიალი „ტყუპები" 11.05 „X-კლუზივი" 12.10 სერიალი „კლონი" 13.25, 01.25 ტვ-მარკეტი 14.05 სერიალი „შერლოკ ჰოლმსის თავგადასავალი" 15.15 მხ. ფილმი „გამოუსწორებელი" (U) 17.00, 19.00, 21.25, 22.00, 01.05 ქრონიკა 17.25 ანიმაციური ფილმი „შავი მეკობრე" 18.05 სერიალი „ტყუპები" 19.35 სერიალი „კლონი" 20.30 სერიალი „შერლოკ ჰოლმსის თავგადასავალი" 21.30 „პირველი ნახევარი" 23.00 არტ-ბულვარი 23.30 მხ. ფილმი „კოლეჯი" (დ. სუეინი) (15)

09.00 მზერა დღის ბოლოს 10.00 სერიალი „ველური მთვარე" 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00 საინფ. გამოშვება „მზერა" 11.10, 20.50 მინისერიალი „მისტერ მკვლელობა" 12.10, 21.45 დეტ. სერიალი „კონან დოილის ქრონიკები" 13.10 მხ. ფილმი „ნამდვილი მაჭო" (U) (კიმ ბესინჯერი) 15.10 სერიალი „მარია ემილია" 16.00, 17.00, 18.00, 20.00 საინფ. გამოშვება „მზერა" 16.10 სერიალი „დინოტოპია" 17.10 მულტსერიალი „რედვოლი" 17.35 მულტსერიალი „კეროტის თავგადასავალი" 18.10 მულტსერიალი „მეხანძრე ძაღლები" 18.35 დოკ. სერიალი „ტაიმსლოტი" 19.00 სერიალი „ველური მთვარე" 22.45 მზერა დღის ბოლოს 00.00 მხ. ფილმი „გახსოვდეს" (18) (კერი ენ მოსი)

13.00 მუსიკა 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს" 17.15 სერიალი „მილედი" 12-13 ს. 19.20, 21.00 სპექტრი 00.30 მუსიკა

08.00 „დილა მშვიდობისა, რუსეთო„ "РТР Планета-ს„ პროგრამა 11.15 მუსიკალური კოლაჟი 12.15 სალონი 13.45 ფილმი 15.00 „ვესტი" "РТР Планета-ს„ პროგრამა 18.00, 18.30 მუს. პაუზა 18.15 ზღაპრის ტელედარბაზი 19.00 სპორტის სამყარო 20.00 „თინეიჯერი" 21.00 „ვესტი" 21.30 მუსიკა 22.00 ინდ. მხ. ფილმი „სიხარულშიც და მწუხარებაშიც" (15) 00.00 "РТР Планета-ს„ პროგრამა

07.20 პოპ. ად. ათეული 08.00 ტოროლა 11.00 ქართული მუსიკა 13.00 ინფორმატორი 13.30 მუსათეული 14.10 მუსიკა 16.00 მუსიკა 17.00, 19.15 მუსიკა 19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი 19.30, 20.15 ვიდეორადიო 21.15 ქართ. მუსათეული 22.35 პაპარაცი 23.00 პოპ. ად. ათეული 02.00 „ბრავო" „ამერიკული რაპსოდია". მთ. რ-ში: ნასტასია კინსკი. 03.00 პაუზის გარეშე

10.00 მულტფილმი 12.00 20 სთ-იანი ფილმის გამეორება 14.00 მუსიკა 15.00 მხ. ფილმი „მეტრო" (ედი მერფი) (12) 17.00 მულტფილმი 19.00 სერიალი „მუსკულები" (გაგ.) 20.00 მხ. ფილმი „შოკოლადი" (ჟ. ბინოში) (12) 22.00 სერიალი „მუსკულები" 22.20 ნიკა ქავთარაძის ანეკდოტები 22.30 შიშველი სიმართლე 22.40 ი. სალინაძის „კენო" 22.45 დებატები 202-ზე 00.00 მხ. ფილმი „დოგვილი" (ნ. კიდმანი) (18)

08.30, 01.10 საინფორმაციო დაიჯესტი 08.50 მულტფილმი „უძველესი დედამიწა" 10.05 სათავგადასავლო ფილმი „იასონი და არგონავტები" 11.50 დოკუმენტური ფილმი 12.30, 16.30, 20.30, 22.30 საინფორმაციო გამოშვება 12.45 კომედია „საუკეთესო მეგობრის ქორწილი" 14.25 მუსიკა 14.40 თრილერი „ნიკიტა" 16.45 მულტფილმი „შრეკი" 18.15 მუსიკა 18.30 საინფორმაციო გამოშვება „ნოვოსტი" 19.00 ტელესერიალი „კონკიაზე ნადირობა" 19.50 დოკუმენტური ფილმი 21.00 კომედია „საოჯახო მეგობა" 23.00 მხატვრული ფილმი „სიყვარული წესების გარეშე" 01.30 თრილერი „პერლ-ჰარბორი" 04.25 მუსიკა 04.30 კომედია „კანადური ბეკონი"

06.00 "Доброе утро" 09.00, 12.00, 15.00, 18.00 Новости 09.20, 21.30 Сериал "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ" 10.30, 18.50 Сериал "КЛОН" 11.30 Мультсериал "Кошки-мышки" 11.40 Дисней-клуб: "Мышиный дом" 12.10 Александр Збруев в детективной трилогии "МЕНЯ ЭТО НЕ КАСАЕТСЯ" 14.00 Сериал "ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ" 15.20 Сериал "СЕЗОН ОХОТЫ" 16.30 Криминальная Россия. "Последнее дело Пушкина". 1-я серия 17.00 "Слабое звено" 18.20 Просто смех! 19.50 "Стирка на миллион" 20.00 Сериал "ЧЕРНЫЙ ВОРОН" 21.00 Время 22.40 Сериал "ТАНЦОР". Заключительная серия 23.40 "Разведка. Версия для кино". "Вариант "Омега" 00.10 Сериал "24 ЧАСА" 01.00 "После шока: Землетрясение в Нью-йорке". Фильм 2-й 02.35 Питер Фонда в триллере "ТОНКИ С ДЬЯВОЛОМ" 04.05 Сериал "БАДДИ ФАРО" 05.05 "Подводный мир Андрея Макаревича"

ხუთშაბათი 15 ივლისი

07.30 ალიონი 09.45 მულტსერიალი „სიმბა ფეხბურთელი" 10.10 სერიალი „ოჯახური ურთიერთობანი" 12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე 12.15 ტელესერიალი „სოლედადი" 13.00 ნაშუადღევს 14.00 მოამბე ოსურ ენაზე 14.15 დოკ. ფილმი „პატრიცია კასი" 15.20 სერიალი „რვაფეხა" 16.00 მოამბე ინგლისურ ენაზე 16.05 სერიალის გაგრძელება 17.30 მულტსერიალი „სიმბა ფეხბურთელი" 18.00 ვესტნიკი 18.20 სერიალი „ხუმრობა იქით იყოს" 18.45 დოკ. ფილმი „ყველანი ორბიტაზე" 19.00 „იმღერე რამე" 19.40 ბასტი-ბუბუ 21.05 სერიალი „სოლედადი" 22.00 „მილენიუმი" 22.30 „მუსიკალური არჩევნები" 00.00 ვიდეოფილმი „საქართველო მე-20 საუკუნე" 00.20 მხ. ფილმი „ვალენტინი" (U)

19.00 მულტფილმი „ბელფეგორი" 19.30 სერიალი „ეშმაკუნა" (U) 21.00 დოკ. ფილმი „სისი ავსტრიის დედოფალი" 22.00 მხ. ფილმი „ჩემი ამერიკელი ძია" (12)

07.30 დილა მშვიდობისა 08.00 „ტელელიპუტები" 09.40 სერიალი „შურისძიება" 11.00 სერიალი „საპარის საიდუმლო" 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.15 კურიერი 12.20 „დისკავერი" 13.20 მხ. ფილმი „ცუდი ბიჭები 2" (U) 15.25 სერიალი „სასწრაფო" 16.30 სერიალი „ალფი" 17.05 სერიალი „მაშველები" 18.20 „ტელელიპუტები" 18.55 „დისკავერი" 19.45 სერიალი „შურისძიება" 22.00 სერიალი „საპარას საიდუმლო" 23.00 სერიალი „სოპრანოს კლანი". 00.00 მხ. ფილმი „დიდი თევზი". მთ. რ-ში: ევან მაკგრეგორი (15).

18.00 მინისერიალი „ხაბაზები" 18.55 დოკ. ფილმი 19.55 კონცერტი 21.30 დოკ. ფილმი 22.30 მხ. ფილმი „ამომავალი ვარსკვლავი" (15)

07.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00 ქრონიკა 07.15, 11.05, 13.15, 17.20, 01.55 იმედის მელოდიები 08.30 ანიმაციური ფილმი „შავი მეკობრე" 09.10 სერიალი „რელიკვიების მაძიებელი" 10.10 სერიალი „ტყუპები" 11.30 არტ-ბულვარი 12.10 სერიალი „კლონი" 13.25, 01.25 ტვ-მარკეტი 14.05 სერიალი „შერლოკ ჰოლმსის თავგადასავალი" 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 21.25, 22.00, 01.05 ქრონიკა 15.15 მხ. ფილმი „ორშაბათიც გათენდება" (U) (ვ. ტიხონოვი) 17.25 ანიმაციური ფილმი „შავი მეკობრე" 18.05 სერიალი „ტყუპები" 19.35 სერიალი „კლონი" 20.30 სერიალი „შერლოკ ჰოლმსის თავგადასავალი" 21.30 საქმე № 23.00 სპ. პროგრამა „ესტაფეტა" 23.30 მხ. ფილმი „სიესტა" (ჯ. ბირკინი) (15)

09.00 მზერა დღის ბოლოს 10.00 სერიალი „ველური მთვარე" 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00 საინფ. გამოშვება „მზერა" 11.10 მინისერიალი „მისტერ მკვლელობა" 12.10, 21.45 დეტ. სერიალი „კონან დოილის ქრონიკები" 13.10 მხ. ფილმი „მეექვსე გრძნობა" (ბრიუს უილისი) (U) 15.10 სერიალი „მარია ემილია" 16.00, 17.00, 18.00, 20.00 საინფ. გამოშვება „მზერა" 16.10 სერიალი „არაბული ღამეები" 17.10 მულტსერიალი „რედვოლი" 17.35 მულტსერიალი „მეხანძრე ძაღლები" 18.10 დოკ. სერიალი „ტაიმსლოტი" 19.00 სერიალი „ველური მთვარე" 20.50 მინისერიალი „ოდისევსი" 22.45 მზერა დღის ბოლოს 00.00 მხ. ფილმი „საიდუმლო გასასვლელი" (ტერა ფიჯერალდი) (15)

13.00 მუსიკა 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს" 17.15 სერიალი „მილედი" 13-14 ს. 19.20, 21.00 სპექტრი 00.30 მუსიკა

08.00 „დილა მშვიდობისა, რუსეთო," "РТР Планета„ პროგრამა 11.15 მუსიკალური კოლაჟი 12.15 სალონი 13.45 ექიმი გვირჩევს 14.45 მუსიკა 15.00 „ვესტი" "РТР Планета-ს„ პროგრამა 18.00, 18.30 მუს. პაუზა 18.15 ზღაპრის ტელედარბაზი 19.00 სპორტის სამყარო 20.00 ექსტრაორდინალური 21.00 „ვესტი" 21.30 სალონი 23.00 მუს. პაუზა 00.00 "РТР Планета-ს„ პროგრამა

07.20 პოპ. ად. ათეული 08.00 ტოროლა 11.00 ქართული მუსიკა 13.00 ინფორმატორი 13.30 მუსათეული 14.10 მუსიკა 16.00 მუსიკა 17.00, 19.15 მუსიკა 19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი 19.30, 20.15 ვიდეორადიო 21.15 მუსათეული 22.35 მუსიკა 23.00 პოპ. ად. ათეული 02.00 „ბრავო" „ნოსტალგია მამილოზე". მთ. რ-ში: დირკ ბოგარტი. 03.00 პაუზის გარეშე

00 10.00 დებატები 202-ზე 11.30 მულტფილმი 12.00 20 სთ-იანი ფილმის გამეორება 14.00 მუსიკა 15.00 მხ. ფილმი „თეთრი ოლეანდრი" (მ. ფაიფერი) (U) 17.00 მულტფილმი 19.00 სერიალი „მუსკულები" (გაგ.) 20.00 მხ. ფილმი „უძინარნი სიეტლში" (ტომ ჰენქსი) (U) 22.00 სერიალი „მუსკულები" 22.20 ნიკა ქავთარაძის ანეკდოტები 22.30 შიშველი სიმართლე 22.40 ი. სალინაძის „კენო" 22.45 ანიმ. ფილმი „დარდუბალა 2" 23.00 დებატები 00.00 მხ. ფილმი „პიანისტი" (ედრიან ბროუდი) (18)

08.30, 01.50 საინფორმაციო დაიჯესტი 08.50 მულტფილმი „უძველესი დედამიწა" 10.05 სათავგადასავლო ფილმი „ჯაშუშთა შვილები" 11.50 დოკუმენტური ფილმი 12.30, 16.30, 20.30, 22.30 საინფორმაციო გამოშვება 12.45 კომედია „რისხვის მარცვა" 14.30 მელოდრამა „მელვინეთა წესები" 16.45 მულტფილმი „ბილისა და თედის დაუჯერებელი თავგადასავალი" 18.30 საინფორმაციო გამოშვება „ნოვოსტი" 19.00 ტელესერიალი „კონკიაზე ნადირობა" 19.50 დოკუმენტური ფილმი 21.00 თრილერი „გადამზიდველი" 23.00 „ექსკლუზივი" 23.40 მელოდრამა „წყნარი ოკეანის ისტორია" 02.10 თრილერი „ბუნდოვანი წინდანები" 04.00 მუსიკა 04.25 მხატვრული ფილმი „ომობა"

06.00 "Доброе утро" 09.00, 12.00, 15.00, 18.00 Новости 09.20, 21.30 Сериал "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ" 10.30, 18.50 Сериал "КЛОН" 11.20 Мультсериал "Кошки-мышки" 11.40 Дисней-клуб: "Чип и Дейл спешат на помощь" 12.10 Михаил Пуговкин в комедии "СПЯЩИЙ ЛЕВ" 13.30 "Гении и злодеи" 14.00 Сериал "ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ" 15.20 Сериал "СЕЗОН ОХОТЫ" 16.30 Криминальная Россия. "Последнее дело Пушкина". 2-я серия 17.00 "Слабое звено" с Марией Киселевой 18.20 "Анекдоты" 19.50 "Стирка на миллион" 20.00 Сериал "ЧЕРНЫЙ ВОРОН" 21.00 Время 22.40 "Человек и закон" 23.30 Ударная сила. "Ядерный щит" 00.00 Премьера. "Место действия - Россия"." Кузнецы своего счастья" 00.50 Премьера. "Академия жизни". Документальный фильм. Часть 2-я 01.30 Элизабет Шу в фильме "МОЛЛИ" 03.15 Триллер "СМЕРТЕЛЬНОЕ ВИДЕО" 04.40 Сериал "БАДДИ ФАРО"

პარასკევი 16 ივლისი

07.30 ალიონი 09.45 მულტსერიალი „სიმბა ფეხბურთელი" 10.10 სერიალი „ოჯახური ურთიერთობანი" 12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე 12.15 ჩოგბურთში „დევისის" თასის გათამაშება. საქართველო-ეგვიპტე. 14.00 მოამბე ოსურ ენაზე 14.15 ჩოგბურთში „დევისის" თასის გათამაშება. საქართველო-ეგვიპტე. 15.15 ჩოგბურთში „დევისის" თასის გათამაშება. საქართველო-ეგვიპტე. 18.00 ვესტნიკი 18.20 სერიალი „ხუმრობა იქით იყოს" 18.45 დოკ. ფილმი „ყველანი ორბიტაზე" 19.05 „იმღერე რამე" 19.40 ბასტი-ბუბუ 21.05 სერიალი „სოლედადი" 22.00 „ღამის მატარებელი" 00.00 ვიდეოფილმი „საქართველო მე-20 საუკუნე" 00.20 კონცერტი - ჯ. დოუკი 01.20 მხ. ფილმი „ყველაფრის ფასად" (15)

19.00 მულტფილმი „ბელფეგორი" 19.30 სერიალი „ეშმაკუნა"(U) 21.00 დოკ. სერიალი „მიფიური მეომრები" 21.30 აფხაზეთის ტვ. 22.00 მხ. ფილმი „მოხსენიების დღე" (U)

07.30 დილა მშვიდობისა 08.00 „ტელელიპუტები" 09.40 სერიალი „შურისძიება" 11.00 სერიალი „საპარის საიდუმლო" 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.15 კურიერი 12.20 „დისკავერი" 13.20 მხ. ფილმი „დათვი"(U) 15.25 სერიალი „სასწრაფო" 16.30 სერიალი „ალფი" 17.05 სერიალი „მაშველები" 18.20 „ტელელიპუტები" 18.55 „დისკავერი" 19.45 სერიალი „შურისძიება" 22.00 ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად 23.00 სერიალი „სოპრანოს კლანი". 00.00 მხ. ფილმი „დაკარგული სამყარო: იურული პერიოდის პარკი" მთ. რ-ში: ჯეფ გოლდბლიუმი (15). 02.30 მხ. ფილმი „რამდენიმე დოლარით მეტი" მთ. რ-ში: კლინტ ისტვუდი (18).

18.00 მინისერიალი „ხაბაზები" 18.55 დოკ. ფილმი 19.55 კონცერტი 21.30 დოკ. ფილმი 22.30 მხ. ფილმი „მოჯადოებული სიყვარული" (15)

07.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00 ქრონიკა 07.15, 13.15, 17.20, 02.50 იმედის მელოდიები 08.30 ანიმაციური ფილმი „შავი მეკობრე" 09.10 სერიალი „რელიკვიების მაძიებელი" 10.10 სერიალი „ტყუპები" 11.05 სპ. პროგრამა „ესტაფეტა" 11.30 საქმე № 12.10 სერიალი „კლონი" 13.25, 02.20 ტვ-მარკეტი 14.05 სერიალი „შერლოკ ჰოლმსის თავგადასავალი" 15.15 მხ. ფილმი „წყნარი ოკეანის მაღლობები" (მ. გრიფიტი) (U) 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 02.00 ქრონიკა 17.25 ანიმაციური ფილმი „შავი მეკობრე" 18.05 სერიალი „ტყუპები" 19.35 სერიალი „კლონი" 20.30 არჩევანი თქვენ 23.00 „პირველები" 23.30 X-კლუზივი 00.20 მხ. ფილმი „სუპერ ჯაშუში" (ლ. ნილსონი) (12)

09.00 მზერა დღის ბოლოს 10.00 სერიალი „ველური მთვარე" 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00 საინფ. გამოშვება „მზერა" 11.10, 20.50 მინისერიალი „ოდისევსი" 12.10, 21.45 დეტ. სერიალი „კონან დოილის ქრონიკები" 13.10 მხ. ფილმი „საერთო საცხოვრებელი ესპანურად" (რომაინ დურისი) (U) 15.10 სერიალი „მარია ემილია" 16.00, 17.00, 18.00, 20.00 საინფ. გამოშვება „მზერა" 16.10 სერიალი „არაბული ღამეები" 17.10 მულტსერიალი „რედვოლი" 17.35 მულტსერიალი „მეხანძრე ძაღლები" 18.10 დოკ. სერიალი „ტაიმსლოტი" 19.00 სერიალი „ველური მთვარე" 22.45 არჩევანის ზღვარზე 00.00 მხ. ფილმი „ვინ მოკლა პამელა როუზი" (ოლივერ ბორდი) (18)

13.00 მუსიკა 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს" 17.15 სერიალი „მილედი" 14-15 ს. 19.20, 21.00 სპექტრი 00.30 მუსიკა

08.00 „დილა მშვიდობისა, რუსეთო„ "РТР Планета-ს„ პროგრამა 11.15 მუსიკალური კოლაჟი 12.00 ინდ. ფილმი „დაუმტკიცებელი დანაშაული" 15.00 „ვესტი" "РТР Планета -ს„ პროგრამა 18.00, 18.30 მუს. პაუზა 18.15 ზღაპრის ტელედარბაზი 20.00 „სცენის ოსტატები" 21.00 „ვესტი" 21.30 კრიმინალი, პოლიცია, საზოგადოება 22.30 თეატრალური შეხვედრები 23.30 მუსიკა 00.00 "РТР Планета-ს„ პროგრამა

07.20 პოპ. ად. ათეული 08.00 ტოროლა 11.00 ქართული მუსიკა 13.00 ინფორმატორი 14.10 მუსიკა 16.00 მუსიკა 17.00, 19.15 მუსიკა 19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი 19.30, 20.15 ვიდეორადიო 21.15 მუსათეული 22.35 პაპარაცი 23.15 სოლო 02.00 „ბრავო" „ამაზონი ცეცხლში". მთ. რ-ში: სანდრა ბალოკი. 03.45 პაუზის გარეშე

10.00 მულტფილმი 12.00 20 სთ-იანი ფილმის გამეორება 14.00 მუსიკა 15.00 მხ. ფილმი „მაგარი რამ" (რიზ უიზერსპუნი) (U) 17.00 საბ. ფილმი 19.00 სერიალი „მუსკულები" (გაგ.) 20.00 მხ. ფილმი „რობინზონ კრუზო" (პ. ბროსნანი) (U) 22.00 სერიალი „მუსკულები" 22.20 ნიკა ქავთარაძის ანეკდოტები 22.30 შიშველი სიმართლე 22.40 ი. სალინაძის „კენო" 22.45 დებატები 202-ზე 00.00 მხ. ფილმი „წითელი წვერი" (რეჟ. აკირა კუროსავა) (18)

08.30, 02.00 საინფორმაციო დაიჯესტი 08.50 მულტფილმი „გუფი და მისი მეგობრები" 1 ს. 09.10 ფილმი-ზღაპარი „თოვლის დედოფალი" 10.20 მელოდრამა „კანარის პრინცესა" 12.30, 16.30, 20.30, 22.30 საინფორმაციო გამოშვება 12.45 კომედია „იტალიელთა გასაოცარი თავგადასავალი რუსეთში" 14.25 დრამა „აქ მდინარე მოედინება" 16.45 მულტფილმი „ქინქლა ანტცი" 18.05 მუსიკა 18.30 საინფორმაციო გამოშვება „ნოვოსტი" 18.50 ტელესერიალი „კონკიაზე ნადირობა" 5 ს. 21.00 კომედია „მაიძვერობა" 23.00 ბოევიკი „პრეზიდენტის თვითმფრინავი" 02.20 ისტორიული ფილმი „რანი" 04.55 მუსიკა 05.15 დოკუმენტური ფილმი

06.00 "Доброе утро" 09.00, 12.00, 15.00, 18.00 Новости 09.20 Сериал "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ" 10.30 Сериал "КЛОН" 11.35 Мультсериал "Принцесса Сиси" 12.10 Игорь Скляр в комедии "МЫ ИЗ ДЖАЗА" 14.00 Сериал "ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ" 15.20 Сериал "СЕЗОН ОХОТЫ" 16.30 Док. детектив. "Ловцы "скорпионов". Дело 2004 г. 17.00 "Русская рулетка" 18.20 Жан Марэ в фильме "ГРАФ МОНТЕ КРИСТО". 2-я с. 19.50 "Поле чудес" 21.00 Время 21.30 Джулия Робертс в фильме "ЭРИН БРОКОВИЧ" 00.00 Владимир Кузьмин. "Лучшие песни" 01.10 Боевик "ЛАВИНА" 03.05 Вспомнить все в убойном боевике "ЖИВАЯ МИШЕНЬ" 04.30 Сериал "БАДДИ ФАРО" 05.10 Новые чудеса света. "Сидней. Космическая готика"

შაბათი 17 ივლისი

08.00, 12.00, 14.35, 20.00, 00.00 მოამბე 08.15 სერიალი „ოჯახური ურთიერთობანი" 10.00 დილის პაემანი 11.05 მხიარული კარუსელი 11.30 საქართველო არის ესე 12.15 ჩოგბურთში „დევისის" თასის გათამაშება. საქართველო-ეგვიპტე. 15.15 ჩოგბურთში „დევისის" თასის გათამაშება. საქართველო-ეგვიპტე. 16.30 სპორტული კურიოზები 17.00 დოკ. სერიალი „ცხოველთა ბედი" 1-ლი ს. 18.00 ვესტნიკი 18.40 იმღერე რამე 19.15 ტელეზღაპარი 19.30 ისტორიანი 20.35 ცაიტნოტი 21.50 ფორტუნა 22.30 „საღამოს საუბარი" 23.20 „მუსიკალური არჩევნები" 00.15 ვიდეოფილმი „საქართველო მე-20 საუკუნე" 00.35 მხ. ფილმი „ჰოროსკოპი" (12)

19.00 მულტფილმი „ბელფეგორი" 19.30 სერიალი „ეშმაკუნა"(U) 21.00 მუსიკალური ოქტაგონი 22.00 მხ. ფილმი „ბოროტმზრახველთა ასოციაცია" (U)

08.00 კლასიკა 08.30 მულტსერიალი „ჯადოქარი" 09.00, 12.00, 15.00 კურიერი 09.20 მულტფილმი 11.05 ოქროს ვარდის გამოქვაბული 12.20 „სიმფსონები" 12.50 მხ. ფილმი „შეანიეთ სიტყვა სანჩალ პუსარს" (U) 15.20 სიდნეის ოლიმპიადა 16.00 მხ. ფილმი „ფანტომასის განრისხება" (U) 17.00 უიმბლდონის ფინალი ქალთა შორის 18.00, 21.00, 01.50 კურიერი 18.20 თანამედროვე ტექნოლოგიები 19.15 სერიალი „სუფთა ინგლისური მკვლელობები" 22.00 საოჯახო ტოტო. 23.00 „ფსიქო" — „მამაბატონი„ რეჟ. პაოლო და ვიტორიო ტავიანები (18). 02.10 მხ. ფილმი „ღია სივრცე" მთ. რ-ში: რობერტ დიუვალი, კევინ კოსტნერი (18).

18.00 მინისერიალი „ხაბაზები" 18.55 კონცერტი 20.30 სილუეტი 21.20 დოკ. ფილმი 22.05 მხ. ფილმი „სავსე მზე" (15)

09.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00 ქრონიკა 09.15 სერიალი „ტყუპები" 10.05, 17.35, 20.00, 02.00 იმედის მელოდიები 10.15 ანიმაც. ფილმი "სამი ახალბედა" 10.30 დილის ფოსტა 11.00 „იმედითა შენითა" 11.15, 01.10 ტვ-მარკეტი 12.00 „პირველები" 12.30 სერიალი „უკიდურესი ზღვარი" 13.10 სერიალი „უკიდურესი ზღვარი" 13.35 არჩევანი თქვენ 15.15 მხ. ფილმი „სუპერ ჯაშუში" 17.05 დოკ. სერიალი „ბუნების გენიოსები" 18.30 დოკ. სერიალი „ისტორიის ერთი კვირა" 19.30 „ვაკაჭი-ნიუსი" 20.10 სერიალი „მართლმსაჯულების 18 ბორბალი" 23-24 ს. 22.00, 01.40 ქრონიკა 22.30 კლიპ-ლოტო 23.30 მხ. ფილმი „ტაბუ" (ტ. კიტანო) (18)

09.00 მულტფილმი „პრინცესა შეჰერაზადა" 09.30 საბ. სერიალი „პატარა მოჩვენებები" 10.00 მულტფილმი „ჰერაკლე" 11.30 საბ. სერიალი „საშობაო სიმღერა" 12.30 მხ. ფილმი „პრინცესას დღიურები" (U) (ჯული ენდრიუსი) 14.00, 17.00, 20.00 საინფ. გამოშვება „მზერა" 14.30 მხ. ფილმი „კონან ბარბაროსი" (U) (ა. შვარცენეგერი) 16.30 დოკ. სერიალი „მსოფლიო კულტურის საგანძური" 17.10 ვესტერნი მზეზე „მარტოხელა მტრედი" 18.05 სერიალი „არ გაუშვა" 19.00 სერიალი „ქვეყნის კიდეზე" 20.30 მხ. ფილმი „პაემანი უნახავად" (U) (ბრიუს უილისი) 23.00 მხ. ფილმი „ეველინა" (15) (აიდან კუინი)

13.00 მუსიკა 17.00 მხ. ფილმი „რეგენერატორი" (U) 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს" 19.30 „სანინდარი" 21.00, 00.20 მუსიკა

08.00 "РТР Планета -ს„ პროგრამა 11.15 მუსიკალური კოლაჟი 12.15 საბავშვო სალონი 13.45 ექიმი გვირჩევს 14.45 მუს. პაუზა 15.00 "РТР Планета -ს„ პროგრამა 19.00 ცრემლცა ვარსკვლავები 20.00 „თინეიჯერი" 21.00 "РТР Планета -ს„ პროგრამა 22.00 „და ღმერთმა შექმნა ქალი" 22.30 მკურნალობა „პირამიდით" 23.30 მუსიკა 00.00 "РТР Планета-ს„ პროგრამა

07.30 მუსიკა 10.00 ტოროლა 13.00 ქართული მუსიკა 15.00 ინფორმატორი 16.00 მუსიკა 17.00, 19.15 მუსიკა 19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი 19.30, 20.15 ვიდეორადიო 21.15 მუსათეული 22.35 მუსიკა 23.00 პოპ. ად. ათეული 03.00 „ბრავო„ „დიდი ტურნე". კომედია.

10.00 დებატები 202-ზე 11.30 მულტფილმი 12.00 20 სთ-იანი ფილმის გამეორება 14.00 მუსიკა 15.00 მხ. ფილმი „ლამაზი ქალი" (ჯ. რობერტსი) (15) 17.00 მუსიკა 18.00 მულტფილმი 20.00 მხ. ფილმი „მეხუთე ელემენტი" (მ. იოვოვიჩი) (12) 22.00 მუსიკა 23.00 დებატები 202-ზე 00.00 მხ. ფილმი „სამნი ჯარში" (18)

08.30, 01.00 საინფორმაციო დაიჯესტი 08.50 მულტფილმი „გუფი და მისი მეგობრები" 2 ს. 09.30 სათავგადასავლო ფილმი „ადამიანი ოგობა" 11.35 „მზე აქ შემიჩერებია" 11.45 მუსიკა 12.00 დოკუმენტური ფილმი 12.30, 16.30, 20.30, 22.30 საინფორმაციო გამოშვება 12.45 ისტორიული ფილმი „ელ სიდი" 15.30 მუსიკა 15.50 დოკუმენტური ფილმი „წყალქვეშა რეალობა" 16.45 მულტფილმი „ვარდისფერი რაკეტა" 17.35 ბოევიკი „მორბენალი სამიზნე" 19.00 მუსიკა 19.05 კომედია „ნაციონალური პოლიციის თავისებურებანი" 21.00 დრამა „ორნი ქალაქში" 23.00 მხატვრული ფილმი „ოცეული" 01.20 ისტორიული ფილმი „ანა და მეფე" 03.45 მუსიკა 04.00 კომედია „წვრილმანი თაღლითები" 05.35 მუსიკა

06.00, 10.00, 12.00, 18.00 Новости 06.10 Сериал "Все путешествия команды Кусто". "Слепые пророки острова Пасхи" 06.30 Фильм "КУКАРАЧА" 08.20 Играй, гармонь любимая! 09.00 Слово пастыря 09.10 Здоровье 10.10 "Смак" 10.30 Как снимался "Ночной дозор" 11.10 "Возвращение домой. Ефим Шифрин. Юрмала" 12.10 Джеймс Белуши в комедии "КАК РАЗОБРАТЬСЯ С ДЕЛАМИ" 14.15 Дисней-клуб: "Приключения Мики и Дональда" 14.40 Умницы и умники 15.20 "Живой Высоцкий". 1-я серия 16.10 Сериал "ПРИКЛЮЧЕНИЯ МОЛОДОГО ИНДИАНЫ ДЖОНСА" 17.50 Золотые годы Микки Мауса. Впервые в России 18.10 Лев Прыгунов в детективе "ВЫСТРЕЛ В СПИНУ" 20.00 "Кто хочет стать миллионером?" 21.00 Время 21.20 Дастин Хоффман в боевике "ЭПИДЕМИЯ" 23.40 Чужие в фантастическом боевике "СВЕРХНОВАЯ" 01.20 Николас Кейдж в триллере "ПОЦЕЛУЙ СМЕРТИ" 03.15 Грета Скакки в фильме "КОТТОН МЭРИ"

კვირა 18 ივლისი

08.00, 12.00, 15.00, 20.00, 00.35 მოამბე 08.15 სერიალი „ოჯახური ურთიერთობანი" 10.00 დილის პაემანი 10.35 „სტუმრად მსახიობთა სტუდიაში" - მერი მარტინსონი 11.30 სპა 12.15 ჩოგბურთში „დევისის" თასის გათამაშება. საქართველო-ეგვიპტე. 15.15 ჩოგბურთში „დევისის" თასის გათამაშება. საქართველო-ეგვიპტე. 17.55 „მათი შვილები". 6. შავგულიძე 18.40 „იმღერე რამე" 19.15 დოკ. ფილმი 20.35 ჩემი მშვენიერი ლედი 21.00 კონცერტი - მ. ბარათაშვილი 22.00 ტვ-ლოტო 22.45 „ამბობენ" 23.15 ქართ. ფილმი „ლომა" 00.45 ვიდეოფილმი „საქართველო მე-20 საუკუნე". 01.05 მხ. ფილმი „ვნებათა ორომტრიალი" (12)

19.00 მხიარული კარუსელი 19.30 სტუმრად მსახიობთა სტუდიაში 20.30 ძველი აფიშა 21.00 მრავალსახეობა 22.00 მხ. ფილმი „მელოდია სარდაფიდან" (12).

08.00 კლასიკა 08.30 მულტსერიალი „ჯადოქარი" 09.00, 12.00, 15.00 კურიერი 09.20 მულტფილმი 11.05 ოქროს ვარდის გამოქვაბული 12.20 საოჯახო ტოტო 12.50 მხ. ფილმი „რვაფეხა" (U) 15.20 სიდნეის ოლიმპიადა 16.00 მხ. ფილმი „ჩაკლული სული"(U) 17.00 უიმბლდონის ფინალი მამაკაცთა შორის 18.00, 21.00, 00.10 კურიერი 18.20 სერიალი „განდეგილი" 19.00 მხ. ფილმი „უცნაური გოგონა". მთ. რ-ში: ოდრი ჰეპბერნი(U) 21.45 ჩვენი ეზო 22.00 „ჯეოსელის კინოკლუბი" - „მარსის მოჩვენებები" 877 45-79-25 ნატაშა ხენსტრიჯი, აის ქიუ (18). „ვიღაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა" 877 45-79-26 ჯეკ ნიკოლსონი, ლუიზა ფლეტჩერი (18) „ფრანგი მეკავშირე 2" 877 45-79-27 ჯინ ჰეკმანი, ფერნანდო რეი (18). 00.30 მხ. ფილმი „წყლის წონა". მთ. რ-ში: კეტრინ მაკორმაკი, შონ პენი (18)

18.00 მხ. ფილმი „ინდიელი ქალაქში" 19.30 დოკ. ფილმი 20.30 კონცერტი 22.05 მხ. ფილმი „წაიკითხე ტუჩებზე" (15).

09.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.35, 02.10 ქრონიკა 09.15, 17.35, 02.30 იმედის მელოდიები 10.15 ანიმაც. ფილმი "სამი ახალბედა" 10.00, 01.40 ტვ-მარკეტი 10.30 „დილის ფოსტა" 11.00 „12+" 11.15 მხ. ფილმი „ბურატინოს თავგადასავალი" (ვლ. ეტუში) (U) 13.40 „უდაბნოს სამჭედლოები" 14.30 „პირველი ნახევარი" 15.15 „რეტროსკოპი„-„რემბრანდტი" (რეჟ. ა. კორდა) (U) 17.05 დოკ. სერიალი „ბუნების გენიოსები" 18.00 სპ. პროგრამა „ასი" 18.30 დოკ. სერიალი „ისტორიის ერთი კვირა" 19.30 ლარის მახე 20.00 სერიალი „შერლოკ ჰოლმსის თავგადასავალი" 21.00 სერიალი „შერლოკ ჰოლმსის თავგადასავალი" 22.00 დროება 23.30 მხ. ფილმი „აკვანი მაინც დაირწევა" (ს. სარანდონი) (U)

09.00 მულტფილმი „პრინცესა შეჰერაზადა" 09.30 საბ. სერიალი „პატარა მოჩვენებები" 10.00 მულტფილმი „პატარა ქალთევზა" 11.30 საბ. სერიალი „მისტერ ნიკი" 12.30 მხ. ფილმი „თაღლითები" (U) (რობერტ დე ნირო) 14.00, 17.00, 20.00 საინფ. გამოშვება „მზერა" 14.30 მხ. ფილმი „კონან გამანადგურებელი" (U) (ა. შვარცენეგერი) 16.30 დოკ. სერიალი „მსოფლიო კულტურის საგანძური" 17.10 ვესტერნი მზეზე „მარტოხელა მტრედი" 18.05 სერიალი „არ გაუშვა" 19.00 სერიალი „შიშის კრუიზი" 20.30 მხ. ფილმი „ჩემ ცოლს მორისი ჰქვია" (U) 22.00 მხ. ფილმი „პოლიციელები" (12) (ტარეზ ფარეზი)

13.00 მუსიკა 15.30 გადაცემა „შემარეჯა" 16.30 მხ. ფილმი „ზვიგენი" (U) 19.00 ინდ. მხ. ფილმი „საუკუნოდ შენი ვარ" (U) 22.00 „ჯაზ-პარნასი" 22.30 მუსიკა

08.00 "РТР Планета -ს„ პროგრამა 11.15 საბავშვო მუსიკალური კოლაჟი 12.15 თეატრალური შეხვედრები 13.15 მუს. პაუზა 14.00 ლაბირინთი 15.00 "РТР Планета -ს„ პროგრამა 18.10 რელიგიის საათი 20.00 თავისუფალი მიკროფონი 20.30 შეხვედრა ვარსკვლავთან 21.00 "РТР Планета -ს„ პროგრამა 22.00 „იდენ-ტვ" 22.30 მკურნალობა „პირამიდით" 23.45 მუსიკა 00.00 "РТР Планета-ს„ პროგრამა

07.30 მუსიკა 10.00 ტოროლა 13.00 ქართული მუსიკა 15.00 ინფორმატორი 16.00 მუსიკა 17.00, 19.15 მუსიკა 19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი 19.30, 20.15 ვიდეორადიო 21.15 პროფათეული 22.35 მუსიკა 23.15 სოლო 03.00 „ბრავო„ „დიდი დღე".

10.00 მულტფილმი 12.00 20 სთ-იანი ფილმის გამეორება 14.00 მუსიკა 15.00 მხ. ფილმი „უკანასკნელი გმირი" (ა. შვარცენეგერი) (12) 17.00 მუსიკა 18.00 მულტფილმი 20.00 მხ. ფილმი „შესანიშნავი" (ბელმონდო) (U) 22.00 მუსიკა 23.00 დებატები 202-ზე 00.00 მხ. ფილმი „ვიდოკი" (ჟ. დეპარდიე) (18)

08.30, 00.40 საინფორმაციო დაიჯესტი 08.50 მულტფილმი „ახალი ბრემენელები" 09.45 ფილმი-ზღაპარი „ჩიპოლინო" 11.05 მუსიკა 11.15 კომედია „ბრძოლა შიგაური ვისისთან" 12.30, 16.30, 20.30, 22.30 საინფორმაციო გამოშვება 12.45 სათავგადასავლო ფილმი „ცის კიდეში" 14.35 მუსიკა 14.50 ბოევიკი „სიცოცხლის შენარჩუნების გაკვეთილი" 16.25 მუსიკა 16.45 მულტფილმი „კუზიანი კვიცი" 17.55 თრილერი „ეშმაკის საკუთრება" 19.40 დოკუმენტური ფილმი „მათს დაკარგული სამყარო" 21.00 მხატვრული ფილმი „მოგთმა მეთე" 23.00 ფანტასტიკა „თვითმარქვია" 01.00 ისტორიული ფილმი „ხორცი და სისხლი" 03.00 მუსიკა 03.20 დეტექტივი „რიპლის თამაში" 05.05 დოკუმენტური ფილმი

06.00, 10.00, 12.00, 18.00 Новости 06.10 Сериал "Все путешествия команды Кусто". "Битва гиппопотамов" 06.40 Евгений Урбанский в фильме "БОЛЬШАЯ РУДА" 08.20 Служу Отчизне! 08.50 Дисней-клуб: "Тимон и Пумба" 09.10 "В мире животных" 10.10 "Непутевые заметки" 10.30 Пока все дома 11.10 Дог-шоу 12.10 Сериал "ДЕФЕКТИВНЫЙ ДЕТЕКТИВ" 13.00 Павел Любимцев в программе "Путешествия натуралиста" 13.40 Дисней-клуб: "Приключения Мики и Дональда" 14.00 "Большие родители". А.Громыко 14.30 "Дачники" 15.10 "Живой Высоцкий". 2-я серия 16.00 Фантастическая комедия "НАЗАД В БУДУЩЕЕ-2" 18.10 Мы делаем "Ералаш" 18.40 "Золотой граммофон". Избранное 21.00 Время 21.20 Томми Ли Джонс в триллере "ДВОЙНОЙ ПРОСЧЕТ" 23.10 Бокс. Хуан Карлос Гомес - Синан Самил Сам 00.20 Приключенческий фильм "ОТРЯД "СТИЛЯГИ"

ინფორმაცია მოგვაწოდა შპს „ინფოზავრმა"

მედიცინა

შეკითხვა ექიმს

ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი წერილი მოდის, რისთვისაც უღრმეს მადლობას მოგახსენებთ — ჩვენი რუბრიკის და მთლიანად გაზეთის მასულდგმულებელი ხომ თქვენი გამოხმაურება და თანადგომაა. რაც შეეხება თქვენს შეკითხვებს, გვერწმუნეთ, თითოეულ მათგანს დიდი გულისყურით ვეცნობით და მასზე პასუხს უსათუოდ მიიღებთ, მაგრამ რადგან შეკითხვების რიცხვი საკმაოდ დიდია, ნუ დაგვემდურებით, თუ პასუხის ლოდინი გიწევთ.

ბავშვი არის 1 წლის და 2 თვის. ჯერ არც ერთი კბილი არ აქვს ამოჭრილი. არის თუ არა ეს სერიოზული დარღვევა და აკლია თუ არა ბავშვს კალციუმი?

მაია კანკავა, თბილისი

რაღა თქმა უნდა, ეს სიმპტომი საკმაოდ სერიოზული შეშფოთების საფუძველს იძლევა — ბავშვს დარღვეული აქვს კალციუმის ცვლა ორგანიზმში. მხოლოდ კალციუმის მიღება თუნდაც დიდი რაოდენობით არ არის საკმარისი, თუკი ორგანიზმს მისი ათვისება და საჭირო მიმართულებით გამოყენება არ შეუძლია. ამის მიზეზი კი ბავშვებში ყველაზე ხშირად D ვიტამინის დეფიციტით გამოწვეული რაქიტი გახლავთ. გირჩევთ, დაუყოვნებლივ მიმართოთ პედიატრს, რომელიც კბილების ამოუსვლელობის გარდა სხვა საგულისხმო ნიშნებსაც გამოიკვლევს, დიაგნოზს დააზუსტებს და მკურნალობასაც დაგინიშნავთ.

ჩემს 18 წლის ვაჟს მეოთხე წელია ხშირად აქვს ტემპერატურა 36,9-37,2^0. ტუბდისპანსერში გადაუღეს რენტგენის სურათი, მანტუს სინჯი უარყოფითი ჰქონდა. სისხლის საერთო ანალიზში ოდნავ აწეული აქვს ლიმფოციტები. ხუდადოვიდან გაგვგზავნეს პარაზიტოლოგიის ინსტიტუტში. აღმოჩნდა ენტერობიოზი. შეიძლება სიცხე ამის გამო ჰქონდეს? არ ახველებს, ვის მივმართო? ხშირად აწეული აქვს წნევა 130/80.

ერთგული მკითხველი

ენტერობიოზს ტემპერატურული რეაქცია არ ახასიათებს. ასე, რომ გირჩევთ, განაგრძოთ დიაგნოზის ძიება. შედარებითი ლიმფოციტოზი, წნევის ციფრების მატება და სუბფებრილიტეტი ახასიათებს თირეოტოქსიკოზს (ჩიყვს), ასეთივე ნიშნები შეიძლება თირკმლების პათოლოგიის შედეგად განვითარდეს. საყურადღებოა აგრეთვე მიოკარდიუმის (გულის კუნთის) მდგომარეობა. თქვენს ვაჟს უნდა ჩაუტაროთ ზოგადი გამოკვლევები და მიმართოთ გამოცდილ თერაპევტს, რომელიც დამატებითი გამოკითხვისა და გასინჯვის საფუძველზე განსაზღვრავს, რა მიმართულებით უნდა გაგრძელდეს გამოკვლევა.

ზურგზე მაქვს ბრტყელი ხალი. ცოტა ხნის წინ მის ირგვლივ გამოჩნდა ლაქა. თუმცა თავად ხალი არ შეცვლილა. ლაქა იქერცლება და მექავება. დერმატოლოგმა გამაგზავნა ონკოლოგთან. ჯერ არ მისულვარ, საშიში ხომ არ არის ჩემი მდგომარეობა?

თქვენი ერთგული მკითხველი

უპირველეს ყოვლისა, უნდა გაირკვეს ნამდვილად ხალია თუ არა წარმონაქმნი. არსებობს მრავალგვარი პიგმენტური ლაქები, რომელთაც ხალებთან არაფერი აქვთ საერთო. ხალის ნებისმიერი ცვლილება — ფერისა და ზომის შეცვლა, აქერცვლა, სისხლდენა და სხვა, საკმარისი მიზეზია იმისათვის, რომ დაუყოვნებლივ გაესინჯოთ დერმატო-ონკოლოგს. თქვენი ხალი არ შეცვლილა, მაგრამ გაღიზიანების მოვლენები მის ირგვლივ შესაძლოა წინ უძღვის ხალის ცვლილებას. დერმატოლოგი სწორად მოიქცა, როცა გამოსაკვლევად ონკოლოგთან გაგაგზავნათ.

ბოლო ხანებში მიჭირს მოშარდვა. ტუალეტში ხანგრძლივად მიხდება ყოფნა — შარდის გამოსვლა გაძნელებულია, ან საერთოდ არ გამოდის. რასთან შეიძლება იყოს ეს დაკავშირებული? ვარ 52 წლის ქალი.

მკითხველი, ვერიკო მ.

ასეთი სიმპტომი ხშირად აქვთ მამაკაცებს წინამდებარე ჯირკვლის სხვადასხვა დაავადების დროს. ქალებში კი შარდვის გაძნელება შედარებით იშვიათია. მისი მიზეზი შეიძლება იყოს შარდსადენი არხის შევიწროება, პოლიპები, სიმსივნური წარმონაქმნი შარდის ბუშტის ყელის არეში, შარდსადენში, საშოს კედლების დაწევა, საშვილოსნოს დაწევა ან გამოვარდნა, ნეიროპათია შაქრიანი დიაბეტის დროს. ნეიროგენული შარდის ბუშტი (ნერვული სისტემის დაავადებების დროს). როგორც ხედავთ, მიზეზი ბევრია და კონკრეტული პასუხის გაცემა ძნელია. დიაგნოზის დასაზუსტებლად დაგჭირდებათ სამედიცინო გამოკვლევა (შარდის მიკროსკოპული კვლევა, შარდის ბუშტის ულტრაბგერითი სკანირება, ურეთრო და ცისტოსკოპია, ნარჩენი შარდის გამოკვლევა), სასურველია გინეკოლოგის და პროქტოლოგის კონსულტაციაც. შემდგომ უროლოგი გააანალიზებს კვლევის შედეგებს და დაგინიშნავთ მკურნალობას.

ახალგაზრდა ქალმა შეიტყო, რომ ორსულადაა და თავი დაანება სიგარეტის მოწევას. რამდენ ხანში გამოდის ორგანიზმიდან სიგარეტის შხამი?

პატივისცემით ელზა პ.

ბრონქიალური „ხე“ თამბაქოს წვის მავნე პროდუქტებისაგან (ფისი, ნახშირის ოქსიდი, თამბაქოს მტვერი) იწმინდება სიგარეტის გადაგდებიდან მხოლოდ რამდენიმე თვის შემდეგ. 3-6 თვის განმავლობაში იგი ამოახველებს თამბაქოს ბოლით დაგროვილ ნალექს. ეს ნახველი მოშავო ფერიდან თანდათანობით მორუხო შეფერილობას იღებს და შემდგომ ნერწყვის ფერი ხდება. ყოფილი მწეველი კი ან საერთოდ აღარ ახველებს, ანდა — გაცილებით ნაკლებად. რაც შეეხება ნიკოტინს, იგი მოწევისას სისხლში ხვდება და იქიდან რამდენიმე დღის განმავლობაში გამოიდევნება. დედის კავშირი ნაყოფთან სისხლის მეშვეობით მყარდება, ამიტომ ორსულობისას სიგარეტისთვის თავის დანებება აუცილებელია. ჯერ ერთი, ნიკოტინი აზიანებს ნაყოფის ორგანოებსა და ქსოვილებს, მეორეც, თუ ორსული ეწევა, ნაყოფს უვითარდება ნიკოტინისადმი დამოკიდებულება. არამწეველი დედის ახალშობილი ჭამს და მშვიდად იძინებს, მწეველისა კი — განუწყვეტლივ ტირის და ეს დედის „დამსახურებაა“, რადგან მისი პატარა მხოლოდ იმ შემთხვევაში დამშვიდდება, თუ რძესთან ერთად ნიკოტინის გარკვეულ დოზას მიიღებს. ეს კი მის ორგანიზმში სხვა უფრო ღრმა ცვლილებებს გამოიწვევს და ამგვარად იქმნება მანკიერი წრე, რომელიც ჩვილის დაავადმყოფებით მთავრდება.

მკითხველი — მკითხველს

ვეხმაურები „კვირის პალიტრის“ მკითხველს, რომელიც კლიმაქსური მოვლენებითაა შეწუხებული. 50 წლის შემდეგ მეც მქონდა ასეთი პერიოდი და ძალიან შემაწუხა ალებმა. ამასთან ერთად მემატებოდა წნევა, მაწუხებდა გულ-სისხლძარღვთა სისტემა, პერიოდულად მქონდა ტემპერატურაც. ექიმის მიერ გამოწერილი წამლები არ მშველოდა. ბოლოს, ჩემმა მეგობარმა გინეკოლოგმა ასეთი წამალი მასწავლა: თანაბარი რაოდენობით უნდა შეურიოთ ლიმონის, შავი ბოლოკის, წითელი ჭარხლის წვენი, თაფლი და არაყი. ერთი კურსის ჩასატარებლად დაგჭირდებათ დაახლოებით თითო ჭიქა თითოეული კომპონენტი. მზა ნარევი შეინახეთ მაცივარში და მიიღეთ 3 თვის განმავლობაში თითო სუფრის კოვზი დილა-საღამოს. წამალი უწყვეტად უნდა სვათ — არ შეიძლება დღის გამოტოვება. 3 თვის შემდეგ მოგეხსნებათ ალები. მე ძალიან მიშველა. ამის მიუხედავად, ყოველ წელს, წელიწადში ერთხელ მაინც ვილებ პროფილაქტიკისათვის. ამჟამად თავს შესანიშნავად ვგრძნობ, რასაც თქვენს დაინტერესებულ მკითხველსაც ვუსურვებ.

თქვენი ერთგული მკითხველი

ექიმის კომენტარი: რეცეპტში შემავალ კომპონენტებს აქვს სისხლის მიმოქცევის მარეგულირებელი და სისხლძარღვთა მატონიზებელი ეფექტი, რაც მნიშვნელოვანია კლიმაქსური სინდრომის პროფილაქტიკისათვის.

მოამზადა თამარ მამაცაშვილმა

ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი შეკითხვა მოდის. ყველა მათგანს ჩვენი რუბრიკა ვერ დაიტევს. ამიტომ გადავწყვიტეთ ზოგიერთზე პასუხი „კვირის პალიტრის“ დამატებაში — სამედიცინო ჟურნალ „ოჯახის მკურნალში“ მოგაწოდოთ. ჟურნალმა უკვე შეიძინა უამრავი მკითხველი და საკმაოდ ფართო გამოხმაურებაც პოვა საზოგადოებაში. გავითვალისწინეთ მკითხველის ინტერესები და უფრო მრავალფეროვანი ინფორმაციის მიწოდების მიზნით ჟურნალის მოცულობა გავზარდეთ — ახლა იგი 60-გვერდიანია.

ბუნება გვთავაზობს...

სვიის გირჩების ნაყენი გამოიყენება ანთებსაწინააღმდეგო და შარდმდენ საშუალებად. გარდა ამისა, ის აძლიერებს მადას, აწესრიგებს საჭმლის მომნელებელი ტრაქტის მუშაობას, ამაგრებს თმის ძირებს. უძილობის დროს მიიღეთ 1 ს/კ სვიის გირჩების ნაყენი (1 წილი გირჩა 2 წილი წყალი), 3-ჯერ დღეში.

ცირცელის ნაყოფი გამოიყენება ჰიპოვიტამინოზისა და კუჭ-ნაწლავის დაავადებათა სამკურნალოდ და როგორც შარდმდენი და სისხლის შემაჩერებელი ეფექტური საშუალება. 2 ჩ/კ კენკრას დაასხით 2 ჩ/ჭ მდუღარე წყალი, წამოადუღეთ, გააჩერეთ 1 საათი, გადაწურეთ და მიიღეთ 1/2 ჩ/ჭ 3-4-ჯერ დღეში.

ბალის ჰიტნის ფოთლები ბრწყინვალე გამაგრილებელი და ნაღველმდენი საშუალებაა, ხოლო მისი ზეთი აჩერებს პირღებინებას და გამოიყენება ქრონიკული ფარინგიტის დროს. 20გ ფოთოლს დაასხით 500 მლ მდუღარე წყალი და გააჩერეთ 2 საათით. მიიღეთ 1/2 ჩ/ჭ 2-ჯერ დღეში.

კუნელი საუკეთესოა სტენოკარდიის დროს: 1ჩ/კ ნაყოფი დაჭყლიტეთ, ჩაყარეთ ბოთლში, დაასხით 200 მლ სპირტი და გააჩერეთ 3 კვირა ბნელ ადგილას (დროდადრო შეანჯღრიეთ). შემდეგ გადაწურეთ და მიიღეთ მცირეოდენ წყალში გახსნილი 1 ჩ/კ ნაყენი 3-ჯერ ყოველდღე — დამთავრებამდე. წლის განმავლობაში ჩაიტარეთ 5 კურსი.

კულმუხო (მზიურა) აძლიერებს იმუნიტეტს: 50გ დაქუცმაცებულ ფესვებს დაასხით 1ლ წყალი, ადუღეთ 20 წუთი, გადაწურეთ და დაამატეთ 0,15 ჩ/ჭ რომელიმე ხილის ან კენკრის წვენი, 100გ შაქარი (ან თაფლი, თუ ალერგია არა გაქვთ) და მიიღეთ 1/4 ჩ/ჭ ნაყენი დღეში 3-4-ჯერ. გარდა ამისა, ეს ელექსირი აღადგენს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ფუნქციას, ამაგრებს ძარღვებს და აწესრიგებს ძილს. ამ წამლით მკურნალობისას რაციონში უნდა ჩართოთ ბოცვრის ხორცი, ქორფა მწვანილი, მარწყვი, თინუსი, ბროკოლი, კაკალი.

კაკლის ულელი. ხშირად ფარისებრი ჯირკვლების დაავადების მიზეზი ხდება ქრონიკული იოდის უკმარისობა. ამ უსიამოვნებისგან თავი რომ დავიცვათ, ექიმების რჩევით, მენიუში უნდა ჩავრთოთ რაც შეიძლება მეტი რაოდენობით ზღვის პროდუქტები, ლამინარია (ზღვის კომბოსტო), ბულგარული წიწაკა, საჭმელი შევაზავოთ იოდიზებული მარილით.

თუ ფარისებრი ჯირკვალი გადიდებული გაქვთ, ექიმის რეკომენდაციების პარალელურად, შეგიძლიათ ისარგებლოთ ხალხური რეცეპტითაც: 3 ს/კ დაქუცმაცებულ კაკლის ულელს დაასხით 1/2 ლ 70%-იანი სპირტი ან არაყი. დადგით 21 დღე მზეზე, შემდეგ გაწურეთ და მიიღეთ 30-30 წვეთი 3-ჯერ დღეში.

მოცვი აუმჯობესებს მხედველობას, შველის თვალების დაღლილობას, აჩქარებს ბადურის განახლებას, რისთვისაც საჭიროა, 1ს/კ გამხმარ მოცვს საღამოს დაასხათ ცივი წყალი და დილით უზმოზე მიირთვათ.

მოცვის წვენი ძალიან სწრაფად გამოდევნის ორგანიზმიდან რადიონუკლეიდებს და ბრწყინვალედ შველის მზით დამწვრობას. თუ პლაჟზე კანი დაგეწვათ, წაისვით მოცვის ნაყოფი, აღარც აგეწვებათ და არც აგექავებათ.

მინდვრის მარწყვი შეიცავს ბევრად მეტ რკინას, ვიდრე მოცვი და ჟოლო. ის ააქტიურებს მადას, არეგულირებს საჭმლის მონელებას, კლავს წყურვილს. მარწყვის ნაყენს ახასიათებს შარდმდენი და ოფლმდენი თვისება. შაქრიანი მარწყვი სასარგებლოა ჰიპერტონიკებისთვის — ამცირებს არტერიულ წნევას. ახალმოკრეფილი და ოდნავ დაუმწიფებელი კენკრა გამოდევნის ორგანიზმიდან ტოქსინებს, ქოლესტერინს, არეგულირებს ფარისებრ ჯირკვლებში იოდის შემადგენლობას. გულის დაავადებისას პროფილაქტიკის მიზნით 1 ჩ/კ მარწყვის ყვავილს დაასხით 250მლ მდუღარე წყალი, გააჩერეთ 6 საათი, შემდეგ მიიღეთ 1-2 ს/კ ნაყენი 4-6-ჯერ დღეში. ხოლო ახალი და გამხმარი მარწყვის ფოთლის თბილი ნაყენი ანელებს კბილის ტკივილს.

ხენდრო C ვიტამინის შემადგენლობით პირველობას უთმობს მხოლოდ შავ მოცხარს, ხოლო 5 ცალი მარწყვი შეიცავს იმდენს — რამდენსაც 1ც ლიმონი. ხენდრო აძლიერებს იმუნიტეტს, ამაგრებს ძარღვების კედლებს, ამდიდრებს ორგანიზმს იოდით, ხოლო შაქრიანი აწესრიგებს ნივთიერებათა ცვლას და წნევას. გარდა ამისა, თუ გაკაწრულზე ან გაჭრილზე წაისვამთ ხენდროს წვენს — ჭრილობა სწრაფად შეხორცდება. ის აგრეთვე აუმჯობესებს მეხსიერებას, ამიტომაც ხენდროს რაციონი მნიშვნელოვანია მოხუცებულებისა და მათთვის, ვისაც უწევს აითვისოს დიდი მოცულობის ინფორმაცია (მოსწავლეებისა და სტუდენტებისათვის).



ჟოლო — ცნობილია, როგორც გაციების საუკეთესო წამალი. გულსისხლძარღვების დაავადების თავიდან ასაცილებლად სასურველია, ყოველდღე ვსვათ ჟოლოს ფოთლების ჩაი. ხოლო, მათ, ვისაც წონაში დაკლება გსურთ — თითო ს/კ ჟოლო და ცაცხვის ყვავილი ჩაყარეთ თერმოსში, დაასხით 300 მლ მდუღარე წყალი და გააჩერეთ 1 საათი. ნაყენი გადაწურეთ და ცხელი დალიეთ ღამით. ერთი კვირის შემდეგ 2-3 კგ-ს დაიკლებთ.

ჟოლოს ნაყოფი აფხიზლებს მთვრალ ადამიანს, რისთვისაც საკმარისია 1 ჩ/კ ჟოლოს ნატურალური წვენის დალევა ან 200 გ ჟოლოს ჭამა.

მაყვალი ანეიტრალებს ალერგენებს, ასე რომ, არ გაგიკვირდეთ, თუკი მას შემდეგ, რაც შეჭამთ 1 ჩ/ჭ მაყვალს, გაგიქრებათ გამონაყარი, რომელიც გამოწვეული იყო მზისგან, ბალახისგან და — ცხვირზე მუწუკები („პრიშჩიკები“). უმჯობესია ეს კენკრა ჭამოთ უშაქროდ, რადგან შაქარმოყრილი ნაყოფი ნახევარ საათში კარგავს სასარგებლო თვისებებს. თუ ანგინა გჭირთ, 30გ მაყვლის ფოთოლს დაასხით 500გ მდუღარე წყალი, გააჩერეთ 4 საათი, გადაწურეთ და გამოივლეთ ყელში.

გაგიკვირდებათ, მაგრამ, თუ ისტერიკის შეტევა დაგემართათ, დაღეჭეთ მაყვლის 2-3 ფოთოლი და დამშვიდდებით.

შავი მოცხარი C ვიტამინების შემადგენლობით ჩემპიონია. სრულიად საკმარისია ჯანმრთელმა ადამიანმა ჭამოს 15-20გ შავი მოცხარი, რომ მიიღოს C ვიტამინის დღეღამური ნორმა.

პირშუშხას ძალიან ცხარე გემო და თავისებური სუნი აქვს. ხალხურ მედიცინაში მისი ფესვების ახალგამოწურულ წვენს იყენებდნენ, როგორც შარდმდენ საშუალებას. თუმცა, მას აქვს სხვა სამკურნალო თვისებებიც: აწესრიგებს საჭმლის მომნელებელ ტრაქტს, აძლიერებს მადას, ასტიმულირებს კუჭის სეკრეციას, რადგან პირშუშხა შეიცავს დიდი რაოდენობით C და P ვიტამინს, უჯრედისებს, ფიტონციდებს, კალიუმის მარილებს, კალციუმს და გლუკოზიდებს — ბრწყინვალე საშუალებაა სურავანდის დროს. ფესვების წვენი შეიცავს ანტიბიოტიკის თვისების მქონე — განსაკუთრებულ ფერმენტს — ლიზოცინს.

პირშუშხას ნახარში და ნაყენი წარმატებით გამოიყენება **ბაქტერიული დიზენტერიისა და ნაღველმდენი გზების ანთების** დროს. ეს მწარე მცენარე აყუჩებს **რადიკულიტსა და სახსრების ტკივილს**. მტკივნეული ადგილები დაიზილეთ ფესვების ფაფით, სითბოს იგრძნობთ თუ არა, იბანავეთ!

გთავაზობთ რამდენიმე რეცეპტს:

ჰიპერტონიის დროს 1,5ლ წყალი აადუღეთ, შიგ ჩაყარეთ წვრილად დაჭრილი 500გ პირშუშხას ფესვები, კიდევ ადუღეთ 1-2 წუთი, გააგრილეთ ნაყენი, გაწურეთ და დაამატეთ 1 ჩ/ჭ თაფლი. კარგად აურიეთ და სვით 100გ ნაყენი 3-ჯერ დღეში, ჭამის შემდეგ.

ფლუსის (ღრძილების ან ძვლის საზრდელას ანთება) დროს 1ჩ/კ გახეხილ პირშუშხას ფესვებს დაასხით 1 ჩ/ჭ წყალი (შეიძლება 1 ჩ/ჭ ღვინო), გაჩერეთ 4 საათი. შემდეგ გაწურეთ და ყოველ 30 წუთში ერთხელ გამოივლეთ პირში.

ლიზა №26

გახსოვდეთ!

დიდი ხნის შეუხორცებელ ნაჭრილობევს და წყლულებს ახორცებს:

1. ქაცვის ზეთი. 2. ერბოსა და თაფლში არეული ტეგანი დაიდეთ მტკივნეულ ადგილზე და შეიხვიეთ. ისარგებლეთ ამ მალამოთი, ვიდრე არ შეხორცდება. **განგრენასაც** კი აირიდებთ თავიდან, თუ შინდის ყვავილებისა და ნაყოფის ნახარშში გაჟღენთილ სალბუნს დაიფარებთ ხანდაზმულ ჭრილობაზე. **ყოველგვარი მწერის ნაკბენს** თვალის დახამხამებაში აცხრობს ქრისტესისხლას წვენი. **ნაღვლის ბუშტს რგებს:** 3 ჩ/კ ახალ ან ხმელ ბარამბოს დაასხით 2 ჩ/ჭ მუღარე წყალი და ათი წუთი გააჩერეთ. გადაწურეთ, დღეში სამჯერ, ჭამამდე, დალიეთ ნახევარ-ნახევარი ჭიქა. ერთი თვის შემდეგ შეისვენეთ და მკურნალობა გააგრძელეთ.

დიეტა სასარგებლოა?

როგორც მეცნიერებმა დაამტკიცეს, დიეტა, რომელიც მკვეთრად ზღუდავს ნახშირწყლების რაოდენობას, დეპრესიას იწვევს. ასეთია, მაგალითად, ატკინსის პოპულარული დიეტა.

რაციონში ნახშირწყლების საკმარისი რაოდენობა თავის ტვინში სეროტონინის გამომუშავების პირობაა, ხოლო ეს ნივთიერება ყველაზე აქტიურად მონაწილეობს განწყობის რეგულირებაში. ის აგრეთვე აწესრიგებს მადას. როცა სეროტონინის სინთეზირება და გააქტიურება ხდება, ადამიანი გრძნობს სიმაძღრეს კუჭის ავსებამდე გაცილებით ადრე.

მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ სეროტონინი გამომუშავდება მხოლოდ მაშინ, როცა საკვებთან ერთად ორგანიზმში შედის სწრაფად ასათვისებელი ნახშირწყლები. ცილოვანი საკვები ხელს უშლის სეროტონინის გამომუშავებას. თუ ერთი ულუფა სპაგეტი ტვინს აიძულებს იგრძნოს მაძღრობა ძალიან მალე, კარტოფილი, ხორცთან ერთად, არ იძლევა ამ ეფექტს.

ზოგი ადამიანი განსაკუთრებით მგრძნობიარეა სეროტონინის უკმარისობის მიმართ ნახშირწყლების დეფიციტის დროს, რაც იწვევს განწყობის (ხასიათის) მკვეთრ ცვლას. ეს ხალხი ხშირად ცდილობს თავისი ემოციური მდგომარეობა გამოასწოროს ტკბილეულით ან ცომეულით.

მეცნიერებმა შეიმუშავეს ახალი მეთოდიკა ზედმეტ წონასთან საბრძოლველად, რომელიც მათ სთავაზობს ნახშირწყლებით მდიდარ პროდუქტებს, მაგრამ ცხიმის დაბალი შემცველობით. დიეტას თან უნდა ახლდეს ვარჯიში. ძალიან სასარგებლოა დილაობით სუფთა ჰაერზე რამდენიმე კილომეტრის გავლა სპორტული ნაბიჯით, ცურვა, შხაპი.

კრესტიანკა №9

ვმკურნალობთ

ქრონიკულ პროსტატიტს
- ქსპრეს-დიაგნოსტიკა 15-20 წთ-ში;
- ქოსკოპია იაპონური აპარატურით;
- კომპლექსური მკურნალობა დღეისათვის არსებული უკეთესი მეთოდებით, მათ შორის, პროფ. გუსკოვის აპარატით „ინტრატონი“, რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არ აქვს.

მის: გამსახურდიას (პეკინი) №10
პოლიკლინიკა, კაბ. №7, 10-13სთ-მდე
☎ 8(93) 31 42 35

რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი, სქოლიოზი, კიფოზი, მეწაღისებური და ქათმისებური გულმკერდი, სიმაღლეში ზრდა, წონაში დაკლება



მრავალი წლის განმავლობაში ამ დაავადებებს დიდი წარმატებით მკურნალობს ცნობილი მანუალური თერაპევტი, ექიმი სოსო ფირცხალაიშვილი, საზღვარგარეთ დამუშავებული კომბინირებული მეთოდებით; სამკურნალო-სავარჯიშო სარტყელი „სწორდი“, ხერხემლის მაკორექტირებელი (გამასწორებელი) ტახტი.

მის: მარჯანიშვილის მოედანი, აღმაშენებლის 90/84 სად, სართ. 11-20სთ-მდე.
ტელ: 95-47-67; 899-26-51-08 75-06-14 (საღ.)

სამკურნალო გაერთიანება „ლიგა"

სექსოპათოლოგიის კლინიკა
ტელ.: 32 21 21

- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება;
- სქესობრივი აქტის გაუმჯობესება;
- წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა;
- სექსუალური ცხოვრების აღდგენა შემდეგი დაავადებების ფონზე:

პროსტატიტი, შაქრიანი დიაბეტი, ტრავმები, ინვალიდობა, გულ-სისხლძარღვთა და ნევროლოგიური დაავადებები.

თბილისი 0186, ვაჟა-ფშაველას გამზ. 83/11

ალკოჰოლი: იწვევს სათესლე ჯირკვლის უჯრედების კვდომას; სიცოცხლისუნარიანი სპერმატოზოიდების რაოდენობის შემცირებას; არღვევს კავშირს თავის ტვინსა და სასქესო ორგანოებს შორის, რის შემდეგაც სისხლში სასქესო ჰორმონები ძალზე მცირე რაოდენობით ხვდება. ეს კი აქვეითებს ერექციის უნარს.

მცირე რაოდენობით ალკოჰოლი, რა თქმა უნდა, მავნე ზეგავლენას არ ახდენს პოტენციაზე, მაგრამ მისი ჭარბად მიღება ყოვლად დაუშვებელია.

სიგარეტის მოწევა: ნიკოტინი აუარესებს სასქესო ორგანოების სისხლმომარაგებას. გარდა ამისა, ტოქსიკური ნივთიერება, რომელსაც სიგარეტი შეიცავს, ფილტვების საშუალებით იოლად ხვდება სისხლში და აფერხებს სპერმატოზოიდების ნორმალურად მომწიფებას. მოუმწიფებელი სპერმატოზოიდი კარგავს ფიზიოლოგიურ ფუნქციას და ხდება უმოძრაო.

თუკი თამბაქოს ეწევა მაღალი არტერიული წნევით დაავადებული ადამიანი, რისკი 27%-ით იზრდება!

ანაბოლური პრეპარატები: მათ მამაკაცების სასქესო ჰორმონის, ტესტოსტერონის ანალოგიური შემადგენლობა აქვთ და ამ ჰორმონისთვის დამახასიათებელი ყველა დადებითი და უარყოფითი თვისებები გააჩნიათ. ჰორმონები განაპირობებს კუნთოვანი მასის ზრდას, მაგრამ უარყოფითად მოქმედებენ პოტენციაზე, რადგანაც ანაბოლური პრეპარატების მიღებისას „საკუთარი“ ტესტოსტერონი არ გამომუშავდება, მისი მაპროდუცირებელი ორგანო — სათესლე ჯირკვალი უმოქმედობით ზარმაცდება, ზომაში იკლებს. შესაბამისად, მცირდება გამომუშავებული სპერმატოზოიდების რიცხვიც.

ათეროსკლეროზი: იგი ვნებს არა მარტო გულისა და თავის ტვინის სისხლძარღვებს, არამედ სასქესო ორგანოებსაც, სადაც სისხლის მიდინება იზღუდება. ხშირად იმპოტენცია სისხლძარღვების ათეროსკლეროზული დაზიანების პირველი ნიშანია.

შაქრიანი დიაბეტი: სისხლში გლუკოზის მაღალი დონე უარყოფით ზეგავლენას ახდენს მამაკაცთა პოტენციაზე. გლუკოზა „ამუხრუჭებს“ იმ ნერვული დაბოლოებების მოქმედებას, რომელთაც სიგნალები ნერვული სისტემიდან სასქესო ორგანოებამდე მიაქვთ. ამიტომაც მამაკაცებმა, რომლებსაც შაქრიანი დიაბეტი აღენიშნებათ, მკაცრად უნდა აკონტროლონ გლუკოზის დონე.

როგორ გავუფრთხილდეთ პოტენციას: პოტენციაზე უარყოფითად ზემოქმედებს შემდეგი პრეპარატები: არტერიული ჰიპერტონიის სპაზმოლიტური (სპაზმის მომხსნელი), დასამშვიდებელი, საძილე, ალერგიის საწინააღმდეგო ზოგიერთი საშუალება.

რეგულარული სქესობრივი კავშირი აუმჯობესებს პოტენციას. ამ დროს სათესლე ჯირკვალი მთელი დატვირთვით მუშაობს.

პოტენციაზე უარყოფითად მოქმედებს სქესობრივი გზით გადამდები დაავადებები, ასევე ჭარბი წონა. სიმსუქნის დროს ირღვევა ჰორმონული ბალანსი, მცირდება მამაკაცური ჰორმონების კონცენტრაცია. ამიტომაც, წონის დარეგულირება სქესობრივ აქტივობასაც დაარეგულირებს.

სასარგებლოა იოგა — იგი ამშვიდებს ნერვულ სისტემას, ხოლო სიმშვიდე მთელი ორგანიზმის (მათ შორის, სასქესო ორგანოების) ნორმალურ მუშაობას განაპირობებს.

— მოერიდეთ ცხიმიან საკვებს, რაც ქოლესტერინის დაგროვებას

რა ახდენს გავლენას მამაკაცის პოტენციაზე?
ლ.ა. ბათუმი

ძლიერი სქესის სისუსტეები



ხელს. არსებობს პროდუქტები, რომლებიც ასუსტებენ პოტენციას. ესენია: ავოკადო, ქოქოსი. კარგია ფინიკი, სატაცური, რომელიც მდიდარია ფოსფორით, კალციუმითა და კალიუმით. ის დაგეხმარებათ პოტენციის შენარჩუნებაში წინამდებარე ჯირკვლის დაავადების დროს.

სტრესი — პარადოქსული ფაქტია, მაგრამ მამაკაცთა გამძლეობა სტრესის მიმართ უფრო შეზღუდულია, ხოლო ქალები, მიუხედავად ძლიერი ემოციური ბუნებისა, უფრო უმკლავდებიან სტრესულ სიტუაციებს.

სტრესს მამაკაცის ორგანიზმში თავისი „სამიზნეებიც“ გააჩნია.

თმა: მამაკაცს იგი უფრო ხშირი აქვს, ვიდრე ქალს. მაგრამ აქ უამრავი თანამედროვე მამაკაცის პრობლემა იჩენს თავს: ცხოვრებისეული სიტუაციები თმაზე უარყოფით გავლენას ახდენს. თმა მტვრევადი, უსიცოცხლო ხდება და იწყებს ცვენას.

არსებობს მკურნალობის უამრავი მეთოდი, რომელიც დაგეხმარებათ თმის შენარჩუნებაში. პირველ რიგში, ესაა B ჯგუფის ვიტამინები და თუთიის შემცველი მინერალური კომპლექსები. გარდა ამისა, უნდა შეირჩეს შესაბამისი კვების რაციონიც. მაგ. რეკომენდებულია მარცვლეული, ცხიმიანი, თევზეული, ნატურალური იოგურტი, კვერცხი და რძე.

კუჭი: სტრესი უარყოფითად მოქმედებს კუჭზე. მომნელებელი წვენი უფრო მცირე რაოდენობით გამომუშავდება, კუჭი ცუდად ფუნქციონირებს. საჭმელი კარგად არ მუშავდება, აღინიშნება გულისრევა, ყურყური, მომატებული მჟავიანობა. თუ ამას ემატება არარეგულარული, არარაციონალური კვება, შესაძლოა, კუჭის წყლულიც ჩამოყალიბდეს.

ვას, არტერიული წნევის მატებას. მამაკაცთა გული კი „ნაკლებდაცულია“, ამიტომაც გულის კუნთის ინფარქტის შემთხვევები მამაკაცებში უფრო ხშირია.

პირველ რიგში მნიშვნელოვანია სპორტული ვარჯიში, სასარგებლოა ველოსიპედით სიარული. დიეტოლოგებმა მამაკაცებისთვის სპეციალურად გამოიგონეს შემდეგი ფორმულა: ვიტამინი E, კალციუმი, მაგნიუმი. ეს ნივთიერებები აუცილებელია გულ-სისხლძარღვთა სისტემის ნორმალური მუშაობისთვის. ამიტომაც სასურველია მიირთვათ: მცენარეული ზეთები, ფაფები, ნიგოზი, მშრალი ხილი, კარტოფილი, ასკილის ნაყოფი.

სტრესის წინააღმდეგ:

სალბი — ახდენს წნევის კონტროლს და ამშვიდებს ნერვულ სისტემას. საკმარისია რამდენიმე წუთით შეისუნთქოთ მისი არომატი, რომ დაძაბულობაც მოგეხსნებათ.

გვირილის და ცაცხვის ჩაი შესანიშნავად ხსნის დაღლილობასა და დაძაბულობას.

კატაბალახას ფესვების ნაყენი სასარგებლოა უძილობის, შაკიკის, ნევროზის დროს.

მაია მუხიგული

ნუ ამოიდებთ მობილურს თავქვეშ!

ძილის წინ ბევრი თავთან იდებს მაღვიძარაჩართულ მობილურ ტელეფონს და ვერ ხვდება, რომ ამით ჯანმრთელობასაც იზიანებს და ძილსაც იფრთხობს.

მობილური ტელეფონის უარყოფით გავლენაზე კამათი მისი შექმნის დღიდან არ ცხრება. ცნობილია, რომ მისი გამოსხივების სიხშირე, თუნდაც მოლოდინის რეჟიმში მუშაობისას, მერყეობს 900 მეგაჰერცის ფარგლებში. ჩვენი ორგანიზმი კი განსაკუთრებით მგრძნობიარეა სუსტი გამოსხივების მიმართ. რეზონანსული ეფექტის შექმნით „მომლოდინე“ მობილურ ტელეფონს შეუძლია შეამციროს და მოშალოს კიდეც ღამის დასვენების ყველაზე მნიშვნელოვანი ფაზები — სწრაფი და მშვიდი ძილი.

დაძინებისას ეცადეთ, მობილური ტელეფონი დადოთ თქვენგან არაუმცირეს ნახევარი მეტრი მანძილისა ან საერთოდ გამორთოთ. ძალიან ბევრ გამორთულ მოდელში საათიც მუშაობს და მაღვიძარაც. იყიდეთ ჩვეულებრივი მაღვიძარიანი საათი და ნუ ისარგებლებთ ფიჭური კავშირით, თუ აუცილებლობა არ მოითხოვს, ნუ ილაპარაკებთ 3-4 წუთზე მეტხანს, შეიძინეთ ყველაზე დაბალი გამოსხივების მოდელი.

ოჯი

სპეცსიგარეტები ბკბილეულის მოყვარულთათვის



ბრიტანულ-ამერიკულმა თამბაქოს გიგანტმა BAT-მა გადაწყვიტა მწეველთა რიგებში მოიზიდოს ტკბილეულის მოყვარულები. ცნობილი მარკების (კენტი, დანჰილი, პელმელი, ლაქი სთრაიქი) მწარმოებლებმა დაიწყეს ახალი ხარისხის სიგარეტის დამზადება შოკოლადის, ალუბლის, ქოქოსის ზეთისა და ვანილის გემოთი. კანადაში ჩატარებულმა ტესტირებამ დაადასტურა, რომ მომხმარებელმა მოიწონა ახალი ორიგინალური პროდუქტი.

თამბაქოს მოწევის მოწინააღმდეგენი თავზარდაცემულნი არიან. ბრიტანეთის ორგანიზაციის „სიგარეტი ან ჯანმთელობის“ დირექტორის, დებორა არნჯელდის თქმით, ეს ახალი სიგარეტები მიიზიდავს მოზარდ თაობას, რაც დამღუპველად იმოქმედებს მათ ჯანმრთელობაზე. გარდა ამისა, აცხადებს „ფრანს პრესი“, აუცილებელია ჩატარდეს დამატებითი გამოკვლევები, რათა დადგინდეს, როგორ იმოქმედებს ადამიანის ორგანიზმზე სიგარეტის ახალი დანამატები.

მეგაპოლის-ექსპრესი №24

სად გაქრა მოლა ომარი?..

თალიბთა ლიდერის, მოლა ომარის შესახებ კარგა ხანია აღარაფერი ისმის — ავღანეთში რელიგიურ ფანატიკოსთა განადგურების შემდეგ ვერავინ გაიგო, სად გაქრა. ახლახან ავღანეთის სპეცსამსახურებს ლამის მასთან ტელეფონით საუბრის საშუალება გაუჩნდათ — დააკავეს მოლა ომარის მცველი — მოლა საჰიდად მოჯაჰიდი და მისი თანამებრძოლი. მათ თან ჰქონდათ სათანამგზავრო ტელეფონი, უბის წიგნაკი, რომელშიც მითითებული იყო საველე მეთაურების ადგილსამყოფელი. უშიშროების სამსახურმა მოჯაჰიდს მოლა ომართან დაკავშირება უბრძანა. მცველი მიესალმა მოლას და ჰკითხა, — სად ხარო. მოლამ არაფერი უპასუხა და ტელეფონი გათიშა. სპეცსამსახურები ვარაუდობენ, რომ ომარს თანამზრახველმა სწორედ ის ფრაზა უთხრა, რომელიც, ჩანს, „ჩავარდნას“ ნიშნავდა.

მოლა საჰიდად მოჯაჰიდი და მისი თანამებრძოლი ნისარ ჰამიდი ყანდაართან დააკავეს. მოჯაჰიდი „თალიბანის“ ერთ-ერთი ლიდერი იყო 1991-2001 წლებში. მათი დაპატიმრების შემდეგ თალიბებმა გაავრცელეს ინფორმაცია, რომ ისინი რიგითი მებრძოლები იყვნენ და ის ფაქტიც უარყვეს, რომ მოჯაჰიდი მოლა ომარს ტელეფონით დაუკავშირდა. სპეცსამსახურების მონაცემებით, მოლა ომარი 2001 წლის დამლევიდან აღარ სარგებლობს სათანამგზავრო ტელეფონით და კურიერების საშუალებით გზავნის თავის მიმართვებიან კასეტებს.

დაკავებულები ქაბულში ჰყავთ და ცდილობენ, თალიბთა ლიდერების ადგილსამყოფელი დააცდენინონ. მოჯაჰიდმა ჯერჯერობით მხოლოდ ის თქვა, რომ მოლა ომარი ავღანეთ-პაკისტანის საზღვარზე, პუშტუნებით დასახლებულ რაიონში იმალება.

იზვესტია №216

ინგუშებს ჯიჰადისაკენ მოუწოდეს

ჩეჩენი „ბოევიკების“ ერთ-ერთი საიტი იტყობინება, რომ ინგუშეთის უმაღლესი სასულიერო პირების საკრებულომ (შურა) მთელ რესპუბლიკაში ჯიჰადი გამოაცხადა. შურას განცხადებაში ნათქვამია, რომ ჯიჰადი ყოველ მოზრდილ ადამიანსა და ნამდვილ მაჰმადიანს ევალება მანამ, ვიდრე ინგუშეთის მიწა არ გაიწმინდება ოკუპანტებისაგან.

„მუსლიმებმა დაივიწყეს ჯიჰადი, ამიტომ ალაჰმა მათ მოუვლინა უგუნურები და ურწმუნოები, რომლებმაც ყველაფერი იღონეს, ჩვენი ხალხისთვის დაევიწყებინათ საკუთარი რელიგია. ალაჰი გვაფრთხილებდა, რომ მტრები მიიტაცებდნენ მუსლიმანთა ქონებას და დევნას დაუწყებდნენ მათ. ასეც მოხდა. რუსეთის ჯარმა ინგუშეთი მოაოხრა, ინგუშები გაყარეს და მათ სახლებს დაეპატრონნენ. ასობით ადამიანი მოკლეს, ბევრი უგზო-უკვლოდ დაიკარგა. დღემდე გრძელდება ინგუშების შეურაცხყოფა, ქვეყანა ბანდების სათარეშო ადგილად იქცა. ინგუშებმა უნდა გაყარონ ოკუპანტები, აღადგინონ მუსლიმანთა ღირსება და ამ ტერიტორიაზე ჭეშმარიტი ისლამური სახელმწიფოს ჩამოყალიბებისთვის იბრძოლონ.

ყველა, ვინც ითანამშრომლებს ფედერალებთან და ჭეშმარიტი მუსლიმანის წინააღმდეგ იარაღს აღმართავს — მოღალატედ გამოცხადდება და შარიათის კანონის თანახმად სიკვდილით დაისჯება,“ — ნათქვამია შურას მოწოდებაში.

ნიუს რუ

გაგრძელდება თუ არა უკრაინაში კუჩმას ეპოქა?



ლეონიდ კუჩმა და ვიქტორ იუშჩენკო (მარჯვნივ)

უკრაინაში ოფიციალურად დაიწყო წინასაპრეზიდენტო საარჩევნო კამპანია, რომელიც 31 ოქტომბრამდე გაგრძელდება. პირველმა კანდიდატებმა, მათ შორის ბლოკის, „ჩვენი უკრაინის“ ლიდერმა ვიქტორ იუშჩენკომ, უკვე ჩააბარეს საბუთები. პრეზიდენტის პოსტზე მთავარ პრეტენდენტებად, იუშჩენკოს გარდა, ითვლება პრემიერი ვიქტორ იანუკოვიჩი და კომპარტიის ლიდერი პიოტრ სიმონენკო. ბევრი რამ იქნება დამოკიდებული იმაზე, შეძლებენ თუ არა ერთმანეთთან შეთანხმებას როგორც ოპოზიციის, ასევე ხელისუფლების ბანაკის კანდიდატები.

ამთავითვე შეიძლება თქმა, რომ კუჩმას შერჩეულმა პრეზიდენტობის კანდიდატმა, ვიქტორ იანუკოვიჩმა ხელისუფლების იმედი ვერ გაამართლა, თუნდაც იმიტომ, რომ პოპულარობით არათუ ვერ აჯობა, ვერც კი დაეწია „ჩვენი უკრაინის“ ლიდერს, ვიქტორ იუშჩენკოს. იგი ბოლო ოთხი წელია ყველაზე პოპულარული უკრაინელი პოლიტიკოსია.

ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ იანუკოვიჩს გამარჯვების შანსი აღარ აქვს? შესაძლოა სახელისუფლებო პარტიამ ყველაფერი იღონოს ოპოზიციონერ იუშჩენკოს რეიტინგის დასაცემად და მიზანსაც მიაღწიოს.

ლეონიდ კუჩმა მესამედ აღარ აპირებს პრეზიდენტობას, მაგრამ არჩევნებში მთავარი მოქმედი პირი მაინც ის იქნება. საქმე ის არის, რომ მისი ინიციატივით პარლამენტი კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებულ საკითხებზე იწყებს მუშაობას. უმაღლესმა რადამ პირველი წაკითხვით უკვე მიიღო კანონპროექტი, რომლის თანახმად პრეზიდენტის არჩევნების შემდეგ ძირითადი ხელისუფლება სახელმწიფო მეთაურიდან პარლამენტსა და მთავრობას გადაეცემა. თავად პრეზიდენტს კი მხოლოდ წარმომადგენლობითი ფუნქცია დაეკისრება, როგორც, მაგალითად, გერმანიის პრეზიდენტს. პოლიტოლოგთა აზრით, ეს პოლიტიკური რეფორმა სახელისუფლებო ბერკეტების პრემიერისთვის გადაცემას ისახავს მიზნად, ამ სავარძლის დაკავებას კი ლეონიდ კუჩმა აპირებს.

კომერსანტი №119

ომში მხოლოდ მამაკაცები მიდიან

აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატმა დემოკრატთა პარტიიდან, ჯონ კერიმ განაცხადა, რომ ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატად ჩრდილოეთ კაროლინის შტატის სენატორი ჯონ ედვარდსი აირჩია. 51 წლის ედვარდსმა, რომელიც ამერიკელ პოლიტიკოსთა შორის ერთ-ერთ ყველაზე მომხიბლავ მამაკაცად ითვლება, მრავალმილიონიანი ქონება ადვოკატობით დააგროვა.

ჯონ კერი და ჯონ ედვარდსი, ოჯახის წევრებთან ერთად პირველად, თავისი მომხრეების წინაშე ოჰაიოს შტატში გამოჩნდნენ. იქ აიღო სტარტი მათმა წინასაარჩევნო კამპანიამ. დემოკრატიული პარტიის წევრებისათვის ჯონ ედვარდსის წარდგენისას ჯონ კერიმ განაცხადა, რომ მასთან ერთად აპირებს ამერიკისთვის ჭეშმარიტი ფასეულობების დაბრუნებას. ედვარდსი სავსებით დარწმუნებულია დემოკრატთა გამარჯვებაში. აშშ-ს სჭირდება ლიდერი, რომელიც კი არ შეაშინებს მსოფლიოს, არამედ აიყოლიებსო, — ამბობს ის.

კერი, რომელიც თითქმის ნახევარი წელია დემოკრატთა გუნდიდან აშშ-ის პრეზიდენტობის აშკარა ლიდერია, დიდხანს ირჩევდა თავის „მარჯვენა ხელს“. ერთხანს იმასაც ამბობდნენ, რომ ვიცე-პრეზიდენტობა ყოფილ პირველ ლედის, ჰილარი კლინტონსაც სურდა. იგი ქვეყანაში პოპულარული პოლიტიკოსი ქალბატონია. როცა ჯონ კერიმ ვიცე-პრეზიდენტად ედვარდსი შეარჩია, ცხადი გახდა, რომ ამერიკაში ომში მხოლოდ მამაკაცები მიდიან.

წინასაპრეზიდენტო საარჩევნო კამპანიის დროს, რომელსაც დემოკრატთა მაშინდელი ლიდერი ალბერტ გორი წარმართავდა, ვიცე-პრეზიდენტად ჯონ ედვარდსის კანდიდატურაც განიხილებოდა, მაგრამ მაშინ გორმა მას ორთოდოქსი ებრაელი ჯო ლიბერმანი ამჯობინა.

ექსპერტები ჯონ კერის არჩევანს სწორ პოლიტიკურ ნაბიჯად მიიჩნევენ.

ჯონ ედვარდსმა ახალახან ერთადერთი შვილი დაკარგა ავტოკატასტროფაში, მაგრამ ძალ-ღონე მოიკრიბა და საზოგადოებრივი საქმიანობა გააგრძელა.

ტელეკომპანია სი-ენ-ენისა და სააგენტო „გელაპის“ მონაცემებით, ამ დუეტს ამერიკელთა 49% მისცემს ხმას.

ვლასტი №29

ტონი ბლერს გადადგომა არ დაანებეს

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ტონი ბლერი ბოლო დღეებში სერიოზულად ფიქრობდა გადადგომას, — განაცხადეს ტელერადიოსამაუწყებლო კორპორაციის BBC-ის ჟურნალისტებმა. ძნელი სათქმელია, კონკრეტულად რა გახდა ამ სერიოზული განცხადების საბაბი, ან როგორ შეიტყვეს ჟურნალისტებმა რა ძალისხმევა დასჭირდა ქვეყნის ოთხ მინისტრს, ბლერისთვის გადადგომა რომ გადაეფიქრებინა.

BBC-ის ცნობით, დიდი ბრიტანეთის პრემიერს ცალ-ცალკე შეხვდნენ ჯანმრთელობის, კულტურის, სპორტისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების, განათლებისა და მრეწველობის მინისტრები: ჯონ რეიდი, ტეს ჯოუელი, ჩარლზ კლარკი და პატრისია ჰიუიტი. მათ კაბინეტის სახელით მხარდაჭერა აღუთქვეს ბლერს და შეახსენეს მისივე ნათქვამი, რომ თავის პარტიასთან ერთად აუცილებლად მიიღებს მონაწილეობას მომავალ საპარლამენტო არჩევნებში.

მალე ბრიტანეთის ხელმძღვანელობას ახალი გამოცდა ელის — გამოქვეყნდება ლორდ ბატლერის კომისიის მოხსენება, რომელიც ეხება ერაყში ომის მზადების პროცესში დიდი ბრიტანეთის დაზვერვის საქმიანობის გამოძიებას. გაერთიანებული სამეფოს სადაზვერვო კომიტეტის ყოფილმა ხელმძღვანელმა, პოლინ ნევილ ჯონსმა განაცხადა, — ტონი ბლერმა პასუხი უნდა აგოს იმაზე, რომ დაზვერვის სამსახურის მიერ არასარწმუნო წყაროებიდან მოპოვებულ შეუმოწმებელ მონაცემებს ენდო და ქვეყანა ანტიერაყულ კოალიციაში ჩააბაო.

ლენტა რუ

ყურანი — ტერორიზმის წინააღმდეგ

საუდის არაბეთის გვირგვინოსანმა პრინცმა აბდულაჰმა ქვეყანაში ბოლო პერიოდში გახშირებული ტერაქტების საწინააღმდეგოდ „ეფექტიანი იარაღის“ გამოყენება ბრძანა. პრინცის განკარგულებით, საუდის არაბეთის ციხეებში მყოფ ტერორისტებს ამნისტიით გაათავისუფლებენ, თუკი ეს უკანასკნელნი რელიგიურ ფანატიზმზე ხელს აიღებენ. ქვეყნის ხელისუფალნი იმედოვნებენ, რომ ყველაზე ძლიერი

იარაღი, რომელიც შესაძლებელია „ალ ქაიდას“ წინააღმდეგ გამოიყენონ, ყურანი იქნება. აღმოსავლეთი თავისი მსოფლმხედველობით არაორდინარულია, ამიტომ ასეთი სახის გადაწყვეტილების მიღება შესაძლოა, გამართლებულიც იყოს.

პატიმარ ტერორისტებთან უკვე დაიწყეს რელიგიური ლიდერების შეშვება, რომლებიც მათ ყურანს პუნქტობრივად, ნაბიჯ-ნაბიჯ უხსნიან. როგორც ზოგიერთი ტერორისტი აცხადებს, ყურანის არსის ხელახალმა ახსნამ მათ ბევრ რამეზე აუხილა თვალი და გავლილი ცხოვრება სულ სხვა კუთხით დაანახვა.

ნიუ ზუიქი

მოკლედ

ავსტრიაში ფიცი დადო ახალმა პრეზიდენტმა, ჰაინც ფიშერმა. ვენაში ცერემონია მეტად მოკრძალებულად ჩატარდა. ქვეყანა ახლახან გარდაცვლილ პრეზიდენტს, თომას კლესტილს გლოვობს. მემარჯვენე სახალხო პარტიის თავმჯდომარე თომას კლესტილი 12 წელიწადს მართავდა სახელმწიფოს.

ძიან ძემინმა, ჩინეთის სამხედრო საბჭოს თავმჯდომარემ, აშშ-ის პრეზიდენტის მრჩეველთან, კონდოლიზა რაისთან შეხვედრისას განაცხადა, — ჩინეთი არ დაუშვებს ტაივანის დამოუკიდებლობასო. თავის მხრივ, ქალბატონმა რაისმა აღნიშნა, — აშშ ყველაფერს იღონებს ჩინეთთან ურთიერთობის განსამტკიცებლად, მაგრამ ამასთან, არ დაუშვებს შეიარაღებულ კონფლიქტს ჩინეთსა და ტაივანს შორის.

ერაყში აიად ალაუის მეთაურობით დროებითი მთავრობის შექმნის შემდეგ, 400 ადგილობრივი მცხოვრები დაიღუპა, დაიჭრა 1600 კაცი. ეროვნული უსაფრთხოების კანონი, რომელიც ტერორისტებისა და „ბოევიკების“ წინააღმდეგაა მიმართული, ერაყის პრემიერ-მინისტრ აიად ალაუის ფართო უფლებამოსილებას ანიჭებს. ერაყის დროებით მთავრობას უფლება აქვს, შემოიღოს კომენდანტის საათი, გასცეს დაპატიმრების ორდერი, დახუროს ორგანიზაციები, შეზღუდოს ქვეყანაში გადაადგილება, მოუსმინოს სატელეფონო საუბრებს, დააპატიმროს ეჭვმიტანილები.

აშშ-მა ერაყიდან, ატომური ენერგიის მსოფლიო სააგენტოს ნებართვის გარეშე, გაიტანა გამდიდრებული ურანი და სხვა რადიოაქტიური ნივთიერებები. აშშ-ის ენერგეტიკის მინისტრმა, სპენსერ აბრაჰამმა განაცხადა, — ჩუმად იმიტომ გავიტანეთ, რომ ექსტრემისტებს არ გაეგოთ და არ ეცადათ რადიოაქტიური ნივთიერებების ხელში ჩაგდებაო.

უკრაინის პრეზიდენტმა ლეონიდ კუჩმამ გადაწყვიტა, დაუბრუნოს ჰოლანდიას გერმანელი ფინანსისტისა და მეწარმის, ფრანც კენიგსის კოლექცია, რომელიც ნახევარი მილიარდი დოლარი ღირს. კენიგსის კოლექცია თითქმის 60 წელს ინახებოდა მუზეუმების საცავებში. საზოგადოებას ნამუშევრები თითქმის არ უნახავს. მის მშვენებად ითვლება ალბრეხტ ალტდორფერის „ჩვილთა გვემა“ და ლუკას კრანახი-უფროსის „ადამი და ევა სამოთხეში“. უკრაინას იმედი აქვს, რომ სანაცვლოდ დაიბრუნებს მეორე მსოფლიო ომის დროს ლვოვის მუზეუმებიდან გატანილ დიურერის ორ ნახატს.

გვერდი მოამზადა ნანა ანტონოვა-ილურიძემ

თბილისის საინჟინრო-ჰუმანიტარული ინსტიტუტი „მთიები“

აცხადებს მიღებას 2004-2005 სასწავლო წლისთვის შემდეგ სპეციალობებზე:

1. სამართალმცოდნეობა (იურიდიული); 2. უცხოური ენები; 3. დაწყებითი განათლების პედაგოგიკა და მეთოდიკა; 4. სკოლამდელი აღზრდის პედაგოგიკა და ფსიქოლოგია; 5. ქართული ენა და ლიტერატურა; 6. ისტორია; 7. ჟურნალისტიკა; 8. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები; 9. საბანკო საქმე; 10. საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი; 11. ფინანსები და კრედიტები.

წარმოებს მოწინავე სტუდენტების სტაჟირება საზღვარგარეთ.

ინსტიტუტთან 9 და 11 კლასდამთავრებულთათვის ფუნქციონირებს კოლეჯი შემდეგი სპეციალობებით:

1. სამეანო საქმე; 2. ორთოპედიული სტომატოლოგია; 3. მედდა; 4. სამართალმცოდნეობა; 5. საბაჟო-ეკონომიკური; 6. უცხოური ენები; 7. ფარმაცევტია.

მის: დავით აღმაშენებლის 178, მე-18 სკოლა

☎ 35-27-00; 36-00-83; 899-90-25-99; 893-30-32-83; 52-67-67

უნივერსიტეტი «საქართველო» და მასთან არსებული სამედიცინო კოლეჯი 2004-2005 სასწავლო წლისთვის აცხადებს აბიტურიენტების მიღებას შემდეგ ფაკულტეტებზე

უნივერსიტეტში:
1. სამედიცინო
სამკურნალო
სტომატოლოგია
ფარმაცია
2. სამართალმცოდნეობა

კოლეჯში:
1. საერთო პროფილის მედდა
2. საბებიო საქმე
3. ორთოპედული სტომატოლოგია
4. ფარმაცია

თბილისი, ბუდაპეშტის ქ. 1ბ
☎ 29-40-70; 95-67-36; 37-18-29
E-mail: unisak@myoffice.ge http://unisak.myweb.ge

როგორ გაახალისა იური ლუჟკოვმა მიწის ნაკვეთი ბათუმში?!

დელფინარიუმის აუზში ლეღვი ამოსულა...

(დასაწყისი იხ. გვ. 10)

— ცნობილია, რომ საქართველოს პრეზიდენტმა აბაშიძეს ხელშეუხებლობის გარანტია მისცა, პროკურატურა კი სისხლის სამართლის საქმის აღძვრას აპირებს. სიტყვა გატეხა? თქვენ რას ფიქრობთ ამაზე?

— პრეზიდენტმა აბაშიძეს ხელშეუხებლობის გარანტია მისცა მხოლოდ იმისთვის, რომ მას უსაფრთხოდ დაეტოვებინა საქართველოს ტერიტორია. ასლან აბაშიძისა და მისი კლანისთვის არავის მიუცია იმის გარანტია, რომ კანონის წინაშე პასუხისმგებლობა მოეხსნებოდათ და თუ დანაშაული გამოიკვეთებოდა, მათ წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეები არ აღიძვრებოდა...

ბატონ გიორგისთან საუბრის შემდეგ დელფინარიუმის ნარჩენების დათვალიერება გადავწყვიტე. დიახ, სამწუხაროდ, ნარჩენების, რადგან დღეს

გაპარტახებული დელფინარიუმის აუზი, რომელსაც წყალიც მოენატრა და დელფინებიც

მისგან მხოლოდ ნანგრევებიღაა დარჩენილი. დელფინარიუმის ხელმძღვანელობა ადგილზე არ დამხვდა და აკვარიუმის განყოფილების გამგეს, **თამაზ მანჯავიძეს** გავესაუბრე:

— აკვარიუმი სავალალო მდგომარეობაშია. თუ სასწრაფოდ რემონტი არ გაკეთდა, ჭერი მალე თავზე დაგვემხობა. აკვარიუმში 104 იშვიათი ჯიშის თევზები გვყავს. მათი შენახვა თვეში 11 ათასი ლარი გვიჯდება. ამ თანხის 90% ელექტროენერგიას მიაქვს. როგორც ვიცი, რამდენიმე წლის წინ ევროკავშირმა სოლიდური თანხა გამოყო აკვარიუმისა და დელფინარიუმის რეაბილიტაციისთვის, მაგრამ თანხა გაქრა. ჩვენამდე არ მოსულა.

— მახსოვს, აქ ოკეანის რამდენიმე უზარმაზარი კუც გყავდათ...

— რამდენიმე წლის წინ ელექტროენერგიის უქონლობის გამო წყალი ვერ გავათბეთ და დაიხოცნენ(!).

ამასობაში დელფინარიუმის უფროსი **აკაკი კომახიძე** შემოგრიალდა „ჯიპით“. წინ გამიძღვა და დელფინარიუმი დამათვალიერებინა. მართლაც, აუზები სავალალო მდგომარეობაშია, კაფელი ჩამოცვენილი, მილები დაჟანგული, სანტექნიკური გაყვანილობა გავერანებული. აუზებს აშკარად ეტყობა, რომ ათი წლის განმავლობაში წყლის წვეთიც არ მოხვედრილა. მეტიც, ერთ-ერთის ფსკერზე ლეღვიც კი ამოსულა(?!)...

— დელფინები სად არიან? — ვკითხე აკაკი კომახიძეს.

— დელფინები იჯარით გავეცით(!). 1989 წელს, როდესაც რესპუბლიკაში მძიმე მდგომარეობა შეიქმნა, ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ ნება დართო რამდენიმე პირს დელფინები იჯარით აეყვანათ. ხუთი დელფინი წაიყვანეს. ჯერ სოხუმში ჰყავდათ, მერე იქაც რომ აირია ყველაფერი, იუგოსლავიაში წაიყვანეს. ახლა მალტაში ჰყოლიათ. ამ ხნის განმავლობაში დელფინები დაბერდნენ კიდეც და სამი მოკვდა.

— დელფინების იჯარის თანხა რას ხმარდება?

— იჯარის ვადა კარგა ხანია გავიდა. გვეუბნებიან, წაიყვანეთ თქვენი დელფინებიო, მაგრამ სად წამოვიყვანოთ? ასე რომ, დიდი ხანია იჯარის თანხაც არ მიგვიღია (დელფინარიუმის თანამშრომლების მტკიცებით, დელფინარიუმის განყოფილების გამგეს, თენგიზ წეროძეს წაუყვანია დელფინები და 15 წლის განმავლობაში ათასობით წარმოდგენა გაუმართავს მალტაში. მოგებაც დიდი ჰქონია, მაგრამ იჯარის გადასახადი არ გახსენებია. — ზ. ჩ.).

— ეს რა არხი გადის დელფინარიუმის ეზოში?

— თქვენც შეგაწუხათ არხიდან ამოფრქვეულმა სუნმა? აქ ქალაქის კანალიზაცია გაედინება. ბევრი ვიბრძოლე, მაგრამ ვერაფერს გავხდი. ამ არხით ადრე სანიაღვრე წყლები ჩაედინებოდა ზღვაში, ახლა ბათუმის კანალიზაცია მძიმე დღეშია და პირდაპირ ამ არხზეა მიერთებული საკანალიზაციო სისტემის ნაწილი. არხი თავის დროზე ბეტონის ფილებით იყო გადახურული, მილებიც იყო ჩაყრილი. ახლა კი წყალი პირდაპირ ღია არხით მიდის ზღვაში...

არხს გავყევი და ჩემი თვალით ვნახე, თუ სად და როგორ ჩაედინება ფეკალური მასებით დაბინძურებული წყალი შავ ზღვაში. რაღა დამრჩენოდა გარდა იმისა, რომ ნანახი ფოტოფირზე დამეფიქსირებინა. როგორც გავიგე, ბათუმის სანაპიროზე რამდენიმე ასეთი არხი ყოფილა. ჩემდა გასაკვირად, არხის ახლოს დამსვენებლები ბანაობდნენ, თანაც ბავშვებთან ერთად.

თუ ბულვართან მდებარე პლაჟი, ასე თუ ისე, გასუფთავებულია, ამას ვერ ვიტყვით ბათუმის პლაჟის სხვა ნაწილზე. ხშირად დაინახავთ ნაგვის გროვებს, რომელთა გასატანად თავს არავინ იწუხებს. ნანახით აღშფოთებული ბათუმის „წყალკანალის“ მთავარ ინჟინერს, **დავით მიქელაძეს** გავესაუბრე: — ქალაქის ტერიტორიიდან ზღვაში გამდინარე საკანალიზაციო ყველა არხი საიმედოდ ჩავკეტეთ და ზღვა აღარ ბინძურდება.

— გამოდის, მე ვცრუობ... თუ პირიქით?..

— თქვენ ალბათ მხედველობაში გაქვთ დელფინარიუმთან გამავალი არხი. ამ არხით ადრე მართლაც ჩადიოდა კანალიზაციის წყლები ზღვაში, მაგრამ ჩავკეტეთ და ახლა მხოლოდ სანიაღვრე წყლები ჩადის.

— მაშინ ერთად წავიდეთ, არხიდან ამოფრქვეული არომატით დატკბით და თუ შემდეგ ზღვაში ჩახვალთ და იბანავებთ, ვაღიარებ, რომ თქვენ ხართ მართალი, — ჩემს წინადადებაზე დავით მიქელაძემ დუმილი ამჯობინა. ამასობაში, ბათუმის „წყალკანალის“ ახალი უფროსი ბადრი ცინცქილაძეც მობრძანდა. დავით მიქელაძისგან განსხვავებით, მან „ვაჟკაცურად“ აღიარა კანალიზაციის წყლების ჩადინება ზღვაში.

ბადრი ცინცქილაძე: „ისეთი მემკვიდრეობა მერგო, რომ არ ვიცი, რა წყალში ჩავვარდე. ყველაფერი გაფუჭებული და მოშლილია. ამჟამად სასმელი წყლის სათანადო ნაგებობის სარემონტო სამუშაოებს ვაკეთებთ. მძიმე დღეში ვართ, კანალიზაციის წყლებს რა მოვუხერხოთ, არ ვიცით. ეს ამბავი თუ გახმაურდა, დამსვენებლები ბათუმისკენ პირს აღარ იზამენ.

— არხი გადაკეტეთ, ფეკალური წყლები ზღვაში აღარ ჩავიდეს და სიტყვას გაძლევთ, არაფერს დავწერ, — შეთავაზებით კი შევთავაზე, მაგრამ „წყალკანალის“ ახალ უფროსს არხის გადაკეტვა არც უფიქრია და ჩემი საბინაო და კვების პრობლემით დაინტერესდა(?).

საღამოს ბათუმის ქუჩებში გავისეირნე და საკურორტო ფასებიც გავიგე. ბულვართან ახლოს ერთი თვით კომფორტაბელური ბინის დაქირავება 500-600 დოლარი ღირს. პლაჟიდან ცოტა მოშორებით თანხა ლარებში გადადის. ზღვიდან მოშორებით ერთოთახიანი ბინის ერთი თვით დაქირავება 100-200 დოლარი დაგიჯდებათ. სასტუმროებში კი ორსაწოლიანი ნომრის ფასი 25 ლარიდან 60 ლარამდე მერყეობს.

ამ არხით ადრე სანიაღვრე წყლები ჩაედინებოდა ზღვაში, ახლა ბათუმის კანალიზაცია მძიმე დღეშია და პირდაპირ ამ არხზეა მიერთებული საკანალიზაციო სისტემის ნაწილი. არხი თავის დროზე ბეტონის ფილებით იყო გადახურული, მილებიც იყო ჩაყრილი. ახლა კი წყალი პირდაპირ ღია არხით მიდის ზღვაში... არხს გავყევი და ჩემი თვალით ვნახე, თუ სად და როგორ ჩაედინება ფეკალური მასებით დაბინძურებული წყალი შავ ზღვაში.

დელფინარიუმზე გამავალი კანალიზაციის წყალი არხით ზღვაში ჩაედინება

P. S. საკურორტო სეზონი დაიწყო. ვიცი, აჭარის ახალ ხელისუფლებას რევოლუციის შემდეგ უამრავი რამ აქვს მოსაგვარებელი. ყველაფერს დრო, სახსრები, გამოცდილება და პროფესიონალიზმი(!) სჭირდება, მაგრამ საკითხავია, კანალიზაციის არხის ჩაკეტვას, პლაჟის ნაგვისგან გაწმენდა-დასუფთავებას ისეთი რა ევროპული განათლება, დრო და თანხები სჭირდება, რომ საკურორტო სეზონს ბათუმი (და არა მარტო ის) მომზადებული შეხვდეს.

ზვიად ჩაკვეტაძე

რატომ დაიჭირეს ელგუჯა ჯამბურია?

გასულ კვირას კიდევ ერთი პოლიციის მაღალჩინოსანი დააკავეს. გენპროკურატურამ სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის ყოფილ უფროსს, ელგუჯა ჯამბურიას სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ბრალდება წაუყენა.

ჯამბურიას დასაკავებლად სპეცოპერაცია არ ჩატარებულა. ყოფილი პოლიციის უფროსი გენერალურ პროკურატურაში დაკითხვაზე დაიბარეს და აღარ გამოუშვეს. უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ კი ელგუჯა ჯამბურიას სამთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

იმის მიუხედავად, რომ დაპატიმრებიდან უკვე რამდენიმე დღე გავიდა, დაკავების მიზეზი მაინც ბუნდოვანია. გენპროკურატურაში საქმის დეტალებს დღემდე არ ახმაურებენ, მაგრამ ცნობილი შეიქნა, რომ ჯამბურიას ორი წლის წინანდელ საქმეს ედავებიან. საქმე ეხება ბულგარელების გაძარცვის შესახებ საქმის მასალების განგებ განადგურებას და საქმის წარმოებიდან ამოგდებას. სამართალდამცავების ინფორმაციით, ბულგარეთის საკონსულო ცდილობდა მომხდარის გამოძიებას, მაგრამ რატომღაც ჯამბურიამ მის სურვილს ყური არ ათხოვა. საკონსულოს ისღა დარჩენოდა, დახმარებისთვის გენპროკურატურისათვის მიემართა.

ჯამბურიასთვის წაყენებული ბრალდება — თანამდებობრივი უფლებამოსილების გადამეტება — სამ წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს. ეს მუხლი მძიმე დანაშაულის კატეგორიას არ განეკუთვნება. ამიტომ შეიძლებოდა მისთვის წინასწარი სამთვიანი პატიმრობა არ შეეფარდებინათ, მით უმეტეს, რომ ჯამბურია თვითონ გამოცხადდა პროკურატურაში. მაგრამ ასე არ მოხდა და ჯამბურია მე-5 იზოლატორში აღმოჩნდა. როგორც გენპროკურატურის კულუარებში შევიტყვეთ, ბულგარელების საქმის გარდა, ჯამბურიას გამოძიება სხვა საქმეებსაც მიედავება, თუმცა საჯაროდ ამაზე ჯერ არავინ ლაპარაკობს.

„კრიმინალური თვალსაზრისით, სამეგრელო-ზემო სვანეთი ერთ-ერთი ყველაზე მძიმე რეგიონია, — აცხადებს გენპროკურატურის კონფიდენციალური წყარო, — ბულგარელების გარდა, აქ კიდევ ბევრი ადგილობრივი მცხოვრები თუ უცხოელი გაძარცვეს. საქმეთა უმრავლესობა გაუხსნელია და თაროზეა შემოდებული. საინტერესოა, რატომ შეაფერხა ბულგარელების საქმის გამოძიება ელგუჯა ჯამბურიამ და ჰქონდა თუ არა ადგილი კიდევ სხვა საქმეების გამოძიების ბლოკირებას...“

როგორც ხედავთ, გამოძიება ეჭვობს, რომ პოლიციის ყოფილი შეფი განგებ ანადგურებდა სხვადასხვა სისხლის სამართლის საქმეში არსებულ მტკიცებულებებს. გენპროკურატურაში იმედი აქვთ, რომ ყველაფერ ამას მომავალი სამი თვის მანძილზე დეტალურად შეისწავლიან და ელგუჯა ჯამბურიას ბრალდებათა ნუსხა კიდევ უფრო გაიზრდება.

დავით დევდარიანი

ლუიზოლი Louise-all
პირის ღრუს ლოსიონი და კბილის საწმენდი ფხვნილი
გამინფლემი
GUMINFLAM
სერტიფიცირებულია
უსწრაფესად მოგიხსნით ღრძილების ნებისმიერ პრობლემას
იკითხეთ აფთიაქებში
☎ 37-38-13; 92-17-10
კაბინეტი „ლუიზოლი“

ლუიზოლი Louise-all
თქვენ მრავალი საშუალება გაქვთ ნაცადი ჭარბთმიანობისაგან განსაკურნებლად...
გაგიცრუვდათ იმედი?! გულს ნუ გაიტეხთ!!!
ჩვენ გთავაზობთ ჭარბთმიანობის საწინააღმდეგო კრემს და ლოსიონს
„ლუიზოლი“
სრულყოფილი შედეგით!
„ლუიზოლი“ დაგეხმარებათ სამუდამოდ გათავისუფლდეთ ჭარბთმიანობის კომპლექსისაგან.
კაბინეტი „ლუიზოლი“
☎ 37-38-13; 92-17-10

PSP ფსფ
ფარმაცევტული კომპანია „პე-ეს-პე“ აცხადებს კონკურსს
გაყიდვის მენეჯერის ვაკანსიაზე
უმაღლესი განათლების მქონე 35 წლამდე ასაკის მამაკაცების საყურადღებოდ
ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით 19 ივლისამდე.
ტელ: 91 11 01; 94 23 14;

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 10 ივლისიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

აშშ დოლარი	1,9251
ევრო	2,3829
ინგლ. გირვანქა სტერლინგი	3,5634
რუსული რუბლი	0,0661
თურქული ლირა (1.000.000)	1,3332

„სოზსერვისი“ ფირმის
მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრები
ძალიან იაფად
ფერები: თეთრი, ნაძვის ტექსტურით, მუხა, მუქი მუხა, მაკაგონი, წითელი ხე და ა.შ.
ჩვენი პროფილი — 3-კამერიანია
მის: წერეთლის 141 მ. „დიდუბის“ გვერდით
☎ 26-30-50; 34-49-40; 61-32-37; 899-51-51-09; 899-902-091; ტ/ფაქსი: 966-779

შპს „გეოკორი“
აწარმოებს ბურღვით სამუშაოებს სასმელი და ტექნიკური წყლის მისაღებად
მის: აკურის ქ. №8 (საორბის სასახლის უკან), ოთ. 118
ტ: 33-26-75; 36-64-02

ფირმა „ფლორანი“
მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრები
სხვადასხვა ფერები და საკეტები
უმაღლესი ხარისხის პროფილით
დაბალ ფასებში
☎ 38-08-14
26-44-77; 53-21-51
899 25-38-74; 899 20-57-32
მის: გამსახურდიას 44 (გაგარინის მოედანი, სასტუმრო „ხიბლი“-ს უკან)

ცხოვრებისეული კურიოზები

1. მინისტრის სიურპრიზი

თითზე ჩამოსათვლელნი არიან ჩვენს დროში სწავლაზე თავგადაკლული ბავშვები, მათ შორისაა ჩემი ახლობელი თამუნა მახათაძეც, რომელმაც სკოლა წარჩინებით დაამთავრა.

ბოლო გამოცდის მერე ხმა გავარდა (არ ვიცი, საიდან) — მინისტრი სკოლის ფრიადოსან კურსდამთავრებულებს სიურპრიზს დაჰპირდაო.

ატყდა ერთი სჯა-კამათი, რა შეიძლება ყოფილიყო „სიურპრიზი“. ხომ შეიძლება სასურველ უმაღლეს სასწავლებელში უგამოცდოდ ჩარიცხვაც იყოსო... ახალი ხელისუფლებისგან ეს იქნებოდა მათი შრომის ნამდვილი დაფასება და თანაც სწავლისათვის უკეთეს რეკლამას ვერ ინატრებდა კაცი!.. იშვიათ გამონაკლისად ქცეულ ფრიადოსნებს ყველა ულოცავდა სტუდენტობას...

...ორიოდე კვირის წინ გლდანი-ნაძალადევის რაიონის სკოლების ფრიადოსანი კურსდამთავრებულები რამდენჯერმე დაიბარეს განათლების რაიგანყოფილებაში. მიზეზს არ ეუბნებოდნენ — სიურპრიზიაო(!). ბოლოს, როგორც იქნა, შეკრიბეს თვალებგაბრწყინებული ბავშვები ავჭალის კონიაკის ქარხნის დარბაზში, სადაც ტრაფარეტული მიღოცვებით კინაღამ ჭერი ჩამოიღეს. და ბოლოს საჩუქარი-სიურპრიზიც მიართვეს — თითო ბოთლი კონიაკი, რომლის იარლიყზეც ფრიადოსნის სახელი და გვარი ეწერა(!)...

გაწბილებულმა თამუნამ კონიაკი მამამისს მიართვა — მინისტრმა შენ მოგილოცა ჩემი წარმატებაო. შოთამ (მამამისმა) ის კონიაკი ისე დალია, სიურპრიზის ავტორთა მისამართით ერთი სადღეგრძელოც არ გაუგზავნია.

ნეტავ, თითო ბოთლი ღუდიც ეჩუქებინათ ბავშვებისათვის. როგორც ღუდის დიდ მოყვარულს, იგი აუცილებლად მე შემხვდებოდა თამუნასაგან. მე კი, შოთასგან განსხვავებით, აუცილებლად შევსვამდი სიურპრიზის „ავტორთა“ სადღეგრძელოს იმ ღუდით.

გერონტი მესხი, თბილისი

2. საგიჟეთში

ეს ამბავი კომუნისტების დროს მოხდა. მამაჩემი მშენებელი ინჟინერი იყო. სამშენებლო ობიექტი ხაშურში ჰქონდა და მის სახურავზე გუდრონი უნდა დაესხათ, მაგრამ სახარში ქვაბი არ ჰქონდათ. ქვაბი იმჟამად სურამში, ფსიქიატრიული საავადმყოფოს ტერიტორიაზე იდო და გადაწყვიტეს, მათგან ეთხოვათ. შესვა მამაჩემმა მუშები თვითმცლელზე და წავიდნენ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ქვაბის წამოსაღებად. მუშები ძველ, სამუშაო ტანსაცმელში იყვნენ გამოწყობილები, ცემენტში ამოგანგლულები, გაუპარსავები. ერთი სიტყვით, შევიდნენ ფსიქიატრიულის ტერიტორიაზე და დაიწყეს კიდევაც თვითმცლელიდან მუშებმა ჩამოხტომა. ამ დროს გამორბის მთავარი ექიმი და ყვირის: — ეს ამდენი გიჟი რომ მოგყავთ, სად მოგყავთ? არ უნდა მკითხოთ, ადგილი მაქვს თუ არა?!

აქეთ მამაჩემი და მძღოლი კვდებოდნენ სიცილისაგან, იქით კიდევ მუშები იყვნენ დასაკავებლები...

მერაბ გრიგალაშვილი, ხაშური

3. უებარი წამალი

გიორგუნა ხუმარა კაცი იყო, თანაც ნამეტანი უყვარდა არაყი. სიბერეში წელის ტკივილმა შეაწუხა. მეზობელმა მის მეუღლეს ჩაის ჭიქით მაგარი არაყი გაატანა და დაარიგა, შენს ქმარს წელი კარგად დაუზილეო.

— გიორგუნა, მაგარი არაყი ვიშოვე. დაგზელ და იქნებ გეშველოსო... — დაიმედა ცოლმა. გიორგუნასაც ეს უნდოდა. დაიგუნა თუ არა ცოლი ოთახიდან გასული, წამოხტა ლოგინიდან, გადაჰკრა არაყი, ჩაასხა წყალი ჭიქაში და ისევ დაწვა.

აბა, რას მიხვდებოდა საწყალი ქალი, თუ მძიმე ავადმყოფი ლოგინიდან ადგებოდა. ისიც გულმოდგინედ შეუდგა თავის საქმეს, ტანის დაზელას, რა თქმა უნდა, წყლით.

ამასობაში მაგარმა არაყმა თავისი საქმე გააკეთა და ააჭიკჭიკა ჩვენი გიორგუნა. უყურებს ცოლი, მთვრალია გიორგუნა. — ვაა, გარედანაც ეკიდება ამ ცეცხლმოდებულს არაყიო! — გაგიჟდა ქალი.

ბესო ბეჟაშვილი, თეთრიწყაროს რაიონი, დიდი თონეთი

4. „იქაც, ხაიქიოშიც მომყვდარა!“

ეს ამბავი აფხაზეთში სახელგანთქმულმა საზოგადო მოღვაწემ, ნეტარხსენებულმა მემედ ქეცბაიამ მომიყვა:

— აფხაზეთში ცნობილი პედაგოგი გიორგი ტორუა ათეული წლების მანძილზე რუსულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა გალში, სწორედ იმ სკოლაში, სადაც მისი ყოფილი მოსწავლე დირექტორად დანიშნეს.

ენამახვილობით განთქმულს ერთი „ჩვეულებაც“ ჰქონდა — სკოლაში მიმავალს რქებზე ბაწარმობმული ძროხა მიჰყავდა თან... სკოლის ეზოში რომელიმე ხეს მიაბამდა და თვითონ გაკვეთილებს ატარებდა.

ერთხელ, ძროხისთვის საბალახო ადგილის შერჩევით გატაცებულს, გაკვეთილზე დააგვიანდა.

— რატომ დაიგვიანე? — დატუქსა ყოფილმა მოსწავლემ და ახლა დირექტორმა ვეტერანი მასწავლებელი კოლეგების თანდასწრებით.

— აქ ნუ მიყვირით, თქვენს კაბინეტში შევიდეთ და აგიხსნით ყველაფერს, ამხანაგო დირექტორო! — თავი მოისაწყლა გიორგი მასწავლებელმა.

გიორგიმ დირექტორის კაბინეტის კარი ჩაკეტა, მაგიდას მიუჯდა და მშვიდად უპასუხა:

— რა მოხდა და... ამ დილით მოვკვდი, ამხანაგო დირექტორო!

— მოკვდი?! — ვითომ გაუკვირდა ყოფილ მოსწავლეს, როცა შეატყო, გიორგი მასწავლებელი შაყირის ხასიათზეაო და თვითონაც აჰყვა, — მერე, მერე — საიქიოში თუ იყავი?

— ვიყავი, ამხანაგო დირექტორო!

— აბა, მამაჩემს შეხვდებოდი!

— მამაშენი არ შემხვედრია!

— როგორ თუ არ შეგხვედრია? — ყასიდად გაიკვირვა ნამოწაფარმა, — განა შენ არ მოაყარე მუჭით მიწა მის საფლავს? ჭირის სუფრასაც შენ არ თამადობდი?!

— კი, მიწაც მოვაყარე, ქელეხშიც ვთამადობდი, მარა საიქიოში ვერ ვნახე.

— ვერ ნახე?

— ვერ ვნახე, შვილო, ვერ ვნახე! — თითქმის მიუსამძიმრა გიორგიმ ნამოწაფარ დირექტორს და დასძინა, — იქაც, საიქიოშიაც მომკვდარა, ამხანაგო დირექტორო, მამაშენი, შენისთანა შვილი რომ დატოვა ამქვეყნად!

...იმ დღიდან ნამოწაფარი დირექტორი თვალს ვერ უსწორებდა გიორგი მასწავლებელს.

ალიოშა თოფურია, ვეტერანი ჟურნალისტი გაგრიდან

მკითხველის საყვარელი ანეკდოტები

5. ჭიჭიკია ისეთი მთვრალი დაბრუნდა შინ, რომ ენას ვერ აბრუნებდა. ნაზიკიამ რომ ვერ გაიგოს, დავჯდები და წიგნს წავიკითხავო, გადაწყვიტა. ბანცალით მივიდა მაგიდასთან და დაჯდა „წყნარად“. უცბად ნაზიკიას ყვირილი ესმის:

— გეიხადე და დეეგდე ლოგინში, შე ლოთო!

— რა იყყო, ვერ ხედავ, წწიგნს ვკითხულლობ!

— დადე ეგ ჩემოდანი და დეეგდე ლოგინში!..

„უცნობი“

6. კახეთში ბირჟასთან ავტობუსი გაჩერდა. ახალგაზრდა მიხო მძღოლთან მიდის და ეკითხება:

— თქვენი ნოეს კიდობანი სავსეა?

— არა, ჯო, ვირი გვაკლია, ამოდიხარ?

თამაზ ხელაძე, ვანის რაიონი, სოფელი ზეინდარი

7. სვანმა ლატარიის ბილეთი გასასინჯად გაატანა მეგრელს. დაბრუნდა მეგრელი შეწუხებული სახით — ბიჭო, ზვიად, შენმა ბილეთმა 30 ლარი წააგო და უნდა მივიტანოო!

— ყველაფერს ბედი უნდაო, — ჩაილაპარაკა სვანმა და მისცა 30 ლარი მეგრელს!

თეიმურაზ ვარდოსანიძე, თბილისი

8. ქუთაისელ ჭიჭიკიას ასი წელი შეუსრულდა. ადგილობრივი გაზეთის რეპორტიორი ეკითხება:

— ბატონო ჭიჭიკია, როგორ ატარებთ დროს?

— ვდგები დილის 9 საათზე, გამოვდივარ გარეთ და გაზეთს ვყიდულობ, შემდეგ ვათვალიერებ ნეკროლოგებს, თუ არაფერი წერია ჩემზე, ჩემო ბატონო, შინ ვბრუნდები და ვსაუზმობ...

ნოდარ აბუსერიძე, თბილისი

9. — რაო, მიხო, რას იწერება ი შენი პარლამენტარი ბიჭი ქალაქიდანა? — ეკითხება მიხოს მიტუა.

— გავიგე, მანდ დიდ სეტყვას გადაუვლია და წელს რთველზე ნუღარ დამელოდებითო!

ანიკო, თბილისი

ყურადღება!

ჯუჯიოზების ჯონჯუსი

„კვირის პალიტრამ“ მკითხველის პრემია კურიოზების გვერდისთვისაც დააწესა. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ავტორებმა უნდა გამოგზავნონ რედაქციაში კურიოზები, ახალი სასაცილო ამბები, ანეკდოტები. საუკეთესოები გამოქვეყნდება.

მიანიჭეთ პრემია საუკეთესო კურიოზის ან ანეკდოტის ავტორს. თუ რომელიმე კურიოზმა ან ანეკდოტმა თქვენი მოწონება დაიმსახურა (ყველაზე მეტად), აღნიშნეთ მისი ნომერი ქვითარში და გამოგვიგზავნეთ. თქვენი ხმა არ დაიკარგება და თვის ბოლოს გადაწყვეტს გამარჯვებულის ვინაობას.

ხმები დაითვლება და თვის განმავლობაში ყველაზე მეტი ხმის მფლობელი კურიოზის/ანეკდოტის ავტორი მიიღებს პრემიალურ — 50 ლარს, მომდევნო — 30-ს, ადგილზე გასული ავტორი კი — 20 ლარს.

ეს ქვითარი „კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“) საფოსტო ყუთში უნდა მოათავსოთ რაიონებში ოთხშაბათის, 14 ივლისის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 15 ივლისის 13 საათამდე.

კურიოზების კონკურსი

საუკეთესო კურიოზის ან ანეკდოტის ნომერი ———

——————————

თქვენი სახელი, გვარი

კვირის პალიტრა №28

C M Y K

მილოცვა

თორნიკე როსტომაშვილს!

გილოცავთ დაბადების დღეს, 6 ივლისს. გისურვებთ ჯანმრთელობას და წარმატებას სწავლაში.

შენი საყვარელი მშობლები, ბებო და პაპა, ზაური და მარინა როსტომაშვილები.

შვილო, დაესწარი ასი წელი პეტრე-პავლობას!

ლაშა და სოფო ჩიქოვანებს!



გილოცავთ შვილის, ნიკუშას დაბადების დღეს. დაესწარით მრავალს. ნიკუშა, გისურვებთ დიდი ხნის ჯანმრთელ სიცოცხლეს, ლამაზ და ბედნიერ ცხოვრებას.

ბებია და ბაბუა, გული და თამაზ ჩიქოვანები

მადლობა

მადლობა ბათუმელ ექიმებს!

მიმდინარე წლის 27 მაისს, ღამის საათებში მუცლის არეში მწვავე ტკივილები ვიგრძენი, თან მუცლის შებერილობა დამეწყო. სასწრაფო დახმარების მანქანით ბათუმის რესპუბლიკურ საავადმყოფოში მიმიყვანეს, სადაც იმ საღამოს მორიგე ექიმმა, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატმა ბატონმა ვაჟა თედორაძემ გულდასმით გამსინჯა და კონსულტაციისათვის ღამის საათებში ახალდანიშნული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანდაცვის მინისტრი ბატონი გივი ცეცხლაძე მოიწვია. ბატონი გივის გადაწყვეტილება იყო, ჩემთვის ჩაეტარებინათ გადაუდებელი სასწრაფო ოპერაცია, რომლის გაკეთებაც თავის თავზე აიღო ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე, რისთვისაც გულითად მადლობას ვუხდი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანდაცვის მინისტრს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს ბატონ **გივი ცეცხლაძეს,** რომელმაც დამიბრუნა სიცოცხლე და ვუსურვებ, მის მარჯვენას დიდხანს ეშრომოს ადამიანთა ჯანმრთელობის სადარაჯოზე.

ასევე ჩემი გულითადი მადლობა მინდა მივუძღვნა გულისხმიერ მკურნალ ექიმს, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატს **ვაჟა თედორაძეს,** რომელიც ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე იბრძოდა ჩემი ჯანმრთელობის განმტკიცებისათვის. დიდი მადლიერებით მინდა მოვიხსენიო ანესთეზიოლოგი ბატონი **გოჩა აბაშიძე,** საავადმყოფოს წამყვანი უროლოგი ბატონი **გელა ლომაძე** ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს ჰემატოლოგიურ-დისპანსერიული განყოფილების გამგე **რეზო მიქელაძე,** საავადმყოფოს წამყვანი ეზიმი-კარდიოლოგი, რომლის გვარი სამწუხაროდ არ მახსენდება, ექთანებს: **ზ. ხალვაშს, მ. კონცელიძეს, მ. სულაბერიძეს, თ. მიქელაძეს** და იმ მედპერსონალსა და ყველა პიროვნებას, რომლებმაც გარკვეული წვლილი შეიტანეს ჩემი სიცოცხლის გადარჩენაში. ვუსურვებ მათ დიდ წარმატებებს ხალხის საკეთილდღეოდ.

იური ციკოლია

საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის ბათუმის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დარგობრივი ეკონომიკის კათედრის პროფესორი, საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათ აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. ქ. ბათუმი

ხათუნა გოგორიშვილს!

გონიერებასთან წილნაყარო ქართველო! გულწრფელად ვლოცავ მოყვასის სიყვარულით ძალუმად მფეთქავ თქვენს კეთილ გულს, მაღალ ინტელექტს, სამოყვროდ უანგაროდ გამოწვდილ ხელებს, თქვენს კეთილგონიერებას. გვიყვარხართ, გვეიმედებით. მე ხომ ჩემი სულისა და სხეულის ნაწილი, მომავლის იმედი განდეთ. იმედი ნუ მოგვიშალოს უფალმა ქართველებს, სრულიად საქართველოს.

კრძალვით, რიდით, მოწიწებით თქვენზე და თქვენთვის მლოცველი

ერთი ქართველი დედა სამეგრელოდან

ბინები

გირავდება 3-ოთახიანი ბინა ვაკეში, მრგვალ ბაღთან. ტელ: 893 90-49-21

ქირავდება სოფ. წავკისში აგარაკი, როგორც სეზონზე, ასევე თვიურად. ტელ: 899 42-90-42; 67-62-63. ჯემალი

გთავაზობთ სამუშაოს

18-25 წლამდე გოგონებს ვთავაზობთ გამგზავრებას გერმანიასა და საფრანგეთში 1 წლით, ოფიციალური ხელშეკრულებით, AU-PAIR პროგრამით, დასაქმებისა და სწავლის შეთავსებით. უზრუნველყოფა ჯიბის ფულით (ხელფასით), საცხოვრებლით, კვებით, სამედიცინო დაზღვევით და საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობის ხარჯებით. ტელ: 95-64-18; 7-74-79 (ქუთაისი)

გვაქვს 4 ვაკანსია. სათანამშრომლოდ მივიღებდით განათლებულ, რუსულის მცოდნე ადამიანებს. ვმუშაობთ მსოფლიოში. საუკეთესო თანამშრომლებს ეძლევათ შანსი საზღვარგარეთ მუშაობისა (კომპანიის ხარჯებით). გამომუშავება $200-400 აშშ სტანდარტებით. მიმდინარეობს შერჩევა. იჩქარეთ! მისამართი. მ. „დიდუბე“, „სამთო ქიმიის ინსტიტუტი“, I სართ. ოთახი 6. ტელ: 34-02-38; 899 90-54-78; მენეჯერი: ბ-ნი დიმიტრი

საერთაშორისო კომპანია ოფისში სათანამშრომლოდ იწვევს უ/გ მქონე ადამიანებს მაღალი ანაზღაურებით. სასურველია რუსული ენის ცოდნა. ტელ: 33-59-23. ლეილა

Международная компания обьявляет дополнительный набор сотрудников на конкурсной основе. Возраст 30-40 лет, образование высшее. Тел: 70-40-61

მომსახურება

ვაკეთებ ეპილაციას ვოლფრამის ნემსით და ანესთეზიით, მორჩენის გარანტიით. მიღება ყოველდღე, ჩაწერით. სეანსების რაოდენობა ინდივიდუალურია – 1 სთ – 12 ლარი. მომსახურებით კმაყოფილი დარჩებით. მაქვს საკუთარი დენის წყარო. მის: ვარკეთილი-3, II მ/რ, მე-9 კორპ, VI სად, III სართ, ბინა 3. ტელ: 79-50-12; 899 90-44-93. ლიკა გიორგობიანი

ეპილაცია ვოლფრამის ერთჯერადი ნემსით და ანესთეზიით. უკიდურესად გაუხეშებული თმიანობის შემთხვევაშიც კი, განიკურნებით უმოკლეს ვადაში, ყოველგვარი შეშუპების და გაღიზიანების გარეშე. არ დაგეტყობათ არც ერთი ნანემსარი. შედეგი – პირველსავე სეანსზე; სახის გაწმენდა; მასაჟი საუკეთესო მალამოებით. თუ ისარგებლებთ, დარწმუნდებით. მის: იოსებიძის 66. II სად. მე-8 სართ. ბინა 46. ტელ: 37-74-22. მანანა

სტუდენტური, ოჯახური, ინდივიდუალური და ჯგუფური დასვენება ქობულეთში, კერძო დასასვენებელ, სხვადასხვა საცხოვრებელი პირობების ბინებში და სამჯერადი კარგი კვებით ჩვენს კაფე-სასადილოში, რაც შედის საგზურის ღირებულებაში: 10 დღე – 80-დან 130 ლარამდე. ვრცელდება შეღავათები ბავშვებსა და ჯგუფებზე. მის. თბილისი, აღმაშენებლის გამზ. №113-115 (ეზოში). კაბ. 31. „მკურნალი სუმბაძე“. ტელ: 91-18-38 (სამს.); 69-18-38 (ბინა); 877 41-86-16. ციანა სუმბაძე

რბილი ავეჯის რესტავრაცია, სამეულების აღდგენა-განახლება, სკამების, მატრასების გადაკვრა-განახლება. ვღებავთ ტყავის სამეულებს. ტელ: 899 27-30-28; 893-37-70-97; 95-97-12. ვალერი

ავეჯის რესტავრაცია! სამეულები, ტახტები, მატრასები; ქსოვილის შეცვლა, დარბილება; მეორადი მოხმარების სამეულებზე ლაქების ამოყვანა, მშრალი წმენდა. ტელ: 76-01-33. გია

საქართველოს დოკუმენტური ფილმების სტუდია „მემატიანე“ გთავაზობთ კინოფილმების (35 მმ, 16 მმ, 8 მმ) შეღავათიან ფასად გადატანას ვიდეოფირზე (VHS, DVD, მინი DV და CD). შეკვეთები მიიღება: აღმაშენებლის გამზ. №164. ტელ: 34-29-75, 34-29-72; 893 30-88-12. სტუდიის დირექტორი რამაზ (ბუბა) ხოტივარი

მკურნალობა

ტრადიციული მეთოდებით მედიცინის მუშაკი მაყვალა ცინცაძე ამზადებს თეთრ მუმიოზე მალამოებს, ხსნარებს და საფენებს. მკურნალობს: ოსტეოქონდროზს (მარილებს), სახსრებს, პოლიართრიტს, საშწვერა ნერვის ანთებას, დისკოზს, კისრის, მენჯ-ბარძაყის, მუხლსახსრის ართროზს. მხოლოდ ჰაიმორიტი იკურნება 8-10 დღეში. განკურნება გარანტირებულია. ტელ: 56-37-37; 899 54-64-81

ისრაელში შემუშავებული მეთოდიკით, გარანტიით იკურნება სკოლიოზი, ოსტეოქონდროზი, ნევროზი, პოსტინსულტური დამბლა, კიფოზი, შაკიკი, დიარეა (კუჭის ქრონიკული აშლილობა), სუბფებრილიტეტი (t = 37,2°C), შიშები, რადიკულიტი, სუიციდის (თვითმკვლელობის) მცდელობები; წონის დაკლება. კონსულტაცია და დიაგნოსტიკა უფასოა. მის: მეტრო „გურამიშვილი“, ძმები გარიშვილების ქ. №18. ანატოლი შავიძე. ტელ: 61-65-03; 893 20-68-21

В балнеолгическом курорте открыт лечебно-диагностичекий центр. Главной особенностью метода является определение „слабых“мест т.е. скрытых болезней, о формировании которых человек еще не догадывается. Тел: 72-04-63; 99-73-09; 893 21-36-58

სმენის აღდგენა და გაუმჯობესება, ყურის ანთების, ხმაურის, ქავილის, ტკივილის მკურნალობა ენერგოინფორმაციის მეთოდით, აპარატურისა და ოპერაციის ჩარევის გარეშე, ყველა ასაკის პაციენტისთვის. ვმკურნალობ აგრეთვე ოსტეოქონდროზს, რადიკულიტს, სისხლძარღვთა შევიწროებას და სხვა. მის: ვაკე, ჭავჭავაძის №37ა, სამების ეკლესიის უკან, თენგიზ აბულაძის ქ. №8. დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი. მიღება – 9-13 სთ. ტელ: 91-31-19; 91-32-42. ლევან სეხნიაშვილი

ძვირფასო მშობლებო, მეუღლეებო, შვილებო, თუ ალკოჰოლიზმი და ნარკომანია იქცა თქვენი ოჯახის, სიყვარულის და მომავლის დამანგრეველ მიზეზად, თუ ვეღარ უმკლავდებით ამ დაავადებისგან გამოწვეულ ჯოჯოხეთურ პრობლემებს, მოგვმართეთ და სულ მალე დარწმუნდებით, რომ უკურნებელი არაფერია. ტელ: 98-86-19; 893 12-71-43. ექიმი-კონსულტანტი ქ-ნი ნინო

ანტიალკოჰოლი და ანტითამბაქო, ნევროზი, უძილობა, შიშები, ინსულტის შემდგომი პერიოდი, ჰიპერტონია, ვარიკოზი, ბუასილი, კოლიტი, სოკო, ფსორიაზი, თვალის დაავადებები, ქრ. ბრონქიტი, ასთმა, ალერგია, კუჭის წყლული – სერტიფიცირებული მცენარეული პრეპარატებით, რომელსაც უკუჩვენება არ გააჩნია – დამზადებულია მოსკოვში, აკადემიკოს ლიხარიოვის ლაბორატორიაში. ტელ: 99-75-90; 899 21-13-66. ლალი

თმის დაავადებები: ქერტლი, ქავილი, გამონაყარი, ბუდობრივი ცვენა (ამოდის თმა), ტილები, წილები, ფრჩხილის სოკო; ფეხის ქუსლებზე ნახეთქები; ოსტეოქონდროზი, სკოლიოზი; კოსმეტიკა, ოფლის ლოსიონი. მის: ჭავჭავაძის გამზ. №2/2 (ჩაის სახლთან). სტომატოლოგიური პოლიკლინიკა. 11-18 სთ. ტელ: 30-94-73; 35-32-62; 22-27-95. ციცო მჭედლიძე

პაციენტისგან ფარულად – ალკოჰოლიზმისა და თამბაქოსაგან გამოწვეული გართულებები. ნაბახუსევის („პახმელიის“) მოხსნა, ჰალუცინაციები, ნევროზები, ჰეპატიტები, სასუნთქი გზების გათავისუფლება. ორგანიზმის ზოგადი გასუფთავება. პრეპარატები უსაფრთხოა. დამზადებულია მცენარეებისა და ნაკურთხი წყლისგან. გაჯერებულია ვიტამინებით. არის უმაღლესი ხარისხის. ტელ: 53-08-02. თამრიკო

ალკოჰოლიზმისა და თამბაქოსაგან გათავისუფლება სწრაფად და ეფექტურად. აგრეთვე ნევროზები, შიშები, უძილობა, კუჭ-ნაწლავის პრობლემები, კოლიტი, ბუასილი, ჰეპატიტები, ვენების ვარიკოზული გაგანიერება, შარდ-სასქესო ორგანოების ანთებითი პრობლემები, ზრდის პრობლემები ბავშვთა ასაკში. ტელ: 32-39-46; 899 43-97-34. ნათია

ალკოჰოლიზმისა და თამბაქოსაგან გათავისუფლება! (მკურნალობა შესაძლებელია პაციენტისგან ფარულად, ოჯახის წევრის მიერ); მათგან გამოწვეული გართულებების მკურნალობა: ნევროზები, ჰეპატიტები, ჰალუცინაციები, ნაბახუსევის („პახმელიის“) მოხსნა, ბრონქების გასუფთავება, კრემლის ყოფილი ლაბორატორია (აკად. ლიხარიოვი – ნობელის პრემიის ლაურეატი). ტელ. 899 22-63-90. ნინო

გთავაზობთ ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ მკურნალობას (შესაძლოა პაციენტისგან ფარულად), აგრეთვე ვენების ვარიკოზული გაგანიერება, ინსულტის შემდგომი პერიოდის, ნევროზების, კლიმაქტერულ პერიოდში წარმოშობილი მოვლენების, ბუასილის, ფსორიაზის მკურნალობას ყოველგვარი გვერდითი მოვლენების გარეშე. მკურნალობა წარმოებს აკად. ლიხარიოვის მეთოდით. ტელ: 893 24-67-49

მასწავლი

კომპიუტერული სტუდია „დაჯი“ კომპიუტერი გიწვევთ კომპიუტერზე მუშაობის, კომპიუტერული ბუღალტერიის, პროგრამირების ენების, უცხო ენების სწრაფშემსწავლელ კურსებზე, შესწავლის გარანტიით, სწავლის დამთავრების შემდეგ უფასო კონსულტაციებით. სწავლების მეთოდი ინდივიდუალურია. გაიცემა სერტიფიკატი. მის: ბარნოვის ქ. №1 („მაკდონალდსის“ უკან). ტელ: 98-44-20; 899 14-03-31

საზაფხულო 50%-იანი ფასდაკლება: საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური“ – კომპიუტერის შემსწავლელი კურსები, თანამედროვე ტექნიკა, საუკეთესო მეთოდიკა, ქართულენოვანი ლიტერატურა, სათანადო სერტიფიკატი. მის: უზნაძის ქ. №70 (ყოფ. კამოს ქ.). ტელ: 29-48-61

ფირმა „ქართი“ აცხადებს მიღებას პროფესიული მომზადების კურსებზე: 1. ვიზაჟისტი; 2. პარიკმახერი; 3. მასაჟისტი. კურსების დამთავრების შემდეგ გაიცემა ლიცენზირებული სერტიფიკატი. მის. აღმაშენებლის №115, კაბ. №20. ტელ: 94-01-82; 95-83-18 (სამს.); 96-22-89 (ბინა)

თბილისის ეკონომიკურ-სამართლებრივი ინსტიტუტი გიწვევთ დასწრებული და დაუსწრებელი სწავლების შემდეგ ფაკულტეტებზე: სამართალმცოდნეობა, ეკონომიკური, უცხო ენები. უმაღლესდამთავრებულები მიიღებიან II, III კურსებზე. ფასი 200 ლარი. ტელ: 32-06-97; 30-51-30; 893 93-38-15. მის: თოფურიას №12. 128-ე საშ. სკოლა (ვაჟა-ფშაველას III-IV კვარტალებს შორის).

შევასწავლი კომპიუტერზე მუშაობას. საოფისე: Windows, Word, Excel, Internet, E-mail, საგამომცემლო და გრაფიკა: Page Maker, PhotoShop., CorelDraw; Quarkxpress, AutoCAD, Arcicad, 3d-MAX; veb-დიზაინი: Flash, Dreamweaver და პროგრამირების ენები. მის. მ. „რუსთაველთან“, რესტორან „სამოთხის“ უკან. გაბაშვილის ქ. 7. ტელ. 98-80-23

ავტოსკოლა ამზადებს ყველა კატეგორიის მძღოლს. სკოლა უზრუნველყოფილია ყველა მარკის მსუბუქი და სატვირთო ავტომობილებით. მოდი, ისწავლე, აიღე მართვის მოწმობა. მის. მუხიანის დასახლება, I მკრ, II კორპ. ტ. 62-02-10; ლადო ასათიანის 2. ტ. 99-53-24; 899-14-14-84

იყიდება

472 კვმ ფართი, რესპუბლიკის მოედანზე, რუსთაველის №37-ში. მიწისქვეშა კომპლექსი. ტელ: 899 11-66-39

ახალი კორეული სატელიტური ანტენა ციფრული მიმღებით. იღებს ქართულ, რუსულ და ევროპულ ტელეარხებს. აჩვენებს ყველგან: ქალაქში, სოფელში, აგარაკზე, მთაში, აგრეთვე საზღვარგარეთ. არხების რაოდენობა – 320; კომპლექტის ფასი – $140; მონტაჟი – $40. რუსეთის 23 ტელეარხი – ფასი $200-მდე, მონტაჟი – 50 ლარი. ტელ: 899 94-27

სმენის აპარატები შეღავათიან ფასად, სპეციალური ინდივიდუალური ყურის ჩასართით, აგრეთვე ელექტრონული და მექანიკური წნევის აპარატები გარანტიით. ტელ. 95-95-22 (10-12 სთ); 93-46-74 (20 სთ-ის შემდეგ); 899 27-38-99

საზაფხულო ფასდაკლება! ახალი კომპიუტერები: pentium-4, AMD და Celeron ნებისმიერი კონფიგურაცის, შეკვეთით; აპარატული და პროგრამული პრობლემების აღმოფხვრა მეორადი მოხმარების კომპიუტერებზე, ადგილზე გამოძახებით. კომპ. ფირმა „ბაზისი“. ტელ: 29-97-82; 899 97-27-63. გიორგი

იყიდება ბამბუკის ძველებურ, ანტიკვარულ სტილში უნიკალური დიზაინით დამზადებული 15-ნაჭრიანი კომპლექტი (დივანი, 2 სავარძელი, მაგიდა, 4 სკამი, ტელეფონისა და ჟურნალების მაგიდები, სხვადასხვა ზომის 5 ტაბურეტი). ფასი $1500. ტელ. 899 95-38-48; 94-12-63

შევიძენ

შავი ლითონის 15-ტონიან ავზებს დიზელის საწვავისათვის. ტელ: 98-40-62

32 სმ-ზე გრძელ თმას. მის: ცენტრალური რკინიგზის სადგური, მე-2 სართული, მაღაზია „ესთეტი“, 12-16 სთ. დასვენება შაბათ-კვირას.

სხვადასხვა

ღმერთისა და კეთილი მკითხველების დახმარება გადამარჩენს!

ავადმყოფობას, რომელიც 100000 ბავშვიდან მხოლოდ 5-6-ს ეჩნდება, მე მიმსხვერპლა, 11 წლის **ეთერ კობაძე**. ბოლო წლებში ჩემს მშობლებს ძალიან უჭირდათ ეკონომიკურად. თუმცა ეს დღეს არც არავის უკვირს. ამის შედეგი გახლავთ ჩემი დიაგნოზი, რომელიც ძვილს ტვინის გასინჯვის შედეგად გამომჟღავნდა თბილისის ონკო ჰემატოლოგიის ცენტრში და ქ. ჰაიდელბერგში (გერმანია) – მწვავე ლიმფობლასტური ლეიკოზი.

ჩემს განკურნებას სჭირდება განსაკუთრებული კვება და ძვირად ღირებული წამლები. მკურნალობის ვადა 2,5 წელიწადია, სრული განკურნების ვადა – 5 წელი ან ძვილის ტვინის გადანერგვა. სამწუხაროდ, ჩემს მშობლებს და ახლობლებს არ გააჩნიათ არავითარი სახსრები ჩემს დასახმარებლად, რის გამოც უმორჩილესად, მუხლმოდრეკით მოგმართავთ, გულთან ახლოს მიიტანოთ ჩემი მდგომარეობა და თქვენი ადამიანური გრძნობიდან გამომდინარე, აღმოიჩინოთ ფინანსური დახმარება ჩემს გადასარჩენად. ყველას გპირდებით, არ შევარცხვენთ ჩემი ქართველობით და ერთ-ერთ საპატიო ადგილს დავიკავებ საქართველოს კეთილდღეობის საქმეში. ჩემი მოძღვარი მამა ანტონი ლოცვა-კურთხევით მეხმარება გადარჩენაში. ძალიან დიდი იმედი მაქვს ღმერთის. ხშირად ვეზიარები. ღმერთმა ყველა დაგლოცოთ და სიკეთე ნუ მოგიშალოთ. ველი თქვენს დახმარებას.

თბილისი, ონკოჰემატოლოგიის ცენტრი, III სართ. მე-12 პალატა.

ჩემი საბანკო რეკვიზიტებია:

ს.ს. „საქართველოს ბანკში“ ლარების ჩასარიცხათ ისარგებლეთ რეკვიზიტებით:

მიმღები კობაძე ეთერი; ანგარიშის ნომერი № 800 911 981

ს.ს. „საქართველოს ბანკში“ აშშ დოლარების ჩასარიცხათ ისარგებლეთ რეკვიზიტებით:

მიმღები KOBADZE ETERI; ანგარიშის ნომერი № 73-201 912 437

საკონტაქტო ტელეფონები: ბინა: 34-12-54; 893-12-53-54

ელ-ფოსტა: Kobadze@yandex.ru

თეიმურაზ ტარიელის ძე ურუშაძის ტკივილიანი მონატრება

მილია ცრემლიანი და ტკივილიანი 13 თვე შენი დაკარგვიდან, ჩემო ლამაზო და მონატრებულო შვილო. 23 წლისამ დაასრულე შენი ხანმოკლე სიცოცხლე. აკადემიაში ასაკით ყველაზე პატარა იყავი, სამსახურშიც „მალიშის" სახელით გიცნობდნენ. ახალ სამსახურზე ოცნებობდი. ბევრს მშირდებოდი, დედიკო, მაგრამ მოხდა საოცრება... ვინ გაგიმეტა 4 ივნისს? ვინ მოიკლა შენი თავი?..

23 წელიწადში ჩაატიე ყველაფერი ის, რასაც ბევრი უფრო ხანგრძლივი დროის მანძილზე ვერ შეძლებდა. შენი ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე ბევრი სიკეთე დათესე, დედიკო, ყველას გულში, ვინც კი გიცნობდა.

უშენობით დაცარიელდა სახლი, ჩვენი იმედი, ჩვენი სიხარული, ახლა კი დაუსრულებელი მწუხარებაა და მოურჩენელი ტკივილი.

მონატრება — რა ძნელი ცნება ყოფილა, დედიკო. როგორ გვენატრები ყველას, გვიჭირს უშენობა. ამბობენ, — დრო მკურნალიაო, მაგრამ ეს ასე არ ყოფილა. ყოველი დღე ერთიმეორეზე უფრო ტკივილიანია. ვერ ვეგუები შენს გარდაცვალებას, კიდევ გელოდები, დედიკო.

ერთადერთი სურვილის ასრულებას უფლება რომ მომცეს ღმერთმა, შენს სიცოცხლეს ვინატრებდი, დედიკო — შენ ხომ ჩემთვის მუდამ პატარა იყავი.

იძინე ტკბილად, ჩემო ვაჟკაცო. ვინც ღმერთს უყვარს, უდროოდ კვდება. ღმერთს ვთხოვ, მალე მაპოვნინოს შენი თავი.

ნაზი

რეზო (ბაჩო) რუხაძის მონატრება



26 ივლისს 61 წელი შეგისრულდებოდა. უდიდესი ტკივილი მოგვაყენა შენმა უდროოდ წასვლამ. დიდია დანაკლისი, რომელიც თითოეულმა ჩვენგანმა განიცადა და ალბათ არც არასოდეს შევსება ის სიცარიელე, რომელსაც უშენობა ჰქვია. სიკეთის ქმნა შენი ცხოვრების წესი იყო და ამ გზით მიდიხარ ზეციურ საქართველოში. უხმაუროდ, მშვიდად დადიოდი თბილისის ქუჩებში და აკეთებდი იმას, რაც წესიერ და პატიოსან კაცს შეშვენის, ყოველთვის იქ იყავი, სადაც მეგობრებს, ახლობლებს მხარში დგომა სჭირდებოდათ. პლეხანოვზე დაბადებულს და გაზრდილს ბევრი ნაცნობ-მეგობარი გყავდა, ყველას დაგვწყვიტე გული. ნუგეშად ისევ შენი ბრწყინვალე ოჯახი გვრჩება.

შენს პატარა შვილიშვილებს — ქეთის და ელენიკოს ალბათ ყოველთვის ემახსოვრები, როგორც კეთილი და სათნო ბაბუა.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული.

მეგობრები

ვაჟა დათუაშვილის ტკივილიანი მონატრება



მეორედ მოვიდა გაუსაძლისი ტკივილით, ცრემლით, მწუხარებითა და უბედურებით სავსე შენი დაბადების დღე — 12 ივლისი, უშენოდ. 35 წლის გახდი. ვაი, რა ძნელი ყოფილა, საფლავზე რომ გილოცავდ დაბადების დღეს 35 ვარდით და 35 ანთებული სანთლით, ცრემლით, იმედგადაწურულები, რომ შენ არასოდეს აღარსაიდან გამოჩნდები, რომ უშენობა მწარე სინამდვილეა და ამ მწარე სინამდვილესთან პირისპირ ვდგავართ და მაინც ვერ დაგვიჯერებია. როგორ გვენატრები, გვენატრება შენი ნახვა, შენი ხმის გაგონება. უბედურ დედაშენს სულ შენი ხმა ჩაესმის, შენ ელანდები და ჰგონია, რომ სადაცაა კარებს გააღებს და შემოვა. მისი ფიქრიდან არასოდეს გამოხვალ. თავს ვერ იმშვიდებს, ვერ წყნარდება. რითი ვანუგეშოთ? უშენოდ ჩვენს ცხოვრებას ფასი აღარ აქვს. ყველაფერმა აზრი დაკარგა, თითქოს გაიყინა და გაქვავდა, არამარე სიკვდილმა ვერ მოკლა ჩვენი სიყვარული. ახლა უფრო მეტად გვიყვარხარ და გვენატრები. დიდმა სიყვარულმა დიდი მონატრება იცისო... შეგვიყვარდა ის ცხოვრება, რითიც შენ ცხოვრობ. შეუძლებელია, რომ შენ ჩვენ გვერდით აღარ ხარ, მაგრამ ვაი, რომ ეს სიმართლეა, ჩვენო მოურჩენელო, ცრემლიანო ტკივილო. წახვედი და გაიყოლე უამრავი ფიქრი და აუხდენელი ოცნება. ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე დიდი ტკივილი დატოვე ახლობლების, მეგობრების გულებში. რაც დრო გადის, უფრო ძნელი და მტანჯველი ყოფილა უშენობა. ძალიან გვენატრები და გვინდება შენი ნახვა. ვინ თქვა, დრო მკურნალიაო. არა, ახლა უფრო გვიჭირს უშენოდ ყოფნა. რომელი დრო განკურნავს უბედურ დედაშენს?! დედის მოუშუშებელო ჭრილობავ, თვალებზე ცრემლი არ შეშრობია, სულ შენს მოგონებასა და ძახილშია. ალბათ ღმერთი ატანინებს და აძლებინებს, თუ ამას გაძლება ჰქვია. სიკვდილს მოუკვდეს შვილი, შენს ბედისწერას დაეწვას კალამი, იქნებ მაშინ მაინც არ დაუშვას უდროოდ სიკვდილი. ყველაზე დიდი სასჯელი და წამება დედაშენისთვის ახლა სიცოცხლეა. შენ იყავ ოჯახის აზრი. გვენატრები და გვიყვარხარ უფრო მეტად... არასოდეს დაგვივიწყებთ... რატომ დაგწერა განგებამ ასეთი უბედური ბედი? შენ ჩვენთან ხარ ყოველ წუთს, ჩვენ გვერდით. გელაპარაკებით და თავს ვიჯერებთ, რომ ვაჟა მალე მოგვივა-თქო. ასეთი შთაგონებით ვიქნებით ჩვენი არსებობის მანძილზე, შენს მოლოდინში. დედაშენს სიზმარშიც ხომ უთხარი, გახარებული დავბრუნდები თუ მოვბრუნდები... ნეტავ მართლა!

ჩვენი დანთებული სანთლები გზას გაგინათებს და დაგიმკვიდრებს ცათა სასუფეველს. ჩვენო მოუშუშებელო ჭრილობავ, გაუხარელო, ტკივილამდე გვაკლიხარ, გვენატრები და ვლოცულობთ შენთვის.

მიდი, გულში ჩაგიკრავთ, გაგვაბარე ყველანი,
რა იქნება, ძვირფასო, ჩვენც ერთხელ გამოიხედო?!
ნუთუ არ გენატრება ის კედელი, ის სახლი
სადაც ფეხი ადგი, სადაც გულით ხარობდი?

კიდევ ერთხელ გილოცავთ დაბადების დღეს ზეციურ სასუფეველში. რა ვქნათ, თავი რით ვინუგეშოთ?! იქნებ შენ მიგვანიშნო ზეციური სასუფევლიდან.

დედა, ძმა, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, ბებია დარეჯანი, ბიცოლები, ბიძები

რომან შარიას გახსენება



ექვსი თვე სრულდება იმ ავადსახსენებელი დღიდან, როცა დედამიწიდან, ცეცხლის ალს გაუყვა შენი სული ზეცისკენ მარადიულ სასუფეველში. რამდენი განუხორციელებელი ფიქრი და ოცნება დაიფერფლა წამებში. ტრაგიკული აღსასრული გარგუნა განგებამ. ვერაფერი მოასწარი, გარდა ულევი სიყვარულის მოფრქვევისა ნათესავ-მეგობრებში.

დედიკო ელოდება ძახილს ბედისწერისას, ჯერ კიდევ გაბრუებული, მხოლოდ ერთს გთხოვს — სიზმრად მოევლინო...

ვინც არ დაჭრილა, იარასაც არაფრად აგდებს თურმე... ძნელია იმ ტკივილის ფურცელზე გადატანა, რაც გულში ჩაბუდებულა და აჩმის კვარტივით გაბერილა. ბუნების უდიდესი მადლი, გარემოსთან შეგუების უნარია, მაგრამ ახია მასზე — გარჩევა არ სცოდნია ავისა და კარგისა.

ყველანი თვალცრემლიანი ვიხსენებთ შენი 27-ე გაზაფხულის არმოსწრებას, მაგრამ ვაი, რომ უძლურნი ვართ... თურმე მხოლოდ ზღაპარს ჰქონია კეთილი ბოლო. ჩვენ ისღა დაგვრჩენია, ქრისტიანული წესით გავაპატიოსნოთ შენი სული.

დრო დუმს... შენ არ ავიწყდები... ღმერთმა დაგტოვა ლამაზ მოგონებად.

ოჯახი

თემურ ცხვიტავას გახსენება

წელიწადი — რა ტკივილს და სიმძიმეს იტევს უშენოდ განვლილი დროის ეს მონაკვეთი. შენმა წასვლამ ჩვენთვის სამყარო შეცვალა, რომელსაც შენი გულის სითბო და რაინდული ბუნება ამშვენებს.

ჩვენ ვგრძნობთ შენი მფარველი სულის სიახლოვეს, სიყვარულისა და მონატრების გრძნობა ხომ ყველა საზღვარს და განზომილებას გადალახავს.

იდეალებით ნაკვები შენი მართალი სული ვერ ისვენებდა მიწაზე, ვერ ეგუებოდა და ებრძოდა სიმდაბლესა და სიმახინჯეს. ასეთი მშვენიერი და გამორჩეული ამ წუთისოფლისმიერი არც იყავი თითქოს.

ვერ ვეგუებით უშენობას, ლოცვით გვერჩებით და ვიმედოვნებთ, რომ ისევ შენ მიერ უანგაროდ გაბნეული სიკეთე გაგვინათებს გზას ზეციურ სასუფეველში.

ოჯახი

დათო ყვანიას მონატრება

დათო, ბებო, მეორე 13 ივლისი მითენდება უშენოდ. როგორ მენატრები, ბებო, როგორ მენატრება შენი მოფერება, შენი თითოეული ნაკვთის შეხება და მოალერსება. შენ მდუმრად გულში შენს ტანსაცმელს ვიხუტებ რომელიც სიკვდილის წინ წუთებში გეცვა და მერე საიდუმლოდ ფეხსაცმელებში დამალე.

სული მეხუთება ბებო, გული მეწვის, გიყვარ ვემსგავსები, ჩემო საყვარელო. სახლში ვერ ვჩერდები. დავდივარ, დაგეძებ, ხან მეტერიას ნაპირზე, ხან სახლში, ხან სინაკში. გეძებ, ბებო, მაგრამ ვერ გპოულობ, ჩემი სიცოცხლევ გული მიკვდება, დედაშენს რომ ვუყურებ. ძნელია ბებო, შვილმკვდარი შვილის ყურება და ნუგეშისცემა.

მიჭირს, ბებო, უშენოდ, მიჭირს, შენთან მოსვლაც ღვთის ნების გარეშე არ შემიძლია. და ასე მიდის ბებიაშენისთვის ეს გატანჯული და ნაძალადევი დღეები, იმ იმედით, რომ იმ ქვეყნად ერთად ვიქნებით...

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სპეტაკი სული, ჩემო საყვარელო დათუნია.

შენი მზიანა (ზიკო) ბებია

დათო ყვანიას მონატრება

გავიდა ორი ჯოჯოხეთური წელიწადი. ტკივილითა და გოდებით მოგვახლოვდა 13 ივლისი — შენი ამ წუთისოფლიდან უეცრად წასვლის დღე. ძალიან ძნელია უშენობა, დათო. რაც დრო გადის, უფრო გვენატრები და გვიყვარხარ, მაგრამ ვაი, რომ მონატრება მონატრებად რჩება.

სანთლებს აგინთებთ, ჩემო დათუნა და უფალს შევთხოვთ, ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი, უმანკო სული.

მაგული, მალინა მურმან კობერიძეები, მაკა, სოფო დანიელიები

ტრისტან მირაშვილის ხსოვნას!



დაბადების დღეს გილოცავთ, მამა! ერთი წლის წინ, მოულოდნელად შეწყდა შენი გულისცემა. 16 ივლისს შენი დაბადების დღეა, 58 წლის გახდებოდი.

ნეტავ იცოდე, როგორ გვენატრები. დიდი ტკივილია უშენობა, ყველას ძალიან გვაკლიხარ — შვილებს, მეუღლეს, ახლობლებს.

დაგვიტოვე მხოლოდ მოგონებები და სურათები, სადაც თბილი, მოსიყვარულე სახით იყურები.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული. ჩვენ მიერ დანთებულმა სანთლებმა გაგინათოს გზა მარადიული სასუფევლისკენ.

შენი ოჯახი

მანანა ძიძიკაშვილის გახსენება



შენ ჩემო სიყრმის შვილო, პატარა ოქროს მზევასო,
დედის იმედი დიდო, შენი ოჯახის ბურჯო.
ჩააქრო შენი ვარსკვლავი გზად მოთარეშე მძღოლმა,
მონატრებად შვილები, ვის აბარა ნეტავ?!
ნეტავი, ჩემო მანანა, დედა გყოლოდა იქ მაშინ,
თვით ამოგლო სული, შენთვის ჩაედგა მაინც.
შენი შვილები გნატრობენ, უნდათ დედიკოს ნახვა,
ალერსიანი სახე და დაუღალავი შრომა.
რატომ სიზმრად არ მეჩვენე, ჩემო ჭიკჭიკა მერცხალო,
რომ მოგეფერო, დაგკოცნო, გულში ჩაგიკრა, შვილო.
შემდეგ კი ერთად ვიმგზავროთ, აღარ გაგიშვებ მარტო,
შენთან ვიქნები მუდმივად, აღარ დაგტოვებ მარტო.

მონატრება

მანანა, 4 ივლისს 47 წელი შეგისრულდებოდა. 10-მა წელმა განვლო უშენოდ. ძალიან გვენატრები ყველას, განსაკუთრებით კი შვილებს — ნათიას და ლერის.

ნათელში იყავი, ჩემო უდროოდ — 37 წლის ასაკში წასულო შვილო. შენს სიცარიელეს ჩვენს გულებში ვერაფერი ამოავსებს.

დედა იზოლდა ძიძიკაშვილი-გელაშვილისა

გიორგი ზასეშვილის მონატრება



დაბადების დღეს გილოცავ, ჩემო სიცოცხლეზე შეყვარებულო შვილო, გიორგი!

დედიკო გენაცვალოს, ჩემო გიო, მიყვარხარ და მენატრები ძალიან, როგორ მინდა შეგეხო და მოგეფერო. დამძლია უშენობამ, მგონია ამ ტკივილით დავიბადე, კვნესის შენი მშობლების გული.

რა თავზარდამცემი დღე გაგვითენდა — 2003 წლის 21 იანვარი, სკოლისკენ მიმავალს... წამებში... ვიღაც გონებადაბინდულის ბიჭურ ქროლას შეეწირა ორი ლამაზი მეგობრის სიცოცხლე — „ზასია" და „ბზუილასი". რა დიდი ფიქრები და ოცნებები გქონდათ, ბიჭებო, მაგრამ ვერც ერთი სურვილი ვერ შეისრულეთ. სიცოცხლე რომ შეიგრძენით, სიყვარული რომ გეწვიათ, მაშინ... თქვენც არ ელოდით...

წამი არ არსებობს შენ გარეშე, ჩემო გიო. გულის ტკივილამდე ენატრები, უყვარხარ და აკლიხარ ყველას, ვინც შენ გიცნობდა. მე კი გიორგი, შვილო, შენს თვალებში ვეძებ ჩემს მოუსვენარ და მოსიყვარულე ბიჭს.

გვიყვარხარ, გვაკლიხარ, გკოცნით და გეფერებით, ჩვენო 18 წლის ვაჟკაცო.

შენი გულმოკლული მშობლები

ვალერი სინატაშვილს!



წელიწადი გავიდა, რაც წახვედი ჩვენგან:
„სული უსაშველოდ ფორიაქობს, ვეღარ გაუძლებს ნატვრას
ირგვლივ ყველაფერი შავი არის, გრძნობებს ჩაუცვიათ ძაძა,
ცხოვრება ტკბილ-მწარე წამია, ჩვენ მწარე გვერგო ალბათ,
ოჯახს ენატრები კეთილი — შვილი, ძმა, მეუღლე და მამა.

მაყვალა ბარამიშვილის, რეზო ფურცხვანიძის ხსოვნას!





ჩემო ერთადერთო, სათაყვანო დაიკო. შენ უკვე შეხვდი საყვარელ მეუღლეს — რეზოს. ამ დღეებში ორმოცი დღე შესრულდება შენი გარდაცვალებიდან. ღმერთით ორივეს შევყურებ სურათებს. აღარ მეშინია სიკვდილის, რადგან თქვენ მეგულებით იქ თქვენი სამარე ჩემი გულია.

შენი უბედური და ნათელა

ვასიკო ცხადაიას ხსოვნას!

ცრემლებით დასველებული

რას ვიფიქრებდი, თუ მე შენ სატირალ ლექსს დაგიწერდი,
სტრიქონებს ვეღარ ვხედავ, სავსე მაქვს თვალი ცრემლებით.
რად გაგიმეტა ბუნებამ, სიცოცხლის დასატოვებლად,
დედ-მამის დამტირებელო, შენ გახდი მაგათ სატირლად.
სულ ახალგაზრდა წახვედი, დატოვე შენი სახლ-კარი,
რა ეშველება შენს მშობლებს, რატომ წაართვი საფლავი.
ჩვენო ლამაზო ვასიკო! არ გვემეტები შავდღისთვის,
სამარადისო ყოფნაში ნათელი გედგას მარადის.

ოჯახის მეგობარი მერი ფხოველიშვილი

P.S. წინა ნომერში დაშვებული შეცდომის გამო ვასიკო ცხადაიას გახსენებასთან დაკავშირებით, ბოდიშს ვუხდით განსვენებულის ოჯახს.

სოსო ჩხეიძის გახსენება

შვილო სოსო, 2 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც მწარე მოგონებები გვაკავშირებს შენთან. ვინ თქვა, შვილო, დრო მკურნალიაო. რაც დრო გადის, მით უფრო ძლიერდება ცეცხლი შენი მშობლების გულში. ჩვენო ნებიერა შვილო, უკვე მესამე დაბადების დღეს გილოცავთ უშენოდ. ღმერთს ვევედრებით, შენი ლამაზი სული აცხონოს და ნათელში ამყოფოს მარადიულ სასუფეველში. ჩვენო საყვარელო და ყველასათვის კეთილო ადამიანო! სიზმრად მაინც მოგვევლინე და გვითხარი, — როგორ ხარ უჩვენოდ? იქნებ იმიტომ იღიმები, რომ იქ ხარ, სადაც ანგელოზნი გეფერებიან. ჩვენ კი ის იმედია დაგვრჩენია — მოვა დრო, დაგვხვდები სამოთხის კარიბჭესთან, ისევ გაგვიღიმებ შენი ჩვეული ღიმილით. ამის მერე კი ვეღარაფერი დაგვაშორებს.

შენთვის ვილოცებთ, სანამ ვიცოცხლებთ.

შენი მშობლები

შოთა ბაზიარის მონატრება



9 თვე გავიდა, რაც შენ მოულოდნელად მიგვატოვე და ზეციურ სასუფეველში გადასახლდი. 9 თვე გვაშორებს საშინელ 30 სექტემბერს. წახვედი და მარადიული ტკივილი დაგვიტოვე ჩვენს თვალებს ცრემლი არ აშრება. ძალიან გვენატრები, ერთადერთო ძმაო და ბიძავ, ჩვენო თბილო, კეთილო, ლამაზო, გულმართალო ძალო. შენ მარტო ძმა და ბიძა კი არა, ჩვენი სულების მესაიდუმლეც იყავი, ყველას ჭირვარამის გამზიარებელი, სითბოსა და სიკეთის უშურველად გამცემი ყველას აკვირვებდა შენი სიკეთე, მოთმინება, გულისხმიერება, ნიჭიერება, „ოქროს ხელები". მაგრამ შენს სულში ჩაწვდომა ყველას როდი შეეძლო...

ძალიან გვენატრები, ჩვენ ხომ ერთმანეთის სიხარულითა და ტკივილით ვცოცხლობდით, ჩემო ერთადერთო უმცროსო ძმაო, ჩემო მოუნელებელო ტკივილო.

15 ივლისს შენი დაბადების დღეა. მოვალთ შენს საფლავზე ყვავილებით, სანთლებით და უფალს შევთხოვთ, ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული. დაბადების დღეს გილოცავთ, ჩვენო საყვარელო და სანატრელო ძალო!

შენი და და დისშვილები

ვანო ბიჭაშვილის მონატრება



ჩვენო საყვარელო მამიკო! 15 ივლისს 67 წლის გახდებოდი. მეორე წელია იმ საბედისწერო დღიდან, რაც ჩვენ გვერდით აღარ ხარ. ვერავინ და ვერაფერი ავსებს იმ აუტანელ სიცარიელეს, რომელიც შენ დაგვიტოვე.

მთელი შენი ცხოვრება ღირსეულად გაატარე. იყავი შრომისმოყვარე, თავდადებული, ოჯახზე უზომოდ შეყვარებული, მზრუნველი მამა, საყვარელი მეუღლე და საოცრად მოსიყვარულე ბაბუა. ვიხაროდა სიცოცხლე, სითბოსა და სიყვარულს გვინაწილებდი ყველას.

ღმერთმა ნათელი ნუ მოაკლოს შენს სპეტაკ სულს. ანთებულმა სანთლებმა გაგინათოს გზა და დაგიმკვიდროს ცათა სასუფეველი.

შენი საყვარელი მეუღლე, შვილები და შვილიშვილები

პატივება, მონატრება, ტკივილი

დედის — ბაბორა (ბარბარე) გოგუაძის ხსოვნას!

ჩემო მონატრებულო დედიკო, ჩემთვის და ყველასთვის კარგო, კეთილშობილო, დიდსულოვანო, ოჯახის ერთგულო, მეგობრებისა და ნათესავების მოსიყვარულევ და მზრუნველო, ყველას ჭირისუფალო და გაჭირვების ტალკვესო, მე, შენი ერთადერთი შვილი ნინო კაკოიშვილი ვერ დაგიდექი ტკივილების დროს გვერდით, იძულებით სხვა ქვეყანაში ყოფნის გამო. ვერ გიჭირისუფლე. მაპატიე სიშორე, დედა.

ბევრი ჩემი მეგობარი ასეთივე მონატრებული ტკივილით არის უცხოეთში, თან თავის წასულ მშობლებს ტირის, თან ვიღაცის მშობელს უვლის, რომ ოჯახი არ დაეხოცოს შიმშილით. არ ვიცი, როდემდე უნდა ვიყოთ ასეთი გაწირულები და დასჯილები.

შენი მაღალი სული ვიცი, ყველაფერს გაიგებს, ჩემო დედიკო. მაპატიე იძულებითი სიშორე...

გკოცნი, მენატრები, ვტირი და ვეფერები შენს სულს. მადლიანი ქალი ყოფილხარ, პეტრე-პავლეს მარხვაში რომ დალიე სული. დედიკო, მამის იმედი მაქვს, რომ მიგხედავს იმ ქვეყნად.

მაპატიეთ ორივემ.

შენი მონატრებული ნინო

მანანა ჭიჭინაძე, ირმა ჭიჭინაძე, თეონა ბექაური იზიარებს ნინო კაკოიშვილის ოჯახის მწუხარებას დედის

ბაბორა (ბარბარე) გოგუაძის

გარდაცვალების გამო

დათო მამსურაძის გახსენება



დედის მონატრებულო ერთადერთო იმედო, ორი ზაფხული მიდის უშენოდ. შენ ხომ ოცდაათი წელი იცხოვრე ამქვეყნად რომ წარმოვიდგენ, მთელი ცხოვრება უშენოდ უნდა გავატარო, გული მეთუთქება არ მინდა დავიჯერო, მაგრამ რა ვქნა?! განა მოიძებნება სიტყვა შვილმკვდარ დედის სანუგეშებლად, მაგრამ დამრჩა ნუგეშად შენი ნიკალა, შენი სიცოცხლის გამგრძელებელი, რომელიც გელოდება, როდის ჩამოვრჩინდები ვერ კიდევ სცერა შენი მოფერებას. მერე რა ვქნა, რით მოვუშუშო ეს ტკივილი?! მოუშუშებელი ტკივილი ვენება სულ, მაინ მონატრებული ოცნებებით იცხოვრებს.

შენ ხომ უსაზღვრო, ლამაზი სიყვარული იცოდი. 20 ივლისის გახსენება — ეს აუტანელი ტანჯვაა, მარტო შენი უბედური დედისთვის კი არა, ყველასათვის, მთელი სანათესაოსათვის. გაუსაძლისად გვენატრები და გვიჭირს უშენობა. ისღა დაგვრჩენია, მოვიდეთ შენს „სახლში", როგორც ამას შენი ნიკალა ეძახის, ავანთოთ სანთლები, ვევედროთ უფალს, ნათელში ამყოფოს შენი უცოდველი სული, ჩემო დათუნა.

შენი საცოდავი დედა, ქეთი, ნიკალა

სოსო შოშიტაშვილის მონატრება



შვილო სოსო! 9 ივლისს 11 წელი გახდა, რაც მამულის მთლიანობისათვის ბრძოლაში დაიხარჯა შენი ლამაზი სიცოცხლე დიდი ტკივილი ხარ ჩემთვის და შენი გაუბედურებული ცოლშვილისთვის. ვიტანჯები, რომ შენ ვერ ხარობ შენი შვილის შეხედვით, მწარედ ჩამესმის ყურში შენი და შენი ძმა ბადრის ნათქვამი „დე" — ვინ მოიგონა დედაშვილობა, მერე კი ასეთი ტანჯვა?!

მაპატიეთ, შვილო, რომ უთქვენოდ დავბორიალებ ამ ქვეყანაზე. ღმერთს ვთხოვ, ნათელში გამყოფოთ თქვენს მშობელ მამასთან ერთად.

დედა — ლელა შიომღვდლიშვილი-შოშიტაშვილისა

ვენერა და მარიამ ალხანაშვილების მონატრება

ვენერა! შენი განშორებით გამოწვეული ტკივილი არ გაგვნელებია, რომ „სხვა დაგვერთო ჭირი ჭირისა". ახლა უკვე დედასაც ვგლოვობთ. თქვენ ყველასთვის და ყოველთვის იყავით მშვენიერების, სიკეთის, იმედის სიმბოლო და ასეთად დარჩებით ჩვენს გულებში.

ნათელში ამყოფოს ღმერთმა თქვენი სპეტაკი სულები.

ნაზი ალხანაშვილი, გურაშვილების ოჯახი

კაკო (აკაკი) პაპაშვილის მონატრება

გავიდა უკვე 40 ტკივილიანი დღე, კაკო. შენს ოჯახს, დედას და ახლობლებს ძალიან უჭირთ უშენოდ. შენ ხომ ყოველმხრივ რჩეული იყავი შენი ბუნებით, ვაჟკაცობით და კაცურკაცობით.

გულისტკივილით გიგონებთ.

პავლე და მიხეილ ნადირაძეები

ნორა ქორთუაშვილის მონატრება

უკვე ერთი წელი გავიდა, რაც დატოვე ეს სამყარო და გადაინაცვლე მარადიულ სასუფეველში. ძალიან გვენატრები, ჩვენო კეთილო, საყვარელო დედა!

როგორი ბუნებაც გქონდა, სიკვდილსაც ისე ჩუმად, მდუმარედ შეხვდი. არაფერი გვითხარი, თან წაიღე შვილების, შვილიშვილებისა და ახლობლების უსაზღვრო დიდი სიყვარული.

ნათელში ამყოფოს შენი ალალი სული უფალმა, კეთილო დედავ და ბაბოვ.

მაგული, გონელი მაკა და სოფო დანელიები

ჯანგული მენთეშაშვილის მონატრება



ნათქვამია, სანამ ხსოვნა ცოცხლობს, ადამიანიც ცოცხალიაო, ისიც უთქვამთ, რომ ხსოვნა სინდისივით არის და სიკვდილზე ძლიერია. შენც სიკვდილზე ძლიერი ხარ, დედა და მუდამ ცოცხალი დარჩები შენი შვილებისათვის. საოცრად ხანმოკლეა წუთისოფელი, რომელიც ხშირად მთელ სიცოცხლეს იტევს. პირველად მოვიდა ზაფხული უშენოდ, შენი დაბადების დღე — 10 ივლისი. შენს საფლავზე უამრავი ყვავილი, ცრემლი და სანთელი ილევითება. „მკვდრად იგი თქმულა, ვისაც აქ სახელი არ დარჩენია" — ამით ვინუგეშებთ თავს და გილოცავთ დაბადების დღეს, დედა!

პოეტს უთქვამს, — მე ის მზე უფრო მიყვარს, რომელიც ჩემი სიკვდილის მეორე დღეს ამობრწყინდებაო, — შენ ალბათ იმ მზეს შეეფრთხი.

გვენატრები! უსაშველოდ გვენატრები, დედა! შენ გარეშე ყოველდღიურ მოგონებებად და ფიქრებად ვიქცით, ჩვენო დიდო საგანძურო, ჩვენო ტკივილო, მაგრამ დიდო იმედო.

შენი შვილები: თამილა, შიო, ნიკო ოჯახით

თინათინ იმნაიშვილის გახსენება

თინა, თინიკო, ჩვენო საყვარელო მეგობარო და მეზობელო! აგერ ორმოცი დღე გადის, რაც შენ ჩვენ გვერდით აღარ ხარ. გვაკლიხარ, ძალიან გვაკლიხარ! ძალიან გვაკლია შენი მუდამ ღიმილიანი და სათნოებით აღსავსე შეხვედრა, მუდამ სხვის საფიქრალზე დაფიქრებული შენი სახე. წახვედი და თან წაიღე იმედი, რომელიც შენგან გვქონდა. გვერდით გვედგა ლხინსა თუ ჭირში, მუდამ დაუზარელი, თანადგომით აღსავსე ვერავინ შეავსებს შენს ადგილს სამეზობლოში და ვფიქრობთ, არა მარტო სამეზობლოში — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო ბიბლიოთეკაშიც. ჩვენ, შენი მეზობლები მოწმენი ვართ, როგორ იყო ხოლმე დროდადრო შენი ბინა გადატვირთული საზღვარგარეთის სხვადასხვა წიგნადი ფონდიდან შენი ღვაწლით მოპოვებული უნიკალური გამოცემით, რომელიც შენი ხელით ჩატქინდა საქართველოს სხვადასხვა ქალაქის — ქუთაისის, ბათუმის, ახალციხის და სხვათა ბიბლიოთეკებში. ალბათ იქ, სამუდამო სასუფეველშიც საკადრის ადგილს დაიმკვიდრებ.

ღმერთს ვთხოვ, ნათელში ამყოფოს შენი უმწიკვლო სული.

უახლოესი მეზობლები



დედა თამარ სხირტლაძე, მამა კოტე თოლორაია, მეუღლე მარინა წულუკიძე, შვილები რუსუდან, თაკო, სიძეები გიორგი ქავთარაძე, გიორგი ესაიაშვილი, შვილიშვილები ნინო, დიმიტრი ლორთქიფანიძეები, ცოლისძმა დავით წულუკიძე ოჯახით, მახლობლები ლენი ესაიაშვილი, ნატა ქართველიშვილი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

თამაზ კოტეს ძე თოლორაია

პანაშვიდი: 11 ივლისს — ტაბიძის ქ. I კორპუსი, I სადარბაზო; 12 ივლისს — კინომსახიობთა თეატრი, აღმაშენებლის №164.

გამოსვენება: 13 ივლისს, 15 საათზე, კინომსახიობთა თეატრიდან. აღმაშენებლის №164.

მიხეილ თუმანიშვილის სახ. კინომსახიობის თეატრი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა მსახიობი

თამაზ თოლორაია

გიორგი (გია) ვახტანგის ძე დვალი



კიდევ ერთი, კრისტალურად სუფთა, უმწიკვლო, პატიოსნებით აღსავსე, ღვთისნიერი კაცი, სამშობლოს გულანთებული პატრიოტი დააკლდა ქვეყანას, მთელ სამეგობროს, ჩვენს ოჯახს, სანათესაოს.

ჩვენო ძვირფასო ვაჟკაცო, გულითა და სულით საყვარელო შვილო, ძმა და ბიძავ, მეგობარო, რა გულმა უნდა გაგვიძლოს უშენოდ, შენი მუდამ კეთილი, ღიმილიანი და იმედით შეპყრობილი თვალების გარეშე. დღეს შენი სული ისევ აქ ტრიალებს, ემშვიდობება საყვარელ ადამიანებს, ოჯახს.

გაუსაძლისია ჩვენი ყოფა და კიდევ უფრო ძნელი იქნება ხვალ, როცა მშობლიურ მიწას მოგაბარებთ. მშვიდობით ძვირფასო გია!

ოჯახი, მეგობრები



სამეცნიერო-საწარმოო ცენტრის „საქპარტდაცვის" კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცენტრის მთავარი მეცნიერი

ბატონი იური მიხეილის ძე ნადარაია

და თანაგრძნობას უცხადებს გარდაცვლილის ოჯახის წევრებს, ნათესავებს და მეგობრებს.

ჩვენ გვწერენ

წვიმიან დღეს

თუკი მოჩვენება ასეთია — დაგენახვება და ხელს ვერ შეავლებ, მაშინ აქ ნამდვილად მათზე იქნება ლაპარაკი. თბილისის შუაგულში ვცხოვრობ. საკმაოდ კარგი ხედი იშლება ჩემი ფანჯრებიდან. ძალიან მიყვარს ქუჩაში ყურება. ბავშვობიდან მახსოვს, წვიმის შემდეგ მშობლები ეზოში გასვლას რომ დამიშლიდნენ, მივადგებოდი ფანჯარას და ასე გამყავდა მოსაწყენი საათები. კარგად მახსოვს, თითქმის ყოველი წვიმის დროს ჩვენი ფანჯრების წინ სამი ახალგაზრდა დგებოდა. იქვე მანქანაც ეყენათ. ერთმანეთს ეკამათებოდნენ. სასაცილო იყო, რომ მანქანაში კი არ ისხდნენ, წვიმაში ილუმპებოდნენ...

გავიდა დრო, წამოვიზარდე, ფანჯარაშიც უფრო იშვიათად ვიყურებოდი. ამას წინათ შემთხვევით საღამოს თქეშისას გადავიხედე ქუჩაში. ისევ ის ბიჭები დავინახე. გამახსენდა ბავშვობისდროინდელი შთაბეჭდილებები, ძალიან დავინტერესდი, ვინ იყვნენ და ქუჩაში ჩავირბინე.

ძლიერი ქარი და წვიმა იყო. კარგად გავარჩიე, რომ სამი კაცი ერთმანეთს გაცხარებით ელაპარაკებოდა. ერთს ლურჯი ქურთუკი ეცვა, მეორეს — წითელი სვიტერი, მესამეს კი თეთრი ხალათი ჰქონდა შემოხურული — ალბათ ექიმი იყო.

სულელები, — გავიფიქრე, — შეიძლება ასეთ თქეშში დგომა?! — და რატომღაც ხუმრობის გუნებაზე დავდექი. ვიფიქრე, მივალ და ვეტყვი, რა სულელურად გამოიყურებიან-მეთქი. ისინი თითქოს ვერც მამჩნევდნენ. შუბლზე წვიმის წვეთები ეცემოდათ... ხმაურში არ მესმოდა, რას ლაპარაკობდნენ, მაგრამ რაღაცაზე კი კამათობდნენ. მივუახლოვდი და ხმამაღლა დავიძახე — ერთი წუთით, ბიჭებო!..

არც ერთი არ განძრეულა, ისევ განაგრძობდნენ ლაპარაკს. მაშინ თეთრხალათიანისაკენ ხელი გავიწოდე, მინდოდა იდაყვზე შევხებოდი და... საოცრება მოხდა. ადამიანებს, მე რომ ვხედავდი, მხოლოდ გამოსახულება ჰქონდათ. არანაირი სხეული, ხელშესახები მყარი მატერია მათ არ გააჩნდათ. არადა, მე ისე ახლოს ვიყავი მათთან!

რა საშინელება ყოფილა მოჩვენებებთან შეხვედრა. აკანკალებული ვიდექი თავსხმაში და ადგილიდან ვერ ვიძროდი. ბოლოს, თითქოს, ჰაერში განივთდნენო, სამივე მოჩვენება გაქრა...

ძლივს ავლასლასდი შინ. მუხლმოკვეთილი დავეცი ლოგინზე.

მას შემდეგ, ყოველი წვიმისას ფანჯარას ვარ აკრული. ხან არაფერი ჩანს, ზოგჯერ კი სამი მოჩვენება ისევ გამოჩნდება. ერთმანეთს ელაპარაკებიან.

ვეღარ მოვითმინე და ჩემი გასაჭირი მეზობელს ვუთხარი. ძია ვანო წლების განმავლობაში აქვე — ჩვენი სახლის ქვეშ, მაღაზიაში დარაჯად მუშაობდა. მთელი ცხოვრება აქ აქვს გატარებული. შუბლი შეიჭმუხნა, რომ მომისმინა. ჩემს ახალგაზრდობაში ასეთი რამ მოხდაო, — მითხრა, — ერთ წვიმიან საღამოს მაღაზიასთან მანქანა გაჩერდა, ორი ბიჭი გადმოხტა, მათ ექიმიც გადმოჰყვა, ხელში წითელჯვრიანი ჩანთა ეჭირა და მოპირდაპირე სახლისკენ გაქანდნენ. როგორც ჩანს, ვიღაც ცუდად იყო. არ ვიცი, ერთი თუ ორი საათი იყვნენ სახლში. მერე კივილი ატყდა. ვიღაც გარდაიცვალა. ხალხი იმ სახლისკენ გაცვივდა. ესენი კი ძირს ჩამოვიდნენ. რატომღაც ეჩხუბებოდა ერთ-ერთი ბიჭი ექიმს. ექიმი არ ეპუებოდა და წონასწორობადაკარგული ეუბნებოდა: — ნუ მატყუებთ, მე ხომ ვიცი, რაც მოხდა... ამას ვერ დავფარავო.

მაშინ მეორე ბიჭი ჩაერია: — კარგი, შევეშვათ ამ საქმესო...

ის ერთი კი, რომელიც ცხაროობდა, უცებ ექიმს ეცა. თურმე ხელში დანა ჰქონია. აბა, მე რა ვიცოდი... ექიმი დაეცა... მერე იმ მეორეს მიუბრუნდა და ისიც დანით დაჭრა. გვიან გავიგე, ორივე დაჭრილი გარდაცვლილა. ხოლო მკვლელი შვიდი თვის შემდეგ იპოვეს დასახიჩრებული და დამხრჩვალი. ამბობდნენ, ეს სამი განუყრელი მეგობრები იყვნენო... დღესაც არავინ იცის, რა მოხდა.

ძია ვანოს მონათხრობმა მოსვენება დამიკარგა. ბევრი გავიკითხ-გამოვიკითხე, რა უნდა ვქნა, რომ მოჩვენებებისაგან გავთავისუფლდე-მეთქი. ვერაფერი მირჩიეს. იქნებ მკითხველმა მაინც იცოდეს რამე...

კ.ჯ., თბილისი

უცნაური თანამგზავრი

— ამ სამი-ოთხი წლის წინ მე და ჩემს ბიძაშვილს პროდუქტები ჩამოგვქონდა ერგნეთის ბაზრობიდან, — მიყვება ბატონი სანდრო, — მერე მაღაზიებს ვაბარებდით და ორიოდე გროში გვრჩებოდა ოჯახების სარჩენად. ღამით ვარჩევდით მგზავრობას, როცა ნაკლებად იდგნენ პოლიციელები გზაზე და ფულსაც იმდენს აღარ გვართმევდნენ...

ერთხელაც, ქუთაისიდან შუაღამისას გავედით, საშურს რომ მივუახლოვდით, ღამის ორი საათი იქნებოდა. გზაზე ახალგაზრდა ქალი შევნიშნეთ, ხელს გვიქნევდა...

— ალბათ რაღაც გასჭირვებია, რომ ამ დროს ქუჩაში გამოსულა, — შეებრალა ჩემს ბიძაშვილს და მანქანა გაუჩერა.

ქალს საოცრად სევდიანი მზერა ჰქონდა. ვკითხეთ, რაიმე ხომ არ გიჭირთ, სად მიბრძანდებითო, მაგრამ მან — მალე ჩავალო, — მოგვიჭრა. მართლაც ორიოდე კილომეტრის იქით შეგვაჩერა. იქვე სასაფლაო იყო, მეტი არაფერი. მადლობა გვითხრა, დაგვემშვიდობა, გადავიდა და სასაფლაოს ჭიშკარი შეაღო...

კი დავიძარით, მაგრამ მალე ისევ დაამუხრუჭა ჩემმა ბიძაშვილმა — ამ შუაღამეზე რა უნდოდა სასაფლაოზე, ან ავადმყოფი არ იყოს, ან თავის მოკვლა არ ჰქონდეს განზრახული. არ მომეწონა მისი უსიცოცხლო სახე და ჩამქრალი მზერა. ცოდვა არ დავიდოთ, იქნება რა უჭირსო და უკან მივბრუნდით.

ძალიანაც არ მსიამოვნებდა შუაღამისას სასაფლაოზე ხეტიალი, მაგრამ ცნობისმოყვარეობამ მძლია და იმ უცნობი ქალის კვალს მივყევით.

გზა ფარნით გავინათეთ და სასაფლაოზე შევაბიჯეთ. ქალი მალე დავინახეთ, ერთ-ერთ საფლავთან იდგა და აღმოსავლეთისაკენ იხედებოდა, თითქოს ლოცულობდა. რომ არ შეშინებოდა, ხმადაბლა შევეხმიანეთ. მოგვხედა, პირჯვარი გადაგვწერა, ვარსკვლავივით გაიბრწყინა და... გაქრა!

შიშით თმა ყალყზე დაგვიდგა. რომელი რომელს ვასწრებდით, აღარ ვიცოდით...

თავგზაარეულები მივაგელვებდით მანქანას, საოცარია, რომ არსად გადავიჩეხეთ.

...ჩვენი თავგადასავალი არავისთვის გვიამბია. მას შემდეგ შიში დაგვჩემდა — ღამით ცხვირს ვეღარ ვყოფდით გარეთ...

გაიარა ორმა თვემ. ცოტათი დავწყნარდით, გადავწყვიტეთ, ჩავსულიყავით იმ რაიონში და ის საფლავი გვენახა.

ასეც მოვიქეცით.

წარმოიდგინეთ, როგორ დავიზაფრებოდით, როცა მარმარილოს ქვაზე მიმაგრებულ სურათზე 1996 წელს გარდაცვლილი ჩვენი ღამეული თანამგზავრი ვიცანით. მაშინ 1999 წელი იდგა — გამოდის, რომ სამი წლის წინ გარდაცვლილი ქალი დაგვემგზავრებია...

გავიკითხეთ, ვინ იყო, რით გარდაიცვალა ასე ახალგაზრდა, 33 წლისა.

თურმე ქმარს ორი შვილით მიუტოვებია და საწყალს თავი მოუკლავს!..

წესის აუგებლად დაუსაფლავებიათ და ეტყობა, ვერ ისვენებდა მისი სული...

მართლაც უჩვეულო მეჩვენა ეს ამბავი და ამიტომაც შემოგთავაზეთ დღეს, თუმცა კი კომენტარის გაკეთებაც მიჭირს. ეს სწორედ ის საკითხია, როცა შეუძლებელია რაიმე დასკვნის გაკეთება!..

ინგა ჯაფელი

ჩვეულებრივი... საშინელი

იმ ზაფხულს ქმარმა მიმატოვა და ჩემს ხუთი წლის ლუკასთან ერთად უსახსროდ და ულუკმაპუროდ დავრჩი ნაქირავებ ბინაში. ბავშვი გამუდმებით ავადმყოფობდა და საჭმელს ითხოვდა, მე კი სიმწრისაგან კრიჭაშეკრული კარდაკარ დავდიოდი და შეძლებულ ოჯახებს ბინის დალაგებსა და თეთრეულის დარეცხვას ვთავაზობდი. ზოგჯერ მიმართლებდა და მცირეოდენი პროდუქტი და ტკბილეული მიმქონდა შვილთან. ბავშვს ძალიან უჭირდა მარტო დარჩენა, მაგრამ თან ვერ დამყავდა, რადგან ჯერ ერთი, ძალიან სუსტი და უღონო იყო, მეორეც, — ბავშვიანს სამუშაოს არავინ მომცემდა...

ასე ვიწვალეთ რამდენიმე თვე. ზამთარში კიდევ უფრო გაგვიჭირდა. მუდმივ სამუშაოს ვერ ვშოულობდი, გამომუშავებული ფული კი მხოლოდ საჭმლისა და ზოგჯერ წამლის საკმარისი იყო.

იანვრის ერთ სუსხიან დილას გათოშილი ბავშვი საწოლში დავტოვე და კვლავ სამუშაოს საძებნელად გავემართე, მაგრამ იმ დღეს ბედი არ მწყალობდა, ვისაც არ მივუკაკუნე, კარი ცხვირწინ მომიხურა. თან საშინლად დამცირებულად ვგრძნობდი თავს და სასოწარკვეთამ შემიპყრო. თვალწინ ლუკას შიმშილისაგან გალეული სხეული მედგა და სიკვდილი მინდოდა. შავბნელ ფიქრებში გართულმა ვერც კი შევნიშნე, როგორ და როდის აღმოვჩნდი ეკლესიის წინ და, მართალია, სანთლების შესაძენი ფულიც არ მქონდა, მაინც გადავწყვიტე შესვლა. უეცრად ფეხი რაღაცას წამოვკარი, წავიბორძიკე და ძირს დავიხედე — სწორედ ჩემს ფეხებთან ყავისფერი ტყავის საფულე ეგდო! ხელის კანკალით ავიღე და გავხსენი: შიგ რაღაც საბუთები და ათ და ოცლარიანების სქელი დასტა იდო. თვალზე თითქოს ღიბრი გადამეკრა და სმენაც დამეხშო. ეს ფული ჩემს პატარა ლუკას ფეხზე დააყენებდა და საზრუნავსაც მცირე ხნით მომაშორებდა. მით უმეტეს, რომ არაფერი მომიპარავს, ვიპოვე... იქნებ ღმერთმა მიწყალობა?.. მაგრამ ეს ფული ხომ მე არ მეკუთვნის, არც ჩემი ნაშრომია და არც ვინმეს უჩუქებია...

აიღე, — ჩამძახოდა რაღაც ხმა, არ აიღო, — მკაცრად მიბრძანებდა მეორე.

ასე ყოყმანში გავატარე რამდენიმე წუთი. შემდეგ კი ღრმად ამოვიოხრე და ნაპოვნი ნივთიანად ეკლესიაში შევდგი ფეხი. უკვე ზუსტად ვიცოდი, რომ სხვის ნივთს არასგზით მივისაკუთრებდი. გადავწყვიტე, საფულე ეკლესიაში დამეტოვებინა, იქნებ პატრონი გამოსჩენოდა. ის-ის იყო, საკურთხევლისკენ გავემართე, რომ ეკლესიაში თვალცრემლიანი, დარბაისელი მოხუცი ქალი შემოვიდა და ხმადაბლა იკითხა, — შემთხვევით ყავისფერი საფულე ხომ არავის გიპოვნიათო? შევბით ამოვისუნთქე და ნაპოვნი ნივთი გადავეცი. თითქოს მძიმე ტვირთისაგან გათავისუფლდი და ჩემი სასოწარკვეთაც სადღაც გაქრა.

მოხუცს სიხარულისაგან ენა დაება.

არ დამიმალავს, რომ რამდენიმე წუთს ძლიერი ცდუნების წინაშე ვიდექი, რადგან შინ მშიერი და სნეული ბავშვი მელოდებოდა. მანდილოსანმა ყურადღებით მომისმინა და მყისვე შემომთავაზა სამსახური — მისი ქალიშვილი თურმე საზღვარგარეთ მუშაობდა და მოხუცს ორი მცირეწლოვანი შვილიშვილის მოვლა-პატრონობა უწევდა. მართალია, ქალიშვილი სისტემატურად უგზავნიდა ფულს, მაგრამ ხანდაზმულ ქალბატონს ძალიან უჭირდა ორ ონავარ ბავშვთან გამკლავება...

ასე მოვხვდი მათ ოჯახში შინამოსამსახურედ და მოხუცმა მშვენიერი გასამრჯელოც დამინიშნა. მცირე ხანში ლუკამ მოიკეთა და მეც გავხალისდი, რადგან ჩვენი დუხჭირი ყოფა წარსულში დარჩა. შეიძლება არ დამიჯეროთ, მაგრამ ერთი თვის შემდეგ ჩემი ქმარიც დაბრუნდა და მე და ლუკას პატიება გვთხოვა.

დღეს უკვე საკუთარი ბინა გვაქვს და შეხმატკბილებულად ვცხოვრობთ.

ხშირად მიფიქრია, მაშინ რომ ცდუნებას ავყოლოდი, ალბათ ბედნიერი ცხოვრება არასოდეს მეღირსებოდა...

ლიანა ჩერქეზიშვილი, თბილისი



მოჩვენებები გაცელქდნენ

თუ პლიმუტში, დევენპორტის სამხედრო ბაზაში მყოფ ჯარისკაცებს დავუჯერებთ, ამ ბოლო დროს ბაზის ტერიტორიაზე მოჩვენებები ძალიან გაცელქდნენ — უცხო ხმები გვესმის და დერეფანში მოსეირნე უცნაურ აჩრდილებს ვხედავთო. ეს მოვლენა სულაც არ არის გასაკვირი, რადგან ფლოტის საწყობები, სადაც აჩრდილები ბინადრობენ, უძველეს ციხე-კოშკშია, თანაც ბაზა მდებარეობს დიდ ბრიტანეთში. ამ ქვეყანას კი დიდ პატივს მიაგებენ საიქიოს მკვიდრნი, რომლებმაც სიმშვიდე ვერ პოვეს.

შეფიქრიანებულმა სამხედრო ხელმძღვანელობამ პლიმუტში მიიწვია სპეციალისტები — მოჩვენებებზე მონადირენი. ჯარისკაცებმა მათ უამბეს, — მოთამაშე გოგონასა და წეროსანი მეზღვაურის აჩრდილებს ვხედავთ ხშირადო.

მოჩვენებებზე მონადირენი „ჩამოხრჩობილთა სენაკში“ დააბინავეს. პარაფსიქოლოგებმა აქ თითქმის მთელი ღამე გაატარეს, მაგრამ დილის ხუთი საათისთვის გამბედაობამ უღალატათ და შეშინებულებმა სენაკი დატოვეს. თუმცა უნიკალური ინფორმაციის შეგროვება მაინც შეძლეს. უფროსობას აუწყეს, რომ საკანში პარანორმალური აქტივობა უდავოდ მაღალია, იქ მუდმივად იცვლება ტემპერატურა.

მართალია, პარაფსიქოლოგებს გოგონა-მოჩვენება არ უნახავთ, რადგანაც მათი იქ ყოფნის დროს ეტყობა, თამაში სხვაგან გადაწყვიტა, არც წეროსანი გამოსცხადებიათ, მაგრამ მაინც ბევრი საინტერესო მასალა შეაგროვეს. თუმცაღა, მეზღვაურთან და გოგონასთან შეხვედრის გარეშე წასვლა არ უნდოდათ და ამიტომ საკანში შეიტანეს სათამაშოები, გრაფიტის დაფები, იმ ვარაუდით, რომ ჰაერისგან ნაქსოვი გოგონა ვერ მოითმენდა და პარაფსიქოლოგების გასახარად თამაშს დაიწყებდა, იატაკზე მარმარილოს ბურთულები განალაგეს, რომლებიც დააფიქსირებდნენ მოჩვენებების გამოჩენას.

კვლევის შედეგებს „მონადირეები“ ჯერჯერობით საიდუმლოდ ინახავენ, მაგრამ გვპირდებიან, რომ მოკლე ხანში სენსაციურ ამბავს გვაუწყებენ.

მირ ნოვოსტი №27

ღამე ტყეში

2003 წლის 4 ოქტომბერს, შაბათს, მეგობრებთან ერთად მატარებლით ქალაქგარეთ მოცვის საკრეფად წავედით. დიდხანს ვკრეფდით. 5 საათისთვის მეგობრებს შევთავაზე შინ დაბრუნება. ცოტას კიდევ დავკრეფთო, მითხრეს. სადგურზე მარტო წავედი, რადგან ბავშვები მოხუცი დედამთილის ამარა მყავდა დატოვებული, ჩემი ქმარი კი უცხოეთშია სამუშაოდ.

მივდივარ და საშველი არ დაადგა გზის დასრულებას. აქაურობას ხუთი თითივით ვიცნობ, მაგრამ ახლა თითქოს მხარი მექცა — ისეთ ადგილას ამოვყავი თავი, წარმოდგენაც რომ არ მქონდა. ზაფხულში ტყის ნაწილი ხანძარმა გადაწვა. ეგეც ამიტომ ვერა ვცნობ აქაურობას-მეთქი, — დავიმშვიდე თავი. ამ ბორიალში დაღამდა. თანაც ჭანჭრობში ჩავვარდი და ამოვილუმპე. სხვა გზა არ იყო, ღამე ტყეში უნდა გამეთია. მოვძებნე მშრალი ადგილი, ზურგჩანთა ხის ტოტზე დავკიდე, დავამტვრიე მშრალი ფიჩხი, მაგრამ ასანთი დასველებულიყო და ცეცხლი ვერ დავანთე. შემცივდა, რომ არ გავცივებულიყავი, დავიწყე არყის ხის გარშემო სიარული.

ნაშუაღამევი იქნებოდა, ღია ცისფერი ნათება რომ შევნიშნე. გამიხარდა — ალბათ ჯარისკაცები ამოწმებენ ტერიტორიას, მიპოვნიან და სადგურამდე მიმიყვანენ-მეთქი.

სხივი უცნაურად იყოფოდა ორად, თითქოს აღნიშნავდა ტყის სექტორს, სადაც მე ვიყავი. ჩემგან ორმოცდაათ მეტრზე გამოჩნდა ეკრანი, რომელიც შედგებოდა უამრავი 30 სმ-იანი კვადრატისაგან. ხან დამაბრმავებლად ანათებდა, ხან ქრებოდა. იმ ხის ფესვებს ამოვეფარე, რომელზეც ჩემი ზურგჩანთა დავკიდე და იქიდან ვუთვალთვალებდი, რაც ხდებოდა.

ეკრანი მობრუნდა ჩემკენ და დაიწყო მოძრაობა მარჯვნივ და მარცხნივ, თითქოს ვიღაცას ეძებდა. წამით სხივი ჩემს ზურგჩანთაზე შეჩერდა და მასზევე ნელ-ნელა ჩაქრა. ეს ყველაფერი გრძელდებოდა დილის სამ საათამდე.

ამასობაში ასანთი გაშრა და ცეცხლის დანთება შევძელი. დილით წავედი იმ ადგილის დასათვალიერებლად, საიდანაც შუქი მოდიოდა, მაგრამ რაიმე განსაკუთრებული ვერ აღმოვაჩინე. მაშინ გადავწყვიტე, იმ მხარეს წავსულიყავი, საიდანაც სხივი ანათებდა. მალე გავედი ახოში და სადგურიც გამოჩნდა.

ამ შემთხვევის შემდეგ მკვეთრად დამაკლდა თვალს.

თინა მ., თბილისი

„საბალღო-სალაღო“ გეერდის პასუხები

I. მე-5 ბუტერბროდი.

II. მაუგლი.

II. აბა, გამოიცანი:

1) — ა); 2) — ბ); 3) — დ); 4) — ბ); 5) — გ); 6) — გ); 7) — გ); 8) — ბ).

საროსკიპოს სახელმწიფო დროშა ამშვენებს

გერმანიის პარლამენტის საქმეთა სამმართველომ გასაყიდად გამოიტანა ჩამოწერილი ქონება. აუქციონის მთავარ ექსპონატად იქცა ბუნდესტაგის დროშა. მის თანმხლებ აღწერილობაში ნათქვამია: — ეს არის დროშა, რომელიც ადრე ამშვენებდა რაიხსტაგის შენობას. მისი სიგანე 6,5 მეტრია, სიგრძე — 4,5 მეტრი, საკმაოდ გაცვეთილია, რამდენიმე ლაქაც აქვსო.

რაიხსტაგის დროშას ბევრი მყიდველი გამოუჩნდა, მაგრამ საბოლოოდ 3.350 ევროდ მდიდრული საროსკიპოს მეპატრონეს კრისტინ შმიტროსს დარჩა. ქალბატონი კრისტინი ძალიან კმაყოფილი ჩანდა შენაძენით — საროსკიპოს თავზე აღვმართავ, ჩემს სტუმრებს მოეწონებათო.

გერმანელმა პაპარაცებმა მაშინვე გამოაქვეყნეს შმიტროსის თანამშრომლების — ორი შილიფად ჩაცმული ახალგაზრდა ქალის ფოტო, რომლებიც დროშის გვერდით სამხედროებივით გაჭიმულები დგანან.

ამას დიდი ამბავი მოჰყვა — აღშფოთებულმა პოლიტიკოსებმა ბუნდესტაგის თავმჯდომარე — ვოლფგანგ ტარზე სახელმწიფო სიმბოლოებისადმი უპატივცემულობაში დაადანაშაულეს.

ნიუზუიკი

იდიოტების დღე

სამმა ამერიკელმა მამაკაცმა გადაწყვიტა ერთი პატარა ქალაქის ბანკის გაძარცვა.

როგორც კი ბანკში შეაბიჯეს, მაშინვე... გაიჭედნენ მბრუნავ კარში. მძარცველები საკმაოდ ზორბა მამაკაცები იყვნენ და ბევრი წვალების შემდეგ ძლივს დაიხსნეს თავი ამ საბედისწერო ტყვეობიდან. როგორც კი ამოისუნთქეს, შეცვივდნენ ბანკის დარბაზში და იქ მყოფთ გამოუცხადეს, — თქვენ მძევლები ხართ და მანამ არ გაგათავისუფლებთ, ვიდრე 10.000 დოლარს არ მოგვცემთო.

მაგრამ მოხდა საოცარი ამბავი. კლერკები და კლიენტები არათუ შეშინდნენ, არამედ მძარცველებს სიცილი დააყარეს, ვინაიდან ცოტა ხნის წინ საკუთარი თვალით იხილეს, როგორ ფართხალებდნენ ისინი მბრუნავ კარში და იფიქრეს, — ალბათ ახლაც ხუმრობენო.

ბანდიტები დაიბნენ და გაიფიქრეს, — ეტყობა, იმიტომ დაგვცინიან, რომ საკმაოდ დიდი თანხა მოვითხოვეთო და მაზანდას დაუწიეს. ახლა კი უკვე ისტერიული ხარხარი ატყდა და იმდენი იცინეს, რომ „განგსტერები“ ას დოლარზეც კი დათანხმდნენ.

არა და არ იქნა ხალხის დამშვიდება.

მაშინ ერთ-ერთმა გამწარებულმა მსუქანა მძარცველმა გადაწყვიტა, თვითონ აეღო სეიფიდან ფული. გაქანდა, იფიქრა, ბანკის დგარს გადავახტებიო და ძირს კი მოადინა ზღართანი, თანაც ისე მაგრად, რომ ფეხი მოიტეხა და სიმწრით აღრიალდა.

ხალხმა სიცილი შეწყვიტა და დაბნეული უყურებდა ამ უცნაურ სანახაობას.

„კოლეგებმა“ ხელი სტაცეს უიღბლოს, გასასვლელისკენ წაიყვანეს და... ისევ მბრუნავ კარში გაუჩინარდნენ, საიდანაც ისინი პოლიციამ „დაიხსნა“.

კრიმინალნაია ხრონიკა №8

ბავშვმა მნეველ მძღოლს უჩივლა

არგენტინის ქალაქ როსარიოში მცხოვრებმა, ათი წლის კევინმა სასამართლოში უჩივლა ავტობუსის მძღოლს, რომელიც სამუშაო ადგილზე ეწეოდა.

ბიჭი ავიდა სკოლის ავტობუსში, დაინახა, რომ მძღოლი ეწეოდა და უთხრა, — ჯერ ერთი, სიგარეტი თქვენს ჯანმრთელობას ვნებს და მეორეც — დახურულ სივრცეში ანუ ავტობუსში მოწევის უფლება არა გაქვთო. მძღოლმა არაფრად ჩააგდო ბიჭის ნათქვამი, სამაგიეროდ, კევინმა უარი უთხრა მგზავრობის ღირებულების გადახდაზე. გაბრაზებულმა მძღოლმა საპოლიციო უბანთან გააჩერა და პოლიციელს შესჩივლა, — ფულს არ იხდისო. ბიჭმა პოლიციელებს გამოუცხადა, — შეხედეთ, თქვენც კი არ გერიდებათ, მთელი გზა სიგარეტის ბოლმა დამახრჩო და კიდევ ფული გადავუხადოო? პოლიციელებმა მძღოლს უთხრეს, — რას ერჩი, მართალიაო.

მიროვი

საყელური — „თარჯიმნად“

თურმე ძაღლები ისევე კარგად იმახსოვრებენ ჩვენ მიერ წარმოთქმული სიტყვების მნიშვნელობას, როგორც 3 წლის ბავშვები.

უნგრელმა მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ შინაური ძაღლები გაცილებით უფრო ინტელექტუალურები არიან, ვიდრე ქუჩისა.

რიკომ იცის 4 სათამაშოს დასახელება. როცა პატრონმა უბრძანა, — ესა და ეს სათამაშო მომიტანეო, ძაღლმა მაშინვე მიუცუნცულა, შემდეგ შეასრულა მეორე დავალება — სათამაშოები სხვადასხვა ადგილას შეინახა.

მეცნიერები ამტკიცებენ, რომ ჭკვიანი ძაღლები დიდ ყურადღებასა და ზრუნვას ითხოვენ. ინტელექტი რომ აუმაღლდეთ, მათ დღეში 5 საათი მაინც უნდა ესაუბროთ.

ისრაელის ციხეებში ძაღლებს უკეთებენ სპეციალურ საყელურს სამი ფერადი ნათურით, რომლებიც ინთება იმის მიხედვით, თუ რა აქვს მხედველობაში ძაღლს ყეფის დროს — როცა ინთება ყვითელი ფერი — ძაღლმა რაღაც საეჭვო შეამჩნია, წითელი — ხედავს გაქცეულ პატიმარს, მწვანე — ნარკოტიკის სუნი სცემს...

ოჯი

ვირთხები ტერორიზმის წინააღმდეგ

ამერიკის შეერთებული შტატების უსაფრთხოების დეპარტამენტმა შეისწავლა მოზამბიკელი კოლეგების გამოცდილება, რომლებიც მესანგრეებად იყენებენ... ვირთხებს.

ექსპერტების მტკიცებით, ვირთხის ზოგიერთი ჯიში, კერძოდ კი, გამბიური გიგანტური ვირთხა გამოირჩევა განსაკუთრებული ყნოსვით ასაფეთქებელი ნივთიერებების მიმართ და იოლად პოულობს მინდვრის ნალმს. ეს ვირთხები ძალიან „შრომისმოყვარენი“ არიან და დღედაღამ დაუზარებლად მუშაობენ.

მოზამბიკში სპეციალურად ჩასული გამოცდილი მესანგრე ჰოვარდ ბახი ამბობს, რომ მას ვირთხებთან „თანამშრომლობა“ სულაც არ გაუძნელდა. ვირთხას მიაბამენ გრძელ ღვედს და უშვებენ დანალმულ მინდორში. თუ მღრღნელმა წინა თათით დაიწყო მიწის თხრა, ე.ი. ნალმს მიაგნო. ამის შემდეგ მესანგრე ვირთხას მესანგრე ადამიანი ცვლის.

ამერიკელებს სერიოზულად აქვთ გადაწყვეტილი გამბიური ვირთხების გამოყენება აეროპორტების დასაცავად და ანტიტერორისტულ ოპერაციებში მონაწილეობის მისაღებად.

კომსომოლსკაია პრავდა

გეიქორწინება – ფრანგულად

ბორდოს მერს, ნოელ მამერეს უკვე შეუძლია თქვას, რომ სამუდამოდ „უკვდავყო“ თავისი სახელი — მან ხომ ქვეყნის ისტორიაში პირველი ლეგალური გეიქორწინება ოფიციალურად დაადასტურა. თუმცა ბორდოელი გეების აღტაცებას და შამპანურის შადრევანს მაინცდამაინც სახარბიელო გაგრძელება არ მოჰყოლია. დაიწყო მამერეზე თავდასხმები, იმდენი მუქარის წერილი მიიღო, რომ შინაგან საქმეთა მინისტრმა დაცვაც კი გამოუყო. ოდნავ მოგვიანებით, ანტიგეიქორწინებათა უზარმაზარი ტალღა აზვირთდა, საპროტესტო მანიფესტაციებში 100.000-ზე მეტი კონსერვატორულად განწყობილი ფრანგი მოქალაქე გამოვიდა. მთავრობამაც გააკრიტიკა მამერე, იუსტიციის მინისტრმა ამ ქორწინების გაუქმება მოითხოვა, ხოლო შინაგან საქმეთა მინისტრმა, სწორედ მან, ბორდოს მერს დაცვა რომ გამოუყო, მამერეს დისციპლინარული სასჯელი დაადო და მერობას ერთი თვით ჩამოაშორა.

სწორედ აქ დაიწყო ყველაზე საინტერესო ამბავი: შინაგან საქმეთა და იუსტიციის მინისტრებმა განაცხადეს, რომ ისინი ფრანგული კანონებით მოქმედებდნენ, როდესაც ორი გეის — ჩაპინისა და ჩარპენტიერის ქორწინების წინააღმდეგ გაილაშქრეს. თუმცა მერის ადვოკატებმა დაიწყეს დასაბუთება, რომ საფრანგეთის ისტორიაში ეს პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი გეიქორწინება კანონმდებლობის სრული დაცვით განხორციელდა. ადვოკატთა განცხადებით, ფრანგულ კანონებში იქ, სადაც ქორწინებაზეა ლაპარაკი, არ წერია, რომ ის აუცილებლად ქალსა და მამაკაცს შორის ქორწინებას გულისხმობს. ამიტომ ნოელ მამერეს საქციელი აბსოლუტურად გამართლებულია.

თვითონ მამერე კი ამბობს, რომ თუკი საფრანგეთის კონსერვატორული საზოგადოებრივი აზრის „გარღვევას“ ვერ შეძლებს, ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოს მიმართავს. ვიდრე ეს ყველაფერი მოხდება, მამერე მერობიდან გადაყენებულია და ოცნებობს იმ დროზე, როდესაც ფრანგ ხალხს ქორწინების თავისუფლად არჩევის უფლება ექნება.

პირველი ფრანგი გეიმეუღლეები — ჩაპინი და ჩარპენტიერი კი, „უცნაურ თაფლობის თვეს“ ატარებენ — ისინი ფრანგული კანონების მიხედვით დაქორწინებულნი არიან და თან არ არიან.

პარი მატჩი

ბუზი შეჭამა და... რეპუტაცია გაუფუჭა

ჩინელმა ქალბატონმა ლი ჩუუანმა აღშფოთება ვერ დაფარა, როცა რესტორანში მირთმეულ კერძში აღმოაჩინა... ბუზი.

ქალმა მოიხმო ოფიციანტი და მოითხოვა მენეჯერის მოყვანა, რათა გამოეთქვა პრეტენზია და მოეთხოვა სათანადო კომპენსაცია.

ოფიციანტი ცდილობდა დაეწყნარებინა ხმამაღლა მოლაპარაკე ქალი, რომელმაც სხვების ყურადღება მიიპყრო. მაგრამ ქ-ნი არ ცხრებოდა, ამიტომ ოფიციანტმა სტაცა მოფართხალე ბუზს ხელი და... პირში გადაუძახა.

ამ „გმირული“ ნაბიჯით ოფიციანტმა გაანადგურა სამხილი და ქალი გააწბილა.

დენგი №23

ყველაფერი, რაც ბრწყინავს...

საიუველირო კომპანია Tiffany-მ უჩივლა online-აუქციონ e Bay-ს მას შემდეგ, რაც გაირკვა, რომ ამ საიტზე მისი მარკით წარმოდგენილი სამშვენისების 78% ყალბი იყო.

ახლა Tiffany-ს ადვოკატები ითხოვენ, რომ e Bay-მ მათ გადაუხადოს ამ საქონლის გაყიდვით მიღებული თანხა ან თითოეულ გაყიდულ ნაყალბევზე ჯარიმის სახით მილიონ დოლარს დააკისრებენ.

საინტერესოა, რომ ონლაინ-აუქციონის განცხადებაში ნათქვამია — e Bay კისრულობს ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლებათა დაცვას და სპეციალური პროგრამაც კი აქვს შექმნილი, რათა ინტელექტუალური საკუთრების პატრონებს შეეძლოთ მაშინვე განაცხადონ თავიანთი პრეტენზია, თუკი ვინმე მიისაკუთრებს მათ ლოტს.

იტოგი №26

ჟურნალ „კარუსელის“ საფირმო კროსვორდი „კვირის პალიტრისთვის“

შევსების წესი: უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის უჯრებში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრებში ნორვეგიელი პოეტისა და დრამატურგის, ჰენრიკ იბსენის, სიტყვებს

დ	ა	ი	ს	ვ	ე	ნ	ე	თ	ჰ	ა	ლ	ი	ტ	რ	ა	ს	თ	ა	ნ	ე	რ	თ	ა	დ
ტ	დ	რ	ი	ნ	ა	ქ	ე	ა	ე	ა	ნ	ი	რ		რ	ა	თ	დ	უ	ს	ა	ი		ი

დ. რა ერქვა გიორგი ბრწყინვალეს მამას; **ა**. რამდენიმე მუსიკალური ბგერის ჰარმონიული შეერთება; **ი**. უწყინარი ხასიათის დამცინავი დამოკიდებულება რაიმესადმი; **ს**. არხი, რომელიც აერთებს წითელსა და ხმელთაშუა ზღვებს; **ვ**. კომედიური ჟანრის რუსი მსახიობი; **ე**. გემის ან თვითმფრინავის მომსახურე პერსონალი; **ნ**. რა ერქვა ლენინის ცოლს; **ე**. მაიკლ დუგლასის ეროვნება; **თ**. ერთდროულად მცხოვრები, დაახლოებით ერთი ასაკის ადამიანები; **ჰ**. კათოლიკე მღვდელი; **ა**. ტროპიკული ხილი; **ლ**. თქმულება; **ი**. გაზეთის სამშობლო; **ტ**. სამიკიტნო, ტრაქტირი იტალიასა და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში; **რ**. ერთნახადი სუსტი არაყი; **ა**. ანდორას დედაქალაქი; **ს**. ჩეხი კომპოზიტორი; **თ**. ივნისის თვის ძველი ქართული სახელწოდება; **ა**. ქალის სახელი, რომელმაც თეზევსს ძაფის გორგალი მისცა და ლაბირინთიდან თავის დაღწევაში დაეხმარა; **ნ**. ზღვის ღრმული რომაულ მითოლოგიაში; **ე**. უძველესი ქართული სახელმწიფო; **რ**. აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტი; **თ**. სპილენძის ვიწროყელიანი ჭურჭელი წყლისათვის; **ა**. ცელქი, მოუსვენარი; **დ**. ინგლისური სიგრძის საზომი ერთეული.

ᲒᲛᲜᲐ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ:

დ. დუპლეტი; **ა**. ალაფი; **ი**. ისტორია; **ს**. სვანეთი; **ვ**. ვერონა; **ე**. ელარჯი; **ნ**. ნინიძე; **ე**. ეტალონი; **კ**. კავსაძე; **ვ**. ვიმპელი; **ი**. იკაროსი; **რ**. რანგუნი; **ი**. იმამატი; **ს**. სოპრანო; **ჰ**. პრიზი; **ა**. აბრაზია; **ლ**. ლუთერი; **ი**. იტალია; **ტ**. ტანკა; **რ**. რაუნდი; **ი**. იანუსი; **ს**. სიდნეი; **ფ**. ფრაია; **ე**. ელიოზი; **რ**. რეცეპტი; **ე**. ერუდიტი; **ბ**. ბარტეზი; **შ**. შნო; **ი**. იასონი.

გამუქებულ უჯრებში იკითხება: პატარა ნავმა ნაპირთან უნდა იცუროს.

მოუსვენარი სიუზენ სარანდონი

საკმარისია, ერთხელ თვალი მოჰკრათ ეკრანზე და აღარასოდეს დაგავიწყდებათ. განსაკუთრებით თვალები — მზესუმზირასავით გადაშლილი, ოდნავ უპეებიდან ამოსული, გასხივოსნებული. ამ თვალებში ყოველთვის რაღაც კითხვაა. თითქოს ეს-ესაა, გაჩნდა ქვეყანაზე და ყველაფერი აკვირვებს. ის ძალიან ჭკვიანია. ამერიკას ვერ გადაუწყვეტია, რომელია უფრო განათლებული ვარსკვლავი ჰოლივუდში, ის თუ მერილ სტრიპი.

სიუზენ სარანდონი (ქალიშვილობაში ტომალინი) დაიბადა 1946 წლის 4 ოქტომბერს ქალაქ ჯექსონ-ჰაიტში. მისი წინაპრები ემიგრანტები იყვნენ: მამა წარმოშობით უელსელია, დედა — იტალიელი. მამამისი — ფილიპ ლესლი ბიგბენდში მღეროდა, ტელევიზიაში მუშაობდა. დედა — ლეონორა მარი დიასახლისობდა. დიდი ოჯახი ჰქონდათ — 9 ბავშვს მიხედვა ხომ უნდოდა! სიუზენი უფროსი იყო. სიუ სამაგალითო კათოლიკე გახლდათ. საღამოობით ლოცულობდა და ღმერთს ევედრებოდა, ყველაფერი კარგად ყოფილიყო. მაგრამ ყველაფერი მაინც არ იყო კარგად. ბობო-ქარი სულის სიუზენი კათოლიკურ სკოლაში განუწყვეტლივ ედავებოდა მასწავლებელ-მონაზვნებს. და მაინც, სკოლა ბრწყინვალედ დაამთავრა და ჩააბარა ვაშინგტონის კათოლიკურ უნივერსიტეტში. მიიღო დრამის სპეციალისტის დიპლომი.

სიუზენის სამსახიობო კარიერა შემთხვევით დაიწყო. ერთხელ მისმა ქმარმა, კრის სარანდონმა (ეს იყო ნაჩქარევი სტუდენტური ქორწინება) სიუზი თან წაიყვანა. უნდოდა, ცოლთან ერთად რამდენიმე პატარა სცენა ეთამაშა. ორივეს გასაკვირად, სიუზენს ერთ-ერთი მთავარი როლი შესთავაზეს. ამ ფილმით დაწყებული მსახიობმა ბევრი როლი ითამაშა, მაგრამ მისი ნიჭის შესაფერისი არც ერთი არ ყოფილა. და მხოლოდ ფრანგი რეჟისორის, ლუი მალის გაცნობამ შეცვალა სიუზის ბედი: მან მთავარი როლი მიიღო ფილმში „ატლანტიკ-სიტი“. რეჟისორს და მსახიობს ერთმანეთი შეუყვარდათ. მათი ურთიერთობა სამ წელიწადს გაგრძელდა და სარანდონისთვის ტრაგიკულად დასრულდა — ლუიმ ცოლი შეირთო. დარდის გასაქარვებლად სიუ ნიკარაგუაში გაფრინდა მშიერი ბავშვების დასახმარებლად. მოგზაურობა ცუდად დასრულდა, სიუ მუცლის ტიფით დაავადდა და დიდხანს მოუწია მკურნალობა.

მაგრამ ცხოვრება თავისას შვრება. ბუნებით შემოქმედი სარანდონი არ დანებდა ბედს. გამოჯანმრთელებისთანავე შეუდგა საქმეს. ითამაშა ფრანკო ამურის ფილმში. გადაღებები იტალიაში მიმდინარეობდა. მან ფრანკოსთანაც გააბა რომანი და მათ ქალიშვილი შეეძინათ. სიუ მაშინ 37 წლის იყო...

სიუზენს ბევრი რომანი ჰქონდა — შონ პენთან, კევინ კოსტნერთან, რიჩარდ გირთან, მაგრამ ნამდვილ სიყვარულს ფილმ „დარჰემის ხარის“ გადაღებაზე შეხვდა, ის გახლდათ ცნობილი რეჟისორი და მსახიობი ტიმ რობინსი. ისინი დღემდე ძალიან ბედნიერები არიან, მიუხედავად იმისა, რომ ტიმი 12 წლით უმცროსია ცოლზე.

სიუზენს ტომისგან ორი ვაჟი ჰყავს — ჯეკი და მაილსი.

სარანდონი ბევრს მუშაობს. შემოდგომაზე ამერიკაში გამოდის ფილმი „ვიცეკვოთ“, სადაც რიჩარდ გირთან და ჯენიფერ ლოპესთან ერთად თამაშობს. იგი გონიერი ქალია და იცის, რომ ბედნიერება არის მხოლოდ და მხოლოდ მისკენ ლტოლვა...

— ვარსკვლავების ცხოვრებას ლაიტმოტივად მიჰყვება სხვადასხვაგვარი სკანდალური მითქმა-მოთქმა. გული ხომ არ გწყდებათ ამის გამო?

— მწყდება, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როცა ყვითელ პრესაში ჩნდება ჩემი შვილებისა და მეგობრების საწინააღმდეგო სტატიები. ჩემზე ჭორებს უკვე მივეჩვიე. როცა ვკითხულობ, როგორ მოვქცეულვარ ამა თუ იმ წვეულებაზე, სადაც სინამდვილეში არც კი ვყოფილვარ, მეცინება. საერთოდ ამერიკაში უყვართ წერა, თუ როგორ ეჩხუბებიან ვარსკვლავები ერთმანეთს ან ვისთან ერთად ძინავთ.

— თქვენ შესანიშნავი კომედიური მსახიობი ხართ, მაგრამ მშვენივრად გამოგდით ტრაგიკული როლებიც.

— ხშირად კომედია ტრაგიკულიდან იბადება და პირიქით, სასაცილო ამბავი შეიძლება სევდიანად დასრულდეს. ძალიან მიყვარს სასაცილო, ყველასთვის გასაგები ფილმები, სადაც რაღაც მომენტში აღარაფერია სასაცილო და შეიძლება ცრემლიც გადმოაგდოთ. ცხოვრებაშიც ხომ ასეა.

— კმაყოფილი ხართ თქვენი შრომის შედეგით?

— ვერ ვიტყვი, ყველაფერი შესანიშნავად გავაკეთე-მეთქი. ვხედავ, რომ ზოგან ზედმეტად სენტიმენტალური ვარ, ხოლო ზოგ სცენაში მართალია, შევარჩიე სწორი მიმართულება, მაგრამ რატომღაც ბოლომდე არ გავყევი.

— თქვენ გულდასმით არჩევთ როლებს. რომელ რეჟისორთან ისურვებდით გადაღებას სცენარის წაუკითხავად?

— ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია სცენარის წაკითხვა, დაფიქრება მასზე, ვეკითხები რეჟისორს, რატომ სურს ამ ფილმის გადაღება. სხვათა შორის, ხშირად რეჟისორები ვერ მპასუხობენ ამ შეკითხვაზე. მომწონს, როცა რეჟისორი სულითა და გულით, აზარტულად უდგება თავის პროექტს. ამიტომ ხშირად ვთანხმდები ახალგაზრდა და გამოუცდელ რეჟისორებს მუშაობაზე. არ მიყვარს ძვირადღირებულ ფილმებში თამაში. მცირებიუჯეტიანი ფილმის რეჟისორი თავს გაცილებით თავისუფლად გრძნობს. მას არავინ აკონტროლებს.

— თქვენ თეატრის ცნობილი მსახიობიც ხართ.

— რაც შვილები გამიჩნდა, დავკარგე თეატრალურ სპექტაკლებში მონაწილეობის სურვილი. არ მინდა უქმე დღე სხვა რამეზე დავხარჯო — მინდა ბავშვებთან ყოფნა.

— თქვენი და ტიმის პროფესია ახდენს გავლენას ბავშვებზე?

— ჩვენ არაფერს ვახვევთ თავს არც გოგონას, არც ბიჭებს. ისინი თავად იღებენ გადაწყვეტილებებს.

— თქვენ და ტიმ რობინსი ყოველთვის პოლიტიკურად აქტიურები იყავით. ეს ნეგატიურად ხომ არ აისახება კარიერაზე?

— როცა ერაყის ომის წინააღმდეგ გამოვედით რადიოთი, ჩვენი მისამართით გაისმა მუქარა, სტუდიებში მოეწყო აქციები, ყველას მოუწოდებდნენ, არ დაეღოთ ჩვენთან კონტრაქტი. მაგრამ ჰოლივუდში პოლიტიკური შეხედულებების გამო კი არ იზარალებ, არამედ იმით, რომ დაბერდი და გასუქდი. ტიმის წლევანდელი „ოსკარიც“ ამის დასტურია. მას ერაყში ომის მომხრეებმა მისცეს ხმა. გამოდის, რომ მათთვის გართობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე პოლიტიკა.

— „ოსკარი“ თქვენთვის ბევრს ნიშნავს?

— არ მჯერა ჯილდოებისა. მსახიობებისა და რეჟისორების მუშაობის შეფასება არ შეიძლება რაღაც რაოდენობრივი კატეგორიებით. ეს ხომ სპორტი არ არის. რა თქმა უნდა, კომერციის თვალსაზრისით ჯილდო ინტერესს ბადებს — ადვილია რეკლამა, ფილმების გაქირავება, მაგრამ ლაპარაკი არ არის ხელოვნებაზე. შეგიძლიათ მიპასუხოთ: რომელი სჯობს — ვაშლი, მსხალი თუ ატამი?

კორტნის უჩივლეს...

სკანდალებით ცნობილი მსახიობი კორტნი ლავი კვლავ სასამართლოში აღმოჩნდა და ისევ მოპასუხის როლში. ამჯერად მომჩივანია ექიმი-კოსმეტოლოგი რეგინა ნობელი. ერთი წლის წინ კორტნიმ ერთ-ერთ კოსმეტოლოგიურ კლინიკაში ბრილიანტების დერმაბრაზია ჩაიტარა. ამ პროცედურის არსი მდგომარეობს კანის დამუშავებაში ბრილიანტის წვრილი კრისტალებით. შედეგად კანის ზედაპირიდან იღებენ ზედა ფენას და შესაბამისად ქრება დეფექტები — მზის ლაქები, ნარკოტიკების მავნე ზემოქმედების კვალი და სხვ. კორტნი ლავი შედეგით კმაყოფილი დარჩა, მაგრამ გადაწყვიტა, პროცედურის ღირებულება, 3,3 ათასი დოლარი — არ გადაეხადა. ექიმ ნობელის მენეჯერთა მცდელობა, პაციენტიდან ამოეღოთ საჭირო თანხა, უშედეგოდ დასრულდა. ამიტომ ნობელმა სასამართლოში იჩივლა. სასამართლომ საჩივარი საფუძვლიანად ცნო. სხვათა შორის, ფინანსური საქმეები მთლად სახარბიელოდ არ მისდის კორტნის. „40 მილიონი მოგვპარეს მე და ჩემს ქალიშვილს. ეს იმ ორგანიზაციამ ჩაიდინა, რომელიც ჩემი საქმეების საწარმოებლად დავიქირავე“, — ჩივის საბრალო კორტნი.

ქერარ დეპარდიე ისევ ავარიაში მოჰყვა

ეს მოხდა დილით ადრე, პარიზის ერთ-ერთ გზაჯვარედინზე. პოლიციის ცნობის თანახმად, 55 წლის მსახიობმა თავისი მოპედი გააქანა წითელ შუქზე და მოულოდნელად მოსახვევიდან გამოსულ მანქანას დაეჯახა... მსახიობი საავადმყოფოში გააქანეს. მას დამტვრეული აქვს ნეკნები. შეგახსენებთ, რომ ეს არ არის ჟერარ დეპარდიეს პირველი ავარია. 2003 წელს მან დაარღვია მოძრაობის წესები და მანქანას შეუვარდა ბორბლებში. ასევე მოხდა 1998 წელსაც.

ბოლო შემთხვევის დროს მსახიობი გალეშილი იყო. სასამართლომ მას კარგა დიდი ჯარიმა გადაახდევინა და მძღოლის მოწმობა 15 თვით ჩამოართვა.

და დის მეჯოქეა

ვერასოდეს იფიქრებდა პენელოპა კრუსი, რომ მისი მთავარი მოწინააღმდეგე გახდებოდა უმცროსი დაიკო — 26 წლის მონიკა. დები ტყუპისცალებივით ჰგვანან ერთმანეთს. მათ ერთად დაამთავრეს მადრიდის კლასიკური ბალეტის სკოლა, რის შემდეგ მათი გზები გაიყო. პენელოპამ გადაწყვიტა თავი მიეძღვნა კინოსთვის, ხოლო მონიკამ აირჩია პროფესიონალი მოცეკვავის კარიერა: — სისხლში მაქვს ცეკვის სიყვარული. უკვე 4 წლისა ფლამენკოს ვცეკვავდი, ხოლო 17 წლისა თავის დასში მიმიწვია ცნობილმა ქორეოგრაფმა, ხოაკინ კორტესმა. მან სათანადოდ შეაფასა ჩემი ნიჭი და მალე მისი პრიმა-ბალერინა გავხდი.

მონიკა უყურადღებოდ არც ტელეპროდიუსერებმა დატოვეს, 2002 წლიდან რამდენიმე სერიალში გადაიღეს, თანაც მთავარ როლებში. ახალგაზრდა მსახიობის წარმატების ხმამ ჰოლივუდმდეც მიაღწია. მალე ეკრანებზე გამოვა ფილმი „ფლამენკოს გზა“, სადაც მონიკა მთავარ როლს თამაშობს — ცეკვის მასწავლებელს, რომელმაც ბოშა ბარონის ვაჟი შეიყვარა (ამ როლში ვიხილავთ პატრიკ სუეიზს).

მონიკას პირადი ცხოვრებაც მოწესრიგებული აქვს — ცოლად მიჰყვება თავის კოლეგას — მიგელ ანხელ მუნოსობს.

მონიკას შემოქმედებითმა მიღწევებმა დაჩრდილა პენელოპას წარმატებები. ტომ კრუზთან დაშორების შემდეგ ჟურნალისტები აღარ ინტერესდებიან მისით. პენელოპას ეჭვი არ ეპარება,

რომ მისი „კლონი“ დიდხანს ვერ გაჩერდება წარმატების ზენიტში.

— კინოვარსკვლავი რომ გახდე, არ არის საკმარისი, მხოლოდ კარგად ცეკვავდე, მსახიობის ნიჭიცაა საჭირო, — ირონიულად თქვა პენელოპამ ახლახან მიცემულ ინტერვიუში.

კოკაი კვლავ იმარჯვებს

4 ივლისს დაიწყო და ორ კვირას გასტანს ტურნირი, რომელიც იაპონიის ქალაქ ნაგოიაში მიმდინარეობს მსოფლიოს უძლიერეს სუმოისტთა მონაწილეობით. 42 რჩეულთა შორის, რასაკვირველია, ქართველი ლევან ცაგურიაც გახლავთ, რომელიც, მოგეხსენებათ, „კოკაის“ სახელით ასპარეზობს. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენებურმა ჯერჯერობით მხოლოდ 7 ბრძოლა გამართა (სულ 15 შეხვედრა უნდა გამართოს), უკვე შეიძლება ითქვას, რომ კოკაიმ კვლავ გვასახელა. 5 გამარჯვება და მხოლოდ ორი მარცხი, ასეთია ჯერჯერობით 23 წლის ქართველის შედეგი. დარჩენილ 8 ბრძოლაში კოკაის სამად სამი გამარჯვება ჰყოფნის სუმოს კლასიფიკაციაში ერთი ნაბიჯის წინ გადასადგმელად. კოკაიმ მიზანიც გაგვიმხილა, მისი ოცნება „იოკუძუნას“ ტიტული ყოფილა, „იოკუძუნა“ ჩემპიონთა ჩემპიონს ნიშნავს და მათსავით დაფასებული ხალხი ამომავალი მზის ქვეყანაში თითზე ჩამოსათვლელი ყოფილა.

საინტერესოა, რომ ლევანის უმცროსი ძმა — 17 წლის გიორგიც მის კვალს გაჰყოლია, ამჟამად ისიც იაპონიაში იმყოფება და მოყვარულ სუმოისტთა მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობს.

პოთა არველაძე დესის წინააღმდეგ?

საფრანგეთის ნაკრებისა და ლონდონის „ჩელსის“ აწ უკვე ყოფილი მცველი, 35 წლის მარსელ დესაი კარიერის ბოლო წლებს გლაზგოს „სელტიკში“ გაატარებს. ვეტერან ფეხბურთელთან, რომელსაც თავისი კარიერის მანძილზე არც ტიტულები აკლდა და არც გრანდების ძირითად შემადგენლობაში გარანტირებული ადგილი, „ჩელსის“ ხელმძღვანელობამ ტკბილად დაშორება არჩია. დესაი, რაღა თქმა უნდა, მშვენივრად ხვდება, რომ ასაკის გამო მუხლებში ძველებური სიჩაუქე აღარ მოსდევს და ამჯობინებს შოტლანდიის ჩემპიონატში კარიერის წყნარად დასრულებას, სადაც თავის გადაკვლა და მთელი მობილიზებით თამაში „რეინჯერსთან“ დუელში მოუწევს. „სელტიკს“ ჩემპიონთა ლიგაშიც მოუწევს თავისი ამბიციების დამტკიცება და მისი მენეჯერის მარტინ ო'ნილის განცხადებით, იმ კაცის მდიდარი გამოცდილება, რომელსაც საფრანგეთის ნაკრების მაისურით მატჩების სარეკორდო რაოდენობა (116 აქვს ჩატარებული) დიდად წაადგება „სქოთების“ ჩემპიონს.

ბაროშს „რეალი“ იწვევს

ინგლისის „ლივერპულისა“ და ჩეხეთის ნაკრების ფორვარდმა მილან ბაროშმა, რომელიც პორტუგალიაში გამართულ ევროპის პირველობაზე ხუთი გატანილი გოლით საუკეთესო ბომბარდირი გახდა, დაადასტურა, რომ მადრიდის „რეალისგან“ ოფიციალური მიწვევა მიიღო. ბაროშს არ დაუკონკრეტებია თანხა, რომელიც „სამეფო კლუბმა“ მერისისაიდელებს შესთავაზა, თუმცა აღნიშნა, რომ „ლივერპულთან“ კონტრაქტის დარღვევა მის გეგმებში არ შედის. შეგახსენებთ, რომ ინგლისურმა კლუბმა ბაროში 2002 წელს სულ რაღაც 3,2 მილიონ გირვანქა სტერლინგად შეიძინა. ექსპერტების ვარაუდით, ფეხბურთელის ამჟამინდელი ფასი ორი წლის წინანდელს დაახლოებით ათჯერ აღემატება.

გულგარელებს ისევ სტოიჩკოვის იმედი აქვთ

ალბათ გახსოვთ 90-იანი წლების ბულგარეთის ნაკრები. ხრისტო სტოიჩკოვისა და მისი თანაგუნდელების თაობამ ამ ქვეყნის საფეხბურთო ისტორიაში ყველაზე მაღალი მწვერვალები დაიპყრო. მათი წასვლის შემდეგ ბულგარელთა თამაში გაუფერულდა, რაც „ევრო-2004“-მაც დაადასტურა, სადაც პლამენ მარკოვის მიერ გაწვრთნილი გუნდი აშკარა აუტსაიდერად წარმოჩინდა. ჯგუფში სამივე მატჩის წაგების შემდეგ მარკოვმა განცხადება დაწერა წასვლის შესახებ. ბულგარეთის ფეხბურთის ფედერაცია ახალი მთავარი მწვრთნელის კანდიდატურად ხრისტო სტოიჩკოვს მოიაზრებს, რომელიც მიუხედავად ბრწყინვალე ფეხბურთელობისა, სამწვრთნელო გამოცდილებით ვერ დაიკვეხნის. გარდა ამისა, სტოიჩკოვი, ცოტა არ იყოს, ჭირვეული ხასიათითაც გამოირჩევა, რისი გათვალისწინებაც ბულგარული ფეხბურთის შეფებს უჭირველად მოუწევთ. ხრისტო არ უარყოფს, რომ მას შესთავაზეს ნაკრების თავკაცის პოსტი, მაგრამ ის იმ შემთხვევაში დათანხმდება ამ წინადადებას, თუკი თანაშემწედ დიმიტარ პენევს დაუნიშნავენ, რომელიც სწორედ მაშინ ხელმძღვანელობდა ბულგარელებს, როცა სტოიჩკოვი და კომპანია ყველაზე ღამაზ ფურცელს წერდნენ ქვეყნის საფეხბურთო ისტორიაში. ძნელია განსაზღვრო, თუ რას მოუტანს ეს უცნაური „როქი“ ბულგარელებს, მაგრამ სხვა, უკეთესი კანდიდატურა ჯერჯერობით ვერ მოუძებნიათ და ისევ წარსულის ყველაზე გამორჩეული მწვრთნელისა და ფეხბურთელის სტრატეგიულ ხედვაზე უნდა ააგონ მომავალი მუნდიალის შესარჩევი ტურნირი. მერე კი, ვინ იცის?..

ნანა ძაგნიძე საქართველოს ჩემპიონია

თბილისში გაიმართა საქართველოს ქალთა 61-ე ჩემპიონატი ჭადრაკში. ტურნირი მე-11 კატეგორიის იყო. შეჯიბრებაში მონაწილეობდა 12 მოჭადრაკე. ისინი ერთმანეთს წრიული სისტემით ხვდებოდნენ. ტურნირს სიმწვავეს მატებდა ის ფაქტი, რომ საპრიზოებთან ერთად ჩემპიონატში ოლიმპიური ნაკრების 2 საგზური თამაშდებოდა. სპორტის მოყვარულებს შევახსენებთ, რომ საქართველოს ქალ მოჭადრაკეთა ნაკრებში ერთი ადგილი დაბეგებული აქვს მაია ჩიბურდანიძეს.

17 წლის ქუთაისელმა ნანა ძაგნიძემ და 20 წლის თელაველმა ლელა ჯავახიშვილმა ტურნირი 8,5-8,5 ქულით დაასრულეს და I-II ადგილი დაიკავეს. ჩემპიონის გამოსავლენად საჭირო გახდა ტაიბრეიკების გამოყენება. მოკლე, ორ 15-წუთიან პარტიაში ძაგნიძემ 2:0 დაამარცხა ჯავახიშვილი და ზედიზედ მეორედ გახდა საქართველოს ჩემპიონი.

პასუხს ითხოვს „კაიზერ ფრანცი“

„ევრო-2004“ ბერძნების სენსაციურ გამარჯვებასთან ერთად სხვადასხვა ნაკრების მწვრთნელთა გადადგომითაც გახდა გამორჩეული. მათი აბსოლუტური უმრავლესობა ამ ხვედრს ნამდვილად იმსახურებდა და მყვირალა განცხადებების გარეშე წავიდნენ კიდეც პოსტებიდან. მათი ვაკანსიების დაკავებაც ზოგის წყნარად და ზოგისაც სკანდალურად მიმდინარეობს. არ გაგიკვირდეთ და, მათ შორის გერმანიის ნაკრების სავარაუდო თავკაცის ადგილიც იგულისხმება, იმ გერმანიისა, რომელიც მომავალი მუნდიალის მასპინძელია და სახელოვანი ტრადიციების მეტად უნიათოდ გამგრძელებელი ეროვნული გუნდის იმედადაა დარჩენილი.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ გასულ კვირას ყველაზე პოპულარული საფეხბურთო თემა გერმანიის ნაკრების დაცარიელებული სამწვრთნელო სავარძელი და მასზე დასაბრძანებელ კანდიდატთაგან ყველაზე სასურველის — ოტო რეჰაგელის საკითხი იყო. „ევრო-2004“-ზე ბერძენთა ტრიუმფის უპირველესი შემოქმედის სამშობლოში დაბრუნება პატრიოტული, მაგრამ ცოტა „თავხედური“ სურვილია იმ გაგებით, რომ ბერძნებს, რომელთაც დღესდღეობით ყველაზე პოპულარული საფეხბურთო მწვრთნელი ჰყავთ მსოფლიო მასშტაბით, ამ თემაზე საუბარიც კი არ სურთ და თუკი გერმანელთა დაუფარავ განცხადებებს დელიკატური ყოყმანით პასუხობენ, ეს უფრო დიპლომატიური თამაშის ჩვეულებრივი პროცესია და არა მათი რეალური სურვილი. საეჭვოა, ელადელებმა საკუთარი ნებით მოჭრან ის ტოტი, რომელზეც იღბლიანი გადაწყვეტილების წყალობით სხედან და თუ მაინც მოხდა სასწაული და რეჰაგელი დათმეს, მერწმუნეთ, გარიგების თანხები დაახლოებით იმ ციფრებში იტრიალებს, რაც ვთქვათ, უახლოეს წარსულში გერმანიიდან საბჭოთა ჯარების გამოყვანას დასჭირდა. ეს, რა თქმა უნდა, ნახევრად ხუმრობით, ისე კი, ამ ურთულესი ოპერაციის მოსაგვარებლად გერმანელებმა ყველაზე „მძიმე არტილერია“ ჩართეს ფრანც ბეკენბაუერის სახით და ბერძენთა სიფრთხილეც, უპირველესად, „კაიზერ ფრანცის“ უდიდესი ავტორიტეტით შეიძლება აიხსნას. ბეკენბაუერი, რაღა თქმა უნდა, ის კაცი არ გახლავთ, ფუჭი დაპირებებით ეიფორიაში რომ ჩააგდოს თავისი ქვეყანა. ის „ცივსისხლიანი“ გერმანელია და დღემდე შეულახავი ავტორიტეტით იმიტომაც სარგებლობს, რომ სიტყვისა და საქმის ფასი სხვაზე უკეთესად მოეხსენება. მისი ინტერესების უმთავრესი ობიექტი, ჰერ ოტო რეჰაგელი ამჟამად დამსახურებულ „შვებულებაში“, შობლიურ ქალაქ ესენში ისვენებს. იმის გათვალისწინებით, რომ ბუნდესნაკრები მწვავე ცაიტნოტშია და 18 აგვისტოს უკვე ამხანაგური მატჩის გამართვა უწევს, ეჭვგარეშეა, გერმანული ფეხბურთის ცოცხალი ლეგენდა ბავარიული ლუდითა და დელიკატესებით მორთულ მაგიდასთან რეჰაგელსაც მოისვამს და „იჩქარე ნელას“ პრინციპით მასზე ზეგავლენის მოხდენას შეეცდება. თუკი გამარჯვებებს მიჩვეული „კაიზერ ფრანცი“ ჰერ ოტოს თანხმობაში თითქმის დარწმუნებულია, ბერძნებთან მას უფროთული და ჩახლართული „საჭადრაკო პარტიის“ წარმართვა ელის და ჩათვალეთ, რომ საბერძნეთის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტი ვასილიოს გაგატისი „თეთრებით“ და „გამსვლელი პაიკით“ თამაშობს. ბერძნებმა კონტრაქტის გაგრძელება შესთავაზეს რეჰაგელს და ისიც ბუნებრივია, რომ ამის სანაცვლოდ ისინი ზღაპრულ თანხას დაუსახელებდნენ „ევრო-2004“-ის ტრიუმფატორს. საეჭვოა, „ცბიერი ოტო“ უგულისყუროდ მოეკიდოს ღამის მთელი გერმანიის სურვილს — და ბოლოს და ბოლოს, არც გერმანიის საფეხბურთო კავშირია ის ორგანიზაცია, რომელიც ასეთ აუქციონებზე უბრძოლველად თმობდეს ძვირფას ეროვნულ საგანძურებს. ასეა თუ ისე, ევროპა ჯერჯეროვნით ამ „დაბრუნებასა“ და მასთან დაკავშირებულ ნებისმიერ ნიუანსს დიდი ინტერესით ელოდება და ვინ იცის, იქნებ ამ წუთებშიც წყდება (ან უკვე გადაწყვეტილია) ოტო რეჰაგელის გერმანიაში გადაბარგების საკითხი.

არანაკლებ საინტერესო ტრანსფერები „ტრიალებს“ საკლუბო ფეხბურთშიც. ამ „აღებ-მიცემობაში“ ყველაზე აქტიურად ლონდონის „ჩელსის“ მფლობელი რომან აბრამოვიჩი მოქმედებს. რუს ებრაელს, ჩანს, ნავთობივით ულევი ფინანსური რეზერვები გააჩნია და ნება რომ მისცენ, ალბათ, ყველა ფეხბურთელს ნისლიან ალბიონზე გადააბარგებდა. მწვრთნელის საკითხი მან უკვე კარგა ხანია მოაგვარა. მისი არჩევანი ჩემპიონთა ლიგის მომგები გუნდის — „პორტუს“ ახალგაზრდა დამრიგებელ ჟოზე მოურინიოზე შეჩერდა და ბუნებრივია, „ჩელსის“ მაცდუნებელ წინადადებას პორტუგალიური კლუბი წინ ვერ აღუდგა. აბრამოვიჩმა სწრაფად შეძლო თავის გუნდში ჰოლანდიელი არიენ რობენის და „ეინდჰოვენის“ მეგოლის მატიას კეუმანის გადაყვანა და ამჯერად ფერნანდო მორიენტესის დაყოლიებას ცდილობს. ესპანელი თავდამსხმელი „რეალის“ საკუთრებაა და მის გამოსასყიდად აბრამოვიჩს 20 მილიონი ევროს გაღება მოუწევს, ეს თანხა კი მისთვის ბევრს არაფერს ნიშნავს, რადგან ამდენივე გადაიხადა „პორტუს“ მცველ პაულო ფერეირაში. აბრამოვიჩს გუნდში თავდამსხმელთა აურაცხელი რაოდენობა დაუგროვდა და ის, რა თქმა უნდა, სულაც არ აპირებს მარტო სკამზე ჯდომისთვის მოთამაშეებისთვის მილიონების ჩუქებას. ამიტომ, „ჩელსიდან“ არგენტინელი კრესპო და ჰოლანდიელი ჰასელბაინკი გაუშვეს. სამხრეთ ამერიკელს თითქმის აღარაფერი აკლია „მილანში“ მოსახვედრად, ჰასელბაინკი კი „მიდლსბროში“ დამკვიდრდა. აბრამოვიჩი კი მაინც არ ცხრება და არაფერს იშურებს, რათა „ჩელსის“ რიგებში იხილოს „ევრო-2004“-ის 18 წლის გმირი უეინ რუნი. „ევერტონმა“ მის სანაცვლოდ 50 მილიონი ფუნტი სტერლინგი მოითხოვა, ზუსტად მეოთხედი იმ თანხისა, რაც აბრამოვიჩმა მთლიანად „ჩელსის“ შესაძენად გადაიხადა. რუნის შესასყიდად „მანჩესტერიც“ აქტიურობს და ეს ინტრიგა არანაკლებ მიმზიდველია, ვიდრე რეჰაგელის დასაუფლებლად საბერძნეთ-გერმანიას შორის წამოწყებული ფარული „ომი“.

გასული სეზონის „ჩაგდების“ შემდეგ მილანის „ინტერმა“ სერიოზული სვლა განახორციელა და გუნდის მთავარ მწვრთნელად 39 წლის რობერტო მანჩინი გაამწესა. ეს სიამოვნება პრეზიდენტ ფაკეტის 5 მილიონი ევრო ფულად და რამდენიმე მოთამაშის „ნატურით“ გადახდა დაუჯდა. არ გაგიკვირდეთ, თუკი აქაურ კულისებშიც ჩანს აბრამოვიჩის პერსონა, რომელიც პარალელურად მოსკოვის ცსკას სპონსორია და მანჩინის 25-მილიონიანი კონტრაქტით რუსეთში გადასვლას სთხოვდა. ეს ყველაზე მნიშვნელოვანი „წადი-მოდია“ ევროპულ ფეხბურთში. არ დაგავიწყდეთ, რომ არც სხვა კლუბები სხედან გულხელდაკრეფილნი. უბრალოდ, ისინი შედარებით ჩუმად და ნაკლებამბიციურად იღვწიან, თუმცა, ყველა მათგანი მილიონებს, როგორც კატა თაგვს, ისე ეთამაშება.

ჩვენ რა გვეშველება, რომ უმძიმესი შესარჩევი ეტაპი კარს მოგვადგა და ჯერჯერობით, ქართველი ფეხბურთელებისთვის არავის შეუთავაზებია ისეთი ხელსაყრელი წინადადება, რომ გახმაურებულად თუ არა, იმედიანად მაინც მოგვჩვენებოდა. თუმცა, ყველაფერი წინ არის და თუკი ჩვენებურებმაც გამოიჩინეს თავი კარგი თამაშით, შესაძლოა აბრამოვიჩისა და მისებრ ჯიბეგახსნილი პრეზიდენტების მაღალი ყურადღება ღრმა კრიზისში ჩავარდნილ ქართულ ფეხბურთსაც ეღირსოს.

ჯერი ვენეიბლზი — „ნიუკასლში“

ცნობილი ბრიტანელი სპეციალისტი, 61 წლის ტერი ვენეიბლზი „ნიუკასლ იუნაიტედის“ მთავარი მწვრთნელის პოსტზე დაინიშნა. ინგლისური კლუბისა და ბობი რობსონის გულშემატკივრები ამ ინფორმაციის გაცნობის შემდეგ ტყუილად ნუ შეშფოთდებიან, ვინაიდან მისტერ ტერიმ ავსტრალიურ „ნიუკასლთან“ გააფორმა ერთწლიანი კონტრაქტი, რომლის თანახმადაც, იგი 430 ათას ამერიკულ დოლარს მიიღებს. ვენეიბლზი „ლიდსიდან“ წასვლის შემდეგ, ორი წლის განმავლობაში უმუშევარი დადიოდა და მიუხედავად იმისა, რომ საპენსიო ასაკშია, მაინც აქტიური სპორტული ცხოვრება არჩია მშვიდად გოლფის თამაშს და ბრიტანულ პაბებში ლუდის დაგემოვნებას. ავსტრალიის ჩემპიონატი დიდი ვერაფერი ბედნაა, მაგრამ „ნიუკასლის“ თავკაცობა კარგად ხვდება გამოცდილი მწვრთნელის მოწვევის და მისი საფეხბურთო იდეების გაზიარების მნიშვნელობას თავისი ფეხბურთელების სამომავლო პერსპექტივასთან დაკავშირებით და თვლის, რომ კლუბისთვის, რომელიც არსებობის სულ რაღაც 4 წელიწადს ითვლის, ეს ყველაზე საუკეთესო გადაწყვეტილებაა.

გვერდი მოამზადა
ზვიად სეხნიაშვილმა

№27 (405) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგს 526 მკითხველი გამოეხმაურა. 7 ბარათი არასწორად იყო შევსებული. 194-მა ქალმა და 325-მა მამაკაცმა უპასუხა კითხვას: **„რისი ცოდნაა დღეს ყველაზე აუცილებელი საძართველოში?“**

როგორც აღმოჩნდა, თანამედროვე ქართველთათვის უცხო ენების ცოდნას სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონია. რესპონდენტთა 45%-მა შეაფასა იგი მაქსიმალური — 8 ქულით, მინიმალური — 1 ქულა კი მხოლოდ ორმა მკითხველმა (0,4%) დაუწერა.

6,69 საშუალო ქულით „უცხო ენები“ პირველ ადგილზეა.

ჩვენი მკითხველების აზრით, დღეს ასევე აუცილებელია კომპიუტერთან მუშაობის ცოდნაც, საშუალო ქულაა 5,96. აღსანიშნავია, რომ „კანონმდებლობაც“ და „კომპიუტერიც“ რესპონდენტთა ზუსტად ერთნაირმა რაოდენობამ — 13%-მა შეაფასა მაქსიმალური ქულით.

ყველაზე მეტი მინიმალური ქულა (42%) „ავტომობილის მართვას“ ხვდა წილად — მკითხველთა უმრავლესობის აზრით, აქ ჩამოთვლილ „დარგებს“ შორის ყველაზე ნაკლებად სწორედ მანქანის მართვაა საჭირო. მხოლოდ ორმა მკითხველმა შეაფასა იგი მაქსიმალური — 8 ქულით.

შედეგებში ასაკობრივ ჯგუფებს შორის განსხვავება არ დაფიქსირებულა. რაც შეეხება ქალებისა და მამაკაცების პასუხებს, აღმოჩნდა, რომ მანდილოსნებისათვის პოლიტიკურ სიახლეებში გარკვევა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ეროვნული ტრადიციების/ადათ-წესების ცოდნა.

მამაკაცებს კი მიაჩნიათ, რომ ბიბლიის ცოდნაზე მნიშვნელოვანი ტრადიციული ღირებულებების შეცნობაა.



საპრიზოს ზუსტად ორი ბარათი-რეიტინგი დაემთხვა. ჩვენი გამარჯვებულები არიან თბილისელები — 47 წლის **თინა აზნაურაშვილი** და 64 წლის **მარლენ მელძაძე.**

საპრიზო ფონდი — 100 ლარი მათ შორის თანაბრად განაწილდება.

გამარჯვებულებს ვულოცავთ და პრიზის მისაღებად ველით რედაქციაში ოთხშაბათს, 14 ივლისს, 17 საათზე.

№28 (406) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

„კვირის პალიტრა“ თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

100 ლარი

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის“ მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

✱ საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, უპასუხოთ დამატებით კითხვას და **«მკითხველის პრემიას».**

№28 (406) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში მოათავსეთ ოთხშაბათის, 14 ივლისის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 15 ივლისის 13 საათამდე.

© თბილისი

ყურადღება! რეიტინგის ბარათები პარალელურად იბეჭდება ჟურნალ „რეიტინგში“. თქვენ შეგიძლიათ შეავსოთ ისინი და მითითებულ ვადებში გაგზავნოთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. აღნიშნული ბარათებით ისევე მიიღებთ მონაწილეობას კონკურსში, როგორც „კვირის პალიტრიდან“ ამოჭრილი ბარათებით.

თემა №28(406) — ინტელექტუალური პოლიტიკოსი

თქვენი აზრით, ვინ არის ყველაზე ინტელექტუალური პოლიტიკოსი (ჩამოთვლილთაგან)**?** დაუწერეთ მას **8** ქულა, მომდევნოს — 7 და ა.შ. 1-მდე.

№28(406) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

№	პოლიტიკოსი	ქულა
1	დავით გამყრელიძე	
2	მიხეილ სააკაშვილი	
3	აკაკი ასათიანი	
4	შალვა ნათელაშვილი	
5	ნინო ბურჯანაძე	
6	გიგი წერეთელი	
7	მაია ნადირაძე	
8	კობა დავითაშვილი	

დამატებითი კითხვა

თქვენი აზრით, როგორ უნდა დაარეგულიროს ცხინვალის რეგიონში შექმნილი კრიზისი საქართველოს ხელისუფლებამ?

მშვიდობიანი მოლაპარაკებით	
ძალისმიერი მეთოდით	
მიჭირს პასუხის გაცემა	

(შესაბამისი უჯრა გადაბაზეთ)

მკითხველის პრემია

დაასახელეთ ნომრის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი

✓ _____

თქვენი სახელი, გვარი

ქალაქი (რაიონი)

ასაკი ტელეფონი

ყურადღება! თუ საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგში მონაწილეობის მისაღებად რამდენიმე ბარათს ავსებთ, გთხოვთ, დამატებით ქიმოსპასა და „მკითხველის პრემიაში“ მხოლოდ ერთხელ (ერთ ბარათში) დააფიქსიროთ თქვენი აზრი.

ყურადღება! „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში მითითებულ დროზე გვიან მოთავსებული ბარათები კონკურსში არ მონაწილეობს!

დამატებითი კითხვის შედეგები

გჯერათ თუ არა, რომ უახლოეს მომავალში დაიწყება საქართველოს ეკონომიკის გაჯანსაღება?



ჟოჭოპანჭიპჰანი © ·ფოტოპალიტრა·

აბა, ვინ ვარ ახლა მე?

— ქარის წისქვილებს ბავშვობაშიც ვებრძოდი!..

„დიდ კაცთან პატარა კაცსა, როდის გასვლია მართალი“.

გ- გელენიძე, ხონი

კ.ბ. — რავა საქართველოს ეკონომიკას დამგვანებიხარ, შე საცოდავო!

ვეკო, ვანი

ახალი მხ. ფილმი „პრივატიზაციის ციებ-ცხელება“. როლებში: ბალშოი ჯიმ ი მალენკაია ბრადიაგა.

მამუკა, პატარძეული

ერთმანეთს ხვდებიან: მინისტრი კახა ბენდუქიძე და გაძვალტყავებული საქართველოს ეკონომიკა. შენ დაუკა!

მათე სულწაძე, წყალტუბო

ბებიაჩემი იტყოდა ხოლმე, — ჩემმა მეზობელმა იმდენი გავყიდო-გავყიდო იძახა, ბოლოს უნიფხო დარჩაო.

შალვა ზუკაკიშვილი, თბილისი



კ.ბ. — ამას ეხლა დავიჭერ, გალიაში ჩავსვამ და გავყიდი.

ანზორ თავართქილაძე, სამტრედია

კ.ბ. *(ჩურჩულით)* — ნუ გეშინია პატარავ, ეს ორთაბრძოლაც გაყიდული მაქვს.

სალომე ბიბილაშვილი, ფასანაური

კ.ბ. — ერთი მითხარი, ვინ ხარ შენ, ამ გოლიათს რომ მეჯგიმები ეს ქონდრისკაცი?

— ვინ ვარ და, ოჩოპინტრე ვარ და შენი გაბარიტების სულაც არ მეშინია. ტყეების გაყიდვას მაინც არ შეგარჩენ. ნადირ-ფრინველთა თავს გეფიცები.

ლ. ქაჩიბაია

ფოტო განწყობისთვის

— ხომ მაგარი ვარცხნილობა მაქვს!..



თარაზულად: 1. სიშიშვლის მოყვარული; 4. ნუგბარი; 6. ამერიკელი მსახიობი ფილმებში: „ველური ორქიდეა“ და „9 1/2 კვირა“; 7. უფროსის ან სასულიერო პირის მოადგილე მუსლიმანურ ქვეყნებში; 8. ბუნებრივი ყავისფერი პიგმენტი; 9. იაზონის მამის სამეფო; 10. დასვენების დღე; 13. რამაზ ჩხიკვაძის პერსონაჟი ბრეხტის „კავკასიურ ცარცის წრეში“; 16. ახალი ზელანდიის ძირძველი მოსახლე; 18. ვენეციელთა ნავი; 19. თხევადი ორგანული საწვავი; 20. ჯ/ფ-ში „მიმინო“ ვალიკო მიზანდართან დუეტში მომღერალი; 22. სახელმწიფო სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, რომლის მმართველი მსოფლიოს უმდიდრეს ადამიანად ითვლება; 23. დოდო აბაშიძის პერსონაჟი ფილმში „ჭრიჭინა“; 25. ჩეხური ავტომობილი; 27. ეგვიპტურ-ფრანგული წარმოშობის თეთრი მუსკატის და ვარდისფერი ყურძნის ჯიში; 28. რჩეული საზოგადოება; 29. მუსიკალური ნაწარმოების შესრულების სისწრაფე; 30. ვლადიმირ ჟირინოვსკის მამის პროფესია; 31. ზაფხულობით დასასვენებელი ადგილი.

შვეულად: 1. ფილმი გრაფ დრაკულას შესახებ; 2. ოდნავ დამცინავი გამოხედვა; 3. XVI საუკუნის იტალიელი მხატვარი, რომელსაც მე-20 საუკუნეში სიურრეალიზმის წინამორბედი უწოდეს; 4. სამიკიტნოს დახლიდარი; 5. უსიამოვნო შემთხვევა; 11. კერძების ჩამონათვალი; 12. ფრანგული წარმოშობის ისტორიკოსი, რომელსაც ეკუთვნის ნაშრომები საქართველოს ისტორიისა და არქეოლოგიის შესახებ და რომლის სახელსაც ატარებს ქუჩა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის უკან; 14. უზენაესი ღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში; 15. წმინდა მთა საბერძნეთში, მართლმადიდებელ მონაზონთა ცენტრი; 16. გერმანელი არქიტექტორი, რაციონალიზმის წარმომადგენელი; 17. თმის საღებავი; 21. მსახიობისთვის დამახასიათებელი მოხდენილობა; 22. ცივი იარაღი; 24. პარფიუმერიული ნაწარმი მამაკაცთათვის; 25. უზბეკეთის დედაქალაქი; 26. უცხოეთში გათხოვილი ქართველი მოჭადრაკე;

შეადგინა რამაზ ალანიამ

რას ფიქრობენ მამაკაცები დედაზე სხვადასხვა ასაკში?

5 წლის: „დედიკომ ყველაფერი იცის...“
10 წლის: „დედიკომ თითქმის ყველაფერი იცის.“
15 წლის: „დედამ ნამდვილად რაღაც იცის!“
20 წლის: „ნეტა, რა იცის დედამ?!“
25 წლის: „დედისთვის უნდა დამეგდო ყური...“

17/VII ახალი მთვარე

მაგნიტური დღეებია:
14/VII 10-დან 12 საათამდე
18/VII 21-დან 23 საათამდე

წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 1. ჩაპლინი; 4. დებიუტი; 6. ზებრა; 7. ლასტი; 8. ცხუმი; 9. არაყი; 10. ორბიტა; 13. კაპელა; 16. მცირე; 18. მატიანე; 19. „ვარციხე“; 20. იზიდა; 22. ბროლია; 23. პანამა; 25. „გურია“; 27. მესხი; 28. ფოლგა; 29. ნემსი; 30. იაპონია; 31. აგვისტო.

შვეულად: 1. ჩელენტანო; 2. იზოლაცია; 3. აბასთუმანი; 4. დარიჩინი; 5. ინდონეზია; 11. ბუტკო; 12. ტრაპი; 14. აორტა; 15. ეთიკა; 16. მეი; 17. ევა; 21. იერუსალიმი; 22. ბანდეროლი; 24. ამეთვისტო; 25. გამოფენა; 26. აგიტაცია.



ბენ აფლეკის დიდი მოგება

სუპერწარმატებულად დამთავრდა ჰოლივუდის ვარსკვლავის ბენ აფლეკისთვის კალიფორნიაში ჩატარებული ტურნირი პოკერში. მსახიობმა პირველი ადგილი დაიკავა და 360.000 დოლარი მოიგო. ტურნირი 2 დღე მიმდინარეობდა. აფლეკმა ამ 2 დღეში 90-ზე მეტი მონაწილე დაამარცხა. მათ შორის იყო ბენის კოლეგა ტობი მაგუაერი. ამ ტურნირში გამარჯვებამ აფლეკს უფლება მისცა მონაწილეობა მიიღოს მსოფლიო ჩემპიონატში (პოკერში), რომელიც მომავალი წლის აპრილში მოეწყობა. ამ ფაქტმა ძალიან გაახარა მსახიობი, ის ხომ ცნობილია როგორც ძალიან აზარტული მოთამაშე და სამორინეების ხშირი სტუმარიცაა...

ჰუმანიტარულ-ტექნიკური ინსტიტუტი

(სტუ სპეც. ფაკულტეტი) აცხადებს მიღებას 2004/2005 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

1. ა) სამართალმცოდნეობა; ბ) სამხედრო სამართალი; გ) საერთაშორისო ეკონომიკური სამართალი (ქართული, რუსული და ინგლისური სექტორი).
2. ა) საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები (ქართული და რუსული სექტორი); ბ) საბანკო საქმე; გ) საბაჟო-საგადასახადო საქმე (წარმოების და მომსახურების კონტროლი და ზედამხედველობა).
3. მთარგმნელობითი საქმიანობა:ა) ინგლისური ენა (ქართული და რუსული სექტორი); ბ) გერმანული ენა; გ) ფრანგული ენა.
4. ა) ჟურნალისტიკა; ბ) ინტერნეტ-ჟურნალისტიკა; გ) რეპორტიორი (ტელე-რადიო ჟურნალისტიკა); დ) საზოგადოებრივი ურთიერთობები.

დღის დასწრებულ და დაუსწრებელ განყოფილებაზე ჩარიცხვა წარმოებს გამოცდა-ტესტირების საფუძველზე.

ინსტიტუტთან ფუნქციონირებს ლიცეუმი. სწავლა ფასიანია, აბიტურიენტებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები: 1. ატესტატი; 2. 4 ფოტოსურათი 3X4; 3. პირადობის მოწმობა; 4. მიწერის მოწმობა (დედანი ასლთან ერთად).

საბუთების მიღება 1 ივლისიდან, შაბათ-კვირის გარდა, 10-15სთ. მის: თბილისი, მ. კოსტავას 77, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, VIII სასწავლო კორპ. II სართ.

☎ 36-30-72; 36-30-73; 36-60-78; 36-34-34

ყურადღება: „კვირის პალიტრის“ (გაზეთის) საფოსტო (საკორესპონდენტო) ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია კანონით.©

(28) უფასო განცხადების ქვითარი

განცხადების ტექსტი ______

სიტყვა და საქმე

გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით) გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება

№28 თბილისში ქვითარი „კვირის პალიტრის“ ყუთებში ჩააგდეთ 15 ივლისის (ხუთშაბათი) 13.00 სთ-მდე.

„კვირის პალიტრის“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები განლაგებულია: თბილისში — მეტროს სადგურებთან და ხალხმრავალ ადგილებში, აგრეთვე, ქალაქებსა და რაიონებში: მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია, აბაშა, სენაკი, ხობი, ზუგდიდი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, ვანი, წყალტუბო, ბაღდათი, ხონი, ბანძა, თერჯოლა, ტყიბული, ამბროლაური, ონი, ბორჯომი, ახალციხე, რუსთავი, საგარეჯო, გურჯაანი, წნორი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი, ახმეტა, დედოფლისწყარო.

„კვირის პალიტრისა“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები იცლება თბილისში — სამშაბათს, ხუთშაბათს, კვირას 13 საათიდან; რაიონებში — ოთხშაბათობით, 10 საათიდან.

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმოთარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე, სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

მთავარი რედაქტორი ლალი გუნთაიშვილი

მთ. რედაქტორის მოადგილეები ნუცა დუმბაძე, გიორგი თევდორაშვილი

სარედაქციო კოლეგია

მის.: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)

ტელ: **რედაქცია:** 33-39-54
რეკლამა, ფაქსი: 33-50-32; 98-74-44

news@kvirispalitra.com
www.opentext.ge/kvirispalitra

სარეგისტრაციო ნომერი © 1518

„კვირის პალიტრა“ გამოდის ორშაბათობით

გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში“.